საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
13 – 19 ნოემბერი, 2016
№1 (330)

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru



ირაკლი კაკაბაძე:

## ან შევაკვდებით, ან მურუსიძეს დავამთავრებთ

14

## მორიგი შეტევა მართლმადიდებლობაზე

10

«დავფიქრდეთ, ვის აძლევს ხელს ეს მუდმივი «რელიგიური ომი» სოციალურ ქსელებში, რომელიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც მოსამზადებელი ეტაპი გაცილებით სერიოზული კონფლიქტისთვის, ერთგვარი ფსიქოლოგიური ოპერაცია, რომელიც მიზნად გარკვეული ჯგუფების რადიკალიზაციას ისახავს და ნაყოფს მოგვიანებით გამოიღებს»

4



უშიშროების გენერალი ანზორ მაისურაძე:

## ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში, თბილისში, ჩემი 102 კოლეგა მუშაობს



„კვირიკაშვილი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნამდე, კარგა ხანს ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ კარგად შეისწავლეს იგი, შესაბამისი მუშაობა ჩაატარეს მასთან და, როგორც ჩანს, ეს კაცი უფრო თავისად მიიჩნიეს, ვიდრე ირაკლი ღარიბაშვილი. აქედან გამომდინარე, მიიღეს კიდეც ის გადაწყვეტილება, რომლის მოწმენიც გავხდით: საქართველოს პრემიერმინისტრი „საკუთარი ნებით“ გადადგა“



5

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ჟერარ დეპარდიე სტალინის როლს შეასრულებს

**ფრანგი მსახიობი, 2013 წლიდან რუსეთის მოქალაქე ჟერარ დეპარდიე ახალ ფილმში იოსებ სტალინის როლს შეასრულებს. ფილმის სახელწოდებაა Le divan de Staline („სტალინის დივანი“). რეჟისორია ცნობილი ფრანგი მსახიობი, დეპარდიეს პარტნიორი ფილმში „მეზობელი ქალი“ ფანი არდანი.** ფილმს ფრანგი მწერლის — ჟან-დანიელ ბალტასის რომანის მიხედვით გადაიღებს ფრანგულ-პორტუგალიური კომპანია. „მოსფილმი“ კი კოსტიუმებსა და რეკვიზიტებს უზრუნველყოფს. კინოში მოთხრობილი იქნება ისტორია, რომელიც 1950 წლის საბჭოთა კავშირში ვითარდება. იგი ახალგაზრდა მხატვარ დანილოვზეა, რომელიც სტალინის მონუმენტს შექმნის.





## საქართველოს პატრიარქი: მშობლებმა უნდა დალოცონ შვილები, რადგან მშობლის დალოცვა არის ღვთის დალოცვა

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ყოვლადწმიდა სამების ტაძარში ბავშვებისთვის პარაკლისი გადაიხადა. პარაკლისის დროს ტაძარში გამობრძანებული იყო მადლის ქვა და წმინდა გიორგის წმინდა ნაწილი. ტაძარში უამრავი მშობელი და ბავშვი იყო შეკრებილი, მათგან ზოგიერთი — მძიმე ავადმყოფი.**

უწმინდესმა პარაკლისის დაწყებამდე ტაძარში შეკრებილებს მცირე ქადაგებით მიმართა, ქრისტეშობა და ახალი წელი მიულოცა. „მადლი ღვთისა, მადლი ახალშობილისა ძისა ღვთისასა იესო ქრისტესი იყოს თქვენ და თქვენი ბავშვებისა ზედა. დღეს დავლოცავთ ჩვენს ახალგაზრდებს, ბავშვებს, ჩემს ნათლულებს და მთელ საქართველოს. საოცარი დამთხვევაა, დღეს არის დღესასწაული 14 000 ბავშვისა, რომელიც მოსპო ჰეროდე მეფემ. 14 000 მოწამე ბავშვის მადლი შეგეწიოთ თქვენ და საქართველოს“, — განაცხადა პატრიარქმა ქადაგებისას. უწმინდესის თქმით, დღეს პარაკლისით ითხოვენ მადლს პატარებისთვის. პატრიარქმა აღნიშნა, რომ მშობლებმა უნდა დალოცონ მათი შვილები, რადგან მშობლის დალოცვა არის ღვთის დალოცვა.

სამებაში ბავშვებს მომავალ ორშაბათსაც დალოცავენ.

## კახა კალაძე: რა ტრაგედიასაც ე.წ. ექსპერტები ხატავენ «გაზპრომის» შესახებ, არის მარაზმი და არასწორი

**ენერგეტიკის მინისტრმა, ვიცეპრემიერმა კახა კალაძემ განაცხადა, რომ „გაზპრომთან“ მოლაპარაკებები ქართული მხარისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მან ხაზი გაუსვა, რომ არა ერთი წელია, საქართველოს „გაზპრომთან“ ურთიერთობა აქვს და ხელშეკრულების გადახედვა ყოველწლიურად ხდება.**



„ამ შემთხვევაში მოთხოვნაა, შეიცვალოს ხელშეკრულების პირობები — გადავიდეთ ფულად ანაზღაურებაზე, ანუ ჩვენ მიერ გატარებული 10-პროცენტიანი მოცულობის მაგივრად გადაგვიხადონ თანხა. დიდი ხანია, ეს მოლაპარაკებები დაწყებული გვაქვს. რამდენიმე შეხვედრა გაიმართა, თუმცა შეთანხმება მიღწეული არ არის. ბოლო ორი თვის განმავლობაში ჩვენ ვისმენთ გაუგებარ განცხადებებს ე.წ. ექსპერტების მხრიდან. თუ ვინმეს მართლა აქვს სურვილი, შეიტყოს დეტალები, ენერგეტიკის სამინისტრო, პირადად მე, მზად ვართ, ამ ადამიანებს შევხვდეთ – მოვიდნენ და მივაწვდით ყველა ინფორმაციას, თუმცა შეთანხმება ჯერ არ არის მიღწეული. სამუშაო შეხვედრების შემდეგ, რომლებიც რამდენიმეჯერ გაიმართა, შედეგი არ დამდგარა. როდესაც შეთანხმებას მივაღწევთ, ყველასთვის იქნება ცნობილი“, — აღნიშნა ვიცეპრემიერმა და დასძინა, რომ საუბარია „გაზპრომთან“ ახალ, 1-წლიან ხელშეკრულებაზე.

## უკრაინულმა «ვიკილიქსმა» მიხეილ სააკაშვილისა და სანდრა რულოვსის სკანდალური SMS-მიმოწერა გამოაქვეყნა




**უკრაინული „ვიკილიქსი“: სააკაშვილის ცოლი სანდრა რულოვსი „ისლამური სახელმწიფოსგან“ ადამიანთა ახალი ორგანოების მოლოდინშია; თურქეთის პრეზიდენტის ვაჟი, ბილალ ერდოღანი, მიწოდებას უზრუნველყოფს.**

**სანდრა რულოვსი:** — მე ყველაფერი ვიცი და ელისი დღეს სტამბულში იქნება, ის ელაპარაკა დათოს.

**მიხეილ სააკაშვილი:** — შენ ზარებს არ პასუხობ, ეს საქმეს დააზარალებს.

**სანდრა რულოვსი:** — მერე? გაერთე შენს ძუკნებთან.

**მიხეილ სააკაშვილი:** — მოდი რა, ამ საკითხს შევეშვათ, მე ხომ არ გეკითხები, შენ ვისთან გძინავს, საქმეზე ვილაპარაკოთ.

**სანდრა რულოვსი:** — მე ყველაფერს ვაკონტროლებ, ამსტერდამის ცენტრში დღეში ასობით შეკვეთა მოდის, წინასწარ იხდიან თანხის 20%-ს, ყველაფერზე პასუხისმგებელი შენ ხარ, მთავარია, შენმა თურქებმა არ გადაგვაგდონ.

**მიხეილ სააკაშვილი:** — ბილალმა (ბილალ ერდოღანი, თურქეთის პრეზიდენტის ვაჟი — რედ.) ყველაფერი მოაგვარა, მებრძოლები ჩაერთნენ და ტრანსპორტირებაზე პრობლემა არ იქნება, მთავარმა იმამმა ტყვეები და გოგოები გადასცა. ელისი უკვე მუშაობს და ერთ კვირაში დაამთავრებს ორგანოების მოწესრიგებას, ისინი ველარ აღნიშნავენ ახალ წელს:)

**სანდრა რულოვსი:** — ოკ, ველოდები.

**მიხეილ სააკაშვილი:** — გკოცნი, საყვარელო.

**სანდრა რულოვსი:** — წადი შენი, შენი სიგიჟეები დაგღუპავს მანდ, უკრაინაში.

## მიგრანტების საწინააღმდეგო აქცია ლაიფციგში



**გერმანიის ქალაქ ლაიფციგში მიგრანტების საწინააღმდეგო აქცია გაიმართა. ადგილობრივი მედიის ცნობით, დემონსტრაციას რამდენიმე ათასი ადამიანი დაესწრო. მათ კიდევ ერთხელ დაგმეს ახალი წლის ღამეს ქალაქ კელნში ქალებზე თავდასხმა.**

გერმანიის იუსტიციის მინისტრის განცხადებით, ყველა თავდასხმა წინასწარ იყო დაგეგმილი. თავად დაზარალებულების თქმით კი, თავდასხმის ღამეს კელნის მოედანზე 1 000-მდე მამაკაცი შეიკრიბა, რომლებიც ჯგუფებად გაიყვნენ და ქალებზე ძალადობდნენ. მომხდარის შემდეგ გერმანიაში არაერთი საპროტესტო აქცია გაიმართა. დემონსტრანტები ნაციონალისტურ ლოზუნგებს სკანდირებდნენ და მილიონზე მეტი მიგრანტის მიღების შესახებ კანცლერ ანგელა მერკელის გადაწყვეტილებას აკრიტიკებდნენ.

## პარიზში მოკლული ტერორისტი თავს ქართველად ასაღებდა

**დასავლური მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, პარიზში მოკლული თავდამსხმელი თავს ქართველად ასაღებდა.**



ინციდენტი გასულ კვირაში მოხდა — დანით შეიარაღებული „ისლამური სახელმწიფოს“ წევრი ისლამური ლოზუნგების სკანდირებით პარიზში პოლიციის ერთ-ერთ შენობას დაესხა თავს. ის სამართალდამცველებმა ადგილზე მოკლეს. მოგვიანებით გაირკვა, რომ თავდამსხმელი ტუნისელი ტარეკ ბელგასემი საფრანგეთში გამგზავრებამდე გერმანიაში ცხოვრობდა — თავშესაფრის მაძიებელთა ცენტრში. მან გერმანიის ხელისუფლებას თავშესაფრის მიღების თხოვნით რამდენიმეჯერ სხვადასხვა გვარ-სახელით მიმართა. ერთ-ერთი განაცხადის შეტანისას კი მიუთითა, რომ საქართველოში იყო დაბადებული.





## შესაძლოა, ნავთობის ფასი 20 დოლარამდე დაეცეს

**შესაძლოა, მსოფლიოში ბარელი ნავთობის ფასი 20 აშშ დოლარამდე დაეცეს. ამის შესახებ „ბლუმბერგი“ ამერიკულ ბანკ Morgan Stanley-ზე დაყრდნობით წერს.**

ანალიტიკოსების მოსაზრებით, ბრენტის მარკის ნავთობის ფასი 10-25%-ით იმ შემთხვევაში შემცირდება, თუ დოლარი 5%-ით გაძვირდება. Morgan Stanley-ის წარმომადგენელთა აზრით, ნავთობის ღირებულებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ამერიკული ვალუტა.

მანამადე 20 აშშ დოლარამდე ნავთობის ფასის დაცემას ბანკი Goldman Sachs-ი პროგნოზირებდა.

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## «შპიგელმა» ავღანეთში ნატოს ჩაფლავების შესახებ საიდუმლო დოკუმენტი გამოაქვეყნა



**გერმანულმა გამოცემა Der Spiegel-მა ავღანეთში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ჩაფლავების შესახებ საიდუმლო მოხსენების დეტალები გამოაქვეყნა. დოკუმენტის თანახმად, ავღანეთში ვითარება მალე გაუარესდება, რადგან მან ჯარების მესამედი დაკარგა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მილიარდები პრობლემას ვერ მოაგვარებს.** სტატისტიკა სამწუხაროა: ქვეითთა 101 ქვედანაყოფიდან მხოლოდ ერთია ეფექტიანი, 38-ს „მნიშვნელოვანი პრობლემები“ აქვს, 10 ბატალიონი კი (თითოეულში 600-მდე მებრძოლია) ბრძოლისუუნაროა. აღსანიშნავია ისიც, რომ მკვეთრად მოიმატა დეზერტირთა რაოდენობამაც: ავღანეთის ნაციონალური არმიის მებრძოლთა მესამედი თალიბების მხარეს გადავიდა. ბოლო თვეებში ავღანეთში ვითარება მნიშვნელოვნად გაუარესდა: „ბოევიკები“ უტევენ დიდ ქალაქებს, ოქტომბრის დასაწყისში მათ ხელში ჩაიგდეს ქალაქი ყუნდუზი, ახლა კი ღაზნის უტევენ.



## ფინეთისა და შვედეთის პრემიერმინისტრები ნატოში გაერთიანების წინააღმდეგ გამოვიდნენ

**„ფინეთი და შვედეთი არ უნდა შევიდნენ რომელიმე სამხედრო ალიანსში“, — ნათქვამია ორი ქვეყნის პრემიერმინისტრების — იუჰა სიპილიასა და სტეფან ლევენის — ერთობლივ სტატიაში.**

პრემიერთა აზრით, ლტოლვილთა ნაკადმა, ტერაქტებმა საფრანგეთში, საომარმა მოქმედებებმა უკრაინაში, სამხედრო აქტივობებმა ბალტიისპირეთში ევროპაში ვითარება გაამწვავა.

**„არც ფინეთი და არც შვედეთი რომელიმე სამხედრო ალიანსში გაერთიანებული არ არის. ვთვლით, რომ მან კარგი სამსახური გაგვიწია და ეს არის გამოცდილება, რომელსაც საფრთხის შეფასებისას ვითვალისწინებთ. ეს, აგრეთვე, ხელს უწყობს ევროპის ჩრდილოეთში სტაბილურობასა და უსაფრთხოების შენარჩუნებას. ჩვენ არ ვირჩევთ იზოლაციის გზას და ვთანამშრომლობთ ევროკავშირის ქვეყნებთან, ბალტიისპირეთთან, გაეროსთან, აგრეთვე, ნატოსთან, მიუხედავად იმისა, რომ არ ვართ ამ სამხედრო ბლოკის წევრები“,** — ნათქვამია ფინეთისა და შვედეთის პრემიერების ერთობლივ წერილში.

აღსანიშნავია, რომ შარშან ფინეთის საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა ოპოზიციურმა პარტია „ცენტრმა“, რომელიც ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ფინეთის გაწევრების წინააღმდეგია. ფინეთის თავდაცვის მინისტრმა იური ნიინისტემ კი ფინეთისა და შვედეთის ერთობლივი სამხედრო ქვედანაყოფების შექმნით ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ალტერნატივის შესახებ განაცხადა.



## კუსტურიცა ნანობს, რომ პუტინი უფრო ადრე არ გამოჩნდა

**სახელგანთქმული სერბი კინორეჟისორი თვლის, რომ, რუსეთისა და ვლადიმერ პუტინის გარდა, სირიელებს ვერავინ დაუბრუნებს უფლებას, დამოუკიდებლად გადაწყვიტონ, — სურთ თუ არა თავიანთ პრეზიდენტად ასადი ან სხვა ვინმე.**

„პუტინი უფრო ადრე რომ გამოჩენილიყო, მასთან ერთად გადავწყვეტდით, გვსურს თუ არა ჩვენ, იუგოსლავებს, ეს დასავლური „დემოკრატია“, რომელსაც ვერ ვიტანთ. პუტინი მოგვცემდა C-300-ებს და ისტორიაც სხვა სცენარით განვითარდებოდა“, — დარწმუნებულია ემირ კუსტურიცა.

რეჟისორის აზრით, მიგრაციული კრიზისი ევროპაში კარგა ხანს არ დასრულდება, „თუ მართალი არ ვარ, მაშინ რატომ არ რჩებიან თურქეთში სირიელი ლტოლვილები, რომლებსაც, ისევე როგორც იუგოსლავიაში, რეგულარულად ანადგურებენ ან რატომ არ უზრუნველყოფს მათ საუდის არაბეთი 2 მილიონი კარვით? ქრისტიანები, რომლებიც ქრისტიანობის აღმოცენების პერიოდიდან ცხოვრობენ ახლო აღმოსავლეთში, ახლა განადგურების საფრთხის წინაშე დგანან“.

**«პუტინი უფრო ადრე რომ გამოჩენილიყო, მასთან ერთად გადავწყვეტდით, გვსურს თუ არა ჩვენ, იუგოსლავებს, ეს დასავლური «დემოკრატია», რომელსაც ვერ ვიტანთ. პუტინი მოგვცემდა C-300-ებს და ისტორიაც სხვა სცენარით განვითარდებოდა»**



## გერმანელებმა ხელახლა გამოსცეს ჰიტლერის «მაინ კამპფი»

**70-წლიანი აკრძალვის შემდეგ გერმანიაში კვლავ შეიძლება ლეგალურად იყიდოთ ჰიტლერის თხზულება — ახალი წლიდან გერმანიის წიგნების მაღაზიებში გასაყიდად გამოიტანეს ნაცისტური „ბესტსელერი“.**

ადოლფ ჰიტლერის ნააზრევის ხელახალი გამოცემა თანამედროვე ისტორიის მიუნხენის ინსტიტუტმა მოამზადა. ეს არის დაახლოებით 2000-გვერდიანი 2 სქელტანიანი ტომი. ერთი ეგზემპლარი 59 ევრო ღირს. გამომცემლები მკითხველს სთავაზობენ არა მხოლოდ ფიურერის ტექსტს, არამედ ექსპერტთა კომენტარებსაც, რომლებშიც განმარტებულია ნაციონალსოციალიზმის არსი.

„მაინ კამპფის“ („ჩემი ბრძოლა“) ხელახალ გამოცემაზე გერმანიაში, ისევე, როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, აზრი ორად გაიყო. მაგალითად, ებრაელთა საერთაშორისო კონგრესის პრეზიდენტ **რონალდ ლაუდერის** განცხადებით, ჰიტლერის თხზულების ხელახალი გამოცემა ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის შეურაცხყოფაა. გერმანიის მასწავლებელთა ასოციაციის ხელმძღვანელის — **იოზეფ კრაუსის** აზრით კი, ასეთი გამოცემა საბოლოოდ გაფანტავს „ბნელ მითს“ ნაციზმის შესახებ.



## სვასტიკიანი ბეჭედი გიმნაზიის კურსდამთავრებულთათვის

**ლატვიის ქალაქ რეზეკნეს პირველ ლატვიურ გიმნაზიაში არსებობს ტრადიცია — კურსდამთავრებულებს აჯილდოებენ სამახსოვრო ჟეტონებით ან ბეჭდებით.**

წელს გიმნაზიის თითოეული კურსდამთავრებული სამახსოვროდ მიიღებს სვასტიკიან ბეჭედს, რომელიც ამ ალმა მატერის კუთვნილების გამოხატულებაა.

მერე რა, რომ ბეჭედი ფაშისტების სიმბოლოა? ევროპაში ხომ თავისუფლება და დემოკრატია მრავალფეროვანია...



## კორსიკა საფრანგეთისგან გამოსაყოფად ემზადება

### ნაპოლეონ ბონაპარტეს თანამემამულეები თავდაპირველად სკოლებში ფრანგული პროპაგანდის აკრძალვას აპირებენ



2015 წლის ბოლოს რეგიონულ არჩევნებში გაიმარჯვა ნაციონალისტების ბლოკმა „კორსიკისთვის“. კუნძულზე ხელისუფლების სათავეში მოვიდა ძალა, რომელიც საფრანგეთისგან გამოყოფას მოითხოვს. ამ ძალის პროგრამა-მინიმუმია კორსიკული ენისთვის ოფიციალური სტატუსის მინიჭება, ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის განსაკუთრებული საგადასახადო რეჟიმის დაწესება და პოლიტპატიმრების ამნისტია. პერსპექტივაში კი დაგეგმილია რეფერენდუმის ჩატარება საფრანგეთიდან გამოყოფისა და დამოუკიდებლად ცხოვრების საკითხზე. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ამ იდეას კორსიკელთა ორი მესამედი უჭერს მხარს.

კორსიკელთა უმრავლესობა უკვე შეუერთდა აქციას, რომლის მიზანიც ციხეებიდან ათობით ადამიანის გათავისუფლებაა. ამ ადამიანებს კორსიკელები პოლიტპატიმრებად მიიჩნევენ, საფრანგეთის ხელისუფლება კი — ტერორისტებად. მათ შორის არის **ივან კოლონა**, რომელიც 2003 წელს კორსიკის გუბერნატორის მკვლელობისთვის გაასამართლეს. კორსიკელთა უმრავლესობა კი კოლონას ფრანგული ოკუპაციის წინააღმდეგ მებრძოლ გმირად თვლის.

2015 წლის დეკემბერში ადგილობრივ არჩევნებში **ჟილ სიმეონის** — ივან კოლონის ყოფილი ადვოკატის — გამარჯვებამ პოლიტიკური ქარიშხალი გამოიწვია. სიმეონიმ ჩამოაყალიბა აღმასრულებელი საბჭო, რომელსაც XVIII საუკუნის შემდგომ კორსიკის პირველი ნაციონალური მთავრობა



უწოდეს. იმხანად, კორსიკაზე საფრანგეთის შეჭრის წინ, კუნძულზე არსებობდა მმართველობის სისტემა, რომელსაც მსოფლიოში პირველ დემოკრატიულ მმართველობას უწოდებენ.

სიმეონი ამბობს, რომ საფრანგეთი ცხოვრების ყველა სფეროში განაგრძობს კორსიკელთა დისკრიმინაციას. მაგალითად, თანამდებობებზე ფრანგებს ნიშნავენ.

კუნძულის მოსახლეობის უმრავლესობა კორსიკელია. რაც შეეხება კულტურას, ენას, ისტორიასა და გეოგრაფიას, ამით ისინი იტალიელებთან უფრო ახლოს არიან, ვიდრე ფრანგებთან.

## დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**როგორც საქართველოს უახლესი ისტორია ცხადყოფს, რვა წელიწადი სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ მმართველი პარტია ტოტალური დეგრადაციის გზას დაადგეს. ეს გზა გაიარა „მოქალაქეთა კავშირმა“ და „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და მთელი რიგი ფაქტები მიუთითებს იმაზე, რომ „ქართული ოცნებაც“ ამ მიმართულებით მიდის. ეს, ალბათ, ბუნებრივი პროცესია. პოსტსაბჭოთა სახელისუფლო პარტია, რომელიც იმავე პრინციპებზე დაყრდნობით ფუნქციონირებს, რომელზეც ფეოდალური მმართველის ამალა, XXI საუკუნეში დიდხანს ვერ იცოცხლებს.**

# ცეცხლოვანი მაიმუნის როლი ქართულ პოლიტიკაში

**რა ელოდება საქართველოს 2016-ში, რომელსაც ჩინელი ასტროლოგები ცეცხლოვანი მაიმუნის წელიწადს უწოდებენ? საზოგადოდ, მაიმუნობა, მათ შორის ცეცხლოვანი, ქართულ პოლიტიკას არც არასოდეს აკლდა, თუმცა წელს სპორტის ამ სახეობაში შეიძლება არაერთი ახალი რეკორდი დამყარდეს.**



წლის მთავარი მოვლენა, რა თქმა უნდა, საპარლამენტო არჩევნებია. **ბიძინა ივანიშვილის** ყველაზე თანმიმდევრული მოწინააღმდეგეებიც კი აღიარებენ, რომ რეიტინგის დაცემისა და სხვა პრობლემების მიუხედავად, მმართველი კოალიცია მაინც გაიმარჯვებს. თუმცა ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, როგორ გაიმარჯვებს ის, რა ბერკეტებს გამოიყენებს წინასაარჩევნო პერიოდში და როგორ განაწილდება ხმები ოპოზიციურ პარტიებს შორის, რადგან ეს ივანიშვილის ხელისუფლების შემდგომ ბედზე განმსაზღვრელ გავლენას იქონიებს.

**როგორც საქართველოს უახლესი ისტორია ცხადყოფს, რვა წელიწადი სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ მმართველი პარტია ტოტალური დეგრადაციის გზას დაადგეს. ეს გზა გაიარა „მოქალაქეთა კავშირმა” და „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და მთელი რიგი ფაქტები მიუთითებს იმაზე, რომ „ქართული ოცნებაც“ ამ მიმართულებით მიდის. ეს, ალბათ, ბუნებრივი პროცესია. პოსტსაბჭოთა სახელისუფლო პარტია, რომელიც იმავე პრინციპებზე დაყრდნობით ფუნქციონირებს, რომლებზეც ფეოდალური მმართველის ამალა, XXI საუკუნეში დიდხანს ვერ იცოცხლებს.**

თუ არ მოხდება „ქართული ოცნების” საფუძვლიანი გარდაქმნა და განახლება 2020 წლის არჩევნებისთვის, ჩვენ, დიდი ალბათობით, ვიხილავთ კიდევ ერთი რეჟიმის ფრიად სევდიან აღსასრულს. მაგრამ საქმე ისაა, რომ მსგავსი რეკონსტრუქციის ჩატარება შეუძლებელია ძლიერი ჩასაფრებული ოპოზიციის არსებობის და არასტაბილური პოლიტიკური გარემოს პირობებში. **ივანიშვილის წინაშე საკმაოდ რთული ამოცანა დგას — მიიღოს დღევანდელზე უფრო მშვიდი და პროგნოზული გარემო მას შემდეგ, რაც მისი პარტია 2012 წლის შედეგებთან შედარებით, სავარაუდოდ, ხმების 15-20 პროცენტს დაკარგავს.**

აქედან გამომდინარე, ივანიშვილმა არ უნდა დაუშვას „ოცნების” მიერ დაკარგული ხმების კონსოლიდაცია არა მხოლოდ ერთი ოპოზიციური პარტიის მიერ, არამედ იმ პარტიების მიერაც, რომლებმაც (თუნდაც თეორიულად) შეიძლება ალიანსი შექმნან. 2016-2020 წლებში ყველაზე მომგებიანი მისთვის ერთმანეთთან დაპირისპირებული, დაახლოებით თანაბარი ძალის მქონე ჯგუფებისგან შემდგარი ოპოზიციური სპექტრის არსებობა იქნება. ხელისუფლება, სავარაუდოდ, ხელს შეუწყობს ოპოზიციის მაქსიმალურ ფრაგმენტაციას და მისი სუსტი ელემენტების გაძლიერებას ღონიერების ხარჯზე. „ოცნების გარდასაქმნელად” აუცილებელი უსაფრთხო გარემოს შექმნას მხოლოდ ასე თუ მოახერხებს. ეს მისთვის არანაკლებ (და, შესაძლოა, უფრო) მნიშვნელოვანია, ვიდრე „N-რაოდენობის” მანდატების მიღება მმართველი პარტიის მიერ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი — სააკაშვილის რეჟიმის კრახის შემდეგ ბევრ ამომრჩეველს ეგონა, რომ ბინძური საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენება ადმინისტრაციულ ბერკეტებთან ერთად წარსულს ჩაბარდა. მაგრამ **სამაგალითოდ ჩატარებული საპრეზიდენტო და ადგილობრივი არჩევნების შემდეგ, ხელისუფლებამ ძლიერ სცოდა შუალედურ არჩევნებზე, მაშინ, როდესაც სამარცხვინო მანიპულაციების აუცილებლობა უბრალოდ არ არსებობდა და ამით დაარწმუნა ამომრჩევლების დიდი ნაწილი იმაში, რომ ამ მხრივ წინამორბედისგან დიდად არ განსხვავდება.** ფაქტობრივად, ეს იყო რეჟიმის დელეგიტიმაციისკენ გადადგმული პირველი სერიოზული ნაბიჯი და სააკაშვილის მიმდევრები მყისიერად აყვირდნენ იმაზე, რომ ხელისუფლება საპარლამენტო არჩევნების შედეგებს აუცილებლად გააყალბებს, რადგან პატიოსან ბრძოლაში გამარჯვების შანსი არ აქვს და ა.შ. **თინა ხიდაშელმა** და მისმა თანაპარტიელებმა თავისი მოქმედებით საგარეჯოში მათ მშვენიერი „სატოპკე“ აუწიეს (დროებით ჩავთვალოთ, რომ ეს უნებლიეთ გააკეთეს, რათა კონსპიროლოგიურ ლაბირინთში ჩაღრმავება არ მოგვიწიოს).

საზოგადოდ, წინმსწრები საუბრები გარდაუვალ გაყალბებაზე „მაიდანის” მომზადების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. **მიუხედავად იმისა, რომ „ნაციონალურ მოძრაობას” არ აქვს საკმარისი რესურსი იმისთვის, რომ „ფერადი” ტექნოლოგიების გამოყენებით ხელისუფლება შეცვალოს, არჩევნების რამდენადმე შესამჩნევი გაყალბება და თუნდაც წარუმატებელი „მაიდანი” მას შესაძლებლობას მისცემს, მსხვერპლის როლი**

**დავფიქრდეთ, ვის აძლევს ხელს ეს მუდმივი «რელიგიური ომი» სოცქსელებში, რომელიც შეიძლება განვიხილოთ როგორც მოსამზადებელი ეტაპი გაცილებით სერიოზული კონფლიქტისთვის, ერთგვარი ფსიქოლოგიური ოპერაცია, რომელიც მიზნად გარკვეული ჯგუფების რადიკალიზაციას ისახავს და ნაყოფს მოგვიანებით გამოიღებს. ისე, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, პროვოკატორთან კამათში ჩაბმა თავისთავად მარცხს წარმოადგენს**

**მოირგოს, რომლისკენაც მთელი გასული წლის განმავლობაში მიისწრაფოდა.** ამ მიზნის მისაღწევად ის, აგრეთვე, გამოიყენებს „რუსთავი 2“-თან დაკავშირებულ დავას (საქმის განხილვა სააპელაციო ინსტანციებში მალე დასრულდება), აგრეთვე, შეეცდება, „აწიოს ტემპერატურა“ თბილისში ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ყოველწლიური სხდომის ჩატარების პერიოდში, რათა უცხოელი სტუმრების წინაშე „ხელისუფლებას ნიღაბი ჩამოხსნას”. რაც შეეხება, სხვა ოპოზიციურ პარტიებს, ყველაზე საინტერესო 2016-ში, ალბათ, „პატრიოტთა ალიანსის” დაკვირვება იქნება, ის, საფეხბურთო ენაზე რომ ვთქვათ, წელს უმაღლეს ლიგაში თამაშს იწყებს.

**განსაკუთრებულ დაცემას (ისევე, როგორც აღმაფრენას) ცოცხალ-მკვდარ ქართულ ეკონომიკაში ადგილი, სავარაუდოდ, არ ექნება. ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ინფლაციური პროცესების ნეგატიური ეფექტი განსაკუთრებით საგრძნობი გაზაფხულის დასაწყისში გახდება.** დაახლოებით ამ პერიოდში ახალი პრემიერი მთავრობაში საკადრო ცვლილებების განხორციელებას გეგმავს. წინასაარჩევნოდ ხელისუფლებისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იქნება, დაარწმუნოს ამომრჩეველი, რომ ქვეყნის ბედი პროფესიონალი რეფორმატორების გუნდს აბარია და არა დაბნეული მარიონეტების დასს, ამისთვის კი მთავრობიდან არაპოპულარული ფიგურების მოცილება და პროპაგანდისტული ძალისხმევის მკვეთრი გაძლიერება დასჭირდება. რაც შეეხება საკუთრივ ეკონომიკას, წლის პირველ ნახევარში ქართულმა ბიზნესმა უნდა იგრძნოს უცხო ქვეყნების „სანქციების ომის” პირველი შედეგები, რომელმაც ექსპორტის გაფართოების, აგრეთვე, ტურიზმისგან მიღებული შემოსავლების გაზრდის შესაძლებლობა მისცა (სანქცირებული საქონლის ფარულ რეექსპორტზე და სხვა ჩრდილოვან სქემებზე არაფერს ვიტყვით, თუმცა განხილულ კონტექსტში ისიც მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს).

გასული წლის ბოლოს საქართველომ მიიღო გარკვეული სარგებელი მეტ-ნაკლებად ფრთხილი და დაბალანსებული საგარეო პოლიტიკისგან, რომელსაც ივანიშვილის ხელისუფლება ატარებს. ამ მიმართულებით ის, ალბათ, ყველაზე ნაკლებ კრიტიკას იმსახურებს. უქმდება ვიზები, „სანქციების ომი” ჯერ არ შეგვხებია, მეზობელი სახელმწიფოების რიტორიკა სულ უფრო რბილი და, უმეტესწილად, მეგობრული ხდება. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონი ცეცხლის ალში ეხვევა, ახალი ომის დაწყების საფრთხე, განსხვავებით სააკაშვილის მმართველობის პერიოდისგან, განუზომლად დაბალი ჩანს. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში და საზოგადოების დამოკიდებულებაში მის მიმართ დასრულდა რომანტიკული ილუზიების ხანა და მისი ადგილი პრაგმატიზმმა დაიკავა, რომელსაც დროდადრო ციniზმის ელფერი დაჰკრავს. ეს შეიძლება შევადაროთ 15, 25 და 35 წლის მანდილოსნის დამოკიდებულებას (45-მდე ჯერ კიდევ შორია) სიყვარულის და დაოჯახების პრობლემის მიმართ; ის დროთა განმავლობაში, გამოცდილების შეძენის პარალელურად, იცვლება. თუ მსგავსი გაწონასწორებული მიდგომა 2016 წლის განმავლობაშიც შენარჩუნდება, საქართველო, საკმაოდ ძვირად ღირებული გეოსტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, ყველა გლობალური თუ რეგიონული მოთამაშისგან, სავარაუდოდ, კიდევ უფრო მეტ ბონუსს მიიღებს.

**მომავალი წლის მთავარ პრობლემად, ალბათ, ტერორიზმი და რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირების გაღვივების საფრთხეები უნდა განვიხილოთ.** განსაკუთრებული ყურადღება ამ მხრივ აჭარას უნდა დავუთმოთ და ამას რამდენიმე მიზეზი განაპირობებს: 1) **რუსეთ-თურქეთის კონფრონტაციის გაღრმავება აუცილებლად აისახება მათი დაპირისპირების ამ ტრადიციულ ასპარეზზეც; 2) რეგიონში იზრდება რადიკალი ისლამისტების გავლენა, არაერთი ახალგაზრდა სირიაში საბრძოლველად გაემგზავრა; 3) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მძიმეა, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლება ფრიად სუსტად გამოიყურება, გასულ წელს ის არაერთ სკანდალში გაეხვია; 4) ზოგიერთი ანალიტიკოსის ვარაუდით, „ნაციონალები” შეეცდებიან, გამოიყენონ ავტონომიური რესპუბლიკა, როგორც დეტონატორი ქვეყნის დესტაბილიზაციისთვის, ითამაშონ რუსულ-თურქულ წინააღმდეგობებზე, გამოიყენონ ვარშალომიძის კლანის კვლავინდებურად ძლიერი პოზიციები, გააღვივონ ეროვნული (უპირველესად, ქართველებსა და თურქებს შორის) და რელიგიური შუღლი.** იმისთვის, რომ მოსალოდნელი საფრთხეები გაანეიტრალოს, ხელისუფლებამ ძალიან ფრთხილად, „ნეიროქირურგიული სიზუსტით“ უნდა იმოქმედოს (შეუძლია თუ არა ეს, ცალკე საუბრის თემაა).

ყურადღება რელიგიასთან დაკავშირებული თემების მიმართ მთელ მსოფლიოში გამძაფრდა და გამონაკლისს, ამ მხრივ, არც საქართველო წარმოადგენს. **იანვრის პირველ დეკადაში მკვეთრად იმატა დაძაბულობამ სოციალურ ქსელებში, სადაც ძველ რეჟიმთან დაკავშირებული ფსევდოლიბერალების ნაწილმა დაიწყო პატრიარქისა და ეკლესიის საკმაოდ გამომწვევი კრიტიკა, რომელსაც მართლმადიდებელი მრევლის გაღიზიანება და ზედმეტად რადიკალური განცხადებები მოჰყვა.** გამორიცხული არაა, ეს ტენდენცია მთელი წლის განმავლობაში შენარჩუნდეს, თუნდაც იმიტომ, რომ ამ თემის გამოყენება გაკოტრებულ მოღვაწეებისთვის საზოგადოების ყურადღების ეპიცენტრში დარჩენის ერთ-ერთ ყველაზე იაფ და ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს. ამასთანავე, დღევანდელ არასტაბილურ მსოფლიოში ბევრისთვის ძალზე მნიშვნელოვანი გახდა საკუთარი ეროვნულ-რელიგიური იდენტობის მკაფიო გამოხატვა, თუმცა ამას ხშირად ფუნდამენტალიზმსა და ექსტრემიზმში გადავარდნა მოსდევს, რაც შეუთავსებელია მართლმადიდებლობის ძირითად პრინციპებთან. ალბათ, **უნდა დავფიქრდეთ, ვის აძლევს ხელს ეს მუდმივი „რელიგიური ომი” სოცქსელებში, რომელიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც მოსამზადებელი ეტაპი გაცილებით სერიოზული კონფლიქტისთვის, ერთგვარი ფსიქოლოგიური ოპერაცია, რომელიც მიზნად გარკვეული ჯგუფების რადიკალიზაციას ისახავს და ნაყოფს მოგვიანებით გამოიღებს. ისე, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, პროვოკატორთან კამათში ჩაბმა თავისთავად მარცხია.**

მომავალი წლის მთავარი იმედგაცრუება კი, ალბათ, ის იქნება, რომ ამომრჩეველთა მნიშვნელოვანი ნაწილი კიდევ ერთხელ იხელმძღვანელებს „ნაკლები ბოროტების პრინციპით” და ხმას ისევ მმართველ კოალიციას მისცემს, მხოლოდ იმისთვის, რომ ფარდობით სტაბილურობას საფრთხე არ დაემუქროს, ხოლო სააკაშვილის მონსტრუოზული რეჟიმი არ გაცოცხლდეს. სავარაუდოდ, მსგავსი რამ მომავალში აღარ განმეორდება და 2020 წლის არჩევნებისთვის ელექტორატი გაცილებით მომთხოვნი გახდება.

**„მინდა, შევხვდე ამ ახალგაზრდა კაცს — ირაკლი ღარიბაშვილს, ხელი ჩამოვართვა და მადლობა ვუთხრა. ძალიან უჭირდა, უჭირდა იმის გამო, რომ ისეთი ადამიანები ჰყავდა შემოკრებილი ადგილობრივ ხელისუფლებაში თუ პრემიერის ადმინისტრაციაში, რომლებიც პირდაპირ თუ ფარულად ხელს უშლიდნენ. იმასაც გეტყვით, რომ ბატონი ირაკლი ასეთ დადებით პიროვნებად ვერ ჩამოყალიბდებოდა, კარგი ოჯახი და კარგი მასწავლებლები რომ არ ჰყოლოდა“.**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



*ანზორ მაისურაძე:*

# ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში, თბილისში, ჩემი 102 კოლეგა მუშაობს

**იყო თუ არა მოულოდნელი ახალი წლის წინ საქართველოს პრემიერმინისტრის თანამდებობიდან გადადგომა?
— „საქართველო და მსოფლიოს“ თხოვნით ამ შეკითხვას უშიშროების გენერალ-მაიორი ანზორ მაისურაძე უპასუხებს.**



— ჩვენი თაობის ხალხს კარგად მოეხსენება, რომ საკადრო ცვლილებები საქართველოში, მით უფრო, უმაღლესი თანამდებობის პირების, არ ხდებოდა მოსკოვთან შეთანხმების გარეშე.

დღეს ასეთი დონის ყველა საკადრო ცვლილება შეთანხმებულია ვაშინგტონთან. **შტატების თანხმობის გარეშე ირაკლი ღარიბაშვილი თანამდებობიდან ვერ გადადგებოდა.**

**— ისევე, როგორც თავის დროზე ვერ გახდებოდა პრემიერი თეთრი სახლის, სახელმწიფო დეპარტამენტისა და შესაბამისი სპეცსამსახურების „უზენაესი“ თანხმობის გარეშე.**

— რა თქმა უნდა! **დღეს ჩვენთან მხოლოდ მიამიტ ადამიანებს თუ სჯერათ, რომ კადრების გადაადგილების, დაწინაურების ან გათავისუფლების საკითხები პიროვნების დამსახურებისა და ხალხის ნების გათვალისწინებით ხდება.**

პრინციპი იგივეა, რაც საბჭოთა ნომენკლატურის პირობებში იყო, აზიმუტია ოღონდ შეცვლილი — ჩრდილოეთიდან დასავლეთისკენაა გადანაცვლებული, სტრუქტურული პრინციპი არ შეცვლილა.

**თქვენს მკითხველებს უნდა ახსოვდეთ, რამდენიმე წლის წინათ ქართულ პრესაში გამოქვეყნებული ფრანგი ტელეჟურნალისტების ფილმის საგაზეთო ვარიანტი, რომელშიც უტყუარი ფაქტებით იყო წარმოჩენილი, როგორ ამოათრიეს აშშ-ის სპეცსამსახურებმა საზოგადოებრივ სარბიელზე ისეთი არარაობანი, როგორებიც იყვნენ გიგა ბოკერია და „ვარდების რევოლუციის“ ის აქტივისტები, რომლებიც შემდეგ ქვეყნის სათავეში მოექცნენ და ახლა დამსახურებულ სასჯელს მატროსოვის ქუჩაზე იხდიან.**

**— როცა აღარ დასჭირდათ, მაკომპრომენტირებელი „მოღვაწეობის“ გამო მოიცილეს.**

— დიახ, ასე იყო. ღარიბაშვილის საკითხი კი განსხვავებულია. დასავლეთის კურსის უცვლელობის მიუხედავად, რომელსაც საქართველოს პრემიერი ერთგულებდა, მან თავისი ისეთი პოზიციაც გამოხატა, რომელიც ცრულიბერალიზმის პრინციპების საწინააღმდეგოდ და ეროვნული იდენტურობის დაცვისკენ იყო მიმართული. ხომ გახსოვთ, თუნდაც **„ოჯახი ქალისა და მამაკაცის ერთობაა“**, ან ვლადიმერ პუტინის მიერ საქართველოსა და რუსეთს შორის უვიზო მიმოსვლის შესაძლო პერსპექტივის პროგრესულ ნაბიჯად შეფასება. თუმცა, კაცმა რომ თქვას, მთელმა ევროპამ დააწესა ჩვენს ქვეყანასთან ვიზალიბერალიზაცია და, რუსეთიც ასე რომ მოიქცეს, ამაში არაფერია განსაკუთრებული.

**«კვირიკაშვილი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნამდე, კარგა ხანს ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ კარგად შეისწავლეს იგი, შესაბამისი მუშაობა ჩაატარეს მასთან და, როგორც ჩანს, ეს კაცი უფრო თავისად მიიჩნიეს, ვიდრე ირაკლი ღარიბაშვილი. აქედან გამომდინარე, მიიღეს კიდეც ის გადაწყვეტილება, რომლის მოწმენიც გავხდით: საქართველოს პრემიერმინისტრი «საკუთარი ნებით» გადადგა»**

**ვაშინგტონს საქართველოში რუსეთის წინააღმდეგ მუდმივად მყეფარი სააკაშვილისნაირი კაცი აძლევს ხელს.** ამ ყეფამ რა შედეგიც გამოიღო, ყველანი მოწმენი ვართ — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის გადაწყვეტის შესაძლებლობას უფრო და უფრო დავშორდით.

**რუსეთთან ურთიერთობის გართულება ნიშნავს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესახებ ოცნების დაკარგვას.** შეიძლება ვცდები, მაგრამ **ვერ ვიჯერებ, რომ შტატები ამ ჩვენი უმთავრესი სატკივარის მოგვარებით იყოს დაინტერესებული: ვაშინგტონს ამ პრობლემის არსებობა უფრო აძლევს ხელს, ვიდრე მისი გადაწყვეტა, რადგან მას სჭირდება ტერიტორიებწართმეული საქართველო, როგორც ჩვენი მუდმივი გამღიზიანებელი ფაქტორი რუსეთთან დაპირისპირებაში.**

საქმე ისაა, რომ ბატონი ღარიბაშვილი უფრო ქართული, უფრო დამოუკიდებელი პოლიტიკის გამტარებელი იყო. ამიტომაც შეცვალეს.

იქნებ გახსოვთ, **კვირიკაშვილი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნამდე, კარგა ხანს ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ კარგად შეისწავლეს იგი, შესაბამისი მუშაობა ჩაატარეს მასთან და, როგორც ჩანს, ეს კაცი უფრო თავისად მიიჩნიეს, ვიდრე ირაკლი ღარიბაშვილი.** აქედან გამომდინარე, მიიღეს კიდეც ის გადაწყვეტილება, რომლის მოწმენიც გავხდით: **საქართველოს პრემიერმინისტრი „საკუთარი ნებით“ გადადგა. იძულებული შეიქნა, გადამდგარიყო.**

ხოლო მის არგუმენტებს, ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ პრემიერმინისტრის გადადგომა დემოკრატიის პრინციპების გამყარებისთვის იყო საჭიროო, მაინცდამაინც სარწმუნოდ ვერ მივიჩნევ.

რაღაც ხომ უნდა ეთქვა და თქვა კიდეც, მაგრამ თქვენ ამ განმარტებით გაიგეთ, რატომ წავიდა?

**— ვერა, ვერ გავიგე.**

— მეც ვერ გავიგე და ვეჭვობ, ვინმემ ირწმუნა, რომ მართლაც ამისთვის წავიდა პრემიერობიდან.

ღარიბაშვილის წასვლაზე იმუშავა იმ ხალხმა, რომელიც „დასავლურ ღირებულებებს“ თავს გვახვევს (თუმცა დასავლურ ღირებულებებში ბევრი კარგიცაა), ისეთ ღირებულებებს, რომლებიც ჩვენთვის, ჩვენი ეროვნული მენტალობისთვის მიუღებელია.

**— ვის გულისხმობთ?**

— იმათ, ვინც პარლამენტში სხედან.

**— სპეცსამსახურებს გამორიცხავთ?**

— როგორ გეკადრებათ! სწორედ აშშ-ის სპეცსამსახურები მუშაობენ ყველაზე უკეთ. ჩემი ინფორმაციით, როგორც ვიცი, **შეერთებული შტატების საელჩოში, თბილისში, ჩემი 102 კოლეგა მუშაობს. ისინი აკეთებენ იმ საქმეს, რომელიც დავალებული აქვთ და რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას ემსახურება. ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ უფრო და უფრო შეუძლებელი გახდეს საქართველოს ტერიტორიული გამთლიანება.**

**— ვინ აკეთებს ამას?**

— 102 კაცი რომ ზის საქართველოში, ისინი აკეთებენ... და მათი უფროსები.

**— კი მაგრამ, საქართველოში კონტრდაზვერვის სამსახური არ არსებობს?**

— არსებობს, როგორ არა.

**— არ უნდა იმუშაოს მათ გამოსავლენად ჩვენმა კონტრდაზვერვამ?**

— ვერ იმუშავებს სტრატეგიული მოკავშირის წინააღმდეგ.

**— აი, გერმანიაში კი სერიოზულად იმუშავეს და გახსოვთ, როგორი სკანდალი გამოიწვია კონტრდაზვერვის მიერ გამოვლენილმა ფარული მოსმენების, მიყურადების მასობრივმა ფაქტებმა გერმანიის სახელმწიფოს პირველი პირების მიმართ. მათ შორის ქალბატონი ანგელა მერკელიც იყო.**

— ის გერმანიაა და სხვა წონა აქვს მსოფლიო პოლიტიკაში...

**— საბჭოთა კავშირის პერიოდში თუ გამოგივლენიათ უცხო ქვეყნების ჯაშუშები?**

— რამდენიც გნებავთ. მოსკოვიდან ვიღებდით სამსახურებრივ შეტყობინებას. შემდეგ „ვმწყემსავდით“ და, როგორც კი დავრწმუნდებოდით ჩვენი სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართულ მათ საქმიანობაში, ვიღებდით შესაბამის ღონისძიებებს უშიშროების საკავშირო კომიტეტთან შეთანხმებით. მოგეხსენებათ, იმხანად სახელმწიფო უშიშროების ერთიანი სისტემა მოქმედებდა.

რას გეტყვით, იცით? **მინდა, შევხვდე ამ ახალგაზრდა კაცს — ირაკლი ღარიბაშვილს, ხელი ჩამოვართვა და მადლობა ვუთხრა. ძალიან უჭირდა, უჭირდა იმის გამო, რომ ისეთი ადამიანები ჰყავდა შემოკრებილი ადგილობრივ ხელისუფლებაში თუ პრემიერის ადმინისტრაციაში, რომლებიც პირდაპირ თუ ფარულად ხელს უშლიდნენ.**

**იმასაც გეტყვით, რომ ბატონი ირაკლი ასეთ დადებით პიროვნებად ვერ ჩამოყალიბდებოდა, კარგი ოჯახი და კარგი მასწავლებლები რომ არ ჰყოლოდა.**

**«რუსეთთან ურთიერთობის გართულება ნიშნავს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესახებ ოცნების დაკარგვას. შეიძლება ვცდები, მაგრამ ვერ ვიჯერებ, რომ შტატები ამ ჩვენი უმთავრესი სატკივარის მოგვარებით იყოს დაინტერესებული: ვაშინგტონს ამ პრობლემის არსებობა უფრო აძლევს ხელს, ვიდრე მისი გადაწყვეტა, რადგან მას სჭირდება ტერიტორიებწართმეული საქართველო, როგორც ჩვენი მუდმივი გამღიზიანებელი ფაქტორი რუსეთთან დაპირისპირებაში»**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**საზოგადოდ, ქართველობა არ არის ადვილი. მგონი, ჩვენი ამერიკელი მეგობრები დასკვნებს აკეთებენ, ჩვენი ადგილობრივი პროამერიკელებისგან განსხვავებით. მათი უნებლიე მოძრაობები დასავლეთისკენ არც პარადოქსულია და არც მოულოდნელი; ეს ის კასტაა, რომლისთვისაც ღმერთი მოკვდა, ხოლო ნიცშე უკვდავია. „ღმერთის სიკვდილის" შედეგია ის, რაც დღეს ევროპაში ხდება, და სანამ საკუთარ იდენტობას ულმერთობაში ეძებ, ძალიან არ უნდა გადარდებდეს, როდის აღნიშნავენ შობას ისინი, ვისთვისაც ღმერთი ცოცხალია.**

# შობა ევროპაში: ღმერთი მოკვდა, ნიცშე უკვდავია!



**კელნის მოვლენებმა ჯერ დაუვიწყარი რაფიკ ნიშანოვი გამახსენა (ფერგანაში არეულობებს მარწყვს რომ აბრალებდა), შემდეგ კი რუსული გამოთქმა „კავკასიური ეროვნების პირი". კელნის პოლიცია თავდაპირველად არ ახმაურებდა ძალადობის ფაქტებს, ხელისუფლების წარმომადგენლებმა კი პირდაპირ მოუწოდეს მოსახლეობას, არ დაედანაშაულებინათ მიგრანტები (მარწყვს დააბრალეთ, მიგრანტებს — არაო). მოგვიანებით გაირკვა, რომ ძალადობას „ჩრდილოაფრიკული და არაბული გარეგნობის მამაკაცები" მიმართავდნენ.**

ჩვენს საზოგადოებაში სიტყვა „ძალადობა" პირდაპირი მნიშვნელობით გაიგეს და 170-ვე შემთხვევა გაუპატიურებად აღიქვეს. ეს კიდევ ერთი მაჩვენებელია, თუ როგორ განსხვავებულად გვესმის მოვლენები ევროპელებს და ჩვენ. ჩვენი არ იყოს, არც „ჩრდილოაფრიკული და არაბული გარეგნობის მამაკაცებს" ესმით, რატომ არის ძალადობა, თუ ქალს ეტყვი, რომ „სიკვდილამდე შეგიყვარებ", ან ხელით შეეხები; ის ქალი ხომ მუსლიმი არ არის და არც ჰიჯაბს ატარებს, თუმცა, როგორც ირკვევა, გაუპატიურების შემთხვევებიც იყო. აღშფოთება იმან გამოიწვია, რომ ამ ფაქტებს პოლიცია ერთი კვირის განმავლობაში მალავდა. არადა, ქალაქ ვაილ-ამ-რაინში სირიელებმა ორი არასრულწლოვანი — 14 და 15 წლის გოგონა გააუპატიურეს!

ერთი მხრივ, დაუშვებელია ადამიანების დისკრიმინაცია რაიმე ნიშნით, მეორე მხრივ, ევროპაში სულ უფრო იზრდება უკმაყოფილება იმის გამო, რომ მიგრანტები საერთოდ არ უწევენ ანგარიშს ევროპულ ფასეულობებს. იმავე კელნში პირველად გამოვიდნენ დემონსტრაციაზე თანაბარი რაოდენობით მემარცხენეები (მიგრანტების მხარდასაჭერად) და მათი მოწინააღმდეგეები. მანამდე მოწინააღმდეგენი უმცირესობაში იყვნენ. **პოლიციამ, რომელიც მიგრანტთა მიმართ უსუსური აღმოჩნდა, წარმატებით დაშალა მიგრანტთა მოწინააღმდეგეები.**

ხელისუფლებამ ხულიგნების ქვეყნიდან გაძევების დაპირება გასცა, მაგრამ მალე გაირკვა, რომ კანონის ფარგლებში ამის გაკეთება, ფაქტობრივად, შეუძლებელია, თუ მათ ლტოლვილის სტატუსი აქვთ. ანგელა მერკელმა უკვე საკანონმდებლო ცვლილებებზე დაიწყო ლაპარაკი.

**პოლიციის მაღალჩინოსანმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ შიგა ინსტრუქციით მათ მიგრანტების დანაშაულზე დუმილს და გამოძიების გაჭიანურებას ავალებდნენ. მოტივი თითქოს ეროვნებათა შორის შუღლის გაღვივების დაუშვებლობა იყო. 1989 წლის მაისში სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე რაფიკ ნიშანოვიც ამას ამბობდა, — ეროვნებათა შორის შუღლი რა შუაშია, ფერგანაში უზბეკებსა და თურქ მესხებს შორის შეტაკებები ერთი თეფში მარწყვის გამო მოხდაო.**

ვიზალიბერალიზაციის დაპირებით აღტყინებულ ქართველებს არც ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის კედლების შენება აფხიზლებს და არც საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის, **ნიკოლა სარკოზის** გაფრთხილება. შობა დღეს (7 იანვარს) ანტვერპენში მან განაცხადა, რომ შენგენის ზონა გარდაიცვალა: **„ევროკავშირს არ შესწევს უნარი, შენგენის ზონის ამ სისტემის პირობებში გაუმკლავდეს საემიგრაციო კრიზისს. შენგენის სისტემა უნდა გაუქმდეს. ევროპის კონსტიტუციიდან ქრისტიანული იდენტობის მუხლის ამოღება სილაჩრე იყო".**

## პოლიციამ, რომელიც მიგრანტთა მიმართ უსუსური აღმოჩნდა, წარმატებით დაშალა მიგრანტთა მოწინააღმდეგეები





## «ევროკავშირს არ შესწევს უნარი, შენგენის ზონის ამ სისტემის პირობებში გაუმკლავდეს საემიგრაციო კრიზისს. შენგენის სისტემა უნდა გაუქმდეს. ევროპის კონსტიტუციიდან ქრისტიანული იდენტობის მუხლის ამოღება სილაჩრე იყო»

თუმცა ჩვენთან საახალწლოდ სულ სხვა თემამ მიიღო გლობალური მნიშვნელობა: **ქართველმა და უკრაინელმა პროამერიკელებმა ერთდროულად გვამცნეს ქრისტეშობის დასავლურად აღნიშვნის აუცილებლობის შესახებ. ჯერ უკრაინის უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს მდივანმა ტურჩინოვმა შესთავაზა უკრაინის ქრისტიანულ ეკლესიათა საბჭოს, „შობა აღნიშნონ, როგორც ევროპის ქვეყნების უმრავლესობამ, 25 დეკემბერს", შემდეგ ილიას უნივერსიტეტის ყოფილმა რექტორმა გიგი თევზაძემ სოციალურ ქსელში ჩვეული პირდაპირობით გვამცნო, რომ 7 იანვარს შობის აღნიშვნა ოკუპანტის მხარდაჭერის ტოლფასია:** „არ გეწყინოთ, მაგრამ დღეს, საქართველოში, შობის აღნიშვნა არის ოკუპანტების მხარდაჭერა და კიდევ ერთი ნაბიჯი დამოუკიდებლობის დაკარგვისკენ".

მოგვიანებით თევზაძემ „ტაბულაში" უფრო ვრცელი განმარტება გააკეთა, რომლითაც ასაბუთებს, რომ საქართველოსა და რუსეთის ეკლესიები დაჟინებულად აღნიშნავდნენ შობას 7 იანვარს სსრკ-ის არსებობის პერიოდში, რაც სხვა არაფერი იყო, თუ არა საბჭოთა იდეოლოგიური მოთხოვნა, გაზრდილიყო ბარიერი არა მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიებსა და სხვა ქრისტიანულ კონფესიებს შორის, არამედ მართლმადიდებელ ეკლესიებს შორისაც არსებულიყო გაუგებრობისა და ურთიერთმიუღებლობის საფუძველი.

თევზაძე: „ცხადია, მკითხველს შეუძლია მიმითითოს, რომ არა მხოლოდ საქართველოსა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიები აღნიშნავენ 7 იანვარს შობას, არამედ სხვებიც, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე ისაა, რომ ეს ორივე ეკლესია 1923 წელს შეუერთდა მართლმადიდებელი ეკლესიების უმრავლესობის გადაწყვეტილებას. რაც მათ აკავებდა ამ გადაწყვეტილების განხორციელებისაგან, საბჭოთა ხელისუფლების უშიშროების სამსახური იყო. ის ეჭვიც არსებობს, რომ რუსეთის ეკლესიის მიერ იულიანური კალენდარის შესწორებულ ვერსიაზე გადასვლის შემდეგ, იმავე წელს, რუსეთის პატრიარქის — ტიხონის შინაპატიმრობიდან განთავისუფლების ერთ-ერთი პირობაც ე.წ. ძველ სტილზე დაბრუნება იყო. ამიტომ ვფიქრობ, რომ ამ ტრადიციის გაგრძელება, საბჭოთა კავშირის (რუსეთის საბჭოთა იმპერიის) მიერ დადგენილი წესის გაგრძელებაა".

აქ ნუ შევეხებით საკითხის ისტორიას, უფრო მნიშვნელოვანია, რა ხდება დღეს აქ. ისე კი — შეხსენებისთვის: ბოლშევიკები შობის აღნიშვნას არც დეკემბერში მიესალმებოდნენ (რბილად რომ ვთქვათ!) და არც — იანვარში.

**ტურჩინოვი ბაპტისტია** და „სიცოცხლის სიტყვის" ეკლესიის მრევლს განეკუთვნება. მისთვის შობის თარიღი არ შეიცვლება. ბაპტისტები ისედაც 25 დეკემბერს აღნიშნავენ ქრისტეშობას. ისე, სხვათა შორის, ტურჩინოვი სკკპ-ის წევრი 1990 წელს გახდა და კომპარტია ერთ წე- ▶

მსოფლიო

## ანგელა მერკელი: შენგენის ზონის დაცვის გარეშე ევროზონას ვერ შევინარჩუნებთ

**გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ შენგენის ზონის დაცვის გარეშე ევროზონის შენარჩუნება შეუძლებელი იქნება.** მისივე თქმით, ევროპულ სივრცეში ღია საზღვრები ევროპის ერთიანი ვალუტის არსებობის წინაპირობაა. „ევრო და საზღვრების თავისუფლად გადაკვეთის უფლება პირდაპირაა დაკავშირებული ერთმანეთთან", — აღნიშნა მერკელმა. მისი განცხადებით, გერმანიამ უნდა იბრძოლოს შენგენის ზონაში მოქალაქეების თავისუფლად გადაადგილების უფლების შესანარჩუნებლად და საჭიროების შემთხვევაში ევროკავშირის გარე საზღვრები უნდა გაძლიერდეს, რათა დაცული იყოს შენგენის ზონა. შენგენის რამდენიმე ქვეყანამ საზღვრებზე დროებითი კონტროლი მას შემდეგ დააწესა, როცა მიგრანტების ნაკადმა იმატა.



# ჩვენი პროდასავლელი სახეები ძალიან ცდილობენ, დასავლეთი პრიალა საშობაო ღია ბარათად დაგვიხატონ, მაგრამ სინამდვილეში ევროპაც და დასავლეთიც დუღს. იგი საკუთარ, უარყოფილ იდენტობას ეძებს. ამ მტკივნეულ ძიებაში დანაკარგებიც იქნება და, იმედია, მონაპოვარიც.

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ლიწადში დატოვა (ეს ისე, „საბჭოთა კავშირის (რუსეთის საბჭოთა იმპერიის) მიერ დადგენილი წესის გაგრძელებაზე“). რაც შეეხება მის მოსაზრებას უმრავლესობის შესახებ, მაშინ ამ პრინციპით ვიხელმძღვანელოთ და ახალი წლის თარიღიც შევცვალოთ; იქნებ ყველაზე მრავალრიცხოვან ქვეყანას — ჩინეთს მივბაძოთ და ახალი წელი მთვარის კალენდრით თებერვალში აღვნიშნოთ? ან მუსლიმებს და იუდეველებს (ისინიც ბევრნი არიან) — და სექტემბერ-ოქტომბერში ვიზეიმოთ? ან სულაც, რაკი გვკარნახობენ, რა როდის აღვნიშნოთ, **ვისარგებლოთ უმცირესობის უფლებით და მსოფლიოს მოვუწოდოთ, ძველი ქართული კალენდრით ახალი წელი მარტში აღნიშნოს.**



ხუმრობა იქით იყოს და, ტურჩინოვისა და თევზაძის „რომის პაპზე მეტი კათოლიკობის“ მიუხედავად, აშშ-ის პრეზიდენტმა **ბარაკ ობამამ** შობა ამერიკელ და მსოფლიოს მართლმადიდებელ ქრისტიანებს სწორედ 7 იანვარს მიულოცა: „მიშელი და მე შეერთებულ შტატებისა და მსოფლიოს მართლმადიდებელ ქრისტიანებს ბედნიერ შობას გისურვებთ. ამ ამაღლებულ დღეს ვზეიმობთ იესო ქრისტეს დაბადებას და ვლოცულობთ მშვიდობისთვის დედამიწაზე. დღევანდელი დღე გვანიჭებს განსაკუთრებულ საშუალებას, პატივი მივაგოთ ამერიკელი მართლმადიდებელი ლიდერების ღვაწლს ჩვენი ქვეყნის წინსვლაში, აგრეთვე, ხაზი გავუსვათ ჩვენ ვალდებულებას, რომ დავიცავთ რელიგიურ უმცირესობებს, მათ შორის, ქრისტიან უმცირესობებს, რომლებიც ხშირად განიცდიან ძალადობასა და დევნას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. დღეს და ყოველდღე ვდგავართ იმ ადამიანების გვერდით, რომლებიც იტანჯებიან თავდასხმებისა და დისკრიმინაციისაგან, რადგან გვჯერა, რომ აღმსარებლობის თავისუფლება ყოველი ადამიანისათვის დაბადებიდან მინიჭებული უფლებაა და ის სამართლიანი საზოგადოების ერთ-ერთი საფუძველია.

ვუერთდებით ჩვენი მართლმადიდებელი ძმებისა და დების სიხარულს და მათ იმედით აღსავსე ლოცვას მშვიდობისა და სამართლიანობისათვის მთელ მსოფლიოში!“ — ნათქვამია აშშ-ის პრეზიდენტის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

საქართველოში აშშ-ის საელჩოს თანამშრომლებმა ახალი წელი „მრავალჟამიერით“ მოგვილოცეს. მონდომებით ნამღერს მინაწერიც ახლავს: „რადგან ყველას საახალწლო ბარათს ვერ გიგზავნით, გიძღვნით ამ ვიდეოს. გილოცავთ ახალ წელს, საქართველო! გთხოვთ, კომენტარებში ძალიან ნუ გაგვაკრიტიკებთ! ქართული მრავალხმიანი სიმღერა ადვილი არ არის“!

**საზოგადოდ, ქართველობა არ არის ადვილი. მგონი, ჩვენი ამერიკელი მეგობრები დასკვნებს აკეთებენ, ჩვენი ადგილობრივი პროამერიკელებისგან განსხვავებით. მათი უნებლიე მოძრაობები დასავლეთისკენ არც პარადოქსულია და არც მოულოდნელი; ეს ის კასტაა, რომლისთვისაც ღმერთი მოკვდა, ხოლო ნიცშე უკვდავია. „ღმერთის სიკვდილის“ შედეგია ის, რაც დღეს ევროპაში ხდება და სანამ საკუთარ იდენტობას უღმერთობაში ეძებ, ძალიან არ უნდა გადარდებდეს, როდის აღნიშნავენ შობას ისინი, ვისთვისაც ღმერთი ცოცხალია!**

სხვათა შორის, ბიძინა ივანიშვილს სწორედ იმ პირებმა არ აპატიეს ნიცშეს კრიტიკა, რომლებიც მონდომებით აკრიტიკებენ პატრიარქს, ეკლესიას, ყველაფერს მართლმადიდებლურს. **ნინია კაკაბაძე:** „9-10 წლის ვიქნებოდი, ალბათ, ახლობლების ჯვრისწერის შემდეგ დედაჩემთან ერთად პატრიარქის სახლში (სიონის გვერდით) რომ აღმოვჩნდი. ბუნებრივია, მაშინ ვერაფერი შევნიშნე და პირიქით, დიდი ინტერესით ვათვალიერებდი მის მისაღებ ოთახს, სადაც ყველანი მიგვიღო... როგორც ჩანს, დედაჩემიც პირველად იყო მასთან სტუმრად, რადგან იმ დღის მერე მახსოვს მისი აღშფოთებული საუბარი იმის თაობაზე, რომ პატრიარქი ასეთ სიმდიდრეში არ უნდა ცხოვრობდეს, რომ ოქრო თვალს არ უნდა გჭრიდეს მის ბინაში, რომ ძვირფასი ნივთებით გამოტენილი სახლი არ უნდა ჰქონდეს და რომ ეს მეშჩანობა და უზნეობაა.

ჰოდა, მადლობა დედას, სულ პატარაობიდან რომ მასწავლა ისეთი ჭეშმარიტებები, დღესაც რომ არ იციან ზრდასრულმა (დაბალ და მაღალჩინოსანმა) რეგვნებმა. მხოლოდ ის კი არა, რომ ძვირფასი ოქროს და „ხრუსტალის“ ნივთები უზნეობაა, არამედ ის, რომ პატრიარქი უზნეო მეშჩანი იყო. ეს პოსტი კი უფრო დედაჩემს ეძღვნება, რომელიც საშინლად მაკლია და მენატრება“.

პარადოქსია, მაგრამ ერთი დედ-მამის შვილებს შორის კომუნიკაციას სწორედ პატრიარქი ამყარებს. მან ირაკლი კაკაბაძეს ნინიასთან დაბარა: **„შენს დას გადაეცი, მე არანაირი ქონება არ მაქვს — მე არც შვილი მყავს, რომ ქონება დავუტოვო — ჩემი შვილები თქვენ ხართ და ყველაფერი, რაც აქ არის, საპატრიარქოში, ისევ და ისევ ქართველი ხალხისაა. საერთოდ, ქონება არც ისე კარგი საქმეა. სჯობია, ის ადამიანმა გასცეს, როგორც ამას მაცხოვარი ამბობს“.**

კერძო საკუთრების ბოროტება იმთავითვე ცნობილი იყო, მაგრამ სოციალიზმიდან კაპიტალიზმში შებიჯებულ საქართველოში ყველა მარქსისტი ლიბერალი გახდა, მოსახლეობა კი მოსალოდნელი კაპიტალისტობის ხიბლში ჩავარდა. ცხადია, არავის ეგონა, რომ უქონელი პროლეტარის მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა.

ახალ წელს ევროკავშირის ციფრული ეკონომიკისა და საზოგადოების კომისიის თავმჯდომარემ **გიუნტერ ეტინგერმა** პოლონეთზე ევროკომისიის „ზედამხედველობის“ საჭიროების შესახებ განაცხადა. პოლონეთის სეიმმა მიიღო გადაწყვეტილება სახელმწიფო მედიასაშუალებების ხელმძღვანელთა მთავრობის მიერ დანიშვნის შესახებ, რაც ეტინგერმა ცენზურის ნიშნად შეაფასა.

პოლონეთის იუსტიციის მინისტრმა **ზბიგნევ ზებრომ** ფიცხი პასუხი გასცა ეტინგერს: „თქვენ გინდათ პოლონეთის ზედამხედველობის, მეთვალყურეობის ქვეშ ჩაყენება. გერმანელი პოლიტიკოსის ასეთი სიტყვები პოლონელებში, მათ შორის ჩემშიც, ყველაზე ცუდ ასოციაციებს აღძრავს. მე იმ ოფიცრის შვილიშვილი ვარ, რომელიც „არმია კრაიოვას“ რიგებში სწორედ „გერმანული ზედამხედველობის“ წინააღმდეგ იბრძოდა“. ზებრომ ეტინგერს ისიც შეახსენა, რომ კელნში მომხდარ ამბებს გერმანული მედია ერთი კვირა საერთოდ არ აშუქებდა: **„მე ასეთი დასკვნა გამომაქვს: თქვენთვის უფრო იოლია პოლონეთის მედიის თავისუფლების გამოგონილ საფრთხეებზე ლაპარაკი, ვიდრე საკუთარ სამშობლოში არსებული ცენზურის დაგმობა“.**

ჩვენ ერთხელ უკვე დავუშვით შეცდომა, როცა მივიჩნიეთ, რომ საბჭოთა კავშირის მიღმა სიკეთის, სათნოებისა და კაცთმოყვარეობის სამყარო იყო. აღმოჩნდა ის, რაც დღეს არც საქართველოში მოგვწონს. **ჩვენი პროდასავლელი სახეები ძალიან ცდილობენ, დასავლეთი პრიალა საშობაო ღია ბარათად დაგვიხატონ, მაგრამ სინამდვილეში ევროპაც და დასავლეთიც დუღს. იგი საკუთარ, უარყოფილ იდენტობას ეძებს. ამ მტკივნეულ ძიებაში დანაკარგებიც იქნება და, იმედია, მონაპოვარიც.**

უკეთესი ყოფისთვის სხვის სახლში უნებართვოდ შესვლა კი არ უნდა გინდოდეს, საკუთარი სამშობლო უნდა მოაწესრიგო. ეს ერთნაირად ეხება ქართველებსაც და არაბებსაც, ამერიკელებსაც და გერმანელებსაც, უკრაინელებსაც და რუსებსაც.

ეს ისე, თანასწორობისთვის, თორემ პრორუსულობას მაინც დამაბრალებთ და მაგ სიმართლით იარეთ, ვისაც ეს სიტყვები გეკუთვნით!



## ჯულიან ასანჟი ამხელს: «ისლამური სახელმწიფო» აშშ-მა შექმნა

**„ვიკილიქსის“ დამფუძნებელმა ჯულიან ასანჟმა განაცხადა, რომ მას აქვს დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს აშშ-ის პირდაპირ ზეგავლენას ახლო აღმოსავლეთის კრიზისსა და უკრაინაში არსებულ ვითარებაზე.**

მის ხელთ არსებული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში, თავდაცვის სამინისტროსა და ცსს-ში დაიგეგმა. „ვიკილიქსის“ დამფუძნებლის თქმით, „ისლამური სახელმწიფო“ აშშ-ის პირდაპირი ჩარევით შეიქმნა. მიზანი კი იყო ნავთობის სამუშაოებისა და ერაყის კონტროლი გეოპოლიტიკური მბრძანებლობის გასამყარებლად.

ამერიკელი დიპლომატების მიმოწერაზე დაყრდნობით, ჯულიან ასანჟმა განაცხადა, რომ შეერთებულმა შტატებმა თავის გავლენის სფეროში უკრაინის ჩართვის მიზნით ძალისხმევა არ დაიშურა. აშშ შეეცადა, დაესუსტებინა რუსეთის პოზიციები ჯერ კიდევ უკრაინულ ყირიმში, სადაც განლაგებული იყო სამხედრო ბაზები, მაგრამ ყირიმის შესვლამ რუსეთის ფედერაციაში ამას ხელი შეუშალა. „საკმაოდ სახალისოა იმის ნახვა, როგორ უშედეგოდ დაიხარჯა მილიარდობით დოლარი, რომლითაც აშშ-მა უკრაინის არასამთავრობო სექტორი დააფინანსა“, — თქვა „ვიკილიქსის“ დამფუძნებელმა.

სამ წელიწადზე მეტია, ჯულიან ასანჟი ლონდონშია, ეკვადორის საელჩოში. ერთი კვირის წინათ მან საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდს პოლიტიკური თავშესაფრის მიღების თხოვნით მიმართა. ღია წერილში, რომელიც გაზეთ Le Monde-ში დაიბეჭდა, ასანჟმა განაცხადა, რომ არის ჟურნალისტი, რომელსაც დევნის და სიკვდილით ემუქრება აშშ, რადგან ის პროფესიულ საქმიანობას ეწევა.



## ჯერ უკრაინის უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს მდივანმა ტურჩინოვმა შესთავაზა უკრაინის ქრისტიანულ ეკლესიათა საბჭოს, «შობა აღნიშნონ, როგორც ევროპის ქვეყნების უმრავლესობამ, 25 დეკემბერს», შემდეგ ილიას უნივერსიტეტის ყოფილმა რექტორმა გიგი თევზაძემ სოციალურ ქსელში ჩვეული პირდაპირობით გვამცნო, რომ 7 იანვარს შობის აღნიშვნა ოკუპანტის მხარდაჭერის ტოლფასია



## ჰოლანდიელების უმრავლესობა უკრაინა-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების რატიფიცირების წინააღმდეგია

გამოკითხული ჰოლანდიელების უმრავლესობა წინააღმდეგია, რომ ნიდერლანდებმა უკრაინა-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების რატიფიცირება მოახდინოს. როგორც გერმანული გამოცემა „დოიჩე ველე“ იუწყება, გამოკითხულთა 50%-ზე მეტი აცხადებს, რომ ამ საკითხზე 6 აპრილს დაგეგმილ რეფერენდუმზე რატიფიცირების წინააღმდეგ აპირებს ხმის მიცემას.

ნიდერლანდებში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მთავრობა რეფერენდუმის შედეგებზე იმსჯელებს, მაგრამ ვალდებული არ არის, მოქალაქეების სურვილი შეასრულოს. ევროკომისიის თავმჯდომარემ ჟან-კლოდ იუნკერმა უკვე განაცხადა, რომ შესაძლოა, რეფერენდუმის უარყოფითი შედეგებს კრიზისი მოჰყვეს, რომელიც ყველაზე დიდ სარგებელს რუსეთს მოუტანს.



ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„არსებული საარჩევნო სისტემა საზოგადოების ნებას ვერ გამოხატავს და ვერც ამ სისტემით არჩეული პარლამენტი იქნება ქართველი ხალხის ნება-სურვილის გამომხატველი. ეს კი ნამდვილად იქნება იმის საფუძველი, რომ ქვეყანაში არეულობა დაიწყოს და საპროტესტო ტალღა აგორდეს“**



# ირაკლი ჭყოიძე: კოალიციაში შემავალ პარტიებს ცალ-ცალკე ზუსტად ისეთივე რეიტინგი აქვთ, როგორიც რესპუბლიკელებს

**ხელისუფლება 2016 წლის არჩევნებში გამარჯვების ბერკეტებს ებღაუჭება – ასეთია ოპოზიციური სპექტრისა და არასამთავრობო სექტორის დიდი ნაწილის შეფასება საარჩევნო სისტემის შეცვლის გადავადებაზე. ხელისუფლების პოზიცია — მაჟორიტარული სისტემის გაუქმების 2020 წლამდე გადავადების შესახებ – გაუგებარია პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვისაც. ხელისუფლება ცაიტნოტზე ლაპარაკობს და თვლის, რომ ამ ეტაპზე მეტის გაკეთება შეუძლებელია.**




## «მოქმედი საარჩევნო სისტემა მორგებულია ყველაზე, ვისაც სურს, ძალისმიერი მეთოდით შეინარჩუნოს ხელისუფლება»

პრეზიდენტის ადმინისტრაციაში დაუსაბუთებლად მიიჩნევენ კოალიცია „ქართული ოცნების“ გეგმებს საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებებზე. როგორც, მაგალითად, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი გიორგი კვერენჩხილაძე აღნიშნავს, გაუგებარია, რატომ უნდა გადაიტანონ ცვლილებები 2020 წლის არჩევნებამდე, მაშინ, როცა სამართლიანი საარჩევნო სისტემის შექმნა შესაძლებელია 2016 წლის არჩევნებისთვისაც.

პრეზიდენტის ეგიდით ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციის მიმართვა, რომელსაც 14 პოლიტიკური პარტია და რვა არასამთავრობო ორგანიზაცია ემხრობოდა, პარლამენტში 2015 წლის 2 ივნისს შევიდა. ეს მიმართვა გულისხმობდა მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას და არჩევნების გამართვას ერთიანი პროპორციული და სამხარეო-პროპორციული სისტემით. 6 ივნისს ცნობილი გახდა, რომ ხელისუფლება მომავალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას კვლავაც ამჟამად მოქმედი შერეული სისტემით გეგმავს. წინასწარი ინფორმაციით, დაგეგმილია, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, მხოლოდ ოლქების მასშტაბებს შორის დისპროპორციის შემცირება, აგრეთვე, იგეგმება მაჟორიტარული არჩევნების ბარიერის 50 პროცენტამდე აწევა.

საქართველოს პრეზიდენტმა 2016 წლის 8 იანვარს ბრიფინგი გამართა და საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებზე ისაუბრა: „მთელი პოლიტიკური სპექტრი — არასამთავრობო ორგანიზაციები, ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები, მეტიც, საქართველოს მოსახლეობის 240 ათასზე მეტი ხელმოწერით დადასტურებული პეტიციით მხარს უჭერს იმ პოზიციას, რომ ცვლილება განხორციელდეს 2016 წელსვე, ხოლო განსხვავებული პოზიციაა მმართველ კოალიციაში, რომელიც ამ ცვლილებას 2020 წლისთვის გეგმავს. ვფიქრობ, რომ მთლად არგუმენტირებული და გასაგები არ არის, თუ რატომ უნდა გადავდოთ ის, რაზეც ვთანხმდებით ყველა, რომ კარგია და მისაღებია, კიდევ ოთხი წლით“, — განაცხადა პრეზიდენტმა და ყველა პოლიტიკურ ძალას მოუწოდა, ინტენსიური კონსულტაციების მეშვეობით მივიდნენ თანხმობამდე.

**ვის არ აძლევს ხელს საარჩევნო სისტემის შეცვლა? რატომ არ დაადო ვეტო პრეზიდენტმა თავის დროზე საარჩევნო კოდექსში შეტანილ ცვლილებებს და რა თამაშს თამაშობს ხელისუფლება პრეზიდენტთან ერთად? — ამ და სხვა საინტერესო თემებზე ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრ ირაკლი ჭყოიძეს ვესაუბრეთ.**

**— ძალიან დიდი აჟიოტაჟი ატყდა საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების, უფრო ზუსტად, არშეტანილი ცვლილებების გამო. კოდექსში ცვლილებების შესატანად 240 ათასი ხელმოწერაც შეგროვდა, თუმცა ხელისუფლება არ აპირებს ცვლილების შეტანას. რატომ არ აძლევს ხელს ხელისუფლებას ცვლილების განხორციელება ამ ეტაპზე?**

— საარჩევნო კოდექსში ცვლილებების განხორციელებას მხოლოდ ხელისუფლება არ უჭერს მხარს, მხოლოდ მას არ აძლევს ხელს ამ უვარგისი საარჩევნო კოდექსის შეცვლა, მიზეზი, მგონი, გასაგებია, ხელისუფლების რეიტინგი ძალიან დაბალია, **სახელისუფლო კოალიციაში ბევრი ისეთი პარტია და ადამიანია, რომლებიც ცვლილების განხორციელების შემდეგ პარლამენტში ვეღარ მოხვდებიან.**

საქართველოში მოქმედი საარჩევნო სისტემა ნებისმიერი ძალისთვის, რომელიც ხელისუფლებაში იქნება, მოხერხებულია განსაკუთრებით მაშინ, თუ რეიტინგს კარგავენ. მოქმედი საარჩევნო სისტემა მორგებულია ყველაზე, ვისაც სურს, ძალისმიერი მეთოდით შეინარჩუნოს ხელისუფლება.

არსებული სისტემის წყალობით სახელისუფლო პარტია გაცილებით მეტ მანდატს მიიღებს საკანონმდებლო ორგანოში, ვიდრე რეალური მხარდაჭერა და ამომრჩევლების მიერ გამოხატული ნებაა. აქედან გამომდინარე, ვვარაუდობთ, რომ ამ მიზეზით ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს, ეს სისტემა შეინარჩუნოს.

**— „ქართულ ოცნებაში“ ბევრი ისეთი პარტია და პოლიტიკოსია, რომლებიც თავის დროზე სწორედ ამ ცვლილებების შეტანას ითხოვდნენ საარჩევო კოდექსში, მაგრამ დღეს სხვაგვარად ალაპარაკდნენ...**

— კოალიციაში შემავალი ბევრი პოლიტიკოსი, მართლაც ითხოვდა საარჩევნო სისტემაში ცვლილების შეტანას. ამ მოთხოვნით ბევრი მათგანი შიმშილობდა კიდეც, მათ ძალიან კარგად იციან სისტემის მანკიერი მხარეები.

საზოგადოების დიდმა ნაწილმა არ იცის საარჩევნო კოდექსი, ამიტომ პოლიტიკოსებს ისინი ადვილად შეჰყავთ შეცდომაში. ხშირად ვისმენთ პოლიტიკოსებისგან, რომ ასეთი ერთმანდატიანი საარჩევნო სისტემა აქვს ევროპის ყველაზე წარმატებულ ქვეყნებს, მაგრამ ეს ტყუილია. ჩვენი სისტემის შედარება სხვასთან არ შეიძლება. საქართველოში მოქმედი საარჩევნო კანონი ყველაზე უვარგისია. მხოლოდ საქართველოში შეიძლება, რომ პარტიამ მოიპოვოს ხმების 30% და ხელისუფლების სათავეში უმრავლესობით მოვიდეს მაჟორიტარების ხარჯზე. ასეთი სისტემის დატოვება ნიშნავს, რომ ხელისუფლებას არ სურს, ნორმალური, სამართლებრივი სახელმწიფო შექმნას. სამართლიანი საარჩევნო სისტემა არის უპირველესი ნაბიჯი დემოკრატიისკენ. ვითარებას, რომელიც დღეს არის შექმნილი, დემოკრატიასთან საერთო არაფერი აქვს. ასე იყო წინა ხელისუფლების დროსაც და ასეა ახლაც. **ამ ხელისუფლებამ კიდევ უფრო აბსურდული გახადა საარჩევნო პროცესი. მათ დაჩეხეს საზღვრები, ოლქები თანხვედრაში არ არის, პრობლემებია კანონშიც. ერთ-ერთ ქვეპუნქტში წერია, რომ ცვლილება ეხება ყველა ოლქს, გარდა ხონისა და ვანისა...** ეს იცით, როგორი რაღაც არის: სისხლის სამართლის კოდექსში რომ ეწეროს მკვლელობა ისჯება, მაგრამ ეს სასჯელი არ ეხება გრიშას, თუ მოკლა მიშა... ძალიან ალოგიკური კანონი შექმნეს, ახსნას არავინ ცდილობს. არსებული საარჩევნო კოდექსი იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ მისი შემქმნელები არაკომპეტენტურები არიან.

**— ამბობენ, საარჩევნო სისტემაში ცვლილებები იმიტომ არ შეგვაქვს, რომ დროში ვერ ვეტევითო...**

— საქმე ის არის, რომ საარჩევნიო სისტემის ცვლილებას 2012 წლიდან ითხოვენ. ეს საუბრები დღეს და გუშინ არ დაწყებულა. თუ დღეს ყველა გათვლილი და კანონით განსაზღვრული პროცედურის დაცვით დაიწყეს ცვლილება, მაშინ ვერ მოესწრება, მაგრამ ყველაფერი მაინც სურვილზე და პარლამენტარების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. საარჩევნო ადმინისტრაციისთვის არაფერი იცვლება, ტექნიკური ცვლილება არ ხდება, ამიტომ არ მგონია, რომ დიდი პრობლემა იყოს ცვლილებების სასწრაფოდ შეტანა.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრისთვის ბევრი პრობლემა ჩნდება, რთულდება პროცესი, მაგრამ ყველაზე ძნელია, როდესაც არასამართლიანი კანონის სამართლიანად გადაქცევა გიწევს. კომისიის წევრებს გვევალება, კანონის ფარგლებში მოვექცეთ, მაგრამ მომავალ არჩევნებს სამართლიანად მაინც ვერ ვაქცევთ. ამომრჩეველთა ხმები არაადეკვეტური იქნება მიღებულ შედეგთან, მიღებულ მანდატებთან.

**— საქართველოს პრეზიდენტმა ვრცელი ბრიფინგი გამართა საარჩევნო სისტემის ცვლილებების მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის გამო, თუმცა თავის დროზე მან კანონს ვეტო არ დაადო. რა თამაშს თამაშობს პრეზიდენტი?**

— პრეზიდენტმა ვრცელი ბრიფინგი სწორედ იმიტომ გამართა, რომ თავისი შეცდომა გამოესწორებინა და მოსახლეობის იმ ნაწილისთვის, რომელმაც ცვლილებების შეტანას ხელი მოაწერა, აეხსნა, რატომ არ დაადო ვეტო კანონს, რომელსაც მაინც დაძლევდნენ. პრეზიდენტი ხელისუფლებისგან არაფრით განსხვავდება, შესაძლოა, ეს კანონი მასაც დასჭირდეს. პრეზიდენტი, როგორც ყოველთვის, თანმიმდევრული არ იყო, ის იმ თამაშს თამაშობს, რომელსაც დაუკვეთენ.

**— საუბრობენ, საარჩევნო სისტემას არ ცვლიან იმიტომ, რომ სურთ, რესპუბლიკელები გადაარჩინონო...**

— ხელისუფლებაში, უფრო ზუსტად, კოალიციაში შემავალ პარტიებს ცალ-ცალკე ზუსტად ისეთივე რეიტინგი აქვთ, როგორიც რესპუბლიკელებს. ასე რომ, მხოლოდ ამ პარტიაზე ვერ ვისაუბრებთ. გადარჩენა სჭირდება ყველას. კოალიციაა გადასარჩენი. დარწმუნებული ვარ, კოალიციის ყველა წევრს სურს, არსებული საარჩევნო სისტემა არ შეიცვალოს.

**— ბიძინა ივანიშვილის ვარაუდით, კოალიცია ხელისუფლებაში 2030 წლამდე იქნება, მაგრამ გვპირდებიან, რომ 2020 წელს საარჩევნო კოდექსი შეიცვლება ზუსტად ისე, როგორც ამას ოპოზიციური პარტიები მოითხოვენ...**

— ძნელი წარმოსადგენია, რომ 2030 წლამდე დარჩნენ ხელისუფლებაში, მაგრამ, თუ მაინც დარჩებიან, ე. ი. ისევ საკონსტიტუციო უმრავლესობაში იქნებიან და მაინც იმას გააკეთებენ, რაც სურთ. გამოდის, რომ ჩვენი საშველი არ ყოფილა.

**— როგორ მიიღებს ხალხი მისი მოთხოვნის იგნორირებას? 240 ათასი ხელმოწერა ცოტა არ არის. როგორი იქნება 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები, თუ ხალხისთვის მისაღები კანდიდატები უსამართლო საარჩევნო სისტემის მსხვერპლნი გახდებიან?**

— საარჩევნო სისტემა არის თემა, რომელიც საზოგადოებამდე უფრო გამჭირვალედ უნდა მიდიოდეს. მედია ამ საკითხს დიდ ყურადღებას არ უთმობს. არადა, ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხია. საზოგადოება საარჩევნო სისტემით ყველაზე ნაკლებად არის დაკავებული და ბოლოს შედეგით უკმაყოფილო რჩება. არჩევნები ჩვენს მომავალს წყვეტს, სწორედ ჩვენს არჩევანზეა დამოკიდებული, როგორი იქნება ქვეყანა, ვის ხელში ჩავაგდებთ. საარჩევნო კოდექსი პოპულარული თემა არ არის, ამიტომ ამ კუთხით მოსახლეობის საპროტესტო აქციები ნაკლებად არის მოსალოდნელი.

ძალიან მალე დაიწყება საარჩევნო კამპანიები და, ალბათ, ყველა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი ამ საკითხზე დეტალურად ისაუბრებს, თუ მათ მოახერხეს ამომრჩევლის ყურამდე საკითხის სწორად მიტანა, შესაძლოა, მაშინ არეულობაც დაიწყოს. გამორიცხული არ არის. მთავარია, საზოგადოება საკითხის სიმწვავეს ჩასწვდეს. ეს კი პოლიტიკოსების საქმეა. **საქართველოში მოქმედი საარჩევნო კოდექსი ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ არ უნდა ჩატარდეს დემოკრატიულ ქვეყანაში არჩევნები.**

ფაქტია, რომ **არსებული საარჩევნო სისტემა საზოგადოების ნებას ვერ გამოხატავს და ვერც ამ სისტემით არჩეული პარლამენტი იქნება ქართველი ხალხის ნება-სურვილის გამომხატველი, რაც ნამდვილად იქნება იმის საფუძველი, რომ ქვეყანაში არეულობა დაიწყოს და საპროტესტო ტალღა აგორდეს.** საარჩევნო კოდექსში ხელუხლებლად დარჩა მუხლი, რომელშიც ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაა დაშვებული და, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რა მოხდა რამდენიმე თვის წინათ საგარეჯოში, ძნელი მისახვედრი არ არის, ვისთვის ან რისთვის კეთდება ეს ყველაფერი.

სპეცუბნები პრობლემად რჩება, ეს კი ვის დაქვემდებარებაშია, ყველასთვის ცნობილია.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**დღეს გადამწყვეტი ბრძოლა მიმდინარეობს საქართველოში მართლმადიდებლობის წინააღმდეგ და რუსეთის თანადგომა, პირველ რიგში, ჩვენ, ქართველებს, ქართულ დედაეკლესიას სჭირდება და არა პირიქით, თორემ ჩვენი დიდი მეზობელი უჩვენოდაც გაიმარჯვებს მსოფლიოს მასონ ნეოტროცკისტებთან ომში, რომელიც რუსეთს არ დაუწყია და კიევსა თუ სირიაში თავს მოახვიეს!**

ახალი მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ და ჭორვილის ბაგაზე დაბმული ინტელიგენცია



**ნაახალწლევს ვუყურე რუსეთის პრეზიდენტზე გადაღებულ დოკუმენტურ ფილმს, რომელშიც ვლადიმერ პუტინი ახალგაზრდობას, თავის „კაგებეშნიკურ“ წარსულს იხსენებს: მან განაცხადა, რომ გულუბრყვილოდ ეგონა, თითქოს სსრკ-ის დანგრევის, მარქსისტული იდეოლოგიის კრახის შემდეგ, რუსეთსა და დასავლეთს შორის იდეოლოგიური შეუთავსებლობის არარსებობის გამო, ეს უკანასკნელი (დასავლეთი) ფართოდ გაშლილ მკლავებში ჩაგვიხუტებდა და ცივილიზებულ მსოფლიოში საამური, მშვიდობიანი თანაცხოვრების ხანა დაიწყებოდა, მაგრამ თურმე ცდებოდა — დასავლეთისთვის მხოლოდ სუსტი, მშიერი რუსეთის არსებობაა მისაღები, მხოლოდ ამ შემთხვევაში გამოგზავნიან ხოლმე გულუხვად ჰუმანიტარულ კარტოფილს, მაგრამ რუსეთი, რომელიც საკუთარ გეოპოლიტიკურ ინტერესებს იცავს, „დემოკრატიული“ დასავლეთისთვის აპრიორი მიუღებელიაო...**

## 15 წელიწადია, საქართველოს დედაეკლესიაზე სხვადასხვა ინტენსივობით მიმდინარეობს შეტევა, მაგრამ ბოლო ხანს, რომ იტყვიან, თავი აიშვეს ოკეანის გაღმიდან დაფინანსებულმა არასამთავრობო ხლისტებმა

ჩემი მხრივ დავუმატებ, რომ ზემოთქმულთან ერთად, მართლმადიდებელი რუსეთის არსებობაც არ მოსწონს დასავლეთს და, სანამ მივალთ დასავლეთის ნეოლიბერალური იდეოლოგიის მამამთავარ **ზბიგნევ ბჟეზინსკის** გულახდილ ნათქვამამდე, სსრკ-ის დანგრევის შემდეგ ჩვენი მთავარი მოწინააღმდეგე მართლმადიდებლობააო, ისტორიულ ექსკურსს გთავაზობთ, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ ის, რაც დღეს ხდება, არახალია და მით უმეტეს, არც შემთხვევითი...

**დიდი სქიზმა** საეკლესიო განხეთქილებაა, რომელმაც ქრისტიანული ეკლესია ორ ნაწილად გაჰყო — მართლმადიდებელ და კათოლიკურ ეკლესიად. დიდი სქიზმის თარიღად სახელდება 1054 წელი, როდესაც რომის პაპის — **ლეო IX** დესპანმა, კარდინალმა **ჰუმბერტო სილვამ** და კონსტანტინოპოლის პატრიარქმა **მიქაელმა** წარუმატებელი მოლაპარაკებების შემდეგ ერთმანეთი განკვეთეს. განხეთქილებისთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა არა თეოლოგიური სხვაობები, არამედ საეკლესიო-პოლიტიკური ფაქტორები.

რომსა და კონსტანტინოპოლს შორის ურთიერთობა 1204 წელს გაუარესდა, მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის პერიოდში, როდესაც ვატიკანის კურთხევით ვენეციელებმა ქალაქი კონსტანტინოპოლი დაუნდობლად გაძარცვეს. მოგვიანებით **სწორედ „საეკლესიო-პოლიტიკურ ფაქტორებს“ დაემატა რომის პაპის პიროვნული ამბიციების და კათოლიკურმა დასავლეთმა მართლმადიდებელი ბიზანტია გაწირა და 1453 წლის 29 მაისს ველურმა, მომთაბარე თურქ-სელჩუკებმა კონსტანტინოპოლი აიღეს, აია სოფიას დიდებული ტაძარი მეჩეთად აქციეს და კონსტანტინეს ქალაქს სტამბოლი უწოდეს.**

მართლმადიდებელ ეკლესიას რომი საბოლოოდ 1729 წელს გამოეყო, როდესაც რწმენის გამავრცელებელმა კონგრეგაციამ მართლმადიდებლურ საიდუმლოებში თანაზიარება (communicatio in sacris) აკრძალა. საპასუხოდ, 1755 წელს კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიისა და იერუსალიმის პატრიარქებმა კათოლიკები მწვალებლებად გამოაცხადეს. **კათოლიკეთა მწვალებლებად აღიარება მართლმადიდებელ ეკლესიას დღემდე არ წაუღია უკან...**

**სწორედ ბიზანტიის იმპერიის გაქრობის შემდეგ იტვირთა რუსეთმა მართლმადიდებელი სარწმუნოების მედროშეობა დევიზით: „რუსეთი მესამე რომია, მეოთხე აღარ იქნება“ და შეუდგა კიდეც მართლმადიდებელი სარწმუნოების განმტკიცება-გავრცობას ჯერ საკუთარ, კიევის რუსეთის ტერიტორიაზე, ხოლო რუსეთის იმპერიად ქცევის, ანუ პეტრე დიდის შემდეგ იმპერიის მოსაზღვრე ქვეყნებშიც.**

სანამ რუსული იარაღის ძლევამოსილება კავკასიონის მთებს მოადგებოდა, ბიზანტიის დამხობის შემდეგ (სცილასა და ქარიბდას შორის) ისლამურ ოკეანეში აღმოჩენილ მართლმადიდებელ საქართველოს მართლმადიდებლური სარწმუნოების (წაიკითხე, ქართველობის) შესანარჩუნებლად ზღვა სისხლი და ცრემლი გვადინეს ირანის თუ ბიზანტიის ადგილზე დასახლებულ მომთაბარეთა ოსმალეთის იმპერიამ.

**ასე იყო თუ ისე, ლამის დედაბუდიანად ამოწყვეტილმა ქართველმა ერმა ტანჯული სული და გვემული სხეული მე-19 საუკუნის დასაწყისამდე მიიტანა და თავისი ბედი ერთმორწმუნე რუსეთს დაუკავშირა, რუსეთის იმპერიის დროშის ქვეშ განაგრძო ბრძოლა ქრისტეს ჯვრის, მართლმადიდებელი სარწმუნოების სადიდებლად.**

იმჟამინდელ მსოფლიოში, დასავლეთი იქნებოდა თუ აღმოსავლეთი, სარწმუნოებრივის გარდა, სხვა იდეოლოგიური დაპირისპირება პრაქტიკულად არ არსებობდა — **ყველგან იყო ბატონი და ყმა, ზოგან — მეფე, იმპერატორი, სულთანი და შაჰი, მაგრამ ევროპას რუსეთის მართლმადიდებელი, თანაც ძლევამოსილი იმპერიის არსებობა აცოფებდა და მე-19 საუკუნეში რუსეთ-თურქეთის, რუსეთ-ირანის ომებში რუსეთის საწინააღმდეგოდ ბრიტანეთის უჩინარი ფინანსური ხელიც ერია** (მე-19 საუკუნეში აშშ, როგორც საერთაშორისო მოთამაშე, ჯერ არ არსებობდა, ისინი აბორიგენი ინდიელების „დემოკრატიული“ გენოციდით ერთობოდნენ). რაღა ბევრი ვილაპარაკოთ და **ნაპოლეონ ბონაპარტეს** ლაშქრობა, რომელიც ევროპის მასონური ფინანსური წრეების დაფინანსებითა და წაქეზებით შედგა, პირველ რიგში, რუსეთის მართლმადიდებელი მონარქიის მოსპობას ისახავდა მიზნად. იმ ომში, რომელიც რუსეთის ისტორიაში პირველი „დიდი სამამულო ომის“ სახელით შევიდა, ერთმორწმუნე რუსების მხარდამხარ ქართველებიც იბრძოდნენ...

დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ ბოროდინოს ბრძოლაში ათეულობით ქართველი მონაწილეობდა; მათ შორის, **პეტრე ბაგრატიონის** „თამადობით“ 12(!) გენერალი — **ორი ბაგრატიონი, ორი იაშვილი, ორი ფანჩულიძე, სამი ჯავახიშვილი, სიმონ განგებლიშვილი, ანტონ შალიკაშვილი და პავლე ბიბილური.** აქედან გამომდინარე, გაცილებით დიდი იქნებოდა რიგითი ქართველი მებრძოლების რიცხვი.

ეს, ისე, მცირე ლირიკული გადახვევა.

მოკლედ, მე-19 საუკუნემ რუსეთის მართლმადიდებელი მონარქიის წინააღმდეგ ფარულ თუ აშკარა შეთქმულებებში ჩაიარა და საუკუნის ბოლოს რუსეთის იმპერატორ **ალექსანდრე მესამეს** დღეს უკვე რეფრენადქცეული ფრაზა ათქმევინა:

**„რუსეთს მხოლოდ ორი მოკავშირე ჰყავს — მისი არმია და ფლოტი“...**

პირველი მსოფლიო ომის დაწყების ერთ-ერთი (თუ ერთადერთი არა) მიზანი რუსეთის მართლმადიდებელი მონარქიული იმპერიის დამხობა იყო და აკი, მიაღწიეს კიდეც მიზანს.

ომის პირველი, შედარებით წარუმატებელი წლების შემდეგ, ე.წ. ბრუსილოვის გარღვევის შედეგად ომში უეჭველი გამარჯვებისკენ მიმავალ რუსეთს ჯერ თებერვლის რევოლუცია და შემდეგ ბოლშევიკური გადატრიალება მოუწყვეს მსოფლიო მასონურმა ძალებმა, რაშიც პირველ ვიოლინოს უკვე აშშ და მისი პრეზიდენტი **ვუდრო ვილსონი** უკრავდა, რომლის დაფინანსებით ჯერ **ლევ დავიდოვიჩ ტროცკი** ჩამოვიდა პეტროგრადში, ხოლო მოგვიანებით ბერლინში დაპლომბილი მატარებლით — ლენინი 170 რევოლუციონერთან ერთად, რომელთაგან 128 (!) სიონისტი იყო, და რომლებმაც საკვანძო თანამდებობები დაიკავეს ბოლშევიკურ რუსეთში, სადაც სამოქალაქო ომის დროს დედაბუდიანად ამოჟლიტეს **რომანოვების სამეფო ოჯახი,** მართლმადიდებელი მონარქია.

ამ გაუგონარ სისასტიკეს შედეგად მართლმადიდებელი ეკლესიისა და სარწმუნოების განადგურება უნდა მოჰყოლოდა და 1920-იან წლებში ტროცკისტებმა დაიწყეს კიდეც ტაძრების ნგრევა და სამღვდელოების ფიზიკური განადგურება, მაგრამ, რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას მხსნელად ბოლშევიკი **სტალინი** მოევლინა, **იოსებ ჯუღაშვილი**, რომელმაც ნელ-ნელა, მეთოდურად გაანადგურა სიონისტები და მათი ბელადი ტროცკიც ზედ მიაყოლა. შეწყდა ეკლესია-მონასტრების ნგრევა, სასულიერო პირთა დევნა, უფრო მეტიც: გაგანია მეორე მსოფლიო ომის დროს რუსეთს პატრიარქი დაუნიშნა, რომლის ინტრონიზაცია ქართველმა **კალისტრატე ცინცაძემ** აღასრულა, ხოლო საქართველოს ეკლესიას სემინარიადამთავრებულმა იოსებ სტალინმა ავტოკეფალია დაუბრუნა.

ალექსანდრე პირველმა ნაპოლეონ ბონაპარტეს პარიზში დაუმთავრა რუსეთში დაწყებული ომი, ქართველმა გენერალისიმუსმაც ჰიტლერი ბერლინში დაამარცხა და თითქოს, სულ ცოტა, 50-60 წლით მშვიდობა უნდა დამყარებულიყო დედამიწაზე, მაგრამ სწორედ ამ დროს გამოცხვა ავადსახსენებელი **ალენ დალესის** დოქტრინა და სტალინის სიკვდილის შემდეგ აიშვეს მასონურმა ძალებმა — ამჯერად ათეისტური საბჭოეთის (რუსეთის) წინააღმდეგ და მათი გავლენის აგენტების — **ხრუშჩოვისა** და განსაკუთრებით, **გორბაჩოვის** მეშვეობით საწადელს მიაღწიეს — მსოფლიო ისტორიაში სოციალურად ყველაზე სამართლიანი სახელმწიფო — სსრკ დაიშალა, რომლის ნანგრევებმაც ყველაზე მეტად საქართველო დააზიანა. სწორედ მას შემდეგ თქვა ზბიგნევ ბჟეზინსკიმ ზემომოყვანილი ფრაზა, მაგრამ განგებამ რუსეთს მხსნელად ვლადიმერ პუტინი მოუვლინა, რომელმაც არა მხოლოდ შინ შეაჩერა ქვეყნის ძარცვა-გლეჯა, ანუ სახელმწიფოს ნგრევა, არამედ რუსულმა დათვმა ქვეყნის გარეთაც გამოაჩინა ბრჭყალები... ლამის წერილის ფინალში გავედი და, ძირითადად, რუსეთზე ვწერ იმიტომ, რომ საქართველოც მართლმადიდებელი ქვეყანაა და, თუ ამ მხრივ პუტინის რუსეთს „თავი ქუდში აქვს“, იმავეს ვერ ვიტყვით საქართველოზე.

**15 წელიწადია, საქართველოს დედაეკლესიაზე სხვადასხვა ინტენსივობით მიმდინარეობს შეტევა, მაგრამ ბოლო ხანს, რომ იტყვიან, თავი აიშვეს ოკეანის გაღმიდან დაფინანსებულმა არასამთავრობო ხლისტებმა.** მაგრამ მოდი სიმართლეს თვალი გავუსწოროთ:

ამ ყველაფერს მწვანე შუქი ბატონმა **ბიძინა ივანიშვილმა** აუნთო ცხონებული ჭაბუა ამირეჯიბის ორმოცზე გაკეთებული უგვანო განცხადებით: **პატრიარქიც ჩვეულებრივი ადამიანია და რატომაც არა, მისი კრიტიკაც მოსულაო. დაახლოებით ეს ბრძანა სამების აღმშენებელმა და საყდრისის ამფეთქებელმა. ამას, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, მდუმარედ შეხვდა ჭორვილის ბაგაზე დაბმული ე.წ. შემოქმედებითი ინტელიგენცია და დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო...**

კრიტიკას ვინღა ჩივის, აქაოდა, პატრიარქმა პატიმართა შეწყალების უფლებაზე კრინტი როგორ დაძრაო, — მივარდნენ „ასოები“ საპატრიარქოში და პატრიარქის გადადგომაც კი მოითხოვეს!.. უფრო შორს წავიდა ცნობილი მკრეხელი ქალბატონი **ნინია კაკაბაძე**, რომელმაც მის უწმინდესობას „მეშჩანი“ უწოდა, რის გამოც მის ძმას, **ირაკლი კაკაბაძეს,** თავის მართლება მოუწია სოციალურ ქსელში.

აბსურდამდე მივიდა ახლო წარსულში ილიაუნის რექტორი **გიგი თევზაძე**, რომელმაც განაცხადა, რომ საქართველოში შობის აღნიშვნა ოკუპანტი რუსეთის საქმის კეთება და დამოუკიდებლობის დაკარგვისკენ გადადგმული ნაბიჯიაო...

არადა, ნინია კარგი მშობლების შვილი და, ბოლოს და ბოლოს, ჭაბუას დისწულია; გიგი თევზაძის მამაზეც მსმენია, კარგი ქართველი კაციაო, და რა უნდა ვთქვა ამის შემდეგ იმის გარდა, რომ **ერთი ხიდან შიბაქიც გამოითლება და სალამურიც!**

2003 წელს თბილისში — ვარდების, მოგვიანებით კიევიში — ნარინჯისა და ახლახან ისევ კიევში — მაიდნის გადატრიალებები, მართლმადიდებლობასთან ბრძოლა მგონია და სხვა არაფერი. სირიაშიც რუსეთს სწორედ მართლმადიდებლობის გამო ებრძვიან!

ზემოთ ვთქვი, რუსეთს ამ და სხვა მხრივაც, განსაკუთრებით ყირიმის „ოკუპაციის“ შემდეგ, თავი ქუდში აქვს-მეთქი და დავამატებ — **რუსეთია ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც საკანონმდებლო დონეზე აკრძალა გეიაღლუმები, ქვეყნიდან გააძევა სოროსის ფონდი და მკაცრ კონტროლს დაუქვემდებარა სხვა „ასოების“ საქმიანობები. ასე რომ, რუსეთს არც ფერადი რევოლუციები ემუქრება და არც ტოტალური პედერასტიზაცია, რადგან მართლმადიდებლობის მსოფლიო ბურჯია, ხოლო უპირველესი წინაღობა მსოფლიო ლგბტ-ზაციის გზაზე მართლმადიდებელი სარწმუნოებაა!** თუნდაც მხოლოდ ამიტომ საქართველოს ადგილი რუსეთის გვერდითაა.

დღეს გადამწყვეტი ბრძოლა მიმდინარეობს საქართველოში მართლმადიდებლობის წინააღმდეგ და რუსეთის თანადგომა, პირველ რიგში, ჩვენ, ქართველებს, ქართულ დედაეკლესიას სჭირდება და არა პირიქით, თორემ ჩვენი დიდი მეზობელი უჩვენოდაც გაიმარჯვებს მსოფლიოს მასონ ნეოტროცკისტებთან ომში, რომელიც რუსეთს არ დაუწყია და კიევსა თუ სირიაში თავს მოახვიეს!

ჰოდა, როგორც წარმოშობით თბილისელი, ცხონებული **ევგენი პრიმაკოვი** ხუმრობდა, რუსები ომებს არასოდეს იწყებენ, ისინი ომებს ამთავრებენ, როგორც დაუმთავრეს ნაპოლეონს — პარიზში, ჰიტლერს — ბერლინში. და, სადაც ამერიკელები დააფურთხებენ, მათაც იქ დაუმთავრებენ...

**დავით მხეიძე**

განსჯისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოში მოქმედი მეხუთე კოლონა მოწოდებულია, შეასრულოს უცხოელი დამკვეთების დავალება, რომელიც ითვალისწინებს ქართული ტრადიციების, ფასეულობების, ზნეობრივი ნორმების ნგრევას და საქართველოს გადაქცევას ისეთ სახელმწიფოდ, რომელშიც არ იარსებებს ეროვნული სული და მართლმადიდებელ ეკლესიას არანაირი როლი არ ექნება. აი, ამაზე უნდა დაფიქრდეს თითოეული ქართველი, ეს უნდა იყოს ჩვენი უპირველესი საზრუნავი.**

# მორიგი შეტევა მართლმადიდებლობაზე



ხელისუფლების სათავეში „ნაციონალების“ მოსვლის შემდეგ დაიწყო გააფთრებული ბრძოლა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ, ეკლესიისა, რომელმაც, საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, აგრეთვე, ქართველი კაცის იდენტობის, ქართული მენტალიტეტის შენარჩუნების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა. მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლაში მთავარი იარაღია მედიასა და სოციალურ ქსელებში გავრცელებული ინფორმაცია, მიზანი კი არა მხოლოდ ერის სულიერი ლიდერებისადმი ნდობის შერყევა, არამედ ეროვნული სულიერების, ზნეობისა და ტრადიციების დანგრევაა. სწორედ ამიტომ არის გაჩაღებული ანტიმართლმადიდებლური პროპაგანდა, ქართული ეკლესიისა და მისი საჭეთმპყრობლის — საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წინააღმდეგ.

აი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული უცხოეთიდან დაფინანსებული პროპაგანდის ბოლო ნიმუშები, რომლებმაც ქართველი საზოგადოებრიობის დიდი ნაწილის აღშფოთება გამოიწვია:

## ნინია კაკაბაძე: მადლობა დედას რომ მასწავლა — პატრიარქი უზნეო მეშჩანი იყო



**აი რა დაწერა ჟურნალისტმა ნინია კაკაბაძემ სოციალურ ქსელში:**

„9-10 წლის ვიქნებოდი ალბათ, ახლობლების ჯვრისწერის შემდეგ, დედაჩემთან ერთად პატრიარქის სახლში (სიონის გვერდით) რომ აღმოვჩნდი. ბუნებრივია, მაშინ ვერაფერი შევნიშნე და პირიქით, დიდი ინტერესით ვათვალიერებდი მის მისაღებ ოთახს სადაც ყველანი მიგვიღო... როგორც ჩანს დედაჩემიც პირველად იყო მასთან სტუმრად, რადგან იმ დღის მერე მახსოვს მისი აღშფოთებული საუბარი იმის თაობაზე, რომ პატრიარქი ასეთ სიმდიდრეში არ უნდა ცხოვრობდეს, რომ ოქრო თვალს არ უნდა გჭრიდეს მის ბინაში, რომ ძვირფასი ნივთებით გამოტენილი სახლი არ უნდა ქონდეს და რომ ეს მეშჩანობა და უზნეობაა. ხოდა, მადლობა დედას სულ პატარაობიდან რომ მასწავლა ისეთი ჭეშმარიტებები, დღესაც რომ არ იციან ზრდასრულმა (დაბალ და მაღალჩინოსანმა) რეგვენებმა. მხოლოდ ის კი არა, რომ ძვირფასი ოქროს და „ხრუსტალის“ ნივთები უზნეობაა, არამედ ის რომ პატრიარქი უზნეო მეშჩანი იყო“ (სტილი დაცულია).

## გიგი თევზაძე: დღეს საქართველოში შობის აღნიშვნა არის ოკუპანტების მხარდაჭერა



**ნინია კაკაბაძის შემდეგ თავისი ტვინის ნაჟური ილიაუნის ყოფილმა რექტორმა გიგი თევზაძემაც გამოაქვეყნა.**

„არ გეწყინოთ, მაგრამ, დღეს, საქართველოში, შობის აღნიშვნა, არის ოკუპანტების მხარდაჭერა და კიდევ ერთი ნაბიჯი დამოუკიდებლობის დაკარგვისკენ“, — დაწერა გიგი თევზაძემ სოციალურ ქსელში (სტილი დაცულია).

ამ განცხადებას, როგორც მოსალოდნელი იყო, სოციალური ქსელის მომხმარებლებისგან კრიტიკის ქარცეცხლი მოჰყვა, რომელიც თევზაძის მიმართ უცენზურო და მუქარის შემცველ გამონათქვამებშიც კი გადაიზარდა.

## რატი ამაღლობელი: პატრიარქი გაიყინა...



**ანტიმართლმადიდებლური ბაქქანალია კი დააგვირგვინა თანამედროვე ქართველი „პოეტების“ უგვირგვინო მეფემ, ლიტერატურული პრემია “საბას” მფლობელმა რატი ამაღლობელმა** ლექსით „პიეტა მიწისქვეშა გადასასვლელში“. მას სოციალური ქსელის მომხმარებლებში დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ლექსი ასე ჟღერს:

„პატრიარქი გაიყინა,
საკუთარ დაბადების დღეზე გაიყინა,
83 წლის მოხუცი პატრიარქი
მეტროს ჩასასვლელში,
მიწისქვეშა გადასასვლელში გაიყინა“...

რატი ამაღლობელი ამ ლექსით, როგორც ჩანს, მეტროპოლიტენის სადგურ „დელისთან“ მიწისქვეშა გადასასვლელში მამაკაცის გარდაცვალებას გამოეხმაურა. 67 წლის მამაკაცის დაღუპვის შესახებ ცნობა 4 იანვარს გავრცელდა — პატრიარქის დაბადების დღეს გავრცელდა. თავდაპირველად ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ მამაკაცი უსახლკარო იყო და სიცივისგან გაიყინა, თუმცა შსს-მ დაადასტურა, რომ გარდაცვლილს ჰყავს ოჯახი, ის არც უსახლკარო ყოფილა და მის სიკვდილს ოჯახის წევრები გულის პრობლემებს უკავშირებენ.

## ანტიმართლმადიდებლური პროპაგანდა ერის სულიერი ლიდერების ნდობის შესარყევად და მართლმადიდებლური ზნეობის დასანგრევად

**IV საუკუნეში ქრისტიანობის მიღების შემდეგ და მანამდეც ქართველი ხალხი საუკუნეების განმავლობაში იბრძოდა სხვადასხვა დამპყრობის წინააღმდეგ. სპარსელები და არაბები, თურქ-სელჩუკები და მონღოლები, ქვეყნის დაპყრობასთან ერთად ქრისტიანული რელიგიის განადგურებას ცდილობდნენ. საუკუნეების განმავლობაში ბრძოლა სახელმწიფოებრიობისათვის გადაიქცა ბრძოლად მართლმადიდებლობისათვის და ქართველმა ხალხმა სისხლისღვრის ფასად მოახერხა სახელმწიფოებრიობისა და მართლმადიდებელი სარწმუნოების შენარჩუნება.**

ბოლო ხანს სოციალურ ქსელებსა და მედიასაშუალებებში სულ უფრო ხშირად ვრცელდება მართლმადიდებელ მღვდელმსახურთა და, საერთოდ, მართლმადიდებლობის წინააღმდეგ მიმართული შეურაცხმყოფელი გამონათქვამები. ამ მიზნით სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფს სპეციალურად აფინანსებენ უცხოეთიდან. ამ კარგად დაფინანსებული ადამიანებისა და მათი მფარველების მიზანი მართლმადიდებლობის საფუძვლების შერყევა, დანგრევა და ამით ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემისთვის ძირის გამოთხრაა. ბრძოლა მართლმადიდებლობის წინააღმდეგ, რომელიც საუკუნეებია გრძელდება, განსაკუთრებულად გამძაფრდა XXI საუკუნეში, მას შემდეგ, რაც ქართველი ანტიმართლმადიდებლების სულიერმა მამამ, ყოველივე მართლმადიდებლურის, ანუ ქართულის დაუძინებელმა მტერმა, აშშ-ის პრეზიდენტის ყოფილმა მრჩეველმა ნაციონალური უსაფრთხოების საკითხებში, პოლიტოლოგმა ბზიგნევ ბჟეზინსკიმ განაცხადა: „კომუნიზმის დანგრევის შემდეგ ამერიკის ერთადერთ მტრად მართლმადიდებლობა რჩება“.

**სწორედ ამ საკითხებზე საუბრობდა ჯერ კიდევ 16 წლის წინათ, 2000 წლის მაისში, პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში, რომლიდანაც მოგვყავს ამონარიდები და დარწმუნდებით, რა ზუსტია ბატონი ალექსანდრე მართლმადიდებლობის წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლის შეფასებაში:**

„ერის კონსოლიდაციის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს რელიგია და ამიტომ ტრადიციულ რელიგიასთან ბრძოლა „გლობალისტების“ სერიოზული ამოცანაა. განსაკუთრებით ეს შეეხება მართლმადიდებლობასთან ბრძოლას, ვინაიდან მართლმადიდებლური ეკლესია, როგორც წესი, ღრმად ეროვნულია, ხოლო მართლმადიდებელი ერი — ძალიან ტრადიციული, ნაკლებად ემორჩილება უცხო გავლენას, ყველანაირად ცდილობს თვითმყოფადობის შენარჩუნებას. ასევე ცხადია, რომ ქართველი ერის, როგორც კულტურულ-ისტორიული ერთობის შენარჩუნება ძირითადად მართლმადიდებლობის დამსახურებაა. გარდა ამისა, მართლმადიდებლური სულიერი ფასეულობები კატეგორიულად ეწინააღმდეგება პროტესტანტულ მსოფლმხედველობას, რომელიც ანგლო-საქსური მენტალიტეტისა და კონფორმისტული კათოლიკური პოსტულატების საფუძველზე ჩამოყალიბდა და თანამედროვე დასავლური აზროვნებისა და ცხოვრების წესის სულიერ-ზნეობრივი ბაზისი გახდა. **სწორედ ამიტომ გამოტვინებულმა ბჟეზინსკიმ — ჩვენი „რეფორმატორების“ საყვარელმა მასწავლებელმა — გულახდილად განაცხადა, რომ საბჭოთა სისტემის დანგრევის შემდეგ აშშ-ს მხოლოდ ერთი მტერი ჰყავს — მართლმადიდებლობა. შესაბამისად, ჩვენმა „მეხუთე კოლონამ“ სათანადო მითითება მიიღო და, როგორც ცნობილია, დღეს მართლმადიდებლური ეკლესია, მართლმადიდებლური ტრადიციები ობსტრუქციის, დაცინვის, დამცირების ობიექტად იქცა. პარალელურად,** ნებისმიერი, ყველაზე ანტიჰუმანური სექტებისთვისაც კი გზა ხსნილია. ამ ფსევდორელიგიური ორგანიზაციების საქმიანობა ეროვნული შეგნების, სახელმწიფო აზროვნების, პატრიოტიზმის დეფორმაციისა და ერის დაშლისკენაა მიმართული. ისინი უზარმაზარ მატერიალურ საშუალებებს ფლობენ, მათ აქტიურად მხარს უჭერს „მეხუთე კოლონა“, სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლებიც „ადამიანის უფლებათა დაცვის“, „ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების ათვისების“ ნიღბით მოქმედებენ. ვინ უჭერს მხარს იელოველთა სექტას საქართველოში? — „ახალგაზრდა რეფორმატორები“, ე.წ. თავისუფლების ინსტიტუტი და მსგავსი ანტიეროვნული ძალები... ქართველებში ეკლესიისადმი ნდობა გენეტიკურადაა ჩადებული, ამიტომ ეკლესიას არც ისტორიულად და არც მორალურად არ აქვს უფლება, ქვეყანაში მიმდინარე ანტიეროვნულ და ანტისახელმწიფოებრივ პროცესებში გულგრილის თუ უსიტყვო მეთვალყურის როლი შეასრულოს. მე ვესაუბრე ამის შესახებ კათოლიკოს-პატრიარქს. იგი, უდავოდ, განათლებული და საინტერესო პიროვნებაა, მაგრამ მას, ჩემი აზრით, უჭირს „ჩაურევლობის“ კომპლექსისგან გათავისუფლება. მე კი მიმაჩნია, რომ ჩაურევლობაზე ლაპარაკიც არ შეიძლება, როდესაც საქმე ქართველი ერის არსებობას ეხება, რომლის კეთილდღეობისთვისაც გვიბოძა უფალმა ეკლესია. ▶

მსოფლიო



## სტამბოლის ცენტრში აფეთქებას 10 ადამიანი ემსხვერპლა

**სტამბოლის ცენტრში მომხდარ აფეთქებას მსხვერპლი მოჰყვა. დაღუპულია 10 ადამიანი. აფეთქება 12 იანვარს, ადგილობრივი დროით 10:00 საათზე ისტორიული „სულთანაჰმედის“ მოედანზე მოხდა.** წინასწარი ინფორმაციით, აფეთქება თვითმკვლელმა ტერორისტმა განახორციელა „სულთანაჰმედის“ მოედანი სტამბოლში ტურისტებისთვის ერთ-ერთი პოპულარული ადგილია. აფეთქება, სავარაუდოდ, „ისლამურმა სახელმწიფომ“ განახორციელა.



# მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლაში მთავარი იარაღია მედიასა და სოციალურ ქსელებში გავრცელებული ინფორმაცია, მიზანი კი არა მხოლოდ ერის სულიერი ლიდერებისადმი ნდობის შერყევა, არამედ ეროვნული სულიერების, ზნეობისა და ტრადიციების დანგრევაა. სწორედ ამიტომ არის გაჩაღებული ანტიმართლმადიდებლური პროპაგანდა, ქართული ეკლესიისა და მისი საჭეთმპყრობლის — საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წინააღმდეგ.

განსჯისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მართლმადიდებლობაზე თავდასხმასთან პარალელურად, „მეხუთე კოლონის“ ანტიეროვნული საქმიანობის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ქართული ისტორიისა და კულტურის იმ მოღვაწეთა დისკრედიტაცია, ვის სახელებთანაც დაკავშირებულია ეროვნული თვითშეგნების, ეროვნული სულიერების განვითარება. ამ თვალსაზრისით ფრიად დამახასიათებელია „რეფორმატორთა“ დამოკიდებულება **ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა** თუ **გალაკტიონის** მიმართ. ერთდროულად ისინი ჩვენს ისტორიაში იქექებიან და გამოძებნიან ხოლმე ისეთ ფაქტებსა თუ მოვლენას, რომელშიც, თანამედროვე თვალსაზრისით, თანამედროვე გაგებით, ქართველი ერი, მართლმადიდებლური ეკლესია, ცალკეული ისტორიული პიროვნებები წარმოჩნდებიან, როგორც ველური და რეტროგრადები. მაგალითად, „რეფორმატორთა“ მუდმივ სალაპარაკო თემად იქცა შუასაუკუნოვანი ქართული საზოგადოების „მხილება“ იმაში, რომ დიდი მოაზროვნე სულხან-საბა ორბელიანი კათოლიკობის მიღებისათვის ჩვენმა სამღვდელოებამ „წვერით ათრია“... შუა საუკუნეებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართველი ერის ხსნის, ასიმილირებისაგან გადარჩენის მთავარი ფაქტორი მართლმადიდებლობა იყო. ეს იყო უმაღლესი სულიერი ღირებულება, ქართველობის მაჩვენებელი. სხვა ერის წარმომადგენლები, ვინც საქართველოში სახლდებოდა და მართლმადიდებლობას მიიღებდა, ძმა, იგივე ქართველი ხდებოდა. ქართული ეკლესიის ბევრი წმინდანი, წმინდა ნინოთი თუ აბო თბილელით დაწყებული, ბევრი ეროვნული გმირი არ იყო ეთნიკური ქართველი, მაგრამ, მიიღეს რა მართლმადიდებლობა, ერის ნაწილად იქცნენ. ამავე დროს წმინდა სისხლის ქართველები, ვინც ნებაყოფლობით სხვა სარწმუნოება მიიღო, მათ შორის მეფეებიც კი — როსტომი, დავითი, კონსტანტინე — ქვეყნის ისტორიასა და ხალხის მეხსიერებაშიც მოღალატეებად დარჩნენ. მართლმადიდებლობის ღალატი სამშობლოს ღალატის ტოლფასი იყო. ასე იყო და სწორედ ამ მიზეზით გადარჩა ჩვენი ერი. ასე რომ, დიდმა საბამ, მიიღო რა კათოლიკობა, რა ძნელიც უნდა იყოს ამის თქმა, უმაღლეს ქართულ სულიერ ღირებულებას უღალატა და მაშინდელი ქართული საზოგადოების რეაქცია სავსებით ასახსნელი და გასაგებია. ერთი დაფიქრდნენ ჩვენი „დემოკრატები“ იმაზე, თუ როგორი იქნებოდა „ცივილიზებული“ კათოლიკური საზოგადოების რეაქცია, მათი ქვეყნის ელჩს სხვა სარწმუნოება რომ მიეღო. თუ ინკვიზიციის პრაქტიკას გავითვალისწინებთ, რომელმაც ასიათასობით ადამიანი ერესის ბრალდებით ცოცხლად დაწვა, ასეთ ელჩს კოცონზე დაწვავდნენ. სხვათა შორის, მართლმადიდებლურ ეკლესიას არასდროს დაუშვია ისეთი მხეცობა და ველურობა, როგორითაც განთქმულია „ცივილიზებული“ კათოლიკური ეკლესია”.



## დღეს უკვე ნათლად ჩანს, რომ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური, საგანმანათლებლო თუ კულტურული რეფორმები, ძირითადად — შეფარულად, იშვიათად — აშკარად და ზოგჯერ — თითქოს უნებლიეთ მიმართული იყო და არის ქართული მენტალიტეტის წინააღმდეგ და ქართველი საზოგადოების ამერიკანიზაციას ემსახურება



**დღეს უკვე ნათლად ჩანს, რომ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური, საგანმანათლებლო თუ კულტურული რეფორმები, ძირითადად — შეფარულად, იშვიათად — აშკარად და ზოგჯერ — თითქოს უნებლიეთ მიმართული იყო და არის ქართული მენტალიტეტის წინააღმდეგ და ქართველი საზოგადოების ამერიკანიზაციას ემსახურება.** მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებამ განათლების იმჟამინდელი მინისტრის — შაშკინის ხელით ომი გამოუცხადა ქართულ ენას — ეროვნულობის საწყისს, როცა სკოლებში პირველკლასელებისთვის ქართული ენის პარალელურად ინგლისური ენის სწავლება დააწესა, რაც მომავალ თაობაში ქართული ცნობიერების დაკნინებას ემსახურება. შემდეგ კი ხელისუფლებამ გააფრებით შეუტია მართლმადიდებლობას, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქართველთა ეროვნული თვითშეგნების განმსაზღვრელი იყო.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელიც საფუძველს უქმნის საქართველოში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებას. ეს კანონი განსაკუთრებით სახიფათოა მას შემდეგ, რაც აშშ მსოფლიოს დაემუქრა,— ერთნაირსქესიანთა ქორწინება ყველგან უნდა დაკანონდესო(!). აღსანიშნავია, რომ გააქტიურება ლგბტ-თემის წარმომადგენლებისა, რომლებმაც ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში შეაღწიეს, მართლმადიდებლობის წინააღმდეგ მიმართული ომის ერთ-ერთი ახალი ტექნოლოგიაა.

**საქართველოში მოქმედი მეხუთე კოლონა მოწოდებულია, შეასრულოს უცხოელი დამკვეთების დავალება, რომელიც ითვალისწინებს ქართული ტრადიციების, ფასეულობების, ზნეობრივი ნორმების ნგრევას და საქართველოს გადაქცევას ისეთ სახელმწიფოდ, სადაც არ იარსებებს ეროვნული სული და სადაც მართლმადიდებელ ეკლესიას არანაირი როლი არ ექნება. აი, ამაზე უნდა დაფიქრდეს თითოეული ქართველი. ეს უნდა იყოს ჩვენი უპირველესი საზრუნავი.**

### საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი: ადამიანი, რომელიც საკუთარ თავს შეიცნობს, სხვას აღარ განიკითხავს

**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მრევლს საკუთარი თავის შეცნობისაკენ მოუწოდა. პატრიარქის თქმით, ადამიანი, რომელიც საკუთარ თავს შეიცნობს, სხვას აღარ განიკითხავს. ამ საკითხზე ილია მეორემ საკვირაო ქადაგებისას ისაუბრა.**

„დღეს კიდევ ერთხელ უნდა ჩავუღრმავდეთ ჩვენს ცხოვრებას. მართალია, ძალიან ძნელია, მაგრამ უნდა შევიცნოთ თავი ჩვენი. ჩვენ შეცნობას სხვა ადამიანიდან ვიწყებთ. ადამიანი, რომელიც თავის თავს შეიცნობს, სხვას აღარ განიკითხავს. წმინდა მამა ეფრემ ასური ამბობს: „უფალო მომანიჭე განცდა თვისთა ცოდვათა და არა განკითხვა ძმისა ჩემისა“. როგორი ძნელი ყოფილა შეცნობა თავისა თვისისა, მაგამ ეს აუცილებელია. მეფე დავითი მწყემსი იყო, ღვთის განგებამ ის მეფის ტახტზე აიყვანა. ის 40 წელი იყო მეფე. მრავალი განსაცდელი შეხვდა. ცოდვაც ჩაიდინა, მაგრამ იმდენად დიდი იყო მისი სინანული, მონანიება, რომ დავით მეფე გახდა საყვარელი ღვთისა. შევთხოვთ უფალს, რომ ყოველი ჩვენგანი იყოს საყვარელი ღვთისა. ღმერთმა მოგვცეს ჩვენ განცდა თვისთა ცოდვათა და არა განკითხვა ძმისა ჩვენისა. ეს ერთადერთი გზაა ცხონებისა.“ — ბრძანა პატრიარქმა საკვირაო ქადაგებისას.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**



**«ჩვენმა «მეხუთე კოლონამ» სათანადო მითითება მიიღო და, როგორც ცნობილია, დღეს მართლმადიდებლური ეკლესია, მართლმადიდებლური ტრადიციები ობსტრუქციის, დაცინვის, დამცირების ობიექტად იქცა. პარალელურად, ნებისმიერი, ყველაზე ანტიჰუმანური სექტებისთვისაც კი გზა ხსნილია. ამ ფსევდორელიგიური ორგანიზაციების საქმიანობა ეროვნული შეგნების, სახელმწიფო აზროვნების, პატრიოტიზმის დეფორმაციისა და ერის დაშლისკენაა მიმართული. ისინი უზარმაზარ მატერიალურ საშუალებებს ფლობენ, მათ აქტიურად მხარს უჭერს «მეხუთე კოლონა», სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც «ადამიანის უფლებათა დაცვის», «ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების ათვისების» ნიღბით მოქმედებენ»**

**ალექსანდრე ჭაჭია, 2000 წ.**

მსოფლიო



## სავაჭრო ცენტრზე თავდასხმის შედეგად 17 ადამიანი დაიღუპა

**ერაყის დედაქალაქ ბაღდადში სავაჭრო ცენტრზე თავდასხმის შედეგად 17 ადამიანი დაიღუპა.** უცნობმა პირებმა სავაჭრო ცენტრში ასაფეთქებელი მოწყობილობა გაააქტიურეს, შემდეგ ცეცხლი გახსნეს და რამდენიმე მძევალი აიყვანეს. სამართალდამცველებმა სავაჭრო შენობის შტურმი სცადეს, მაგრამ თავდამსხმელებმა კიდევ ერთი ასაფეთქებელი მოწყობილობა გაააქტიურეს, რასაც რამდენიმე მძევლის სიცოცხლე შეეწირა. მოგვიანებით, ორმხრივი სროლის შედეგად, ორი თავდამსხმელი დაიღუპა, ოთხი კი დააკავეს.



## ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„ცხელი კვახები“ — აი, ის ადგილი, სადაც შეიძლება დაიბადოს ისეთი ბრძნული აზრები, როგორიც აქვთ გიგი თევზაძეს, ნინია კაკაბაძეს, რატი ამაღლობელს, ლაშა ბუღაძესა და კიდევ სხვა არაერთ მათნაირ „თავანთებულ“, უფრო ზუსტად კი — კვახანთებულ ადამიანებს!**

**ჩემს ბავშვობაში ერთი ამერიკული კომედიური კინო გადიოდა, „ცხელი თავები“ ერქვა. ეს ფილმი მახსენდება ხოლმე ქართველი ე.წ. მოლიბერასტო ელიტის წარმომადგენელთა „ორიგინალური“ გამოხდომების ტელევიზორით მოსმენისა თუ სოციალურ ქსელებში წაკითხვისას. ხსენებული ფილმის პერსონაჟები ისეთ სისულელეებს სჩადიან და ლაპარაკობენ, რომ მასზე უფრო დიდი რეგვნობა ბავშვობაში წარმოუდგენლად მეჩვენებოდა... ახლა აღარ მეჩვენება...**

# ცხელი კვახები



ამ საშობაოდ იმდენი რეგვნული გამოხდომა ვნახე და მოვისმინე, „ცხელი თავები“ ნამდვილად „ბრძენ თავებად“ მოჩანან.

საინტერესოა, რომ მთავარი საკრიტიკო-საქილიკო თემა ქართული „ლიბერასტული“ ელიტისა რატომღაც რელიგია, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია და უარეს შემთხვევაში პირადად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორეა.

მოდი, პირველივე საილუსტრაციო ფრაზად ყველაზე უფრო წარმოუდგენლად რეგვნული მაგალითი მოვიყვანოთ და თან ეს ფრაზა იმის ახსნის საშუალებასაც მოგვცემს, თუ რატომ დავარქვი წინამდებარე პუბლიკაციას არა „ცხელი თავები“, არამედ „ცხელი კვახები“.

**გიგი თევზაძე:**

„დღევანდელ საქართველოში 7 იანვარს შობის დღესასწაულის აღნიშვნა — ეს არის ოკუპანტების მხარდაჭერა“

ეს სწორედ იმ ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის ყოფილი რექტორია, რომელ უნივერსიტეტსაც ახლო წარსულში „ოცდამეერთესაუკუნურად“ მეტად არასერიოზული სახელი — „ილიაუნი“ უწოდეს.

ჩვეულებრივ, ყოველდღიურ მეტყველებაში ვინ რომელი უნივერსიტეტის სახელს როგორ შეამოკლებს, მისი საქმეა, მაგრამ ასეთი „მოფერებითი მეტსახელის“ უმაღლესი სასწავლებლის ოფიციალურ დასახელებად ქცევა, მართლაც, ძალიან არასერიოზული ქმედებაა.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, — ჯანდაბას, მთავარია, ქართული საქმე აკეთონ და იმ „თავის“ უნივერსიტეტს, რაც უნდათ, ის დაუძახონ. აკი, აგერ, კიდეც **იქაჩება ბატონი ნარექტორალი „პატრიოტობაზე“ და მართლმადიდებლური შობის დღესასწაულის აღნიშვნას იმ მოტივით აპროტესტებს, რომ თურმე რუსი ოკუპანტებიც იმავე რწმენის არიან და იმავე დღეს აღნიშნავენ შობის ბრწყინვალე დღესასწაულს.**

განსაკუთრებით „საპატიოა“ ასეთი ლოგიკა ფილოსოფიის პროფესორისთვის, აბა, რა!

წარმომიდგენია, რა ზუსტი და ნათელი წარმოდგენა ექნებათ ასეთი „პროფესორის“ სტუდენტებს დედუქციასა და ინდუქციაზე...

**გამოვტყდები და ნარექტორალის ამ ფრაზამ მეც ძალიან დამაფიქრა, ამიტომ დღეიდან ოფიციალურად ვაცხადებ, რომ არავითარ შემთხვევაში აღარ მივიღებ ოკუპანტური შობის მოლოცვებს არავისგან!**

**ამიერიდან მხოლოდ და მხოლოდ ძირძველი ქართული დღესასწაულების მილოცვას მივიღებ, ისეთის, მაგალითად, როგორიც არის „ჰელოუინი“, და მივიღებ მას მხოლოდ და მხოლოდ ისეთი ეროვნული მოღვაწისგან, როგორიც სანტა-კლაუსია!**

აჰა, მივედით კიდეც იქამდე, თუ რატომ ვუწოდე ამ პუბლიკაციას „ცხელი კვახები“. განა შეიძლება, ეს ფრაზა, რომელიც უკვე მოვიყვანე მაგალითად, და ის ფრაზები, რომლებსაც აწი შემოგთავაზებთ, ან „ცხელი“, ან „ცივი“, ან, საზოგადოდ, რამენაირი „თავის“ პროდუქტი იყოს?!

არა, **მათ რაღაც სხვა აბიათ თავის ნაცვლად. აკი, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ცდილობენ კიდეც, თავიანთ „განსხვავებულობას“ ხაზი გაუსვან, ყველა მანკიერი თვისების „ქართულ ფენომენად“ გასაღება კი მათი ყველაზე საყვარელი საქმიანობაა.**

ჰოდა, ამ „ქართველებისგან განსხვავებულ ქართველებს“, ამ ზებუნებრივ და ჩვენგან განსხვავებულ ადამიანებს თავის ნაცვლად რაღაც სხვა რომ აბიათ, ეს აშკარაა.

კი! მეც ერთი პერიოდი, ლამის დავეთანხმე იმ ადამიანებს, რომლებსაც ჩემი ეს ვარაუდი გავუზიარე, და მათ დაუფიქრებლად მიპასუხეს, რა შეიძლება ებათ მათ თავის ნაცვლად... უბრალოდ, უხამსობას მოვერიდე და ხმამაღლა აღარ მითქვამს.

და აი, როგორც იქნა, აღმოვაჩინე! რაშიც ძალიან დამეხმარა სწორედ ბატონი ნარექტორალის ზემოხსენებული ფრაზა და ის, რომ ოკუპანტების დღესასწაულმა — ქრისტეშობამ ჩვენი ძირძველი ქართული დღესასწაული ჰელოუინი გამახსენა.

აბა, ახლა თქვენც გაიხსენეთ: **რა არის იმ დღესასწაულის ყველაზე მთავარი ატრიბუტი, რომელსაც ასე „არაოკუპანტურად“ ეთაყვანებიან, ეფოფინებიან და თავს ევლებიან ბატონი გიგი თევზაძე და მისნაირი „პატრიოტები“. რაღა თქმა უნდა, — კვახი(!), თანაც არა უბრალოდ კვახი, არამედ ამ კვახში დანთებული ცეცხლი. აქვე გავიხსენოთ, რომ კვახს მეორენაირად გოგრა ჰქვია, ხოლო ქართველები „თავის“ ნაცვლად ხშირად ვიყენებთ ხოლმე გამოთქმას „გოგრა“ და ყველაფერს ნათელი მოეფინება. დიახ, „ცხელი კვახები“ — აი, ის ადგილი, სადაც შეიძლება დაიბადოს ისეთი ბრძნული აზრები, როგორიც აქვთ გიგი თევზაძეს, ნინია კაკაბაძეს, რატი ამაღლობელს, ლაშა ბუღაძესა და კიდევ სხვა არაერთ მათნაირ „თავანთებულ“, უფრო ზუსტად კი — კვახანთებულ ადამიანებს!**

„ცეცხლოვანი კვახის“ გარდა, განა სხვაგან, ნორმალურ თავში ან ცივ გონებაში, მომწიფდებოდა ისეთი „პიეტა“, როგორიც პოეტად წოდებულმა რატი ამაღლობელმა რატომღაც დაბადების დღეზე საქართველოს პატრიარქს მიუძღვნა?

„რატომღაც მიუძღვნა“-მეთქი, იმიტომ ვთქვი, რომ მართლაც დღემდე გაურკვეველია, რა შუაში იყო მეტროპოლიტენის სადგურ „დელისთან“ მიწისქვეშა გადასასვლელში გულის ინფარქტით გარდაცვლილი უცნობი მამაკაცი პატრიარქთან? გასაგებია, თავიდან ინფორმაცია გავრცელდა, რომ ეს უცნობი ხანში შესული მამაკაცი გაიყინაო, მაგრამ, ჯერ ერთი, **ამხელა „საბას“ დამფუძნებელლაურეატი კაცი რომ ხარ და ამხელა გამოჩენილი ლირიკოსი, როგორ შეიძლება, ასე ამჩატდე, არ დაელოდო ქუჩაში ადამიანის გარდაცვალების რეალური მიზეზის გარკვევას და „ექსპრეს“ წესით ეცე მაინცდამაინც პატრიარქს? ან თუნდაც გაყინულიყო ის ადამიანი, რა შუაშია აქ ილია მეორე?**

მართალია, სხვა გამოჩენილმა „მოღვაწემ“, **ლაშა ბუღაძემ**, მსწრაფლ ითავა „ერის განმანათლებლის“ უკვე ჩვეული ამპლუა და იმის სწავლება დაგვიწყო, თუ „როგორ უნდა წავიკითხოთ ლექსი“, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც მისი ნაბჟუტურებიდან გამოვიტანეთ აზრიანი დასკვნა.

ერთი ეგაა, რომ „დიადი დრამატურგი“ გვიხატავს, როგორ დამთრგუნველად უმოქმედია ჩვენზე საბჭოთა განათლების სისტემას, რომელმაც, თავის მხრივ, განაპირობა ის, რომ ჩვენ, ქართველმა ხალხმა, ვერ შევძელით, „სწორად წაგვეკითხა“ და სათანადოდ დაგვეფასებინა რატი ამაღლობელის ლექსი — „პიეტა მიწისქვეშა გადასასვლელში“ საკუთარ დაბადების დღეზე გაყინული „პატრიარქის“ შესახებ.

საზოგადოდ, **ტერმინი „საბჭოთა“ რომ არ არსებობდეს, ვფიქრობ, ძალიან ცუდად ექნებოდათ საქმე „ოცდამეერთე საუკუნის“ პოეტ-მწერალ-დრამატურგ-მხატვარ-მუსიკოს და კიდევ სხვა მიმართულების ხელოვანებს. ეს ტერმინი პირდაპირ ხსნაა მათთვის! თუკი ეტყვი, უნიჭო ხარო, იმ წამს მზად აქვთ ფრაზა: „საბჭოთა განათლების სისტემის მსხვერპლი“ და მორჩა! მოდი და, ამის შემდეგ გაბედე ხმის ამოღება!**

მერე რა, თუკი „საბჭოელებს“ შესანიშნავად გვესმის გურამიშვილი, რუსთაველი, ვაჟა, გალაკტიონი, რაფიელ ერისთავი და სხვა დანარჩენი „გოიმები“?!

რატი სულ სხვაა!

რატის გაგება ლაშას ინსტრუქციების გარეშე მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.

მოდი, ვაღიაროთ, რომ სწორედ ასეა — ჩვენ ჩვენი „საბჭოთა“ გემოვნების გამო გვიჭირს ამ „დიად“ ხელოვანთა გაგება და ამიტომ ვთხოვოთ ამაღლობელს და სხვა მსგავს პოეტებს, აწი ლექსს რომ დაწერენ, ქვევით, სქოლიოში მიაწერონ ფრაზა: „ლექსის წაკითხვა-გამოყენებამდე გაეცანით ინსტრუქციას. გვერდითი მოვლენების შესახებ ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ლაშას“.

ისე, ისიც კაი იქნებოდა, ჩვენ — „საბჭოთა განათლების მსხვერპლთ“, ბუღაძე ამაღლობელის ლექსს რომ განგვიმარტავს, მერე იქნებ ბუღაძის განმარტებაც განგვიმარტოს ვინმემ...

ისე, ისიც საინტერესოა, ამ „ანთებულ კვახებს“, რომლებიც, ფაქტობრივად, ჩემი თაობისანი არიან, „საბჭოთა“ თუ არა, მაშ, სხვა რანაირი საშუალო განათლება აქვთ? კარგი, დავუშვათ, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ დაიპყრეს „არასაბჭოთა“ მწვერვალები, სკოლა ხომ მათაც საბჭოთა გაიარეს?

საბჭოთა წყობა ხომ რელიგიას აქებდა და ადიდებდა, არ გახსოვთ? რელიგიის მლანძღველებს ხომ ვერ დავწამებთ „საბჭოთა აზროვნებას“? აბა, მაშ, ვინ ასწავლიდა ამ „განსწავლულებს“ მართლმადიდებლური რელიგიისა და მისი მეთაურის ასე „არასაბჭოურ“ ლანძღვას?

ნუ იჭყლეტთ ტვინს! არც ამაზე დაგვზარდებიან ჩვენი „პრადვინუტები“ და პირდაპირ გვეუბნებიან: „მადლობა დედაჩემს, რომ ბავშვობიდან მელაპარაკებოდა პატრიარქის მეშჩანობასა და უზნეობაზე!“ — საქვეყნოდ აცხადებს ნინია კაკაბაძე.

აი, როგორი სანიმუშო აღზრდა აქვს ზოგიერთს მიღებული! ახლა ამას და ამნაირებს რატი ამაღლობელის „მიწისქვეშა პიეტის“ აღქმა გაუჭირდებათ?

უცნაურია, რომ კაკაბაძეების დედა მხოლოდ ქალიშვილს ესაუბრებოდა თურმე პატრიარქის უზნეობასა და „მეშჩანობაზე“, ვაჟიშვილისთვის სიტყვაც არ უთქვამს მსგავსი. ყოველ შემთხვევაში, ამას ასე ამტკიცებს ნინია კაკაბაძის ძმა — ირაკლი კაკაბაძე.

საბოლოო ჯამში, ეგ მაინც არ არის ისე საინტერესო, თუ რატომ არჩევდა შვილებს ერთმანეთისგან ასე კაკაბაძეების დედა. **დამაფიქრებელი და უცნაური ისაა, რატომ დაემთხვა ასე ზედიზედ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წინააღმდეგ გამოთქმული მოსაზრებები, ბრალდებები, „პიეტები“ და სხვა სახის ბოდვები ერთმანეთს; რატომ მოუნდათ ამ „ცხელ კვახებს“ ასე ერთხმად და უცებ ილია მეორის ლანძღვა-გინება.**

ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულის დღეები და პატრიარქის დაბადების დღე და აღსაყდრების წლისთავი იყო?

თუ ამ ადამიანების ასეთი ხმაშეწყობილი „გამოცოცხლება“ ამ მიმართულებით უბრალო დამთხვევაა?

ალბათ, თქვენც გრძნობთ და ხვდებით, რომ კითხვები რიტორიკულია. სამწუხაროდ, დღეს ჩვენს ქვეყანაში ისეთი სიტუციაა, ხელისუფლებაშიც და ოპოზიციაშიც ისეთი ძალები ბატონობენ, რომ ფაქტია, „ცხელი კვახები“ კიდევ კარგა ხანს არ „ჩაქრებიან“.

**რატის გაგება ლაშას ინსტრუქციების გარეშე მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. მოდი, ვაღიაროთ, რომ სწორედ ასეა — ჩვენ ჩვენი «საბჭოთა» გემოვნების გამო გვიჭირს ამ «დიად» ხელოვანთა გაგება და ამიტომ ვთხოვოთ ამაღლობელს და სხვა მსგავს პოეტებს, აწი ლექსს რომ დაწერენ, სქოლიოში მიაწერონ ფრაზა: «ლექსის წაკითხვა-გამოყენებამდე გაეცანით ინსტრუქციას. გვერდითი მოვლენების შესახებ ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ლაშას». ისე, ისიც კაი იქნებოდა, ჩვენ — «საბჭოთა განათლების მსხვერპლთ», ბუღაძე ამაღლობელის ლექსს რომ განგვიმარტავს, მერე იქნებ ბუღაძის განმარტებაც განგვიმარტოს ვინმემ...**

„13 იანვრის ღამეს მოხდება ნამდვილი სასწაული. ციდან დაეშვება ზებრებიანი მარხილი, რომელშიც ბიძინა, ეკა, მანანა და ირაკლი, თეთრ სამოსში გამოწყობილები, მიულოცავენ დამსწრეებს ძველით ახალ წელს. ეს იქნება ერთადერთი ღამე, როცა ნებისმიერს, ვისაც ბიძინასა და ერის წინაშე ცოდვა მიუძღვის, მიეტევება და სამუდამოდ გათავისუფლდება შინაგანი მეს შეძახილისგან. თვით მიხეილ სააკაშვილსაც კი ეძლევა შანსი, ჩამოვიდეს და ამ ღამის სასწაულის მომსწრე გახდეს“.

სატირა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ივანიშვილები სასწაულების ღამეს ამზადებენ



**ინფორმაცია, რომელიც ჩვენმა წყარომ მოიპოვა, მართლაც სენსაციურია, თუმცა მავანი მისი გახმაურებისგან თავს იკავებს. როგორც წყარო ამბობს, 13 იანვრის ღამეს სოლოლაკის შუშის სასახლესთან ნამდვილი სასწაული მოხდება.**

„ბიძინას ჯადოსნური ღამე“ — ასე ჰქვია ღონისძიებას, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი გეგმავს, და რომელიც უპრეცედენტო მასშტაბის იქნება.

**წყარო ამბობს, რომ 13 იანვარს, ზუსტად 12 საათზე, ვინც რეზიდენციის მიმდებარე ტერიტორიასთან გაივლის, მილიონის მფლობელი გახდება.**

ბიძინა თეთრი ცხენით მიეგებება ყველა იქ მისულს, მნიშვნელობა არ აქვს, „ნაცი“ იქნება თუ „ქოცი“, ამ ღამეს ყველანაირი პოლიტიკური შეხედულება გაქარწყლდება და მხოლოდ კეთილი სასწაული მოხდება.

სწორედ ამ ღამეს გაიხსნება ბიძინას სასწაულების ყუთი და ნებისმიერი მსურველი სანუკვარ ქართულ ოცნებას აისრულებს.

**ბოტანიკური ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე ანალოგიური ღონისძიების გამართვას გეგმავს ბერაც სახელწოდებით „ბერა და ანგელოზები“.**

გარდა საქველმოქმედო ღონისძიებისა, ეს იქნება ნამდვილი ზღაპრის ღამე. ამ ღამით ყველას, ვისაც ბიძინა ივანიშვილთან უმუშავია და რამე დაუშავებია, ყველა ცოდვა ეპატიება.

ბიძინა მათ აძლევს კიდევ ერთ შანსს. ჩვენმა წყარომ ის დოკუმენტიც მოიპოვა, რომლებშიც ღონისძიების გეგმა და დეტალებია გაწერილი.

**„13 იანვრის ღამეს მოხდება ნამდვილი სასწაული. ციდან დაეშვება ზებრებიანი მარხილი, რომელშიც ბიძინა, ეკა, მანანა და ირაკლი, თეთრ სამოსში გამოწყობილები, მიულოცავენ დამსწრეებს ძველით ახალ წელს.**

**ეს იქნება ერთადერთი ღამე, როცა ნებისმიერს, ვისაც ბიძინასა და ერის წინაშე ცოდვა მიუძღვის, მიეტევება და სამუდამოდ გათავისუფლდება შინაგანი მეს შეძახილისგან.**

**თვით მიხეილ სააკაშვილსაც კი ეძლევა შანსი, ჩამოვიდეს და ამ ღამის სასწაულის მომსწრე გახდეს“.**

## 13 იანვარს, ზუსტად 12 საათზე, ვინც რეზიდენციის მიმდებარე ტერიტორიასთან გაივლის, მილიონის მფლობელი გახდება

დოკუმენტის გეგმის თანახმად, რეზიდენციის მთელ პერიმეტრზე გაშლილი იქნება პურმარილი, გარშემო თეთრი ცხენები მოძოვენ ბალახს, ეკა და მანანა სათუთი ღიმილით დააპურებენ უპოვართ.

როგორც წყარო ამბობს, დიდი მზადებაა ოდესაში და ევროპის სხვა ქალაქებში. ბიძინა ივანიშვილს უკვე გადმოგზავნილი აქვს შესაწყალებელ პოლიტიკოსთა სია და ყველა, ვინც მის მცნებებს მიჰყვება, სამუდამო სიმშვიდეს მოიპოვებს და მთელი ცხოვრება ფუფუნებაში იცხოვრებს.

**ელიკო სილაძე**

# რუსეთის საიდუმლო ჩანაფიქრი ამოხსნილია

**მართალია, ეს საახალწლო თემა არ არის, მაგრამ ისეთი საჩქარო და მნიშვნელოვანია, რომ მისი გადადება მომდევნო ნომრისთვის არაფრით შეიძლებოდა და ახლავე უნდა გავახაროთ ჩვენი მკითხველი.**

საქმე ის არის, რომ ჩვენმა „ძალიან სპეციალურმა კორესპონდენტმა იქიდან“ სიხარულით შეგვატყობინა საქართველოს თავდაცვის მინისტრის კიდევ ერთი გონებრივი გამარჯვების შესახებ ჩვენს უშუალო მტერზე.

კონკრეტულად: **თინა ხიდაშელმა დიდი ფიქრის, დაკვირვების, დაზვერვის მონაცემების ღრმა გაანალიზებისა და შინაგანი ხმის ყურისგდების შედეგად რუსეთის პრეზიდენტს ყველაზე დახურული კარტი გაუხსნა.**

დიახ, როგორც კრემლის ერთ-ერთ შადრევანში ჩუმად შეპარული ჩვენი წყარო იუწყება, **ვლადიმერ პუტინი შოკშია.**

მისი ასეთი შოკური მდგომარეობის მიზეზი კი ჩვენი თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელია, კერძოდ, მისი სენსაციური განცხადება: **„რუსეთს ამოცანად აქვს დასახული ნატოს გაფართოებისთვის პრობლემის შექმნა“. ეს ფრაზა ქალბატონმა თავდაცვის მინისტრმა მსოფლიოს გასაგონად თქვა. ამის დამადასტურებელ ფოტო-„სქრინშოტს“ აქვე გთავაზობთ.**

წარმოიდგინეთ, **რა დღეში იქნება ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი! წლების განმავლობაში ასე გულდაგულ ნამალავი, გასაიდუმლოებული ჩუმი ჩანაფიქრის ასე უცებ და უდროოდ გამოაშკარავება განა იოლი გადასატანია?!**

აქამდე ხომ მთელ მსოფლიოს ეგონა, რუსეთი და, კერძოდ, ვლადიმერ პუტინი მიესალმებოდა ნატოს გაფართოებას, მხარს უჭერდა ამ პროცესს და აღფრთოვანებით ელოდა დღეს, როდესაც ჩრდილოატლანტიკური სამხედრო ალიანსი სტრატეგიულ რაკეტებს ზედ რუსეთის საზღვართან განალაგებდა.

**ეს ეშმაკი და თვალთმაქცი პუტინი თურმე თავს ისე იჭერდა და ისეთ სახეს იღებდა, გამოუცდელ თვალს ეგონებოდა, ერთი სული აქვს, ნატო როდის გაფართოვდებაო, მაგრამ ჩვენს გამოცდილ, გონიერ და ფენომენალური ქალური ინტუიციით დაჯილდოებულ თინა-მინისტრს რამეს გამოაპარებ?**

აგე! აილო და პირდაპირ ლეწა, — რუსებს ნატოს გაფართოება არ უნდათო!

დადგეს ახლა ეს გაიძვერა ვლადიმეროვიჩი და ამტკიცოს, — როგორ გეკადრებათ, მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება სწორედ ნატოს გაფართოებისთვის ვილვწი და ვიხარჯებიო.

თინასგან ასეთი გაშიფვრის შემდეგ ვილა დაუჯერებს?!

დაიმსხვრა, აგრეთვე, ის მითი, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს მსოფლიოში ყველაზე ხუმარა კაცის იმიჯი რომ ჰქონდა. ხომ გახსოვთ, **სერგეი ლავროვი** როდესაც გამოდიოდა ხოლმე პრესკონფერენციებზე, ყოველთვის პირდაპირ ამბობდა: „რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს ნატოს გაფართოებას, ეს ჩვენს სტარეტგიულ ინტერესებში არ შედის და ყველა ხერხით შევეწინააღმდეგებით ამ სამხედრო ალიანსის გაფართოებასო“.




## თინა ხიდაშელმა დიდი ფიქრის, დაკვირვების, დაზვერვის მონაცემების ღრმა გაანალიზებისა და შინაგანი ხმის ყურისგდების შედეგად რუსეთის პრეზიდენტს ყველაზე დახურული კარტი გაუხსნა

ალბათ, ისიც გახსოვთ, როგორ ხარხარებდნენ პრესკონფერენციებზე დამსწრენი ამის მოსმენისას და ლავროვიც თვალთმაქცობდა, თითქოს იხუმრა. მაგრამ უკვე ისიც გაშიფრულია და **თინა ხიდაშელმა მსოფლიოს გააგებინა, რომ ლავროვის ამ გამოსვლებს სინამდვილეში იუმორთან საერთო არაფერი აქვს. ლავროვის „ხუმარა“ იმიჯი მხოლოდ და მხოლოდ მსოფლიოსთვის თვალის ახვევის საშუალება იყო და სხვა არაფერი.**

სხვათა შორის, ექსპერტები უკვე აღარ გამორიცხავენ იმასაც, რომ ასევე გამართლდება ***პაატა ზაქარეიშვილის*** ამასწინანდელი განცხადება: **„მე მგონია. ვლადიმერ პუტინი მხოლოდ რუსეთის ინტერსებით მოქმედებსო“.**

მართალია, ზოგიერთმა უგუნურმა ზაქარეიშვილს ამ განცხადების გამო დასცინა, მაგრამ საქმეს უკვე ისეთი პირი უჩანს, რომ სულ მალე მას ბოდიშსაც მოუხდიან.

ნამდვილად გაუმტყუნდებათ პროგნოზები იმ ექსპერტებს, რომლებსაც ეგონათ, რომ პუტინი პაკისტანის, ნიკარაგუის ან თუნდაც ტანზანიის ინტერესებით მოქმედებდა. **აი, ნახავთ, სულ მალე ცხადი თუ არ გახდეს პაატა ზაქარეიშვილის მრავალწლიანი დაკვირვების შედეგად გამოთქმული ვარაუდი, რომ რუსეთის პრეზიდენტი ნამდვილად რუსეთის ინტერესების შესაბამისად მოქმედებს და არა სხვა რომელიმე ქვეყნის.**

მერე რაღას იტყვით? კიდევ დასცინებთ ჩვენს ბრძენ მინისტრებს?

ნათქვამია, თუ მტრის ჩანაფიქრი იცი, ჩათვალე, რომ მტერი უკვე ნახევრად განადგურებული გყავსო.

ასე რომ, ძრწოდე და ცახცახებდე, კრემლო!

**ჩვენმა გამჭრიახმა მინისტრებმა თქვენი ბედოვლათი მმართველების ჩანაფიქრები უკვე გაშიფრეს!**

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ ვერ მივაღწიეთ იმას, რომ მურუსიძისნაირი მოსამართლეები ქვეყანაში აღარ იყვნენ, მაშინ ჩათვალეთ, რომ დავმარცხდით. რაც შეეხება მურუსიძის მფარველებს, ამას ჩვენთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ჩვენ გავიმარჯვებთ, იუსტიციის საბჭო უნდა დაიშალოს.**



# ირაკლი კაკაბაძე: ან შევაკვდებით, ან მურუსიძეს დავამთავრებთ

**უკვე მერამდენე წელიწადია, ჟურნალისტი ნინია კაკაბაძე შობის ბრწყინვალე დღესასწაულის შემდეგ საზოგადოებას თავისი ეპატაჟური გამოსვლებით ახსენებს თავს. პატრიარქს ხან ზარების რეკვის ხანგრძლივობაზე ედავება, ხან — ქონებასა და საკუთრებაზე.**
**ნინია კაკაბაძის განცხადება ილია მეორის ქონებაზე არავისთვის იქნებოდა ცნობილი, მის ძმას — მწერალსა და ადამიანის უფლებათა დამცველ ირაკლი კაკაბაძეს სააშკარაოზე რომ არ გამოეტანა. ჩვენთვის ირაკლი კაკაბაძე მხოლოდ ამ მიზეზით არ აღმოჩნდა საინტერესო, ირაკლიმ და მისმა თანამოაზრეებმა მოსახლეობას სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ლევან მურუსიძის წინააღმდეგ საპროტესტო აქციების დაწყება აუწყეს, იმ ლევან მურუსიძის წინააღმდეგ, რომელსაც ბიძინა ივანიშვილმა დემოკრატიული გზით არჩეული უწოდა. „ეს ახალგაზრდა ადამიანი, რომელიც არის დემოკრატიული გზით არჩეული, იკისრებს პასუხისმგებლობას სასამართლოს დამოუკიდებლობაზე. მას სურს, რომ მოსამართლეს ჰქონდეს ნდობა და პრესტიჟი, სასამართლო კი იყოს დამოუკიდებელი. ეს ადამიანი არის ამის გარანტი“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა. ოპოზიცია, ადვოკატთა კორპუსი და არასამთავრობო ორგანიზაციები ამბობენ, რომ აქციებს დაიწყებენ. აქციებში მონაწილეობის მზადყოფნას რიგითი მოქალაქეებიც გამოთქვამენ. აქციების ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი კაკაბაძეა. მოკლედ, და-ძმა კაკაბაძეები ახალი წლის პირველი დღეებიდანვე ყურადღების ცენტრში მოექცნენ. ვესაუბრებით ირაკლი კაკაბაძეს.**



**— ბატონო ირაკლი, უახლოეს დღეებში მოსამართლე ლევან მურუსიძის წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლებს გეგმავთ. როგორ ფიქრობთ, მიაღწევთ სასურველ შედეგს?**

— მარტო მურუსიძის წინააღმდეგ არ იქნება საპროტესტო აქციები, ამ პროცესში ძალიან ბევრი ადამიანი ჩაერთვება.

**— რას შეიძლება მიაღწიოთ ამ აქციებით? ლევან მურუსიძეს დიდი მფარველი ჰყავს ყოფილი პრემიერის, ბიძინა ივანიშვილის სახით.**

— შეიძლება კი არა, ან შევაკვდებით, ან მურუსიძეს დავამთავრებთ. სიტყვა „შეიძლება“ თქმა არ შეიძლება. მათ თავიანთი სამყოფელიდან გამოვიყვანთ. ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხია — ან სიკვდილი ან გადარჩენა. **თუ ვერ მივაღწიეთ იმას, რომ მურუსიძისნაირი მოსამართლეები ქვეყანაში აღარ იყვნენ, მაშინ ჩათვალეთ, რომ დავმარცხდით.**

რაც შეეხება მურუსიძის მფარველებს, ამას ჩვენთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ჩვენ გავიმარჯვებთ, იუსტიციის საბჭო უნდა დაიშალოს.

**— მურუსიძის შესახებ მნიშვნელოვანი დასკვნა ევროპულმა სასამართლომაც გამოაქვეყნა... დღეს, როდესაც ქვეყანაში ასეთი ამბავია ამ ერთი, ძალიან საეჭვო რეპუტაციის მქონე მოსამართლის გარშემო, საქართველოში მოქმედი არც ერთი საელჩო არ გამოხმაურებია, ამ საკითხზე კომენტარი არ გაუკეთებია?**

— ეს ჩვენი გასაკეთებელი საქმეა, მურუსიძე ჩვენი ქვეყნის მოსამართლეა და ჩვენვე უნდა ვიმოქმედოთ. ამ საქმეს სხვების დაუხმარებლად მოვაგვარებთ. იუსტიციის საბჭოს დავშლით. ღარიბაშვილი უნდა გადამდგარიყო. თუ ეს გადაწყვეტილება თვითონ მიიღო, მაშინ მას დროულად მიუღია. ქვეყანას კიდევ რომ ჰყავს მურუსიძეები, ეს სწორედაც ღარიბაშვილის დამსახურებაა, ვერ მოერია პოლიციურ რეჟიმს, ვერ გაუმკლავდა, საკუთარი თუ ცოლის ნათესავების ტყვეობას ვერ დააღწია თავი, პოლიციას თითქმის მძევლად ჰყავდა აყვანილი.

**— აუცილებლად უნდა შეგეკითხოთ თქვენი და პატრიარქის შეხვედრის შესახებ. ძალიან განაწყენებულია უწმინდესი თქვენს დაზე?**

— ამ საკითხზე ბევრი ვილაპარაკე, დავწერე კიდეც. პატრიარქს ჩემი სურვილით ვეახლე, იქ მარტო არ ვიყავით, იქ ბევრი და ცნობილი ადამიანი იყო. შობის შემდეგ მშვენიერი საღამო გაიმართა.

რაც შეეხება ჩემს დას, მე და პატრიარქს ამაზე განსაკუთრებული არაფერი გვითქვამს, უბრალოდ, რაღაც იყო გამოქვეყნებული პატრიარქის კერძო საკუთრებაზე. ამ საკითხზე მან ორიოდე სიტყვით უწყინრად მითხრა თავისი სათქმელი.

**— ბატონო ირაკლი, 2016 საარჩევნო წელია, რომელიც პრობლემებით დაიწყო... ღარიბაშვილის წასვლის დეტალები ჯერ კიდევ გაურკვეველია, გაურკვეველია ისიც, რას აპირებს, პრობლემებია საარჩევნო კოდექსში. მურუსიძისა და იუსტიციის საბჭოს გამო საპროტესტო აქციები დაიწყება...**

— წინასწარ იმის განჭვრეტა, როგორი არჩევნები იქნება, მშვიდად ჩაივლის თუ ქაოსურად, ძნელია, მაგრამ ფაქტია, რომ ახალ პრემიერმინისტრზე დიდ იმედებს ამყარებენ, ხალხს ის მოსწონს. საერთოდ, ყველაფერი მთავრობაზეა დამოკიდებული, აუცილებელია სოციალური პრობლემების მოგვარება, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია იმ ათასობით ქართული ოჯახებისთვის ყურადღების მიქცევა, რომლებსაც ბანკების „წყალობით“ სახლები აღარ აქვთ. მოკლედ, თუ სოციალური პრობლემები არ მოგვარდება, ყველაფერი ძველებურად დარჩება.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

# გავის თამაში «ევროკავშირულად»

**გასული წლის 23 დეკემბერს ევროკავშირის ფინანსურად დაჩაგრულ წევრ საბერძნეთს თავს დიდი უბედურება დაატყდა — ამ სახელმწიფოს პარლამენტმა მოიწონა შესწორებები კანონში „ერთნაირსქესიანთა კავშირების ლეგალიზაციაზე“. აღსანიშნავია, რომ ეს შესწორებები დაამტკიცა საკანონმდებლო ორგანოს წევრთა გადამწყვეტმა უმრავლესობამ, კერძოდ, „ხალხის 249 რჩეულმა“ 300-დან. ასე და ამგვარად, ჩვენდა სამწუხაროდ, საბერძნეთი გახდა პირველი მართლმადიდებელი ქვეყანა, რომელმაც, ფაქტობრივად, დააკანონა ჰომოსექსუალთა ქორწინება.**



ცვლილებების თანახმად, აქტიურ და პასიურ პედერასტებსა და ლესბოსელებს კანონის ძალით შეუძლიათ, დადონ ხელშეკრულებები თანაცხოვრებაზე, რომლის უფლებაც მანამდე ჰქონდათ ჰეტეროსექსუალურ (ქალი და მამაკაცი) წყვილებს. კანონის თანახმად, ჰომოსექსუალები, პარტნიორების გარდაცვალების შემთხვევაში, „ჯილდოვდებიან“ ამ უკანასკნელთა კუთვნილი სახელმწიფო სუბსიდიებისა და საპენსიო უფლებების მემკვიდრეობით.

საბერძნეთის პრემიერმინისტრმა, ახალგაზრდა და მომხიბლავმა **ალექსის ციპრასმა**, რომელიც ბერძნულ საზოგადოებას გარკვეულმა ძალებმა 2014 წლის არჩევნების წინ წარუდგინეს „ერის მხსნელად“, ზუსტად ისევე, როგორც ჩვენ 2011-12 წლებში წარმოგვიდგინეს „ოლიგარქი და ქველმოქმედი“ ბიძინა ივანიშვილი, განაცხადა, რომ ეს არის, არც მეტი, არც ნაკლები, „ისტორიული დღე“ ქვეყნისთვის და პარლამენტისთვის, ადამიანის უფლებებისთვის ბრძოლისა და დემოკრატიისთვის. პარლამენტში გამოსვლისას ციპრასმა განსაკუთრებულად აღნიშნა, რომ **„თავისუფალი თანაცხოვრების“ კანონის მიღებამ ბოლო მოუღო** (გონება არ დაკარგოთ — ავტ.) **იმ ჩამორჩენილობასა და სირცხვილს, რომელსაც განვიცდიდით ბერძნული სახელმწიფოს გამო“...**

ე.წ. **ერთნაირსქესიანთა ქორწინებების დაკანონება საბერძნეთში ამ ქვეყნის უბედურებაა, მაგრამ შურისგების დღეც არის, რადგან საბერძნეთის ხელისუფლებამ თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობა მილიარდ ევროდ შეაფასა.**

2013 წლიდან „ევროკავშირი“ დაჟინებით მოითხოვდა საბერძნეთის მთავრობისგან სამოქალაქო კანონმდებლობის რეფორმირებას, რადგან, თურმე „საბერძნეთის დღევანდელი კანონები არღვევდა ადამიანის უფლებების ევროპულ კონცეფციას და არ ითვალისწინებდა ჰომოსექსუალური სამოქალაქო კავშირების დადების შესაძლებლობას“.

2013 წლის ნოემბერში ამჯერად ადამიანის უფლებების ევროპულმა სასამართლომ საბერძნეთის მთავრობას მოსთხოვა, მიეცა ერთნაირსქესიანი წყვილებისთვის უფლება, ჰქონოდათ ისეთივე უფლებები, როგორიც ჰეტეროსექსუალურ წყვილებს „სტაბილური ურთიერთობის დასამყარებლად“.

2014 წლის სექტემბერში საბერძნეთში მიიღეს ე.წ. ანტირასისტული კანონი, რომელიც გულისხმობს ხელშეკრულებას „თავისუფალ თანაცხოვრებაზე“ ერთნაირსქესიანთა კავშირების ჩათვლით. ეს კანონი გამოიყურებოდა, როგორც ჰომოსექსუალთა ქორწინების ლეგალიზების „რეპეტიცია“ და ის უმალ მკაცრად გააკრიტიკა ბერძნულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ. ათენისა და სრულიად ელადის არქიეპისკოპოსმა **იერონიმმა** ბრძანა: **„ეკლესია ცნობს მხოლოდ ქრისტიანულ ქორწინებას, ხოლო, ე.წ. ხელშეკრულება თავისუფალ თანაცხოვრებაზე არის ქორწინების უხეში ნაყალბევი, რომელიც წაახალისებს უპასუხისმგებლობას და ადამიანთა ურთიერთობები დაჰყავს „იყიდე-გაყიდეს“ დონემდე. „ჰომოსექსუალურ თანაცხოვრებას“ აუცილებლად მოჰყვება, თანაც საკანონმდებლო დონეზე, ე.წ. ერთნაირსქესიანთა ოჯახების აღიარებაც“.**

საბერძნეთის ეკლესიის წანამძღვარს მხარი დაუჭირა კალავრიტის მიტროპოლიტმა **ამბროსიმ**, რომლის განცხადების მიხედვით, შეგვიძლია შევაფასოთ ჩვენი ე.წ. პოლიტიკური ელიტაც: **„სამწუხაროა, რომ საბერძნეთის ხელისუფლებაში არიან „ბნელეთისა და უმეცრების“ მოციქულები. არ შეიძლება მათი მოსმენა, არ შეიძლება მათი ნდობა. დიახ, მათ აქვთ უფლება, ფარულად იცხოვრონ ისე, როგორც სურთ, მაგრამ თავიანთი ცოდვების საჯაროდ გამოტანის უფლება მათ არ აქვთ“.**

საყურადღებოა სოლუნის მიტროპოლიტის — **ანთიმეს** განცხადებაც: **„გავიდა ორი ათას თხუთმეტი წელი და, როდის იყო, რომ მამაკაცს ექორწინა მამაკაცზე ან დედაკაცს ექორწინა დედაკაცზე?! ამასთანავე, მათ სურთ, იშვილონ სხვისი შვილები. რისთვის? რომ აღზარდონ? ასე ცხოველებიც არ იქცევიან! შარშან საბერძნეთში იყო მოსახლეობის ნულოვანი მატება. თუ მოვლენები ასე გაგრძელდება, დავიღუპებით და პასუხისმგებლები ჩვენვე ვიქნებით“.**

პირინეის მიტროპოლიტმა **სერაფიმემ** კი ასე მიმართა მრევლს: **„საბერძნეთის მთავრობამ ცინიკურად მოატყუა საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესია. ე.წ. ანტირასისტული კანონის მიღება ძირფესვიანად გარდაქმნის ჩვენს სამართლებრივ კულტურას და ჩვენი სამშობლოს ზნეობრივ იდეალებს... მთავრობამ მოატყუა საბერძნეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდი, როცა იერარქებს დაუმალა ის დამატება კანონის პირვანდელ პროექტზე, რომელიც სჯის არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანის შეურაცხყოფას. ადამიანს აქვს უფლება სექსუალურ ცხოვრებაზე, მაგრამ არა ისეთ დამახინჯებულზე და გარყვნილზე, როგორიც არის ჰომოსექსუალიზმი, პედოფილია და ზოოფილია“.**

როგორც ხედავთ, საბერძნეთის სახელმწიფოს ისტორიაში პირველად მიიღეს კანონი, რომელიც იცავს პედერასტებსა და ლესბოსელებს, სინამდვილეში კი ეს კანონი ადამიანის არსისა და ფიზიოლოგიის დამახინჯებას შეუწყობს ხელს.

საინტერესოა, **ევროკავშირში შესვლის შემთხვევაში, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ცინიკურად თუ მოატყუებინებს თავს ქვეყნის მთავრობას, ისევე, როგორც ეს მოახერხა საბერძნეთის ეკლესიამ; ან კიდევ, როგორ ააცდენს ჩვენი ხელისუფლება საქართველოს ერთნაირსქესიანების ქორწინების კანონის მიღებას მაშინ, როცა ამ საზიზღრობის, მეტიც, სატანიზმის დაკანონება აუცილებელია ევროკავშირის ყველა წევრისთვის?!**

რა ვქნათ? გავპედერასტდეთ „ევროკავშირულად“?

**გიორგი კორძაძე**

**აშშ-ში ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაიღუპა იმაზე მეტი ადამიანი, ვიდრე წლის განმავლობაში იღუპება ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ავსტრალია და დიდი ბრიტანეთი. აღსანიშნავია, რომ 2015 წელს ავსტრიაში, ნორვეგიაში, ახალ ზელანდიაში, სლოვენიაში, ესტონეთში, ჰონგკონგში, ისლანდიასა და ბერმუდის კუნძულებზე ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით სულ დაიღუპა 27 მოქალაქე — რამდენიც მხოლოდ შობა დღეს აშშ-ში.**

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში —კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა, სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მათთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები“ კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას, ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე, ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის, მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

## საახალწლო სექსნადირობა გერმანელ ქალებზე

### კელნში ათასობით მიგრანტმა გერმანელ ქალებსა და გოგონებზე იძალადა




**ახალი წლის ღამეს გერმანიის ქალაქ კელნში, დომის მოედანზე, ტაძრის წინ და რკინიგზის ცენტრალური სადგურის ტერიტორიაზე ახლო აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებიდან 1000-მდე აგრესიულად განწყობილი მიგრანტი მამაკაცი თავს დაესხა გამვლელ ქალებსა და არასრულწლოვან გოგონებს**. მოძალადეები ქალებს უსირცხვილოდ უფათურებდნენ ხელებს მკერდსა და ფეხებზე, ახევდნენ ტანსაცმელს, საცვლებს, აიძულებდნენ ორალურ სექსს, აუპატიურებდნენ, ძარცვავდნენ, შემდეგ კი აბუჩად იგდებდნენ — ესროდნენ პეტარდებს. ეს ყველაფერი კი ხდებოდა ასობით პოლიციელის თვალწინ, რომლებმაც წესრიგი ვერ დაიცვეს, რადგან მოძალადეთა რიცხობრივი უპირატესობის შეეშინდათ.

ანალოგიური რამ, ოღონდ ნაკლები მასშტაბით, მოხდა გერმანიის სხვა ქალაქებშიც — ჰამბურგსა და შტუტგარტში, ამიტომ 2015 წლის საახალწლო ღამეს, ათობით გაუპატიურებული გერმანელი ქალის გამო, „გრძელი ხელების ღამე“ უწოდეს.

პოლიციაში შესული უამრავი განცხადების მიუხედავად, გერმანიის ხელისუფლება 4 იანვრამდე ცდილობდა მომხდარის მიჩქმალვას, მაგრამ ინფორმაცია სოციალურ ქსელებში გავრცელდა და უკიდურესად აღშფოთებული გერმანელები პროტესტის ნიშნად ქუჩაში გამოვიდნენ. ისინი რადიკალური ზომების გატარებას მოითხოვდნენ ხელისუფლებისგან. ბევრს ხელში ეჭირა პლაკატები წარწერით: „ფრაუ მერკელ, სად ხარ?!“.

მერკელის რეაქციამაც არ დააყოვნა — გერმანიის კანცლერმა მოითხოვა, მკაცრი ზომები გაეტარებინათ იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომლებიც მასობრივ სექსუალურ ძალადობაში მონაწილეობდნენ. კელნის მერმა კი გერმანელ ქალებს ურჩია:

***დაიცვან დისტანცია (გაშვერილი ხელის მანძილზე);**

***საკუთარი ინიციატივით არ მივიდნენ უცხო ადამიანებთან;**

***ქუჩაში იარონ ჯგუფებად.**

**ცნობისათვის:**

**2015 წელს გერმანიამ მილიონზე მეტი ლტოლვილი მიიღო, მათ შორის:**

***სირიიდან — 428,5 ათასი;**

***ავღანეთიდან — 154 ათასი;**

*** ერაყიდან — 122 ათასი.**



კრიზისი მძაფრდება: გერმანელები ლტოლვილებს დიდ საშიშროებად მიიჩნევენ (ხელისუფლება ამის შესახებ საჯაროდ არაფერს იტყვის, მით უმეტეს — უახლოეს ხანში), ლტოლვილები კი, თავის მხრივ, თავს უსაფრთხოდ ვერ იგრძნობენ გერმანიის მიწაზე, რადგან დიდია მათ მიმართ სიძულვილი.

როგორც ჩანს, გერმანიამ ამდენი ლტოლვილის მიღებით იმაზე მეტი იტვირთა, ვიდრე შეეძლო. ცხადია, რომ ლტოლვილებისა და თავიანთი თავის უსაფრთხოების უზრუნველყობა გერმანელებს არ შეუძლიათ. და, ვიდრე გერმანიის ხელისუფლება დუმს, ვიდრე ეშინია შეცდომის აღიარების, ზარალდებიან ჩვეულებრივი მოქალაქეები და ლტოლვილი ქალები და ბავშვები.

მაგრამ მიგრაციულ პოლიტიკაზე უარის თქმა გერმანიას არ სურს, გერმანიას ხომ არაფერი ეშლება, ისევე, როგორც დასავლეთის სხვა ქვეყნებს?!

კონფლიქტი კი თავისით არ მოგვარდება...






**P.S. 8 იანვარს გერმანელმა სამართალდამცველებმა ქვეყნის სამხრეთში, ქალაქ ვაილ-ამ-რაინში დააკავეს ორი სირიელი ახალგაზრდა მამაკაცი, რომლებიც ეჭვმიტანილები არიან ახალი წლის ღამეს 14 და 15 წლის ორი გოგონას გაუპატიურებაში.**

მოამზადა

**ნიკა კორინთელმა**




## შობას ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით 27 ამერიკელი დაიღუპა

**აშშ-ში შობას 27 ადამიანი დაიღუპა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით, 63 — დაიჭრა, 2-მა კი სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ეს მონაცემები, რომლებიც ორგანიზაცია Gun Violence Archive-მა მოიპოვა, გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა“ გამოაქვეყნა.**



გამოცემის ექსპერტის აზრით, ეს ვითარება არის „პირქუში შეხსენება იმისა, რომ აშშ-ში ძალადობას არდადეგები არ აქვს“. სტატიის ავტორი ხაზს უსვამს, რომ მხოლოდ ერთ დღეს — შობას — აშშ-ში ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაიღუპა იმაზე მეტი ადამიანი, ვიდრე წლის განმავლობაში იღუპება ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ავსტრალია და დიდი ბრიტანეთი. აღსანიშნავია, რომ 2015 წელს ავსტრიაში, ნორვეგიაში, ახალ ზელანდიაში, სლოვენიაში, ესტონეთში, ჰონგკონგში, ისლანდიასა და ბერმუდის კუნძულებზე ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით სულ დაიღუპა 27 მოქალაქე — რამდენიც მხოლოდ შობა დღეს აშშ-ში.

ორ შემთხვევაში, რომელიც საზეიმო დღეს მოხდა, მასობრივი სროლა ატყდა, შედეგად დაიღუპა 4-ზე მეტი ადამიანი.

Gun Violence Archive-ის მონაცემებით, აშშ-ში ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ყოველდღიურად საშუალოდ 36 ადამიანი იღუპება, და 2015 წლის შობას მომხდარი წესია და არა გამონაკლისი.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**1941 წლის 24 ივნისს პოლიტბიუროზე მიღებული დადგენილების საფუძველზე იმავე წლის 11 სექტემბერს შეიქმნა სატანკო მშენებლობის სამინისტრო ვიაჩესლავ მალიშევის ხელმძღვანელობით, რომელმაც სატანკო მშენებლობა ურალს გაღმა გადაიტანა. სატანკო თუ საარტილერიო დანადგარები, რომლებიც მალიშევის ინიციატივით იქმნებოდა, ძალიან აძლიერებდა საბჭოთა კავშირის სამხედრო პოტენციალს და იგი დღითიდღე უტოლდებოდა გერმანულ სატანკო ნაწილებს, ცოტა ხანში კი გადააჭარბა კიდეც, როგორც რაოდენობრივად, ასევე ხარისხობრივად.**

# შეხვედრები სტალინთან

## ვიაჩესლავ მალიშევი და სტალინი

**ქვემომოყვანილ წერილში მოგითხრობთ ვიაჩესლავ მალიშევზე, საბჭოთა კავშირის სატანკო მრეწველობის მინისტრზე, კეთილშობილ და განათლებულ ადამიანზე, რომელსაც სტალინმა საბჭოთა კავშირის მთავარი ინჟინერი უწოდა.**




**მალიშევის სახელთან არის დაკავშირებული პირველი ბირთვული და წყალბადის ბომბის წარმოება, პირველი ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა, პირველი ატომური ყინულმჭრელი ხომალდის აგება, დედამიწის პირველი თანამგზავრის გაშვება კოსმოსში**

— რომელი საათია? — ჰკითხა მძღოლმა თავის მინისტრ მალიშევს.

— შენს საათს ჩაეძინა? — იყო პასუხი.

— მე საათი არ მაქვს. ჩემს მეჯვარეს ვაჩუქე ქორწილში, — უპასუხა მძღოლმა.

— სამი საათი და ოცდახუთი წუთია, — მძიმედ უპასუხა მინისტრმა და სადარბაზოსაც მიადგნენ.

მინისტრი ახალი ჩაძინებული იყო, კრემლის ტელეფონმა რომ დარეკა. ბურანში მყოფმა მალიშევმა პოსკრებიშევის ხმა იცნო:

— სასწრაფოდ წამოდით კრემლში. გერმანიამ საზღვარი გადმოლახა. საზღვრისპირა რაიონები იბომბება.

საუბარი აღარ გაგრძელებულა. მალიშევი სასწრაფოდ წამოდგა და დაბლა დაეშვა. სადარბაზოსთან უკვე ელოდებოდა მანქანა. ცოტა ხანიც და სტალინის მოსაცდელში იყო.

„სტალინთან პოლიტბიუროს წევრები, მარშლები და სახალხო კომისრები რიგის მიხედვით შედიოდნენ. მე, როგორც საშუალო მანქანათმშენებლობის მინისტრს, შავი მეტალურგიის მინისტრ **ივანე თევოსიანთან** ერთად მომიწია სტალინთან შესვლა. მისალმების შემდეგ სტალინმა მოგვმართა:

— სწრაფად შემოდით და დასხედით მაგიდასთან! ამხანაგო თევოსიან, შეგიძლიათ თუ არა ყოველდღიურად მოგვცეთ 250 ტანკი?

— უნდა გავიავნგარიშოთ და ისე მოგახსენოთ, ამხანაგო სტალინ.

— გაძლევთ ორ დღე-ღამეს საკითხის მოსაფიქრებლად და მოსამზადებლად.

— თქვენ რას იტყვით, საშუალო მანქანათმშენებლობის მინისტრო, რამდენი ტანკი შეგიძლია გამოუშვა?

— ამხანაგო სტალინ, ასეთი წესით ტანკების გამოშვებას ორგანიზებას ვერ გავუწევთ და პროგრამა არ შესრულდება. ერთი სამინისტრო იძლევა ფოლადს, მეორე — ჯავშანს, მესამე — ძრავებს. ათასი წვრილმანია გაბნეული სხვადასხვა უწყებაში. ტანკი ჩვენი თავდაცვისა და მტერზე გამარჯვების ძირითადი იარაღია, ამიტომ ყველა ეს დარგი ერთ ძლიერ მუშტად უნდა შევკრათ და ერთ უწყებას ჩავაბაროთ ტანკების გამოშვება. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში ტანკი იმდენი გვეყოლება, რამდენიც საჭირო იქნება“, — იგონებს მალიშევი.

მალიშევის გაბედულებამ და თვალსაზრისმა სტალინსა და პოლიტბიუროს სხვა წევრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ჯერ კიდევ ჩაუმქრალ ჩიბუხს სტალინმა ხელი დაავლო, სათათბირო მაგიდას შემოუარა და მალიშევს ცხვირწინ გაუჩერდა:

„ამხანაგო მალიშევ, სასწრაფოდ დაიწყეთ მთავრობის დადგენილების პროექტის მომზადება სატანკო მშენებლობის სამინისტროს შექმნის თაობაზე! მოგეხმარებათ თევოსიანი. გაითვალისწინეთ, რომ ახალშექმნილ ტანკმშენებლობის სამინისტროს თქვენ უხელმძღვანელებთ. დადგენილების პროექტი 24 ივნისისთვის მზად უნდა იყოს პოლიტბიუროზე განსახილველად“.

24 ივნისს, 12 საათზე, მალიშევმა სტალინის კაბინეტის კარი შეაღო. უძინარმა და მშიერმა მინისტრმა მექანიკურად ორივე ხელით სახე მოისრისა, გონზე რომ მოსულიყო, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენილა სტალინისთვის.

— თქვენ ორი დღის უძინარი და უჭმელი ხართ, რისთვისაც საყვედურს გიცხადებთ. მე არ მჭირდება უძინარი, მშიერი და დასუსტებული მინისტრები, — უთხრა სტალინმა და ზარს თითი დააჭირა. კაბინეტში პოსკრებიშჩევი შემოვიდა.

— მოამზადეთ დადგენილების პროექტი იმის შესახებ, რომ ყველა მინისტრმა დღეღამეში აუცილებლად იძინოს 7 საათი. დააწესეთ კონტროლი დადგენილების შესრულებაზე და შედეგები პერიოდულად მომახსენეთ, — ბრძანა სტალინმა.

— თქვენც უძინარი ხართ, ამხანაგო სტალინ, — შეჰბედა მალიშევმა.

— ეხ, მალიშევ! მე უკვე ბებერი ვარ, ჩემი ორგანიზმი ბევრ ძილს არ ითხოვს, თქვენ კი ახალგაზრდა ხართ და ორგანიზმი აუცილებლად უნდა დაასვენოთ.

სტალინი დადგენილების პროექტს გაეცნო. მალიშევი, როგორც მინისტრი, სხვა მინისტრების კომპეტენციაში არ შეიჭრა და მათ გარკვეული ადგილი დაუტოვა ტანკმშენებლობაში.

— თქვენ, ამხანაგო მალიშევ, გინდათ, რომ მგლებიც მაძღარი გყავდეთ და ცხვრის ფარასაც ერთი სული არ აკლდეს?! — ასე არ გამოვა. სატანკო მშენებლობასთან დაკავშირებული ყველა მინისტრი უნდა ჩაითვალოს თქვენს მოადგილედ. მათ ისევე უნდა მოსთხოვოთ, როგორც თქვენს თანამშრომლებს. ეს ყველაფერი დადგენილების პროექტში უნდა აისახოს. უნდა ჩაატაროთ ერთიანი საწარმოო თათბირი და თითოეულს უნდა მოსთხოვოთ, პასუხისმგებლობით მოეკიდონ დავალების შესრულებას“.

ვიაჩესლავ მალიშევმა სტალინის კაბინეტი დატოვა და უმალ თავის კაბინეტს მიაშურა. შემდეგ კი სასწრაფოდ თანაშემწე იხმო.

— ხვალ, 12 საათზე, შედგება საწარმოო თათბირი, რომელზეც აუცილებლად უნდა დაესწრონ მინისტრები: თევოსიანი, კოტინი (და ჩამოთვალა ყველა იმ მინისტრის სახელები, რომლებსაც შეხება ჰქონდათ სატანკო მშენებლობასთან — გრ. ონიანი)... თათბირი გაიმართება ჩემს სამუშაო კაბინეტში დღის წესრიგით: სატანკო მშენებლობის სწრაფი განვითარების გზები და მეთოდები. თათბირზე მხოლოდ სამინისტროთა პირველი პირები იქნებიან დაშვებულნი, — მტკიცედ განუცხადა მალიშევმა თავის თანაშემწეს, რომელიც გაოცებული შესცქეროდა თავის მინისტრს.

— ეს როგორ, ამხანაგო მინისტრო, ჩვენს თათბირზე მინისტრები გამოვიძახო? — იკითხა ფერწასულმა თანაშემწემ.

— სასწრაფოდ შეასრულე ჩემი ბრძანება! — სტალინის დავალებაა.

თვალებგაფართოებულმა და გაამაყებულმა თანაშემწემ ქუსლები ერთმანეთს მიარტყა, სალამი მომცა და ბედნიერმა შემომძახა: „არის ამხანაგო მინისტრო, შევასრულო თქვენი ბრძანება!“ — შემდეგ კი ოთახიდან სამწყობრო ნაბიჯით გავიდა“, — იგონებს მალიშევი.

**აი, ამ კაცზე — კეთილშობილ, უაღრესად განათლებულ და მოწესრიგებულ ადამიანზე — ვიაჩესლავ მალიშევზე მოგითხრობთ დღევანდელ წერილში.**

**ვიაჩესლავ ალექსანდრეს ძე მალიშევი** 1902 წელს დაიბადა ქალაქ სიკტივკარში. 1924 წელს დაამთავრა სარკინიგზო ტექნიკუმი. 1918-1920 წლებში მუშაობდა სახალხო სასამართლოს მდივნის თანაშემწედ, 1924 — 1926 წლებში რკინიგზის დეპოში მემანქანის თანაშემწედ. 1927 წელს შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში. 1934 წელს დაამთავრა ბაუმანის სახელობის რკინიგზის უმაღლესი სასწავლებელი. 1934-1939 წლებში მუშაობდა განსაკუთრებულ! სექტორის საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსის მოადგილედ, შემდეგ გადაიყვანეს კოლომენსკის კუიბიშევის სახელობის ქარხნის დირექტორად. ყველა სამუშაო ადგილზე გამოჩენილი ცოდნისა და საქმისადმი ერთგულების გამო არჩეული იქნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეთვრამეტე ყრილობის დელეგატად. ყრილობაზე მანმოსალოდნელი ომის შესახვედრად მზადყოფნის შესახებ წარმოთქვა საპროგრამო სიტყვა, რომელმაც ყრილობის მთელ შემადგენლობაზე და თვით სტალინზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. შემდეგ მალიშევი დაინიშნა მძიმე მანქანათმშენებლობის მინისტრად. 1940-1944 წლებში იყო სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. ამასთანავე, ხელმძღვანელობდა საშუალო მანქანათმშენებლობის სამინისტროს, შემდგომ კი — სატანკო მშენებლობის სამინისტროს. ის იყო ერთადერთი მინისტრი, რომელიც პოლიტბიუროს წევრად აირჩიეს სტალინის სიცოცხლეში (როგორ არ ჰგავს თანამედროვე მინისტრების ცხოვრებისა და შრომის გზას! — გრ. ონიანი).

1941 წლის 24 ივნისს პოლიტბიუროზე მიღებული დადგენილების საფუძველზე იმავე წლის 11 სექტემბერს შეიქმნა სატანკო მშენებლობის სამინისტრო ვიაჩესლავ მალიშევის ხელმძღვანელობით, რომელმაც სატანკო მშენებლობა ურალს გაღმა გადაიტანა. სატანკო თუ საარტილერიო დანადგარები, რომელიც მალიშევის ინიციატივით იქმნებოდა, ძალიან აძლიერებდა საბჭოთა კავშირის სამხედრო პოტენციალს და იგი დღითიდღე უტოლდებოდა გერმანულ სატანკო ნაწილებს, ცოტა ხანში კი გადააჭარბა კიდეც, როგორც რაოდენობრივად, ასევე ხარისხობრივად.

**მალიშევის სახელთან არის დაკავშირებული პირველი ბირთვული და წყალბადის ბომბის წარმოება, პირველი ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა, პირველი ატომური ყინულმჭრელი ხომალდის აგება, დედამიწის პირველი თანამგზავრის გაშვება კოსმოსში.**

1954 წელს წყალბადის ბომბის გამოცდისას მალიშევი პოლიგონზე იდგა და ხელმძღვანელობდა მსოფლიოში ურთულეს საქმეს — წყალბადის ბომბის გამოცდას, სადაც დიდი დოზით მიიღო დასხივება, რის გამოც ექიმების უდიდესი ძალისხმევის მიუხედავად მხოლოდ 3 წელი იცოცხლა და 1957 წელს 54 წლისა გარდაიცვალა. მალიშევის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც მისი სამუშაო კაბინეტი გააღეს და სეიფი გახსნეს, სხვა საიდუმლო პროექტებსა და მიმოწერასთან ერთად აღმოჩნდა მისი დღიურებიც, რომლებშიც აღწერდა სტალინთან შეხვედრებს.

**ცნობისთვის: 1939-დან 1953 წლამდე, სტალინის გარდაცვალებამდე, მალიშევს ბელადთან 107-ჯერ ჰქონდა საქმიანი შეხვედრა და საუბარი როგორც კრემლის სამუშაო კაბინეტში, ასევე კრემლის ბინაში და კუნცევოს აგარაკზე.** ვიაჩესლავ მალიშევის ჩანაწერები, მიუხედავად ანტისტალინური ისტერიისა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან აღმოჩენად ჩაითვალა და, რადგან ის კრემლის რამდენიმე მაღალჩინოსანს უკვე წაკითხული ჰქონდა, კაცთმოძულე **ნიკიტა ხრუშჩოვმა** ველარ გაბედა, გაენადგურებინა მალიშევის ეს ძვირფასი დანატოვარი და ბრძანა, საიდუმლოდ შეენახათ სტალინის არქივში.

ახლა, როდესაც სტალინის არქივის მასალების საერთო რაოდენობის რამდენიმე პროცენტის ნახვა და დამუშავება დაუშვეს, დღის სინათლე ნახა მალიშევის ამ მეტად საინტერესო და ყურადსაღებმა ჩანაწერებმა, რომლის ზოგიერთ ამონარიდსაც გაგაცნობთ.

მალიშევი იგონებს 1939 წლის 13 სექტემბრის პოლიტბიუროს სხდომას, რომელზეც სიტყვით გამოვიდა სტალინი. მან კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ქვანახშირის მრეწველობის მინისტრი **ლაზარ კაგანოვიჩი** და სამინისტროს წარუმატებელი მუშაობა კაგანოვიჩის უცოდინარობას დააბრალა, რომელმაც არ იცის, როგორ უნდა შეარჩიოს და გაანაწილოს კადრები. აი, რა ჩაწერა დღიურში მალიშევმა:

„ამხანაგმა სტალინმა მოიყვანა ორი მაგალითი იმის შესახებ, როგორ ცუდად ზრდის ამხანაგი კაგანოვიჩი ხალხს. მაგალითები ეხებოდა ამხანაგებს — იზოტოვსა და დიუკანოვს. სტალინმა პირდაპირ მიუთითა იმაზე, რომ ეს ამხანაგები არ იყვნენ მზად ქვანახშირის კომბინატის უფროსებად მუშაობისთვის, ისინი კი მაინც წარადგინეს ამ თანამდებობებზე. სტალინმა განსაკუთრებულად მიუთითა იმაზე, როგორ არის საჭირო ხალხის აღზრდა... კარგი სტახანოველია? — დანიშნე ის შახტის უფროსად, დააკვირდი, დაეხმარე, იმუშაოს, როგორც საჭიროა, შემდგომში შეიძლება სასწავლებლად გაიგზავნოს. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მისი წარდგენა ტრესტის თუ კომბინატის უფროსად. ამხანაგმა სტალინ- ▶

გრიგოლ ოնიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1939-დან 1953 წლამდე, სანამ სტალინის გარდაიცვლებოდა, მალიშევს ბელადთან 107-ჯერ ჰქონდა საქმიანი შეხვედრა და საუბარი, როგორც კრემლის სამუშაო კაბინეტში, ისე კრემლის ბინაში და კუნცევოს აგარაკზე. ვიაჩესლავ მალიშევის ჩანაწერები, მიუხედავად ანტისტალინური ისტერიისა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან აღმოჩენად ჩაითვალა და, რადგან ის კრემლის რამდენიმე მაღალჩინოსანს უკვე წაკითხული ჰქონდა, კაცთმოძულე ნიკიტა ხრუშჩოვმა ველარ გაბედა, გაენადგურებინა მალიშევის ეს ძვირფასი დანატოვარი და ბრძანა, საიდუმლოდ შეენახათ სტალინის არქივში.**

**«როდესაც ვანიუკოვმა შენიშვნა არ მიიღო, სტალინმა ბრძანა, სხდომაზე შემოეტანათ შაშხანა. პოლიტბიუროს წევრებისა და დამსწრე ამხანაგების შემოწმებით, შაშხანა მართლაც კარგი იყო, მაგრამ ხიშტი ბლაგვი აღმოჩნდა. სტალინი თავის მაგიდასთან ჩამოჯდა, აიღო ფანქარი და ფურცელი და მკაფიოდ დახაზა, როგორი უნდა ყოფილიყო ხიშტი და სად უნდა ალესილიყო. შემდეგ ნახაზი ვანიუკოვს გადასცა. სტალინის დამახასიათებელი თვისებაა ხალხის მოსმენის უნარი. ის ყოველთვის ისმენს საწინააღმდეგიო აზრსა და წინადადებას, თითქოს ყველაზე უმნიშვნელოსაც კი. მუდამ ითვალისწინებს ყველა გარემოებას და მხოლოდ ამის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას»**

◀ მა მიუთითა, რომ სტახანოველი შახტის უფროსიც კი მიჩვეულია კონკრეტული ხალხის ხელმძღვანელობას, კომბინატის უფროსმა კი უნდა იცოდეს ბალანსი, ფინანსები და სისტემურად უნდა აზროვნებდეს. ეს კი უნდა აღიზარდოს ადამიანებში. ძნელია, მეხსიერებაში ყოველივე იმის აღდგენა, რაზეც საუბრობდა ამხანაგი სტალინი, მაგრამ მისი გამოსვლა განსაკუთრებულად ძლიერი იყო. შემდგომ სტალინმა დასძინა: „ახლა ამხანაგი იზოტოვი და დიუკანოვი უკან უნდა დავწიოთ. დავამახინჯეთ ხალხი და ვინ არის ამაში დამნაშავე? იგივე ხდება გზებისა და კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატში. ამხანაგ კაგანოვიჩთან საკადრო არეულობაა. ჩვენ ცენტრალურ კომიტეტში იძულებული შევიქენით, აგვეკრძალა ამხანაგ კაგანოვიჩისთვის ყოველდღიური საკადრო ცვლილებები“.

ძალიან ბევრი რამ გვასწავლა მეც და იქ დამსწრეთ ამხანაგ სტალინის ამ შესანიშნავმა გამოსვლამ.

1939 წელი 21 დეკემბერი — დღეს სტალინის დაბადების 60 წლისთავია. მიმდინარეობს თავდაცვის კომიტეტის სხდომა, — იხსენებს მალიშევი. კომიტეტის სხდომაზე გამოიტანეს დადგენილების პროექტი, რომელიც რთული ენით არის დაწერილი, რომლის გაგება მხოლოდ სპეციალისტს შეუძლია, ხანგრძლივი კამათის შემდეგ სიტყვით სტალინი გამოვიდა და განაცხადა:

„მე ამ დადგენილებას ხელს არ მოვაწერ, რადგან ეს ხალხის ენაზე არ არის დაწერილი, თქვენ თუ დაგავიწყდათ ხალხის ენაზე საუბარი, მე იგი არ დამვიწყებია“.

ყველა სტალინს შევყურებდით და ვგრძნობდით, რომ ხალხის ბელადი გვესაუბრებოდა და გვსაყვედურობდა. ეს მცირე ფაქტია, მაგრამ ამაში მთელი სტალინია, ნამდვილი სახალხო ბელადი“, — ასკვნის ბოლოს მალიშევი.

ერთხელ პოლიტბიუროზე განიხილებოდა თავდაცვის ზოგიერთ ქარხანაში სამუშაო დღის ხანგრძლივობის გაზრდის საკითხი, სადაც ბუნდოვნად იყო ასახული, როგორც დროის განსაზღვრის, ასევე ზედმეტ საათებში მუშაობის ასანაზღაურებელი თანხის რაოდენობა. სტალინმა რამდენიმეჯერ ითხოვა საკითხის დაზუსტება, რამდენჯერ მოიმატებდა მუშის ხელფასი იმ ზედმეტი საათებისთვის, როცა ის ქარხანაში იმუშავებდა, მაგრამ, როდესაც გარკვეული პასუხი ვერ მიიღო, განაცხადა:

„ამ გადაწყვეტილებას მე ხმას არ მივცემ, ვიდრე ანაზღაურების საკითხი არ გადაწყდება“. და იქვე მჯდომ **შვერნიკს** მიმართა:

— შენ მუშათა წარმომადგენელი ხარ და ჩუმად ზიხარ, როდესაც მე ვიბრძვი თქვენ მაგიერ, — ღიმილით გადახედა შვერნიკს და საკითხიც განხილვიდან მოიხსნა.

სტალინის დამახასიათებელი თვისებაა ყველა წვრილმანში ჩაწვდომა, განსაკუთრებით, თუ ეს წვრილმანები ასე თუ ისე ეხება ხალხს“, — დასძენს მალიშევი.

„თავდაცვის კომიტეტის ერთ-ერთ სხდომაზე სტალინმა მიმართა შეიარაღების სახალხო კომისარს, რომ თვითსატენ შაშხანას აქვს დეფექტები, — შაშხანას ხიშტი ბლაგვი აქვს, არ არის კარგად ალესილი. ვანიუკოვმა გაიკვირვა, — „შაშხანა სახელმწიფო კომისიამ შეაფასა, როგორც კარგი“.

როდესაც ვანიუკოვმა შენიშვნა არ მიიღო, სტალინმა ბრძანა, სხდომაზე შემოეტანათ შაშხანა. პოლიტბიუროს წევრებისა და დამსწრე ამხანაგების შემოწმებით, შაშხანა მართლაც კარგი იყო, მაგრამ ხიშტი ბლაგვი აღმოჩნდა. სტალინი თავის მაგიდასთან ჩამოჯდა, აიღო ფანქარი და ფურცელი და მკაფიოდ დახაზა, როგორი უნდა ყოფილიყო ხიშტი და სად უნდა ალესილიყო. შემდეგ ნახაზი ვანიუკოვს გადასცა. სტალინის დამახასიათებელი თვისებაა ხალხის მოსმენის უნარი. ის ყოველთვის ისმენს საწინააღმდეგიო აზრსა და წინადადებას, თითქოს ყველაზე უმნიშვნელოსაც კი. მუდამ ითვალისწინებს ყველა გარემოებას და მხოლოდ ამის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას.


ვიაჩესლავ მალიშევი

სტალინი ბევრს კითხულობდა და სწავლობდა რუსული არმიის ისტორიას და სამხედროებსა და სარდლებს ყოველთვის მიუთითებდა, რომ ყურადღებით მოჰკიდებოდნენ რუსული არმიის კარგ ტრადიციებს. ერთხელ, როდესაც ფინეთის ომის შედეგებს იხილავდა თავდაცვის კომიტეტის სხდომაზე, განაცხადა შემდეგი:

— ჩვენს სამხედრო ხელმძღვანელებს რუსული არმიის ისტორია რომ შეესწავლათ, მიებაძათ რუსული არმიის კარგი ტრადიციებისთვის, ეცოდინებოდათ, რომ ყველა შესანიშნავი გამარჯვება რუსული არმიის მიერ ზამთარში იქნა მოპოვებული. ალექსანდრე ნეველმა ზამთარში დაამარცხა გერმანელები ჩუდის ტბაზე. ვინაიდან რუსი ჯარისკაცები გაკაჟებული იყვნენ ზამთრის პირობებში ბრძოლისათვის. პეტრე პირველმა ზამთარში დაამარცხა შვედები ფინეთში. ალექსანდრე პირველმა ზამთარში დაამარცხა შვედები ფინეთში და ბოლოს — კუტუზოვმა ზამთარში დაამარცხა ნაპოლეონი.

შემდგომ სტალინმა ყურადღება მიაპყრო ისეთ წვრილმანს, როგორიც არის ორცხობილა. თურმე არმიის რაციონიდან ამოუღიათ ორცხობილა და გალეტებით შეუცვლიათ. გალეტები კი ყინვაში მაგრდებოდა და მათი ჭამა შეუძლებელი იყო. რატომ მოხდა ეს? იმიტომ, რომ არმიის ხელმძღვანელები არ ინტერესდებოდნენ ისეთი საკითხებით, როგორიც იყო არმიის კვება. ნამდვილი გრაფი კუტუზოვი დადიოდა ჯარისკაცებთან და ნახულობდა, რას ჭამდნენ ისინი, ხოლო „თვითნაკეთი გრაფი“ კულიკი ამას არ აკეთებდა.

ჩვენი რიგითი შემადგენლობა შესანიშნავი მასალაა, ხოლო მეთაურთა შემადგენლობა არ აღმოჩნდა სათანადო სიმაღლეზე. ჩვენი ამოცანაა, გავაუმჯობესოდ მეთაურთა შემადგენლობა, აი, მაშინ კი ჩვენი არმია მსოფლიოში საუკეთესო იქნება.

კადრების აღზრდის საკითხს სტალინი ხშირად უბრუნდებოდა თავის გამოსვლებში და ყოველთვის ცდილობდა, ფართო გზა გაეხსნა ახალგაზრდებისთვის, მაგრამ გულს არასოდეს სწყვეტდა შრომაში გაკაჟებულ და ასაკოვან ადამიანებს.

1944 წლის 4 თებერვალს ვოროშილოვის მეუღლის 60 წლისთავს აღნიშნავდნენ ვიწრო წრეში, სადაც მეც ვიყავი მიწვეული, — იგონებს ვიაჩესლავ მალიშევი. სუფრაზე სტალინმა სადღეგრძელო წარმოთქვა:

„მოხუცებმა უნდა გაიგონ, თუ ახალგაზრდებს არ დავუშვებთ ხელმძღვანელობაში, ეს დამღუპველი იქნება. ჩვენ, ბოლშევიკები, იმით ვართ ძლიერნი, რომ თამამად ვაწინაურებთ ახალგაზრდებს. ხანდაზმულებმა ხალისით უნდა დაუთმონ ძალაუფლება ახალგაზრდებს“.

სტალინი შეეხო ჩვენს საქმიანობას საგარეო პოლიტიკაში და აღნიშნა:

„საგარეო პოლიტიკა ტარდება ორი საშუალებით — დიპლომატიითა და არმიით. ჩვენი დიპლომატია კარგად მუშაობს, მაგრამ ის ვერაფერს გახდებოდა, დიდი და თანამედროვე არმია რომ არ გვყოლოდა. ოდესღაც მეფის მთავრობა ოცნებობდა, მშვიდობიან დროს მილიონშვიდასათასიანი არმია ჰყოლოდა, მაგრამ მხოლოდ მილიონ ასიათასამდე შეძლო მისი გაზრდა. ჩვენ კი გვყავს ოთხმილიონიანი კარგად შეიარაღებული არმია. ეს ძალაა, რომელსაც არ შეიძლება, ანგარიში არ გაუწიო საერთაშორისო საკითხების გადაჭრისას, ამიტომ ჩვენ შეგვიძლია წარმატებას მივაღწიოთ საგარეო პოლიტიკაში, რაკი ძლიერი არმია გვყავს“.

1944 წლის 19 ოქტომბერი. კრემლში ჩერჩილის პატივსაცემად სტალინმა სადილი გამართა. სადილზე მიწვეულ სხვა მინისტრებთან ერთად მეც გახლდით. პირველად ვნახე ჩერჩილი. ის ძალზე მოხუცია, — იგონებს მალიშევი. სტალინმა სადღეგრძელო წარმოთქვა და შესვა ომის ღმერთის — არტილერიის სადღეგრძელო. მან დამსწრეთ შესთავაზა, დაელიათ არტილერიის მთავარი მარშლების — ამხანაგ **ვორონოვისა** და ამხანაგ **უსტინოვის** სადღეგრძელო. შემდეგ სტალინმა თქვა:

— ჩვენ გვყავს მინისტრები, ჩვენებურად — სახალხო კომისრები. მათ შესახებ არ წერენ კომუნიკეებში, ისინი ჩრდილში დგანან, მაგრამ დიდ საქმეს აკეთებენ და მათი წარმატებული მუშაობის გარეშე ვერ გავიმარჯვებდით ომში. ისინი ახალგაზრდები და კარგი ხელმძღვანელები არიან. მე გთავაზობთ, შევსვათ საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისრის, ამხანაგ **შახურინისა** და სატანკო მრეწველობის სახალხო კომისრის, ამხანაგ **მალიშევის** სადღეგრძელო.

ჩერჩილმა სტალინის სადღეგრძელო წარმოთქვა:

— მე ვსვამ გაერთიანებული ერების, მუშების, ჯარისკაცებისა და მარშალ სტალინის სადღეგრძელოს, მუშისა და ჯარისკაცის სადღეგრძელოს, რომლებსაც ის თავის თავში აერთიანებს.

დიდი ბრიტანეთის ელჩმა **არჩიბალდ კლარკ კერმა** თავის სადღეგრძელოში თქვა:

— მე ვსწავლობ სტალინისა და მოლოტოვის ქცევას და შევამჩნიე, რომ, როდესაც სტალინი რაიმეთი უკმაყოფილოა, ხშირად ეწევა ჩიბუხს, მაგრამ ბოლო დროს სტალინმა თავი დაანება ჯიბუხს და პაპიროსს ეწევა. ამიტომ უნდა მომენახა სტალინის განწყობის ახალი ნიშანი და მე ის ვიპოვე. როდესაც სტალინი რაიმეთი უკმაყოფილოა, ის ძირს უშვებს თავის ლამაზ ცხვირს, ხოლო როცა კმაყოფილია, მაღლა სწევს.

როდესაც ბატონი მოლოტოვი უკმაყოფილოა, ის ხშირად იხსნის და იკეთებს პენსნეს. ერთხელ ვუთხარი ამის შესახებ ბატონ მოლოტოვს, ახლა ის უფრო ფრთხილად ეპყრობა თავის პენსნეს და ამიტომ ბატონ მოლოტოვის განწყობის გაგება ჩემთვის გართულდა“, — იგონებს ვიაჩესლავ მალიშევი.

**გაგრძელება იქნება**




## უკრაინის საგარეო ვალმა 127 მილიარდ დოლარს გადააჭარბა

**უკრაინის საგარეო ვალი 126 მილიარდიდან 127,53 მილიარდ დოლარამდე გაიზადა.** სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ უკრაინამ რუსეთის 3-მილიარდიანი დავალების გადახდაზე მორატორიუმი გამოაცხადა. რუსული პრესის ინფორმაციით, თუ უკრაინა 20 დეკემბრამდე დავალიანებას არ გაისტუმრებს, რუსეთი სასამართლოში ჩივილს გეგმავს. რუსეთის ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილის — სერგეი სტორჩაკის განცხადებით, უკრაინას ამ პროცესში გამარჯვების შანსი არ აქვს.



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამოხმაურება

**ამა წლის 16 სექტემბერს ჩვენს გაზეთში (№33) დაიბეჭდა პროფესორ გოგი დოლიძის სტატია „გიორგი ლეონიძე — ქართული წიგნის ინკვიზიტორის მორიგი მსხვერპლი“, რომელმაც მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია.** იმავე თვის ბოლოს (30 სექტემბერს) გამოვაქვეყნეთ ქუთაისელი მკითხველის, ქალბატონ ქეთევან დერჩელის გამოხმაურება პროფესორ გოგი დოლიძის უმკაცრესი, მაგრამ სამართლიანი პოზიციის დასაცავად. ახლა კი სტატიის ავტორს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიიდან მოუვიდა ორი წერილი, რომელთაც, ცხადია, უკომენტაროდ ვაქვეყნებთ, რაკი აქ, თანამედროვე ქართველ მეცნიერთა გამოხმაურებაში, ისე ლაკონიურად და ნათლად არის ჩამოყალიბებული აზრი, რომ, ალბათ, არც ბატონ ბონდო კოპაძეს გაუჭირდება მისი გაგება.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2014 წლის 15 თებერვალს ბარაკ ობამამ ხელი მოაწერა ACT S.540-ს. რამდენიმე დღის შემდეგ კიევში მოხდა გადატრიალება, რომელმაც უკრაინაში შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტი წარმოშვა. 14 თებერვალს საუდის არაბეთის, აშშ-ისა და თურქეთის დახმარებით ახლებურად ფორმირებულმა სირიის დამოუკიდებელმა არმიამ მასშტაბური შეტევა დაიწყო სამხრეთ სირიაზე.**

# ჩუმი გადატრიალება აშშ-ში

**2015 წლის ერთ-ერთი მონაპოვარი, რომელსაც ასე მონდომებით ვერ ამჩნევენ მედიასაშუალებები, აშშ-ში მომხდარი „საკონსტიტუციო გადატრიალებაა“, რომელიც გაფორმდა იმ საკანონმდებლო აქტების მიღებით, რომელთა ძალითაც სახელმწიფოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრას ჩამოშორდნენ აშშ-ის კონგრესმენები, ხოლო მათი თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში მიღებულ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობის პერსპექტივა გაქრა.**

2008 წლის კრახის შემდეგ აშშ-ის ფედერალურმა სისტემამ განსაკუთრებული შავი მაგიის გამოყენება დაიწყო. აშშ-ის ფინანსური სისტემის საიმედოობის გაზრდის მიზნით სამუშაოს მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა არა „ქაღალდის ბეჭდვა“ და მისთვის ფულის დარქმევა, არამედ სპეციალური ბანკთაშორისი ოპერაციების ჩატარება, რომელთა შედეგად აშშ-ის ფინანსურ და საკრედიტო დაწესებულებებში ანგარიშებზე თანხა იზრდებოდა. ამ მაგიას QE ერქვა.

თავიდან ჯადოსნურმა სისტემამ აშშ-ის ეკონომიკა 2 ტრილიონით გაზარდა. ეს იყო ეგრეთ წოდებული QE1 და QE2 პროგრამები. ამის შემდეგ ფედერალური სარეზერვო სისტემა რეგულარულად ამატებდა თვეში 40-დან 85 მილიარდ დოლარამდე (QE3), ანუ ყოველთვიურად აშშ-ის ეკონომიკაში 1,5-ჯერ მეტ თანხას დებდა, იმაზე მეტს, რაც რუსეთმა სოჭში ოლიმპიური ობიექტების მშენებლობის საქმეზე შვიდი წლის მანძილზე აითვისა. მაგრამ რუსეთში ამ ხარჯის გაღების შედეგად ოლიმპიური ობიექტები გაჩნდა, აშშ-ში კი... მოხერხდა ეგრეთ წოდებული „ნაგავი აქტივების“ პრობლემების დროებით განეიტრალება.

**2011-2012 წლებში გაჩაღდა სკანდალების მთელი სერია: QE-ს აძლევდნენ არა მათ, ვისაც სჭირდებოდა და არა ისე, როგორც საჭირო იყო. გადასახადების გადამხდელთა ჯიბიდან 4 ტრილიონ დოლარზე მეტი წავიდა: დაახლოებით იმავე თანხით აშშ-ის ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ შეიძინა იპოთეკური ფასიანი ქაღალდები და „ახალი ნულები“ ჩამოურიგა ბანკებს, რომლებიდანაც დაობებული ფინანსური ნაგავი გაიტანა.**

გარკვეული დროის განმავლობაში ამ პროცესის საოცარი გარემოებები აცვიფრებდა და აშფოთებდა ამერიკას:

ამ მომენტისათვის **ფედერალური სარეზერვო სისტემის მაგიის წყალობით აშშ-ის სახელმწიფო ვალი არნახულ ისტორიულ სიმაღლეზე ავიდა. 2013 წელს მოხდა ხმაურიანი SHUTDOWN-ი — აშშ-ის ხელისუფლების მუშაობის შეწყვეტა, რამაც განაპირობა აშშ-ის მიერ ყველაზე მაღალი საკრედიტო რეიტინგის დაკარგვა, ამერიკის ხელისუფლების მუშაობის შეჩერება და პირდაპირი ეკონომიკური დანაკარგები.**

**2013 წელს ნათელი გახდა, რომ QE1-3 მაგიის დახმარებითაც კი აშშ-ს არ შესწევს უნარი, სახელმწიფო ვალის ლიმიტის გაუზრდელად მოახერხოს თავისი შემოსავლებისა და ხარჯების ბალანსირება.**

ბოლო 50 წლის განმავლობაში აშშ-ის კონგრესმა გაზარდა სახელმწიფო ვალის ზედა ზღვარი, ხოლო შეზღუდვის მოქმედება დაახლოებით ოთხმოცჯერ შეაჩერა. მაგრამ **სახელმწიფო ვალის ყველაზე მასშტაბური ზრდა სწორედ ბარაკ ობამას პრეზიდენტობისას მოხდა — 71%-ით, ანუ 7,5 ტრილიონ დოლარზე მეტით.**

მრავალი ექსპერტი ვარაუდობდა, რომ ბიუჯეტის მიმართ ამგვარი ქმედებისა და ზესახელმწიფოს მომავლისადმი ამგვარი დამოკიდებულების გამო ობამა პასუხს აგებდა მთელი სიმკაცრით. მას ჯერ კიდევ მეორე საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე დასდებდნენ ბრალს ყველაფერში, დაადებდნენ სათანადო დაღს და მნიშვნელოვნად გაუმარტივებდნენ კარიერას მომდევნო პრეზიდენტს, რომელსაც ყოველთვის შეეძლებოდა ხელის გაშვერა „ყველაფერში დამნაშავე წინამორბედისკენ“.

მაგრამ არსებობს ალბათობა, რომ ობამა თავს დააღწევს ამგვარ ბედს, თუნდაც იმიტომ, რომ აუცილებელი საკონსტიტუციო გადატრიალე-



**სახელმწიფო ვალის ყველაზე მასშტაბური ზრდა სწორედ ბარაკ ობამას პრეზიდენტობისას მოხდა — 71%-ით, ანუ 7,5 ტრილიონ დოლარზე მეტით**

ბით უზრუნველყო აშშ-ის მაგიური ფედერალური სარეზერვო სისტემა.

აშშ-ის კონსტიტუციის თანახმად, აშშ-ის სახელით სავალე ვალდებულებების გამოშვების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს — აშშ-ის კონგრესს.

სახელმწიფო ვალის შეზღუდვის პრაქტიკა პირველად 1917 წელს შემოიღეს, როდესაც კონგრესმა პირველი მსოფლიო ომის დროს სესხების შესამსუბუქებლად დააწესა სამხედრო ობლიგაციების გამოშვების ზღვრული მოცულობა ნაცვლად იმისა, რომ ყოველი ტრანში ცალ-ცალკე განეხილა. თანამედროვე სახით სახელმწიფო ვალის ლიმიტი პირველად 1939 წლის ივნისში დაწესდა.

**აშშ-ის კონსტიტუციის მე-8 თავის 1 მუხლის თანახმად, კონგრესს უფლება აქვს, დააწესოს და ამოიღოს გადასახადები, საურავები და აქციზები, რათა გადაიხადოს ვალები, უზრუნველყოს თავდაცვა და შეერთებული შტატების საყოველთაო კეთილდღეობა.**

2014 წლის თებერვალში სერიალის — „გავზარდოთ სახელმწიფო ვალის ზედა ზღვარი“ — ინტრიგა ტრიალებდა ქვეყნის სახელმწიფო ვალის კონტროლის კონსტიტუციურ ვალდებულებაზე რესპუბლიკელებსა და დემოკრატებს შორის შეთანხმების მიღწევის ირგვლივ. მათ მოეთხოვებოდათ, ამომრჩეველთა წინაშე არ შერცხვენილიყვნენ — არ დაეშვათ ზედა ზღვარის მორიგი სკანდალური გაზრდა. შემდგომი „მაგია“ სტანდარტული იყო: **აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა გაყიდდა აშშ-ის ვალდებულებებს, ხელისუფლებას კი გაუჩნდებოდა მსოფლიოსგან ნასესხები ფული.**

საჩოთირო საკითხის გადაწყვეტა შემდეგნაირად მოხდა: **მიღებულ იქნა THE TEMPORARY DEBT LIMIT EXTENSION ACT S.540. ამ სახელწოდების უკან იმალება საბოტაჟი: კონგრესმენებმა ვალის ზედა ზღვარი დატოვეს არასამუშაო მდგომარეობაში და 2015 წლის 15 მარტამდე გადაწყვეტილების მიღებაზე უარს აცხადებდნენ.**

**2014 წლის თებერვალში მთავარმა საკანონმდებლო ორგანომ დე ფაქტო აღიარა, რომ საბიუჯეტო ვალების კონტროლის პოლიტიკური მექანიზმები პრაქტიკულად აღარ დარჩა.**

დაახლოებით ერთი წელიწადი აშშ-ის ხელისუფლებას შეეძლო, დაეფინანსებინა მნიშვნელოვანი, მათ შორის, სამხედრო ხარჯები. აშშ-ის კონგრესმა ობამას ადმინისტრაცია უზრუნველყო ეგრეთ წოდებული blank check-ით — დაუდგენელ საზღვრებში ფულის სესხების შესაძლებლობით.

დადგენლი ვადის ამოწურვის შემდეგ ვალის ზედა ზღვარი ავტომატურად იზრდებოდა ბოლოს დადგენილი ზღვარის შემდეგ ნასესხები თანხის შესაბამისად.

კონგრესს რომ უბრალოდ ლიმიტი გაეზარდა, ეს ხაზინას შეუზღუდავდა შესაძლებლობებს და აიძულებდა, ფედერალური ბიუჯეტის ხარჯების დასაფინანსებლად გარკვეული ზღვრული თანხა ესესხებინა, მაგრამ ეს სკანდალი იქნებოდა, სკანდალს კი სერიალის განვლილი სერიების გამეორება მოჰყვებოდა, ამას კი შეიძლებოდა საზოგადოება დაეშინებინა.

სავარაუდოდ, სწორედ 2014 წლის თებერვლიდან 2015 წლის მარტამდე იყო მოსალოდნელი „განსაკუთრებული“ გარემოებების გაჩენა აშშ-ის საგარეო და საშინაო პოლიტიკაში, რომელიც სასწრაფო გადაწყვეტილებების მიღებას მოითხოვდა და ამ გადაწყვეტილებებში არ უნდა ჩარეულიყვნენ „სახალხო რჩეულნი“. ასევე, არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ამ პერიოდში იგეგმებოდა აშშ-ის სახელმწიფო ვალის პრობლემების რაიმე ფორმით გადაჭრაც.

**2014 წლის 15 თებერვალს ბარაკ ობამამ ხელი მოაწერა ACT S.540-ს. რამდენიმე დღის შემდეგ კიევში მოხდა გადატრიალება, რომელმაც უკრაინაში შეიარაღებული სამოქალაქო კონფლიქტი წარმოშვა. 14 თებერვალს საუდის არაბეთის, აშშ-ისა და თურქეთის დახმარებით ახლებურად ფორმირებულმა სირიის დამოუკიდებელმა არმიამ მასშტაბური შეტევა დაიწყო სამხრეთ სირიაზე.**

„ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ აშშ-მა დაიწყო ოპერაციის მზადება. მასშტაბური სამხედრო მოქმედებები 2014 წლის სექტემბერში დაიწყო კონგრესის თანხმობის გარეშე, საერთაშორისო კოალიციის ფორმირების შემდეგ.

2015 წლის 12 თებერვალს, სახელმწიფო ვალისა და აშშ-ის ხელისუფლების ხარჯების საკონსტიტუციო კონტროლზე მორატორიუმის დამთავრებამდე ერთი თვით ადრე, მიღებულ იქნა მინსკის მეორე შეთანხმება, რომელმაც დროებით შეაჩერა უკრაინაში სამხედრო მოქმედებები.

შესაძლოა, სწორედ მორატორიუმის დროს დამდგარიყო „ცხელი ფაზა“ მსოფლიოს ეკონომიკისთვის. საბედნიეროდ, ეს პერიოდი განვლილია, მაგრამ მან სამხრეთ-აღმოსავლეთში დატოვა საცხოვრებელი სახლების ნანგრევები და კონფლიქტის მონაწილე ორივე მხარეს კი — მსხვერპლის მნიშვნელოვანი რაოდენობა.

**2015 წელი დასრულდა და ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კითხვაა „იქნება თუ არა ომი?“.**

თითქოს ომი არც ყოფილა.

**არასერიოზული იქნება, უკრაინაში მომხდარი შეფასდეს ანტიტერორისტულ ოპერაციად, შეიარაღებულ კონფ-** ▶

---



## ისლამური სახელმწიფოს მებრძოლმა საკუთარი დედა მოკლა

**„ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლმა საკუთარი დედა საჯაროდ დასაჯა სიკვდილით. ამის მიზეზი გახდა ის, რომ 21 წლის ალი საქრს დედამისმა, 45 წლის ლენა ალ-ქასემმა, ორგანიზაციის დატოვება სთხოვა.**

სიკვდილით დასჯა მოხდა ქალაქ რაქაში, რომელიც „ისლამური სახელმწიფოს“ დე ფაქტო დედაქალაქია. როგორც ცნობილია, „ისლამური სახელმწიფოს“ ორგანიზაციის დატოვებისთვის სიკვდილით დასჯა აქვს დაწესებული, რასაც საჯაროდ ახორციელებს ხოლმე. არსებული ინფორმაციით, ალი საქრმა დედამისი ორგანიზაციის წევრებთან დაასმინა, რის შემდეგაც მათ ლენა ალ-ქასემას სიკვდილით დასჯის ბრძანება გასცეს.



# 2015 წლის ნოემბერში აშშ-მა კიდევ ერთხელ აიცილა ტექნიკური დეფოლტი და ორი წლის განმავლობაში მესამედ აუარა გვერდი სახელმწიფო ვალის ზედა ზღვართან დაკავშირებულ მომაბეზრებელ კენჭისყრას. კონგრესის ახალი გადაწყვეტილება შესაძლებლობას იძლევა, არ დაუბრუნდნენ ამ საკითხის განხილვას 2017 წლის მარტამდე — თეთრ სახლში ახალი ადმინისტრაციის მოსვლამდე.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **ლიქტად ან სხვა მსგავს რამედ. ეს ომი იყო, ომი თავისი გმირებით, დამნაშავეებით, უდანაშაულო მსხვერპლით, ასიათასობით ადამიანის ტანჯვითა და მწუხარებით. მისი თავიდან აცილება ვერ მოხერხდა, მაგრამ ის არ გადავიდა ახალ ეტაპზე და ეს 2015 წლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევაა.**

2015 წლის მარტში აშშ-ის კონგრესს შეეძლო აღედგინა საკუთარი კონსტიტუციური უფლებები: 6 მარტს აშშ-ში კვლავ ამოქმედდა „შეჩერებული" ლიმიტი, მაგრამ 17,2 ტრილიონ დოლარზე დროებით შეჩერებული ზედა ზღვარი უკვე გადალახული იყო.

მაშინ კიდევ რამდენიმე ეშმაკობას მიმართეს:

**ახალი ლიმიტი დაადგინეს თითქოს ძველის დონეზე (17,2 ტრილიონი დოლარი), მაგრამ მას დაამატეს ვალები, რომლებიც ფინანსთა სამინისტრომ აიღო შეზღუდვების ამოქმედებამდე (დაახლოებით 900 მილიარდი დოლარი).**

შემდეგ დააწესეს ნაკლებად მკაცრი შეზღუდვები ახალი ზედა ზღვრისთვის — 18,1 ტრილიონი დოლარი, როდესაც სახელმწიფო ვალმა მას მიაღწია, სენატმა ორწლიანი საბიუჯეტო სქემა დაამტკიცა, რომელიც ვალების ლიმიტის გაზრდას ითვალისწინებს.

ამრიგად, **2015 წლის ნოემბერში აშშ-მა კიდევ ერთხელ აიცილა ტექნიკური დეფოლტი და ორი წლის განმავლობაში მესამედ აუარა გვერდი სახელმწიფო ვალის ზედა ზღვართან დაკავშირებულ მომაბეზრებელ კენჭისყრას. კონგრესის ახალი გადაწყვეტილება შესაძლებლობას იძლევა, არ დაუბრუნდნენ ამ საკითხის განხილვას 2017 წლის მარტამდე — თეთრ სახლში ახალი ადმინისტრაციის მოსვლამდე.**

2017 წლის მარტში ვალის ზედა ზღვარი კვლავ გადაიხედება, რათა მთელი ამ დროის განმავლობაში აღებული სესხებიც შევიდეს მასში. კანონმდებლებმა ის გააკეთეს, რაც კიევში გადატრიალების წინ — უარი თქვეს საკუთარი კონსტიტუციური როლის შესრულებაზე.

**ახალი სქემა მნიშვნელოვნად ამცირებს აშშ-ის ხელისუფლების მუშაობის შეჩერების ალბათობას და ფედერალური სარეზერვო სისტემის მაგიას ერთ-ნახევარი წლით უხსნის მეორე სუნთქვას. საკონსტიტუციო გადატრიალება დასრულებულია.**

აი, როგორ წარმოუდგენია მდგომარეობა აშშ-ის ზოგიერთ კონგრესმენს:

„ეს შესანიშნავი წელი იყო... ერს ესმის და აფასებს, რომ ვაშინგტონი ასე ბევრს ხარჯავს. 2014 წელს სოციალური უზრუნველყოფის ხარჯმა 845 მილიარდი დოლარი შეადგინა. პროგრამა Medicare-ზე 505 მილიარდი დაიხარჯა, ამავე პროგრამისათვის სამედიცინო დახმარებაზე — 301 მილიარდი დოლარი. მეორე აუცილებელი პროგრამა — სასურსათე ტალონები — 448 მილიარდი დოლარი ღირდა. ერთი წამით შევჩერდეთ სავალე პროცენტებზე. ამერიკის შეერთებულ შტატებს დაახლოებით 18,2 ტრილიონი დოლარი აქვს ვალი (ციფრი შემცირებულია), ამიტომ პროცენტები, რომელთაც ყოველწლიურად ვიხდით, 221 მილიარდ დოლარს შეადგენს (ეს ციფრიც შემცირებულია). უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში პროცენტები ძალიან გაიზრდება და ამას სერიოზული შედეგები მოჰყვება. 10-წლიან პერსპექტივაში, თუკი საპროცენტო განაკვეთები შედარებით გონივრულ დონეზე დარჩება, ეროვნული ვალის მომსახურებაზე დაახლოებით 800 მილიარდი დაიხარჯება. შემდეგ ეს თანხა ტრილიონ დოლარს მიუახლოვდება — ეს იმაზე მეტია, რაც იხარჯება თავდაცვაზე, Medicaid-ზე, Medicare-ზე, განათლებაზე, ტრანსპორტზე, მეცნიერებაზე, კოსმოსსა და ტექნოლოგიებზე... ჩვენ ვცდილობთ, ვუთხრათ ჩვენს კოლეგებსა და ამერიკელ ხალხს, რომ ამდენი ვალი უპასუხისმგებლობაა... ამერიკული ოცნების განხორციელებისთვის შესაძლებლობები შემცირდა... 2010 წლის შემდეგ სახელმწიფო ვალი წარმოუდგენლად გაიზარდა. რა იყო პრეზიდენტისა და ფედერალური ხელისუფლების პასუხი ეკონომიკურ გამოწვევაზე? მათ ბევრი ფული დაბეჭდეს..." — განაცხადა 2015 წლის 18 დეკემბერს წინასაახალწლო გამოსვლისას ჯორჯიის შტატის წარმომადგენელმა **ტომ პრაისმა.**

## ამერიკელები ახლა ხელფასიდან ხელფასამდე ცხოვრობენ. მათ 62%-ს 1000 დოლარზე ნაკლები დანაზოგი აქვს, 21%-ს კი დანაზოგი საერთოდ არ გააჩნია; ოჯახების 43% ყოველთვიურად უფრო მეტს კარგავს, ვიდრე გამოიმუშავებს; საშუალო კლასის ოჯახების დანაზოგი 2000-დან 2014 წლამდე 28%-ით შემცირდა; ამერიკელთა 20%-ის საერთო დანაზოგი (აქტივები ვალების გამოკლებით) 2000 წლის «მინუს 905 დოლარიდან» ამჟამინდელ «მინუს 6029 დოლარამდე» შემცირდა; ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ამერიკაში უფრო მეტი ბიზნესი იხურება, ვიდრე იწყება, 2008 წლამდე ამერიკის ისტორიას მსგავსი რამ არ ახსოვს




## 1,6 მილიონ ბავშვს უსახლკაროთა თავშესაფრებში სძინავს. ნიუ იორკის პოლიციამ დაითვალა უსახლკაროთა 80 ბანაკი და აღნიშნა, რომ ეს მოვლენა ეპიდემიის სახეს იძენს

**ამერიკელები ახლა ხელფასიდან ხელფასამდე ცხოვრობენ. მათ 62%-ს 1000 დოლარზე ნაკლები დანაზოგი აქვს, 21%-ს კი დანაზოგი საერთოდ არ გააჩნია; ოჯახების 43% ყოველთვიურად უფრო მეტს კარგავს, ვიდრე გამოიმუშავებს; საშუალო კლასის ოჯახების დანაზოგი 2000-დან 2014 წლამდე 28%-ით შემცირდა; ამერიკელთა 20%-ის საერთო დანაზოგი (აქტივები ვალების გამოკლებით) 2000 წლის „მინუს 905 დოლარიდან" ამჟამინდელ „მინუს 6029 დოლარამდე" შემცირდა; ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ამერიკაში უფრო მეტი ბიზნესი იხურება, ვიდრე იწყება, 2008 წლამდე ამერიკის ისტორიას მსგავსი რამ არ ახსოვს.**

* თუ არ გაქვთ ვალი და ჯიბეში თუნდაც 10 დოლარი გიდევთ, თქვენ ამერიკის მოქალაქეთა 25%-ზე მდიდარი ხართ.

*** 2007 წელს სუპერკრიზისის პირველი ტალღის წინ ყოველი მეშვიდე ბავშვი სასურსათე ტალონების ხარჯზე იკვებებოდა, ახლა ამ ტალონების ხარჯზე ცხოვრობს ყოველი მეხუთე ბავშვი.**

* ამჟამად აშშ-ში მილიონნახევარი ოჯახი ტოტალურ სიღატაკეშია და ეს მაჩვენებელი 1996 წლის შემდეგ გაორმაგდა.

*** ყოველწლიურად ჰუმანიტარულ დახმარებას 46 მილიონი ადამიანი ითხოვს, ისინი რიგში დილის 6 საათზე დგებიან, რადგან დახმარება ყველას აღარ ყოფნის.**

* კრიზისის პირველი ტალღის შემდეგ უსახლკარო ბავშვების რაოდენობა 60%-ით გაიზარდა.

*** 1,6 მილიონ ბავშვს უსახლკაროთა თავშესაფრებში სძინავს. ნიუ იორკის პოლიციამ დაითვალა უსახლკაროთა 80 ბანაკი და აღნიშნა, რომ ეს მოვლენა ეპიდემიის სახეს იძენს.**

* მოქალაქეთა 53%-ს არ აქვს საკვების ის მარაგი, რომელიც სამ დღეს მაინც გაატანინებს თავს.

*** კორპორაციული დეფოლტების რაოდენობა მაქსიმალურია სუპერკრიზისის პირველი ტალღის შემდეგ, ამასთანავე, ამავე დროის განმავლობაში კორპორაციული ვალი თითქმის გაორმაგდა.**

* კრიზისის პირველი ტალღის შემდეგ იპოთეკარებს 8 მილიონი სახლი ჩამოერთვათ.

*** მოსახლეობის 41%-ს პრობლემები აქვს სამედიცინო ანგარიშების გადახდასთან დაკავშირებით.**

* ამჟამად საგანმანათლებლო კრედიტებს 40 მილიონი ამერიკელი იხდის, სტუდენტური სესხი მრავალ მათგანს პენსიამდე მიჰყვება...

CONT.WS



## უკრაინაში გრიპის შედეგად დაღუპულთა რაოდენობა იზრდება

**უკრაინის ქალაქ კრამატორსკში ბოლო ორი კვირის განმავლობაში გრიპის შედეგად 15 ადამიანი დაიღუპა.**

როგორც ჯანდაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი იგორ მიხაილოვი აცხადებს, 29 წლის მამაკაცი მე-15 იყო, რომელიც გრიპის ეპიდემიას შეეწირა. ამ დროისთვის ქალაქის საავადმყოფოში 180 ზრდასრული ადამიანი და 22 ბავშვი იმყოფება. მათგან 37 ზრდასრულისა და 8 ბავშვის მდგომარეობა კრიტიკულია. სამედიცინო პერსონალის თქმით, ეპიდემია პიკს უახლოვდება.



## აზერბაიჯანელმა მილიარდერმა თანამშრომლებს საბანკო დავალიანება დაუფარა

**რამდენიმე დღის წინათ მსხვილი კომპანიის — AzNar-ის მეპატრონეს, მილიარდერ ფარხად ახმედოვს დედა გარდაეცვალა.** მილიარდერი დედის დაკრძალვის შემდეგ ქარხანას ეწვია და შეიტყო, რომ 150 თანამშრომლიდან 80-ს საბანკო დავალიანება ჰქონდა. ფარხად ახმედოვმა ყველა თანამშრომლის დავალიანება სრულად დაფარა.




მთავარი



## მთვრალმა კირკიტაძეებმა პოლიციელს სცემეს და აგინეს

**„ნაციონალური მოძრაობის" წევრი დავით კირკიტაძე და მისი ძმა ირაკლი კირკიტაძე პოლიციელს ჯერ იარაღით დაემუქრნენ, შემდეგ კი სიტყვიერად და ფიზიკურად შეურაცხყვეს.** ირაკლი კირკიტაძემ პოლიციელს იარაღი დაუმიზნა და მოკვლით დაემუქრა. შემდეგ კი ძმებმა პოლიციელს თავი იარაღით გაუტეხეს. პოლიციელი სხვადასხვა დაზიანებით საავადმყოფოში გადაიყვანეს, ხოლო ირაკლი კირკიტაძე დააკავეს.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ევროკავშირი ნამდვილად დაშორდა თავის ერთ-ერთ პრინციპს: მისი გადაწყვეტილებები და დადგენილებები პრაქტიკაში უნდა გამოიყენოს არა ევროკავშირის ცენტრალურმა ადმინისტრაციამ, არამედ წევრი ქვეყნების ხელისუფლებებმა.**

# პრინციპები, რომლებიც ევროპამ 2015 წელს ფეხქვეშ გათელა

**ეს პრინციპები თვალსაჩინოდაა ასახული ევროკავშირის შეთანხმებებში და შევსებულია წევრი ქვეყნების მიერ რატიფიცირებული შეთანხმებებით. მათგან უმთავრესია დემოკრატია, თავისუფლება და სუბსიდირება, რომლებსაც ფესვები ევროპის თვითშეგნების ისტორიაში აქვს გადგმული. 2015 წელს კი ევროკავშირმა მნიშვნელოვნად გადაუხვია ამ სამი პრინციპიდან.**

## გათელილი დემოკრატია და ლოკალური ავტონომია

2009 წლის 1 დეკემბრიდან ძალაში შესული **ლისაბონის შეთანხმების** პრეამბულაში პირდაპირ მინიშნებულია, რომ ხელმომწერნი იღებენ ვალდებულებას, დაიცვან ეს პოზიციები: დაადასტურონ ერთგულება და პატივისცემა თავისუფლების, დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების, ასევე სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის მიმართ.

ამ შეთანხმების მიუხედავად, **2015 წელს ევროკავშირმა გადაწყვეტილებები აბსოლუტურად გაუმჭვირვალე გარემოებებში მიიღო და დუმდა მაშინაც, როდესაც ერთ-ერთი წევრი ქვეყანა ღიად არღვევდა სავალდებულო შეთანხმებას.**

შეგახსენებთ, რომ ლისაბონის შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ ევროკავშირი მოქმედებს „ჩვეულებრივი საკანონმდებლო პროცედურის" საფუძველზე, ეს კი ევროპული საბჭოსა და ევროპული პარლამენტის მიერ გადაწყვეტილებების ერთობლივად მიღებას გულისხმობს.

2015 წელს ნათელი მოეფინა ამ სისტემის მუშაობის არადემოკრატიულობას. მაგალითად, **თუკი ევროსაბჭოსა და ევროპარლამენტს შორის დადგენილების ტექსტთან ან დირექტივასთან დაკავშირებით უთანხმოებაა, მოლაპარაკებები დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობს. არავინ თვლის საჭიროდ, ევროპის მოქალაქეებს აცნობოს ამ მოლაპარაკებების მიმდინარეობის ან იმ დათმობების თაობაზე, რომლებზეც ესა თუ ის მხარე დათანხმდა. გადაწყვეტილების ერთობლივად მიღება საბოლოოდ სრულიად გაუმჭვირვალე ხდება.**

ევროკომისიის საქციელი დემოკრატიაზე მის მეორე თავდასხმად იქცა. ის არა მხოლოდ გაჩუმდა, როდესაც საფრანგეთმა აბსოლუტურად ღიად გაილაშქრა სავალდებულო საერთაშორისო შეთანხმების წინააღმდეგ, არამედ მხარი დაუჭირა პარიზის გადაწყვეტილებას, რომელმაც მიაფურთხა 2007 წელს თავისივე რატიფიცირებულ შეთანხმებას. საუბარია ადგილობრივი ავტონომიის შესახებ ევროპულ ქარტიაზე, კერძოდ, მის მეხუთე მუხლზე („ადგილობრივი წარმონაქმნების ტერიტორიული საზღვრების დაცვა"), რომელშიც ნათქვამია: **„ადგილობრივი წარმონაქმნების ტერიტორიული საზღვრების ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში ადგილობრივმა წარმონაქმნებმა, რომლებსაც ეს პროცესი ეხება, უნდა ჩაატარონ წინასწარი კონსულტაციები, მათ შორის რეფერენდუმის გზით, თუკი კანონი ამის საშუალებას იძლევა".**

**საფრანგეთმა კი საჭიროდ არ ჩათვალა, აზრი ეკითხა მოქალაქეებისა და ადგილობრივი ხელისუფლებებისთვის, პირდაპირ პარლამენტში გაიტანა განსახილველად კანონი ცხრა რეგიონის არსებობის შეწყვეტის თაობაზე, რაც ზემოხსენებული ქარტიის დარღვევაა.** ცენტრალურმა ხელისუფლებამ არა მხოლოდ არ ჩაატარა რეფერენდუმი, კონსულტაციებიც კი არ გაიარა რეგიონების, დეპარტამენტებისა და ქალაქების ადმინისტრაციებთან. ამ უკიდურესად ცენტრალიზებულად შემუშავებული კანონის ძალაში შესვლის შემდეგ ეს რეგიონები უზარმაზარი ადმინისტრაციული წარმონაქმნის შიგნით მოექცევიან. ილ-დე-ფრანსის გარდა, კონტინენტური საფრანგეთის ყველა რეგიონი ახლა იმდენად დიდია, რომ საფრანგეთი ამ მხრივ უნიკალურია ყველა დემოკრატიულ ქვეყანას შორის.



**ევროპულმა საბჭომ ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა ევროკომისიის გეგმა 160 000 დევნილის გადაადგილების შესახებ, ანუ მიგრანტების რაოდენობრივი გადანაწილების თაობაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება არღვევს ადამიანთა უფლებებს, რადგან ძალით ახვევს თავს მათ საცხოვრებელ ქვეყანას**



## ადამიანის უფლებები და თავისუფლებები დავიწყებულია

ზემოხსენებულ შეთანხმებაში ევროპული კავშირის შესახებ ისეთი ცნებებიც ფიგურირებს, როგორიცაა თავისუფლება, ადამიანის უფლებები და სამართლებრივი სახელმწიფოს ღირებულებები, მაგრამ 2015 წლის მეორე ნახევარში ევროკავშირში ეს პრინციპი ორჯერ დაირღვა.

**23 სექტემბერს ევროპულმა საბჭომ ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა ევროკომისიის გეგმა 160 ათასი დევნილის გადაადგილების შესახებ, ანუ მიგრანტების რაოდენობრივი გადანაწილების თაობაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება არღვევს ადამიანთა უფლებებს, რადგან ძალით ახვევს თავს მათ საცხოვრებელ ქვეყანას.**

საუბარია რაღაც იმგვარზე, რასაც წარმოადგენს ხელმოწერა ქვეყნიდან გაუსვლელობაზე ადამიანებისთვის, რომელთაც არ ჩაუდენიათ არანაირი დანაშაული და არ გამხდარან სასამართლო დევნის ობიექტები. ადამიანებს ექცევიან ისე, როგორც უსულო საგანს. დევნილებს უნდა ჰქონდეთ უფლება, ირჩევდნენ საცხოვრებელ ქვეყანას იმის მიხედვით, თუ სად არიან მათი ნათესავები, მეგობრები ან ნაცნობები, რომლებიც შეძლებენ მათ დახმარებას. გარდა ამისა, როგორც სავარაუდო იყო, დევნილებმა თვითონვე განაცხადეს უარი რეგისტრაციაზე, რათა არ გაემწესებინათ იქ, სადაც თავად არ სურდათ ცხოვრება. სწორედ ამის გამო დეკემბრის შუა პერიოდამდე გადასახლებაზე დათანხმდა მხოლოდ 184 ადამიანი, ნაცვლად ევროპული საბჭოს მიერ დაგეგმილი 160 000-ისა.

**ევროკავშირის მეორე თავდასხმა ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებზე დაკავშირებულია შეთანხმებასთან, რომელიც მიღებულ იქნა 2015 წლის 29 ნოემბერს, ევროპის სახელმწიფოთა მეთაურებისა და მთავრობების თურქეთის ხელმძღვანელობასთან შეხვედრის შემდეგ.** ამ შეხვედრის მონაწილეთა შემადგენლობაც აჩენს კითხვებს, რადგან ევროკავშირი უნდა შეხვედროდა არა მხოლოდ თურქეთს, არამედ კიდევ ორ სხვა ქვეყანას — ლიბანსა და იორდანიას, რომლებმაც საკუთარ თავზე იწვნიეს ერაყელებისა და სირიელების სამშობლოდან გაქცევა. ევროკავშირი თურქეთს 3 მილიარდს დაჰპირდა, რათა შეემცირებინა ევროპისკენ მიმავალ მიგრანტთა ნაკადები და ამით ზურგი ექცია იორდანიასა და ლიბანთან სოლიდარობისთვის.

ამასთანავე, შეთანხმების მე-4 მუხლში აღნიშნულია, რომ ევროპული კომისია ვალდებულია, 2016 წლის პირველი კვარტლის განმავლობაში დაასრულოს მოსამზადებელი სამუშაოები წევრი ქვეყნებისთვის ზარალის მიუყენებლად.

**შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, 2015 წლის 14 დეკემბერს, წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე ევროკავშირმა ოფიციალურად განაცხადა თურქეთის გაფ-** ▶

---

მსოფლიო




## ვან დეიკის დაკარგული ნახატი სტამბოლში აღმოაჩინეს

**ჰოლანდიელი მხატვრის — ვან დეიკის სტამბოლში ნაპოვნი ნამუშევარი ორიგინალია.** ამის თაობაზე Hurriyetdailynews-ი ექსპერტების კომენტარზე დაყრდნობით წერს. გავრცელებული ცნობით, ენტონი ვან დეიკის ნახატს პირველადი ექსპერტიზა უკვე ჩაუტარდა. საბოლოო დასკვნას კი თურქეთის ხელოვნების უნივერსიტეტის ექსპერტები გააკეთებენ. ვან დეიკის დაკარგული ნახატი სტამბოლში მაშინ აღმოაჩინეს, როდესაც მის გაყიდვას ორი ბიზნესმენი ცდილობდა. როგორც თურქეთის სამართალდამცავ უწყებაში აცხადებენ, ჰოლანდიელი მხატვრის ნამუშევარი ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში მოიპარეს და რუსეთისა და საქართველოს გავლით სტამბოლში ჩაიტანეს. თურქეთის პოლიციამ სპეცოპერაციის შედეგად ნახატი იპოვა. დაკავებულებმა განაცხადეს, რომ ნახატი მათ საქართველოში მძარცველთა ჯგუფისგან 200 000 დოლარად შეიძინეს.



**CNN-ის სამხედრო ანალიტიკოსი, გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი მარკ ჰერტლინდი თვლის, რომ სავსებით შესაძლებელია, საუდის არაბეთსა და ირანს შორის ომი დაიწყოს. მისი თქმით, აქ ახალი და საკვირველი არაფერია, ამ ორ სახელმწიფოს არ შეუძლია საერთო ენის გამონახვა.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **ევრების პროცესი.** მიუხედავად ამისა, გადაწყვეტილება, რომ თურქეთისთვის გაიხსნას ახალი მუხლები, სულ მცირე, სადავოდ გამოიყურება. საქმე ისაა, რომ **2015 წელს ამ ქვეყანამ თავისუფლებისთვის დამღუპველი ახალი ნაბიჯები გადადგა, როგორიცაა ქურთული უმცირესობის სასტიკი რეპრესიები და პრესის თავისუფლებაზე მორიგი შეტევები; ნაბიჯები, რომლებიც სრულიად ეწინააღმდეგება ევროკავშირის პრინციპებს.** მაგალითად, თურქეთში გაასამართლეს ორი ჟურნალისტი, რომლებმაც გამოაქვეყნეს თურქეთიდან სირიაში მიმავალი „ჰუმანიტარული" ტვირთით დატვირთული მანქანები, ამ ტვირთში კი იარაღი აღმოჩნდა. 26 ნოემბერს ეს ჟურნალისტები გისოსებს მიღმა გამოკეტეს ტერორისტული ორგანიზაციისთვის დახმარების, პოლიტიკური და სამხედრო ჯაშუშობისა და საიდუმლოს გამჟღავნების ბრალდებებით. პროკურორმა მიანიშნა, რომ მათთვის 20-წლიანი პატიმრობის შესაფარდებლად იბრძოლებს.

უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთთან მოლაპარაკებების განახლება დაიწყო ისტორიულ წელს, როდესაც ანკარამ კვლავ შეურაცხყო 1915 წლის გენოციდისას დაღუპული მილიონ-ნახევარი სომხის ხსოვნა. ის არა მხოლოდ არ აღიარებს გენოციდს, არამედ უფლებას არ აძლევს სომხურ უმცირესობას, დაიბრუნოს თვითშეგნება და მემკვიდრეობა და კვლავ იცავს სომხეთის ბლოკადას.

**თურქეთი ფეხქვეშ თელავს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს და კონტრაბანდისტებს საშუალებას აძლევს, სამოქალაქო ომისგან გამოქცეული ადამიანების უბედურებიდან სარგებელი ნახოს.**

დე ფაქტო თურქეთი დამნაშავეობრივი ორგანიზაციების ხელშემწყობი ხდება, რადგან საშუალებას აძლევს მათ, იმუშაონ დღისით, მზისით, მათ შორის იზმირშიც — საბერძნეთის, ანუ ევროპული კავშირისკენ მიმავალი მიგრანტების მსხვილ გადამყვან პუნქტში. ანკარამ ხელი არ შეუშალა კონტრაბანდისტებს (ზოგიერთი მათგანი მჭიდრო კავშირშია თურქულ მაფიასთან), გამოემუშავებინათ 8 მილიარდი ევრო: მილიონმა მიგრანტმა საშუალოდ 8-8 ათასი ევრო გადაიხადა, რათა მიეღწია ევროპის ქვეყნებამდე და მიეღო ის უფლებები, რომლებსაც თურქეთში ვერ ეღირსებოდა. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება გერმანიასა და შვედეთს, თუმცა, ერთ სულ მოსახლეზე მიგრანტების რაოდენობის მიხედვით, პირველი ადგილი კვლავინდებურად უნგრეთს ეკუთვნის.

რაც შეეხება 29 ნოემბრის გადაწყვეტილებას, რომ ევროკავშირი აპირებს, დამატებითი რესურსების პირველი პაკეტი 3 მილიარდი ევროს ოდენობით გამოყოს, ეს კითხვებს აჩენს 2005 წელს თურქეთისთვის უკვე გადარიცხული იმ სახსრების სუსტი უკუგების გამო, რომელიც სხვა ყველაფერთან ერთად სამართლებრივი სახელმწიფოს განვითარებასაც უნდა მოხმარებოდა. ნუთუ არ არსებობს უკეთესი ალტერნატივა? მაგალითად, გადაეცეს ეს სამი მილიარდი დევნილთა საქმეების გაეროს უმაღლესი კომისრის სამმართველოს და სთხოვონ თურქეთს, ბოლოს და ბოლოს, მისცეს ამ ორგანიზაციას საკუთარ ტერიტორიაზე მუშაობის საშუალება.

2015 წელს ევროპული კავშირი საგრძნობლად დაშორდა სუბსიდირების პრინციპსაც.

## სუბსიდირების დაუცველობა

ევროპული კავშირის შესახებ შეთანხმების მე-5 მუხლში აღნიშნულია, რომ კომპეტენციის მინიჭების პრინციპი არეგულირებს კავშირის კომპეტენციის საზღვრებს. მუხლი შევსებულია სუბსიდირებისა და პროპორციულობის პრინციპების გამოყენების პროტოკოლით, რომელშიც აღნიშნულია, რომ ქვეყნები, ანუ წევრი სახელმწიფოები უნდა მიისწრაფვოდნენ იმისკენ, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესი რაც შეიძლება მისაღები იყოს ევროკავშირის მოქალაქეებისთვის.

როგორც უნდა იყოს, სუბსიდირება არაერთხელ დადგა ეჭვქვეშ. საკმარისია ევროპარლამენტის დღის წესრიგისა და მიღებული დოკუმენტების გაცნობა, რათა დარწმუნდე, რომ ევროპარლამენტი განიხილავს იმ საკითხებს, რომლებიც ბევრად უფრო ეფექტიანად გადაწყდებოდა კონკრეტული სახელმწიფოების დონეზე.

დეკემბრის დასასრულს გვქონდა პროექტი, რომელიც არა მხოლოდ არ იცავდა ზემოხსენებულ პრინციპებს, არამედ ფედერალური ლოგიკის საზღვრებსაც კი სცდებოდა. წარსულში **ევროკავშირი ნამდვილად დაშორდა თავის ერთ-ერთ პრინციპს: მისი გადაწყვეტილებები და დადგენილებები პრაქტიკაში უნდა გამოიყენოს არა ევროკავშირის ცენტრალურმა ადმინისტრაციამ, არამედ წევრი ქვეყნების ხელისუფლებებმა.**

მაგრამ გადაწყვეტილებები ევროკავშირის, ევროზონისა და შენგენის სივრცეების გაფართოების თაობაზე მიიღებოდა იმის გაუთვალისწინებლად, შესწევთ თუ არა სინამდვილეში უნარი შემსვლელ სახელმწიფოებს, შეასრულონ მათზე დაკისრებული ყველა ვალდებულება. ამაში იმალება ევროს კრიზისის ერთ-ერთი მიზეზიც.

რაც შეეხება შენგენის სივრცის სპონტანურ გაფართოებას, შეცდომის გამოსწორების მცდელობაში ევროკავშირმა შექმნა „Frontex"-ის მსგავსი მექანიზმი — საგარეო საზღვრების უსაფრთხოების სააგენტო. ის შეიქმნა 2004 წელს, ანუ შენგენის ზონაში იტალიის, საბერძნეთისა და ავსტრიის შესვლიდან შვიდი წლის შემდეგ. ის ოპერაციებს ატარებს წევრი ქვეყნების ტერიტორიულ წყლებში, რამაც შესაძლოა მესაზღვრეებთან დაძაბულობა განაპირობოს.

დეკემბრის შუა პერიოდში ევროპულმა კომისიამ მხარი დაუჭირა სააგენტოში მესაზღვრეთა კორპუსის შექმნას. ეს კორპუსი შეიძლება ამოქმედდეს წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე ამ ქვეყნებისთვის ნებართვის თხოვნის და თვით მათი თანხმობის გარეშეც კი. 16 დეკემბერს გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ მოითხოვს ევროსაბჭოს სხდომაზე ევროკომისიის წინადადებების უსწრაფეს განხილვას და მიღებას.

სინამდვილეში მსგავსი ზომების რეალიზებამ, შესაძლოა, ნაციონალურ უწყებებსა და ევროპელ მესაზღვრეებს შორის შიდაევროპული დაძაბულობის ზრდას შეუწყოს ხელი. რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ეს შეცვლის ევროკავშირის არსს კანონების შეუცვლელად. ამ შემთხვევაში ევროკავშირი მოიქცევა, როგორც ცენტრალიზებული სახელმწიფო და შესაძლოა, ეს მხოლოდ დასაწყისი აღმოჩნდეს, რადგან გამორიცხული არაა, ანალოგიურმა მეთოდებმა გაგრძელება ჰპოვოს სხვა სფეროებში. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებს, შესაძლოა, გაუჩნდეთ შეგრძნება, რომ ბრიუსელი იქცევა ისე, როგორც მოსკოვი იქცეოდა საბჭოთა პერიოდში.

ჯერჯერობით ევროსაბჭომ გადადო ევროკომისიის შეთავაზება მესაზღვრეების თაობაზე, მაგრამ ის არ არის ოფიციალურად უარყოფილი ან ალტერნატიული ვარიანტით — მაგალითად, შენგენის ზონის შემჭიდროვებით ჩანაცვლებული, რაც შესაძლებელს გახდიდა უკონტროლო გაფართოებასთან დაკავშირებული შეცდომების აღმოფხვრას და კრახის თავიდან აცილებას.

ნებისმიერ შემთხვევაში ბრიუსელის შეთავაზებული და ბერლინის მიერ მხარდაჭერილი პროექტი აღშფოთებას უნდა იწვევდეს ევროპელებში, რომლებსაც ესმით, რომ ევროკავშირის მომავალი მჭიდროდაა დაკავშირებული სუბსიდირების პრინციპის დაცვასთან.

**Atlantico**



# საუდის არაბეთმა ირანთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა

**საუდის არაბეთსა და ირანს შორის დიპლომატიური კრიზისის მიზეზად იქცა საუდის არაბეთის ხელისუფლების მიერ შიიტი მოძღვრის სიკვდილით დასჯა და თეირანის საპასუხო აღშფოთება. საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ადელ ალ-ჯუბეირმა 3 იანვარს განაცხადა, რომ მისი ქვეყანა წყვეტს ირანთან დიპლომატიურ ურთიერთობას. ყველა ირანელ დიპლომატს ქვეყანა 48 საათის განმავლობაში უნდა დაეტოვებინა.**

ირანელმა დემონსტრანტებმა 2-3 იანვრის ღამეს თეირანში საუდის არაბეთის საელჩოზე მიიტანეს იერიში.

დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტაზე საუდის არაბეთის გადაწყვეტილებას ირანში ნაჩქარევი უწოდეს. ანალიტიკოსები კი მიიჩნევენ, რომ ამას, შესაძლოა, უფრო სერიოზული პრობლემები მოჰყვეს.

ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკის სკოლის წარმომადგენელი **ფავაზ ჯერჯესი** თვლის, რომ საუდის არაბეთსა და ირანს შორის დიპლომატიური კავშირების გაწყვეტით გამოწვეული არეულობა, შესაძლოა, კონტროლს აღარ დაექვემდებაროს. კითხვაზე, შეიძლება თუ არა, რომ დიპლომატიური ომი ცხელ კონფლიქტში გადაიზარდოს, მან უპასუხა, რომ ეს ჯერ კიდევ მანამ მოხდა, ვიდრე საუდის არაბეთი ირანთან კავშირის გაწყვეტის თაობაზე გამოაცხადებდა.

„მათი კონფლიქტი უკვე დიდი ხანია, ვითარდება არაბულ ქუჩებში, — დასძინა მან, — ეს ორი ქვეყანა უკვე აღმოჩნდა კონფლიქტის საპირისპირო მხარეებზე სირიაში, ერაყში, იემენში, ბაჰრეინსა და ლიბანში. ახლა საკითხავი მხოლოდ ისაა, თუ რამდენად შეიძლება დაიძაბოს სიტუაცია.

სპარსეთის ყურის ყველაზე ძლიერ სახელმწიფოებს — სუნიტურ საუდის არაბეთსა და შიიტურ ირანს შორის ძალიან დაძაბული მდგომარეობაა. შესაძლოა, უახლოესი რამდენიმე კვირის ან თვის განმავლობაში სიტუაცია უკიდურესად სახიფათო გახდეს".

CNN-ის სამხედრო ანალიტიკოსი, გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი **მარკ ჰერტლინდი** თვლის, რომ სავსებით შესაძლებელია, საუდის არაბეთსა და ირანს შორის ომი დაიწყოს.

მისი თქმით, აქ ახალი და საკვირველი არაფერია, ამ ორ სახელმწიფოს არ შეუძლია საერთო ენის გამონახვა.

„ირანი და საუდის არაბეთი არც რეალური მოკავშირეები არიან და არც რეალური მოწინააღმდეგეები. ისინი ჭეშმარიტი მტრები არიან, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში კონკურენტები იყვნენ, როგორც ნავთობის წამყვანი მწარმოებლები და შესაბამისად შიიტური და სუნიტური ისლამის თვითგამოცხადებული მცველები", — წერდა თავის სტატიაში სამხრეთ ფლორიდის უნივერსიტეტის პროფესორი მ. მილანი.

ჯერჯესის თქმით, საუდის არაბეთისა და ირანის სახით საქმე გვაქვს ცივ ომთან, რომელიც ამ ორ ქვეყანას შორის მიმდინარეობს და რომელსაც კავშირი აქვს გეოპოლიტიკასთან, ძალაუფლებასა და გავლენასთან.

მაგრამ ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ, თუკი ამ ორი ქვეყნის სიტუაციაში გავერკვევით, უფრო გასაგები გახდება, რატომ არიან ისინი დაინტერესებულნი დაპირისპირების გაღრმავებით.

„არსებობს გარკვეული შიდაპოლიტიკური მიზეზები, რომლებიც ახლა ამ ორ ქვეყანას საშუალებას არ აძლევს, უარი თქვას ერთმანეთზე თავდასხმაზე", — ამბობს კონსალტინგური ფირმის — Eurasia Group-ის დირექტორი იან ბრემერი. მისი თქმით, საუდის არაბეთი ახლა ნავთობის ფასების ვარდნასთან და შემდეგი მეფის ვინაობასთან დაკავშირებულ შიდა კონფლიქტთან გამკლავებას ცდილობს. ირანი კი, თავის მხრივ, რეფორმატორების ბლოკირების საშუალებებს ეძებს და ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებული, ახლახან ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე დასავლეთის ქმედებების აღკვეთას ცდილობს. ორივე ქვეყნის ხელისუფლებას ესმის, რომ ნაციონალური განწყობის გაღვივება საკუთარ ქვეყნებში ავტორიტეტის გამყარებაში დაეხმარება მათ და ეს განსაკუთრებით სახიფათოს ხდის ამჟამინდელ კონფლიქტს.

ანალიტიკოსების ვარაუდით, მრისხანე რიტორიკა უახლოეს მომავალში არ ჩაცხრება.

**CNN**



მოკლედ



## მექსიკაში ქალაქის მერი თანამდებობაზე ყოფნის მეორე დღეს მოკლეს

**მექსიკაში ქალაქ ტემიკსკოს ახლად არჩეული მერი თანამდებობაზე ყოფნის მეორე დღეს მოკლეს.**

გიზელა მოტა ცეცხლსასროლი იარაღით გამოასალმეს სიცოცხლეს. მას თავს ოთხი შეიარაღებული პირი დაესხა. პოლიციამ ორი მათგანი მოკლა, ხოლო დანარჩენები დააკავა. მკვლელობის მოტივი ჯერჯერობით უცნობია.

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეს ლარის კურსის გამყარებაზე საუბარი უფრო უადვილდება, ვიდრე თავდაცვისა და უშიშროების საკითხებზე მსჯელობა. სხვა კომიტეტებთან შედარებით ეს კომიტეტი ყველაზე სუსტი რგოლია საკანონმდებლო ორგანოში. ან რად ღირს მის მიერ შემუშავებული ორგანული კანონი „ეროვნული უშიშროების საბჭოს“ შესახებ და მთავრობის №39 დადგენილება „კრიზისების მართვის საბჭოს შექმნის“ შესახებ, რომელმაც კონსტიტუციის 99-ე მუხლს, ფაქტობრივად, ხაზი გადაუსვა, რაც ვერც პარლამენტმა შეამჩნია და ვერც საკონსტიტუციო სასამართლომ.**

# მიმართვა



## საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ დავით უსუფაშვილს!



**2012 წლის 21 ოქტომბერს ახალარჩეული პარლამენტის 147 წევრმა დადო ე.წ. ფიცი და ყველამ ერთად, კოლექტიურად (ერთდროულად) წარმოთქვა სიტყვა „ვფიცავ“. ეგრეთ წოდებული იმიტომ, რომ ამ ტექსტში სიტყვა „ვფიცავ“ არ არის ნახსენები და მასში ჩაწერილია სიტყვა „ვაცხადებ“.**

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით კი, სიტყვები „ვფიცავ“ და „ვაცხადებ“ სინონიმები არ არის.

მაინტერესებს:

**დადეს თუ არა პარლამენტის დარჩენილმა სამმა და ახალარჩეულმა ოთხმა წევრმა ე.წ. ფიცი?**

**და თუ არა, რატომ?**

მესმის, რომ კონსტიტუცია არ ითვალისწინებს პარლამენტარების მიერ ფიცის დადებას, მაგრამ რატომ გააკეთა ეს იმ 147 დეპუტატმა?

თუ გავითვალისწინებთ ე.წ. ფიცის შინაარსს, დეპუტატებს უნდა წარმოეთქვათ სიტყვა „ვაცხადებ“ და არა „ვფიცავ“, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ტექსტი დეპუტატებს წინასწარ ჰქონდათ დარიგებული და ამის შესახებ მათ სხდომის წამყვანმაც შეახსენა. და, **თუ პარლამენტარებმა წინ დადებული ერთი ფურცლის წაკითხვაც არ მოისურვეს ან, თუ წაიკითხეს და აზრი ვერ გამოიტანეს, შიგ რა წერია, მაშინ მათგან რა საკანონმდებლო შემოქმედებას უნდა ველოდოთ?**

**ცნობისთვის:**

**1. ლიტვის კონსტიტუციის 53-ე მუხლი მოითხოვს, რომ: „სეიმის წევრი, რომელიც არ დადებს ფიცს კანონის შესაბამისად, ან ფიცს პირობითად დადებს, კარგავს სეიმის წევრის მანდატს“.**

**2. ისრაელის კონსტიტუცია: „სხდომის თავმჯდომარის მიერ ფიცის დადების შემდეგ ის ხელახლა უკითხავს ფიცის ტექსტს ქნესეთის წევრს და პარლამენტის ყველა წევრი თანმიმდევრობით დგება და ამბობს სიტყვას „ვფიცავ“.**

2015 წლის 28 ნოემბერს ტელეკომპანია „რუსთავი-2“-მა ჩაატარა გამოკითხვა თემაზე: „იყო თუ არა ადეკვატური თურქეთის მიერ რუსული ბომბდამშენის — „სუ-24“ ჩამოგდება?“, გამოკითხულთა თითქმის 90%-მა დადებითი პასუხი გასცა. ამით „რუსთავი 2“-მა კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი ერთგულება მიხეილ სააკაშვილის იდეებისადმი.

მაგრამ ეს გამოკითხვა ისე ჩატარდა, რომ ტელემაყურებლებისათვის არავის აუხსნია რეალური ვითარება: **დაარღვია თუ არა თურქეთის სახელმწიფო საზღვარი რუსულმა „სუ-24“-მა? ვის ტერიტორიაზე მოხდა ამ თვითმფრინავის დაზიანება და, თუ ეს მოხდა თურქეთის ტერიტორიაზე, მაშინ როგორ აღმოჩნდნენ მფრინავები და თვითმფრინავი სირიის ტერიტორიაზე, 4 კმ-ის დაშორებით თურქეთ-სირიის საზღვრიდან?**

თვითმფრინავიდან კატაპულტით არ ამოვმხტარვარ, მაგრამ 400-500 კმ-ის სიჩქარით მფრინავი ხომალდიდან კი გადმოვმხტარვარ და ვიცი, რა მანძილით შორდება პარაშუტისტი მფრინავ ხომალდს და ეს მანძილი, პარაშუტისტის წონისა და გამოცდილების გათვალისწინებით, შეადგენს არა უმეტეს 50 მეტრს. ინსტრუქციის თანახმად, მფრინავებმა დაზიანებული ხომალდი უნდა დატოვონ პირველივე წამებში.

დავუშვათ, რომ თვითმფრინავი ნამდვილად დაზიანდა თურქეთის ტერიტორიაზე, მაშინ როგორ აღმოჩნდა ის 4 კმ-ის დაშორებით თურქეთ-სირიის საზღვრიდან, რომლის დასაფარავად ხომალდს დასჭირდებოდა არანაკლებ 30 წამისა? ცეცხლმოდებული თვითმფრინავი კი ჰაერში ნახევარი წუთი ვერ იფრენდა.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ „სუ-24“-მა კი არა, თურქეთმა დაარღვია სირიის საჰაერო სივრცე, როდესაც ჩამოაგდო რუსული თვითმფრინავი.

**მაგრამ ვის აინტერესებდა „არჩევანში“ სიმართლის დადგენა?!**

ამ ტელეკომპანიის მიზანი ხომ ყოველთვის არის მოსახლეობის გაბრუება და გამოკვება ტყუილებით, რასაც წარმატებით ახორციელებს კიდეც წლების განმავლობაში.

როგორც ცნობილია, სირიის ტერიტორიაზე თვითმფრინავის ჩამოვარდნისა და მფრინავების დაშვების ადგილს, ძირითადად, კავკასიიდან და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან წასული „ბოევიკები“ აკონტროლებენ.

ახლა დავუშვათ, რომ კოალიციის ჯარებმა ისე შეუტიეს „ისლამურ სახელმწიფოს“, რომ მათი ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგეს. მაშინ ხომ აუცილებლად დაიწყება „ბოევიკების“ მასობრივი შემოსვლა ჩვენს ქვეყანაში, ვინ შეუშლის მათ ხელს? როგორც ჩანს, თურქეთის მთავრობას მაინცდამაინც არ აწუხებს მის გვერდით ტერორისტული ორგანიზაციების არსებობა და შეიძლება, ეს ხელს აძლევს კიდეც. ეს ვარაუდი ხომ „სუ-24“-ის ინციდენტმაც დაადასტურა. მანძილი სირიის ჩრდილოეთიდან ჩვენს საზღვრამდე 500-600 კმ-ია, ერაყის ჩრდილოეთიდან კი — 300 კმ.

საქართველოს უშიშროების ძალები „ბოევიკების“ მასობრივ შემოდინებას ვერ გაუმკლავდებიან, შეიარაღებული ძალები კი მათ შესაკავებლად მზად არ არიან არც პრაქტიკულად, არც ორგანიზაციულად და არც თეორიულად. ამის გამო აღმოვჩნდებით ძალიან დიდი საფრთხის ქვეშ და ეს საფრთხე არც პარლამენტს გაუანალიზებია და შეუფასებია და არც მთავრობას.

**თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეს ლარის კურსის გამყარებაზე საუბარი უფრო უადვილდება, ვიდრე თავდაცვისა და უშიშროების საკითხებზე მსჯელობა.** სხვა კომიტეტებთან შედარებით ეს კომიტეტი ყველაზე სუსტი რგოლია საკანონმდებლო ორგანოში. ან რად ღირს მის მიერ შემუშავებული ორგანული კანონი „ეროვნული უშიშროების საბჭოს“ შესახებ და მთავრობის №39 დადგენილება „კრიზისების მართვის საბჭოს შექმნის“ შესახებ, რომელმაც კონსტიტუციის 99-ე მუხლს, ფაქტობრივად, ხაზი გადაუსვა, რაც ვერც პარლამენტმა შეამჩნია და ვერც საკონსტიტუციო სასამართლომ.

მოქმედი პარლამენტი და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია უუნარონი აღმოჩნდნენ კონსტიტუციის გადამუშავებაში, განსაკუთრებით სუსტი კი — სამხედრო საკანონმდებლო კანონების შემუშავებაში.

და, **ვინაიდან დრო უკვე აღარ ითმენს, მიზანშეწონილი ხომ არ იქნებოდა, ნიმუშად აგველო რომელიმე საპარლამენტო რესპუბლიკის ძირითადი კანონი და ქართული ტრადიციების გათვალისწინებით მიგვეღო ახალი კონსტიტუცია?**

მიკვირს არასამთავრობოების, საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიების ინიციატივა საარჩევნო კანონის გადახედვის თაობაზე. მათ საერთოდ დაავიწყდათ, რომ, პირველ რიგში, ქვეყნის თავდაცვის უსაფრთხოებაზე ზრუნვაა საჭირო და არა პარლამენტში მოხვედრის სურვილი.

აშკარად ჩანს, რომ მათი ეს კატეგორიული მოთხოვნა ძირითადად განპირობებულია ხელისუფლებაში მოსვლის სურვილით და არა ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე. და ჩვენ (რიგით ადამიანებს) უკვე გამოცდილი და ნანახი გვაქვს, როგორ იქცევიან ისინი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ.

**საზოგადოებრივი მოძრაობა „საქართველო მშვიდობისათვის“, უკვე დიდი ხანია, მუშაობს სამხედრო საკანონმდებლო აქტების შემუშავება-გადამუშავებაზე და მათ შორის კონსტიტუციის 50-ე, 69-ე, 71-ე, 73-ე, 98-ე, 99-ე და მე-100 მუხლებზე.**

**და, თუ თქვენი სურვილიც იქნება, მზადაა დასახმარებლად.**

პატივისცემით,
**ალექსანდრე ტოლსტოი**

**საქართველოს უშიშროების ძალები «ბოევიკების» მასობრივ შემოდინებას ვერ გაუმკლავდებიან, შეიარაღებული ძალები კი მათ შესაკავებლად მზად არ არიან არც პრაქტიკულად, არც ორგანიზაციულად და არც თეორიულად. ამის გამო აღმოვჩნდებით ძალიან დიდი საფრთხის ქვეშ და ეს საფრთხე არც პარლამენტს გაუანალიზებია და შეუფასებია და არც მთავრობას**

მოკლედ



## ლიბიაში ტერაქტს 45-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა

**ლიბიაში ტერაქტის შედეგად 45-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა, ასზე მეტი კი — დაშავდა. აფეთქება ქვეყნის აღმოსავლეთში მდებარე ქალაქ ზლიტენში, პოლიციის საწვრთნელი ბანაკის ტერიტორიაზე მოხდა.** ადგილობრივი მედიის ცნობით, თავდასხმის დროს ცენტრის ტერიტორიაზე ასობით ადამიანი იმყოფებოდა. ლიბიაში გაეროს სპეციალური წარმომადგენლის — მარტინ კობლერის ინფორმაციით, თავდასხმა განახორციელა თვითმკვლელმა ტერორისტმა, რომელმაც დანაღმული სატვირთო მანქანა ააფეთქა. აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ ხმა საწვრთნელი ბანაკიდან 60 კილომეტრის სიშორეზე ისმოდა. ადგილობრივი მედია არ გამორიცხავს, რომ დაღუპულთა რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება.



პარა ბელუმ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ავიამზიდი — ეს არის სამხედრო ხომალდი, რომლის დამრტყმელი ძალა საგემბანო ავიაციაა. ავიამზიდს აქვს ასაფრენ-დასაფრენი და ბაზირების გემბანი თვითმფრინავებისა და ვერტმფრენებისთვის. ეს უზარმაზარი ხომალდი ოპერატიულ-ტაქტიკური მობილური საომარი ერთეულია, რომელიც მნიშვნელოვანი ძალების კონცენტრაციის საშუალებას იძლევა მსოფლიოს ოკეანის ნებისმიერ წერტილში. თანამედროვე ავიამზიდის აგება ატომური ძრავით 4-6 მლრდ დოლარი ჯდება, შენახვა კი — თვეში 10 მლნ დოლარი.

# ყველაზე მძლავრი ავიამზიდები

თანამედროვე შეიარაღებული ძალები მობილური უნდა იყოს. მრავალთვიანი ლაშქრობები სპილოებითა და ცხენებით, აგრეთვე, ექსპედიციები იალქნიანი ხომალდებით — წარსულს ჩაბარდა. ახლა, როცა ლაპარაკია არა წლებსა და თვეებზე, არამედ საათებსა და წუთებზე, ძალიან ეფექტიანია ავიამზიდების გამოყენება.

ავიამზიდი — ეს არის სამხედრო ხომალდი, რომლის დამრტყმელი ძალა საგემბანო ავიაციაა. ავიამზიდს აქვს ასაფრენ-დასაფრენი და ბაზირების გემბანი თვითმფრინავებისა და ვერტმფრენებისთვის. ეს უზარმაზარი ხომალდი ოპერატიულ-ტაქტიკური მობილური საომარი ერთეულია, რომელიც მნიშვნელოვანი ძალების კონცენტრაციის საშუალებას იძლევა მსოფლიოს ოკეანის ნებისმიერ წერტილში.

თანამედროვე ავიამზიდის აგება ატომური ძრავით 4-6 მლრდ დოლარი ჯდება. მისი შენახვა კი — თვეში 10 მლნ დოლარი.

სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების თანამედროვე ავიამზიდები (სუპერავიამზიდი, მრავალმიზნიანი, საშუალო, მსუბუქი, ხომალდსაწინააღმდეგო, საესკორტო) ამჟამად აქვს 10 სახელმწიფოს: აშშ-ს (11 ერთეული); დიდ ბრიტანეთს (3), იტალიას (2), ესპანეთს (2), ინდოეთს (2), საფრანგეთს (2), რუსეთს (1), ბრაზილიას (1), ჩინეთს (1).



## «ლიაონინი», ჩინეთი

ეს არის ჩინური ავიამზიდი, რომელიც ექსპლუატაციაშია 2012 წლიდან. ეს ხომალდი (თავდაპირველი სახელწოდება — „ვარიაგი“) ჩინეთმა 1998 წელს შეისყიდა უკრაინისგან მცურავი გასართობი ცენტრის მოსაწყობად, მაგრამ შემდეგ ავიამზიდად გადააკეთეს.

**წყალწყვა — 59500 ტ**
**სიგრძე — 304 მ**
**სიგანე — 38 მ (ასაფრენი გემბანით — 75 მ)**
**სიმძლავრე — 4X50000 ცხ. ძ**
**სიჩქარე — 29 კვანძი**
**ეკიპაჟი — 1980 კაცი**
**შეიარაღება: საზენიტო არტილერია, რაკეტები, ხომალდსაწინააღმდეგო სისტემები**
**საავიაციო ჯგუფი — 24 გამანადგურებელი J-15; 4 ვერტმფრენი — Z-18J, 6 ხომალდსაწინააღმდეგო ვერტმფრენი 2 — საძიებო-სამაშველო ვერტმფრენი.**



## «ინვინსიბლის» (Invincible class) კლასის ავიამზიდი, დიდი ბრიტანეთი

საშუალო კლასის ბრიტანული ავიამზიდი, რომელიც 1982 წელს გამოიყენეს ფოლკლენდის კუნძულებისთვის ომში არგენტინასთან.

ამ ავიამზიდს შეცვლის Queen Elizabeth-ი, რომელიც ექსპლუატაციაში შევა 2017 წელს.

**წყალწყვა — 20600 ტ**
**სიგრძე — 209,1 მ**
**სიგანე — 36 მ**
**სიმძლავრე — 97200 ცხ.ძ**
**ძრავა — 2 ერთ.**
**სიჩქარე — 28 კვანძი (კვანძი უდრის 1852 მ/სთ)**
**ცურვის სიშორე — 7000 მილი (საზღვაო მილი უდრის 1852 მ)**
**ეკიპაჟი — 557 კაცი პლუს 318 კაცი ავიაჯგუფიდან**
**შეიარაღება: საზენიტო არტილერიით, რეკეტებით რადიოსალოკაციო სისტემებით**
**საავიაციო ჯგუფი — 22 თვითმფრინავი და ვერტმფრენი.**



## «შარლ დე გოლი», საფრანგეთი

საფანგეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ფლაგმანი, ერთადერთი მოქმედი ავიამზიდი ატომური ძრავით. ექსპლუატაციაშია 2001 წლიდან.

**წყალწყვა — 42000 ტ**
**სიგრძე — 261,5 მ**
**სიგანე — 64,36 მ**
**სიჩქარე — 27 კვანძი**
**ძრავა — 2 ატომური რეაქტორი**
**ცურვის ავტონომიურობა — 45 დღე-ღამე**
**ეკიპაჟი — 1200 კაცი პლუს 600 კაცი ავიაჯგუფიდან**
**საავიაციო ჯგუფი — 40 საფრენი აპარატი: Super Etendard-ი, Rafak M-ი, E-2C, SA-365**



## «ჯორჯ ბუში», აშშ

ეს არის „ნიმიცის“ ტიპის ახალი ამერიკული ავიამზიდი, რომელიც მნიშვნელშოვნად არის გაუმჯობესებული მის წინამორბედებთან შედარებით. სახელი დაერქვა აშშ-ის 41-ე პრეზიდენტის ჯორჯ ბუში-უფროსის პატივსაცემად. ექსპლუატაციაშია 2009 წლიდან (ღირებულება — 6,2 მლრდ დოლარი).

**წყალწყვა — 97000 ტ**
**სიგრძე — 332,8 მ**
**სიგანე — 76,8 მ**
**ძრავები — 2 რეაქტორი, 4 ტურბინული ძრავა**
**სიმძლავრე — 260 ათასი ცხ.ძ.**
**სიჩქარე — 30 კვანძი**
**ეკიპაჟი — 3200 კაცი პლუს 2480 საავიაციო ჯგუფიდან**
**შეიარაღება: საზენიტო არტილერია, სარაკეტო კომპლექსები.**
**საავიაციო ჯგუფი: 90 თვითმფრინავი და ვერტმფრენი.**





## «ადმირალი კუზნეცოვი», რუსეთი

„საბჭოთა კავშირის ადმირალი კუზნეცოვი“ (ადრინდელი სახელწოდებები: „საბჭოთა კავშირი“ (პროექტი); „რიგა“; „ლეონიდ ბრეჟნევი“ (წყალში ჩაშვებისას); „თბილისი“ (გამოცდის პერიოდში) — ეს არის ერთადერთი მძიმე ავიამზიდი კრეისერი რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის შემადგენლობაში. ექსპლუატაციაშია 1991 წლიდან.

**წყალწყვა — 61390 ტ.**
**სიგრძე — 306 მ**
**სიგანე — 71,96 მ**
**ძრავები — ტურბინული**
**სიჩქარე — 29 კვანძი**
**ცურვის სიშორე — 29 კვანძის — 3850 მილი, 18 კვანძი — 7680 მილი**
**ცურვის ავტონომიურობა — 45 დღე-ღამე**
**შეიარაღება: სანავიგაციო და ელექტრონული რადიოსალოკაციო სისტემები, საზენიტო არტილერია, წყალქვეშა ნავებისა და ხომალდების საწინააღმდეგო კომპლექსები.**
**ეკიპაჟი — 1980 კაცი.**
**საავიაციო ჯგუფი — 30 თვითმფრინავი და ვერტმფრენი; Су-33, Су-25, МиГ29к და Миг29куБ.**

## ჯავშნიანი ტექნიკა

## «ტიგრი» (ГАЗ/2330)




რუსული მრავალფუნქციური და ჯავშნიანი ავტომობილი, ყველგანმავალი. აღჭურვილია ЯМЗ-5347-10 ძრავით (CumminsB-205). მწარმოებელი არზამასის მანქანათმშენებელი ქარხანა.

ავტომობილის დანიშნულებაა ადამიანების (6-9 კაცი) გადაყვანა და სხვადასხვა ტვირთის (1200 კგ) გადატანა ცუდი გზების პირობებში. კორპუსი დაჯავშნილია 5 მმ სისქის თერმულად დამუშაკვებული ფოლადის ფურცლებით.

**სიგრძე — 5700 მმ**
**სიგანე — 2300 მმ**
**სიმაღლე — 2300 მმ**
**მასა — 6400 კგ**
**სიჩქარე — 160 კმ/სთ**
**საწვავის ხარჯი — 25 ლ/100 კმ**
**სხვადასხვა მოდიფიკაციებზე შეიძლება დამონტაჟდეს ყუმბარმტყორცნი და ქვემეხი.**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ფულის საქმეებში არის კიდევ უფრო შეუცვლელი რამ. ეს არის თვითონ ფული. თუ ის არ არის, როგორც უნდა ენდოთ ერთმანეთს, როგორც უნდა გიყვარდეთ მოყვასი და მტერი, ვერაფრით დააკრედიტებთ. ზუსტად ისევე, როგორც ბაკში ბენზინის არსებობა არის უმთავრესი პირობა იმისა, რომ თქვენი ავტომობილი ამოძრავდეს. თუ ავტომობილი არ გყავთ, მომარაგებული საწვავის რაოდენობას აზრი არ აქვს. ვერსად წახვალთ, ვიდრე გადაადგილების საშუალებას არ შეიძენთ. როდესაც არ არის ფული, არ არის ლიკვიდურობაც, თქვენი ეკონომიკა ვერ იმუშავებს.**



ნიკოლაი სტარიკოვი

# კრიზისი: როგორ კეთდება?

## ანოტაცია

ჟურნალ „კონსერვატორის“ მიმომხილველის, ავტორის ბესტსელერებისა „შერშე ლა ნავთობი“, „ვინ აიძულა ჰიტლერი, თავს დასხმოდა სტალინს?“, „დეკაბრისტებიდან მოჯაჰედებამდე“ — ნიკოლაი სტარიკოვის ახალი სენსაციური წიგნი დამაჯერებლად გვიჩვენებს, ვინ და რისთვის მოაწყო მსოფლიო ფინანსური კრიზისი. თქვენ იპოვით პასუხს ყველაზე აქტუალურ კითხვებზე: რა გააკეთა აშშ-ის ხელისუფლებამ, რათა კრიზისი აუცილებლად მომხდარიყო? რატომ ბეჭდავს დოლარს არა სახელმწიფო, არამედ კერძო დუქანი, სახელად ფედერალური სარეზერვო სისტემა? როგორ გააიაფა ნავთობი დასავლეთმა? რა არის დემოკრატია და რატომ ვერასოდეს გაიმარჯვებს იგი მსოფლიოში? ვინ და რისთვის გაუწია ორგანიზება „გოლოდომორს“ — დიდ შიმშილს სსრკ-ში? ვისთვის მიჰყავდა თავისი ტანკები „ფაინას“? რატომ გვაგონებს აშშ-ის პოლიტიკური სისტემა გაფუჭებულ რულეტკას? რა კავშირშია პრეზიდენტ ჯონ კენედის მკვლელობა დღევანდელ კრიზისთან? რატომაა რუსეთში ბენზინი უფრო ძვირი, ვიდრე ამერიკაში?

ნავთობის ფასის ვარდნა, კოტირებათა დაცემა, სამხედრო კონფლიქტები და შეკვეთილი მკვლელობები — ეს არის კრიზისი. იგი შემთხვევითობა არ არის. კრიზისი იარაღია. ბრძოლა კი მიმდინარეობს არა მხოლოდ საბირჟო მოედნებზე, არამედ ჩვენს ტვინსა და გულებში. სამყარო სულაც არაა ისე მოწყობილი, როგორადაც წარმოგვიდგენია. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება რეალურ სამყაროში...

## 1. WHO IS MR.CRISIS?

**საეჭვოა, რომ ასეთი მოვლენები ჩვენთვის შეუმჩნევლად ჩაივლის. ძალიან საეჭვოა.**
**ვ. ჩერნომირდინი**

დღეს ჩვენს პლანეტაზე ყველაზე პოპულარული სიტყვის კონკურსი რომ ჩატარდეს, გამარჯვებული წინასწარ იქნებოდა ცნობილი. ამ ღონისძიებისგან არც ინტრიგები, არც ჩახლართული სიუჟეტი არ გამოვიდოდა. ტოტალიზატორში თამაშს, ფსონების დადებას და ყავაზე მკითხაობას აზრი არ ექნებოდა. ლიდერი ყველასთვის ცნობილია. ყველა საუბრობს მასზე, მას ეძღვნება ახალი ამბები და პოლიტიკოსთა, ეკონომისტთა თუ, უბრალოდ, ცნობილი ადამიანების გამოსვლები. მასზე დილიდან საღამომდე წერენ, კამათობენ, ცდილობენ, მომავალი დაინახონ. მას წყევლიან, მასზე ლოცულობენ, მომაკვდინებელ ცოდვებში ადანაშაულებენ. ეს საშინელი და, ამასთანავე, მიმზიდველი სიტყვა უკვე დაწყებითი კლასის მოსწავლეებმაც კი ისწავლეს, იგი სკოლამდელი ასაკის ბავშვებსაც კი გაუგიათ საბავშვო ბაღებში. ეს არის **კრიზისი.**

საიდან გაჩნდა იგი? კაცობრიობის ისტორიაში კრიზისი ყოველთვის რომელიმე კატასტროფასთან ან კატაკლიზმთან იყო დაკავშირებული. ბუნებრივი ან ადამიანური ძალები იწვევდა უბედურებას ან შემოსევას, რომლებსაც ცხოვრების დონის მკვეთრი გაუარესება მოსდევდა. **კრიზისი უმიზეზო არასდროს ყოფილა და ეს მიზეზი ყოველთვის წონადი და არსებითი იყო.** თუ ძველ რომს ეგვიპტე პურს დროულად არ მიაწვდიდა, მსოფლიო დედაქალაქში შიმშილი იწყებოდა. როდესაც ბარბაროსების და უფრო გვიან ბიზანტიური შემოსევები პროდუქტის შემოტანის გზებს ხერგავდა, იმპერიაში არეულობა იწყებოდა. ხელისუფლების კრიზისი ხშირად სამოქალაქო ომის დასაწყისი ხდებოდა, რომელიც, თავის მხრივ, ქვეყნის სასიცოცხლო ძალებს შთანთქავდა და საქმე ეკონომიკის ყველა სფეროს კრიზისის გაღრმავებისკენ მიჰყავდა, მაგრამ შემდეგ ომი მთავრდებოდა და მასთან ერთად მთავრდებოდა ქაოსიც. ეკონომიკა აღდგებოდა, ხალხი უფრო და უფრო უკეთესად ცხოვრობდა. და ასე იყო მომდევნო შემოსევამდე, ეპიდემიამდე ან ძალაუფლებისთვის ბრძოლის მორიგ ტალღამდე.

**რაც კაცობრიობის ისტორიაში არასოდეს ყოფილა — ეს არის კრიზისი რეალური, თვალსაჩინო მიზეზების გარეშე. არასოდეს მომხდარა, რომ პური ყოფილიყო მაღაზიაში, ხალხის უმრავლესობა — დასაქმებული, ყველაფერი თავის ადგილას, ხოლო ზღურბლზე კრიზისი იყოს მომდგარი.**

მაშ, რა მოხდა დღეს, რატომ დაავადდა ეკონომიკა არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ პლანეტაზე? მადლობა ღმერთს, არც შავი ჭირი, არც ქოლერა არ გავრცელებულა, უცხოპლანეტელები, ჰოლივუდის ბლოკბასტერების გარდა, არსად ჩანან. ძროხები იწველება, ბრინჯი იზრდება, ეგვიპტელი გლეხები, ისევე როგორ კეისრისა და კლეოპატრას დროს, წელიწადში ორ-სამ მოსავალს იღებენ. „გაზპრომი“ დაუღალავად მოიპოვებს ბუნებრივ გაზს, საუდელები, ნორვეგიელები, ყატარელები, ალჟირელები და ჩვენ ნავთობს ვქაჩავთ. ესტრადის მომღერლები და როკ-მუსიკოსებიც კი ისევე წერენ თავიანთ შლაგერებს ბრბოს გასართობად. **თითქოს არაფერი შეცვლილა — არადა, კრიზისია. ყველაფერი თითქოს ისევეა, როგორც გუშინ, თუმცა, მიუხედავად ამისა, ყველა უარესისთვის ემზადება. მაშ, რა მოხდა?**

ეს არ არის ფუჭი შეკითხვა. გავარკვიოთ, სადაა დღევანდელი კრიზისის „თავი დამარხული“, გავიაზროთ ვის, რისთვის და რატომ ესაჭიროება იგი და ერთბაშად ნათელი გახდება, რომელი წამლით უნდა ვუმკურნალოთ ამ დაავადებას. მაშინ პრობლემის გააზრების სიმაღლიდან შეგვეძლება, შევაფასოთ ჩვენი ხელმძღვანელების ქმედებაც. დგამენ თუ არა ისინი სწორ ნაბიჯებს ამ კრიზისული მდგომარეობიდან გამოსასვლელად, თუ პირიქით, როგორც ლიბერალური ჟურნალისტები და ეკონომისტები ამბობენ, მედვედევი და პუტინი თავიანთი ქმედებებით რუსეთის ეკონომიკის სასიკვდილო განაჩენს აწერენ ხელს? ყოველ შემთხვევაში, უნდა გავერკვეთ დაწყებული კრიზისის მიზეზებში. ამისათვის კი აუცილებელია, ყურადღებით დავაკვირდეთ პოლიტიკოსების არა ქმედებებს, არამედ სიტყვებს. სწორედ ბოლო კრიზისული თვეების განმავლობაში რუსული ლექსიკონი ახალი, დღემდე უცნობი სიტყვებით გამდიდრდა. უფრო სწორად, ეს სიტყვები ადრეც არსებობდა, მაგრამ მათ სპეციალისტთა ვიწრო წრე იყენებდა, ხოლო ფართო მასებისთვის ეს ტერმინები აქამდე უცნობი იყო.

რომელ სიტყვებზეა საუბარი?

ყველაზე პოპულარული „კრიზისული“ გამონათქვამი, როგორც გავარკვიეთ, არის **„კრიზისი“.** სარეიტინგო სიის მეორე ადგილს, ეჭვგარეშეა, დაიკავებს გამოთქმა **„ლიკვიდურობის ნაკლებობა“.** უცებ შეიძლება ვერც მიხვდე, რაზეა საუბარი. რომელი ლიკვიდურობის ნაკლებობაზე? იქნებ, ჩვენმა მამაცმა ორგანოების თანამშრომლებმა უკვე დაიჭირეს (მადლობა ღმერთს!) ყველა დაქირავებული მკვლელი და ახლა ის, ვინც ბოროტმოქმედება ჩაიფიქრა, შემსრულებელ-ლიკვიდატორს ვერ პოულობს? არა, კრიზისი ზუსტად რომ ეკონომიკურია და საუბარი მხოლოდ ეკონომიკაზეა. და აი, აქ ჩვენ თანამედროვე ეკონომიკური აზრის საინტერესო თავისებურების წინაშე აღმოვჩნდებით. ეკონომიკაში ყველაფერს რატომღაც იმგვარ სახელებს უწოდებენ, რომელთა აზრიც ჩვეულებრივი ადამიანისთვის პრაქტიკულად გაუგებარია. ამავე რიგიდანაა „ლიკვიდურობის ნაკლებობა“. ეს ფსევდომეცნიერული ტერმინი ნიშნავს ძალიან მარტივ სიტუაციას, რომელსაც ყველა ჩვენგანი ხვდება ცხოვრებაში – ესაა ფულის (ლიკვიდურობის) ნაკლებობა. აი, ასე ხდება გასაგები ნებისმიერი ადამიანისთვის – ფული არ არის. რატომ არქმევენ ასეთ მარტივ რაღაცებს რთულ სახელებს?!

„რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკი აღიარებს ბაზარზე ლიკვიდურობის ერთგვარ სიმცირეს“, – ამბობს ცენტრალური ბანკის თავმჯდომარე სერგეი იგნატიევი.

„ბანკებში ლიკვიდურობის სიმცირე არის რუსეთის კრიზისის ძირითადი პრობლემა“.

„რუსეთის ბანკები ებრძვიან ლიკვიდურობის სიმცირეს კლიენტების ხარჯზე“, – გაჰყვირის მოწინავე სტატიების სათაურები ინტერნეტსა და გაზეთებში“.



გაუგებარი ტერმინები ზუსტად იმისთვისაა საჭირო, რომ მიმდინარე მოვლენების აზრი დაიფაროს და არ გაჩნდეს ზედმეტი შეკითხვები. წარმოიდგინეთ, რომ ქვეყნის მთავარი ბანკის თავმჯდომარემ თქვას: „ქვეყნის ფინანსურ ბაზარზე ფული არაა“. გაზეთები კი აჭრელდეს სათაურებით: „ფულის სიმცირე ბანკებში არის რუსეთის კრიზისის საკვანძო პრობლემა“. ყველა ნორმალურ ადამიანს დაუყოვნებლივ გაუჩნდება კანონზომიერი და გონივრული შეკითხვები:

*** სად წავიდა ფული?**

*** სად წავიდა ეს ლიკვიდურობა?**

*** რატომ გაუქრა თითქმის ყველა ჩვენს ბანკს ფული?**

ეს ისევე უცნაურია, კარტოფილით ყველა მოვაჭრეს „კარტოფილის ლიკვიდურობის სიმცირე“ რომ აღმოაჩნდეს, ანუ კარტოფილით მოვაჭრეები არიან, არიან მყიდველებიც, მაგრამ, აი, კარტოფილი რატომღაც არ არის. ასეთი რამ „მეორე პურს“ რომ დამართნოდა, ახსნა მყისიერად მოიძებნებოდა: რაკი კარტოფილი არავის აქვს, ე.ი. ქვეყანაში მოსავალი არაა, არ გაიხარა, კოლორადოს ხოჭომ შეჭამა, ყინვა-სეტყვამ დააზიანა — ესეც თქვენი „კარტოფილის ლიკვიდურობის“ კრიზისი. მაგრამ ყველაფერი ადვილია სასოფლო-სამეურნეო სფეროში. რა ვუყოთ ფულს? რომელმა ხოჭომ შეჭამა ფული? დაახლოებით ნახევარი წლის წინათ ხომ იყო ფული? და უცებ — აღარ არის.

**ვინ მოახდინა „ლიკვიდურობის“ ლიკვიდაცია რუსეთში?**

ამ კითხვაზე საპასუხოდ ყოველთვის მზად არიან ჩვენი ლიბერალები. ყველაფერში რუსეთის ხელმძღვანელობაა დამნაშავე. მრავალწლიანი უმოქმედობა, სათანადო კონტროლის უქონლობა, ნავთობის ნემსზე ჯდომა. საკმაოდ დამაჯერებლად ისმის. თუმცა არის ერთი „მაგრამ“. ერთნაირი პრობლემებია ერთდროულად მსოფლიოს ყველა ქვეყნის ეკონომიკებში. ლიკვიდურობა მხოლოდ რუსეთში არ გამქრალა.

**„ლიკვიდურობის კრიზისი მსოფლიოში“, „ლიკვიდურობის კრიზისი აშშ-ში“, „ლიკვიდურობის მსოფლიო კრიზისის პროვოცირება აშშ-ის იპოთეკურ ბაზარზე შექმნილმა პრობლემებმა მოახდინა“, — ასობით და ათასობით ასეთი სათაური ყველას შეუძლია იპოვოს ინტერნეტში.** შეიძლება თუ არა გავლანძღოთ სახლმმართველობის ელექტრიკოსი გულგრილობისა და ლოთობისთვის, თუ ენერგომომარაგების სისტემის ავარიის შედეგად მთელი ქალაქი ან სულაც მთელი ქვეყანა ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი? ელექტრიკოსი, შესაძლოა, მართლაც ალკოჰოლიკია, მაგრამ მხოლოდ მას არ ძალუძს ელექტროენერგიის გათიშვა მსოფლიო მასშტაბით. უნდა გავარკვიოთ დაწყებული კრიზისის მიზეზები, სხვაგვარად განმარტების ნაცვლად კვლავ მოტყუებულები დავრჩებით.

**რა ვიცით დღევანდელი კრიზისის შესახებ?**

*** ფული (ლიკვიდურობა) გაქრა ყველგან.**

*** თავიდან ეს სულაც არ მომხდარა რუსეთში, იქაური „ტოტალიტარული რეჟიმის წყალობით“, არამედ სრულიად დემოკრატიულ ამერიკაში მოხდა.**

*** სწორედ აშშ-დან 2008 წელს კრიზისმა ცუნამივით დაიწყო გავრცელება მსოფლიოში.**




## ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ ყველაფერი კარგად იყო. შეიძლება, მთლად კარგად არა, მაგრამ არც ცუდად და უეცრად — კრიზისი, ინდექსების ვარდნა, გაკოტრება. ხალხი ნერვიულობს, მიზეზის გაგება სურს. მას განუმარტავენ, რომ ფინანსური კრიზისი აშშ-ში იპოთეკური კრიზისითაა გამოწვეული.

**ბესტსელერი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ბევრი გამართული და ლოგიკური ახსნა მოიგონეს ბოლო ნახევარ წელიწადში მიმდინარე მოვლენების ასახსნელად. ყველას ნუ განვიხილავთ, მაგალითისთვის მხოლოდ ყველაზე სასაცილო განმარტება ავიღოთ. ყველაფერში თურმე **ნდობის კრიზისია** დამნაშავე. ასეც ამბობენ: **„ლიკვიდურობის სიმცირე ფინანსურ ინსტიტუტებს შორის ნდობის კრიზისის გამო წარმოიშვა“.** ვინც უფრო ჭკვიანია, ბანკებსა და კომპანიებს შორის კრიზისზე საუბრობს, ვინც უფრო სულელი — ცნებას განაზოგადებს. თურმე რუსეთის ხელისუფლებას მოსახლეობა და ბანკები არ ენდობიან, აქედან იღებს სათავეს ყველა უბედურება. და, როგორც კი აირჩევენ ნამდვილად სახალხო, ხალხის წინაშე პასუხისმგებელ ხელისუფლებას, კრიზისი იმ წუთასვე წარსულს ჩაბარდება (უნდა აღინიშნოს, რომ „პასუხისმგებელ სამინისტროს“ ითხოვდნენ ჯერ კიდევ ნიკოლაი რომანოვისგან. მიიღეს კიდეც — ასეთი კაბინეტი რუსეთის ისტორიაში დროებითი მთავრობის სახელით შევიდა. გინესის რეკორდის წიგნში ეს ბიჭები არ მოხვდნენ, თუმცა მათი რეკორდი ეჭვს არ იწვევს: 242 დღეში (8 თვე) კერენსკიმ და მისმა გუნდმა შეძლეს, სწრაფად და ეფექტიანად დაენგრიათ იმპერია. ამ ვაირეიტინგის მეორე ადგილი ეკუთვნის მ. ს. გორბაჩოვს. მას ანალოგიური შედეგის მქონე მიღწევებისთვის 2400 დღე დასჭირდა. 1917 წელს „პასუხისმგებელი“ სამინისტროს საქმიანობის დეტალები შეგიძლიათ წაიკითხოთ ნ. სტარიკოვის წიგნში „რუსული“ რევოლუციის ამოხსნა. M.: Экомо-Яуза, 2009).

არავინ დავობს, რომ ფინანსურ საქმეებში ნდობა ძალიან მნიშვნელოვანია. მის გარეშე არ არსებობს კრედიტი, განვადება და შეღავათიანი საპროცენტო განაკვეთი, მაგრამ **ფულის საქმეებში არის კიდევ უფრო შეუცვლელი რამ. ეს არის თვითონ ფული. თუ ის არ არის, როგორც უნდა ენდოთ ერთმანეთს, როგორც უნდა გიყვარდეთ მოყვასი და მტერი, ვერაფრით დააკრედიტებთ. ზუსტად ისევე, როგორც ბაკში ბენზინის არსებობა არის უმთავრესი პირობა იმისა, რომ თქვენი ავტომობილი ამოძრავდება.** თუ ავტომობილი არ გყავთ, მომარაგებული საწვავის რაოდენობას აზრი არ აქვს. ვერსად წახვალთ, ვიდრე გადაადგილების საშუალებას არ შეიძენთ. როდესაც არ არის ფული, არ არის ლიკვიდურობაც, თქვენი ეკონომიკა ვერ იმუშავებს. შესაძლოა, დიდხანს და უნაყოფოდ ვიკამათოთ დღევანდელი კრიზისის მიზეზებზე, ვიდრე არ შევიგნებთ ერთ რამეს. თუ კარტოფილის ლიკვიდურობის კრიზისი წარმოიშვა, უნდა ვეძებოთ კარტოფილის ცუდი მოსავლის მიზეზი. გავიდეთ მინდორში, გავარკვიოთ, რომელმა უბედურებამ — ბუნებრივმა თუ ხელოვნურმა — მიგვიყვანა ბოსტნეულის უქონლობამდე. როცა ფულის საყოველთაო გაქრობის მიზეზების გარკვევა გვსურს, უნდა გავეშუროთ იქ, სადაც იგი ევლინება ქვეყანას. და მხოლოდ მაშინ იქნება ჩვენთვის სავსებით ნათელი დამდგარი ეკონომიკური კრიზისის მიზეზი.

**მაშ, სადაა ეს „მინდვრები“, რომლებზეც თანამედროვე ფული „მწიფდება“?**

**ეჭვგარეშეა — ამერიკის შეერთებულ შტატებში.**

### 2. აქციების, იპოთეკისა და ბანკების შესახებ. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება აბსურდის სამეფოში

**მას, ვინც არ ფიქრობს შორეულ სიძნელეებზე, აუცილებლად მოელის ახლო უსიამოვნებები.**
**კონფუცი**

**ფული ნაკელივითაა: თუ არ მოფანტავთ, ხეირს ვერ ნახავთ.**
**ფრენსის ბეკონი**

ყველა ჩვენგანმა იცის, რომ ფული სწრაფად და ადვილად ქრება. როგორც ქვიშა — თითებს შორის, წყალი — საცერში. ფულადი სახსრების ჯიბიდან ჯიბეში გადანაცვლების ამ ბანალური პროცესისთვის ბევრი ლამაზი მეტაფორის მისადაგება შეგვიძლია. მაგრამ, დაე, ამით პოეტები და პროზაიკოსები დაკავდნენ, ჩვენ სულ სხვა რამ გვაინტერესებს: ეკონომიკაში სახსრების გაჩენისა და არარსებობის მიზეზები. ასეც ამბობენ: მსოფლიო **ფინანსური კრიზისი.** კრიზისის შესახებ სიმართლე აქ მთავრდება. შემდეგ იწყება საუბარი მის მიზეზებზე. ტელევიზორის ეკრანს თუ მიაჩერდებით, ადვილად გადაწყვეტთ, რომ მთელი მსოფლიო გაგიჟდა. **ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ ყველაფერი კარგად იყო. შეიძლება, მთლად კარგად არა, მაგრამ არც ცუდად. და უეცრად — კრიზისი, ინდექსების ვარდნა, გაკოტრება. ხალხი ნერვიულობს, მიზეზის გაგება სურს. მას განუმარტავენ — ფინანსური კრიზისი აშშ-ში იპოთეკური კრიზისითაა გამოწვეული.**

**რა არის იპოთეკა?** — ეს არის შესაძლებლობა, შევიძინოთ საცხოვრებელი (ბინა, სახლი) კრედიტით. ბანკი იხდის მის ფასს, ხოლო მომავალი პატრონი ივალდებულებს, გადაიხადოს ვალი პროცენტით, ათი, ოცდახუთი და ხანდახან მეტიც წლის განმავლობაში. დასავლეთში იპოთეკური კრედიტები, საკმაოდ დიდი ხანია, გავრცელებულია, იპოთეკა აქტიურად მუშაობდა აშშ-ში, როდესაც სსრკ-ში სოციალიზმის აშენებას ცდილობდნენ. მაგრამ, რაც ყველაზე საინტერესოა, მსგავსი იპოთეკური კრიზისი იქ არასოდეს მომხდარა. ანალიტიკოსების ვერსიით, ამერიკელთა უდიდესმა რაოდენობამ უეცრად ვერ შეძლო გადაეხადა თავისი ფინანსური ვალდებულება ბანკებისთვის. შემდგომ ბანკებმა მიითვისეს მოვალეთა სახლები და გასაყიდად გაიტანეს, მაგრამ რატომღაც — ყველამ ერთდროულად. ანუ **სახლები იყიდებოდა, მაგრამ არავინ ყიდულობდა, რასაც, თავის მხრივ, ორი შედეგი მოჰყვა. პირველი — უძრავ ქონებაზე ფასი დაეცა, და მეორე — რაკი ვერ შეძლეს მოვალეთა ქონების რეალიზება, იპოთეკური სააგენტოები ჯერ თავად გახდნენ მოვალეები, შემდეგ კი გაკოტრდნენ.**




## რაც კაცობრიობის ისტორიაში არასოდეს ყოფილა — ეს არის კრიზისი რეალური, თვალსაჩინო მიზეზების გარეშე. არასოდეს მომხდარა, რომ პური ყოფილიყო მაღაზიაში, ხალხის უმრავლესობა — დასაქმებული, ყველაფერი თავის ადგილას, ხოლო ზღურბლზე კრიზისი იყოს მომდგარი

რატომ გახდა უეცრად ამერიკელთა მასა გადახდისუუნარო? უმუშევრობის მკვეთრი ზდრის გამო დაკარგეს სამსახური? მათი დანაზოგები გაკოტრებულმა ბანკებმა შეიწირეს? არა, ყველა ეს ნეგატიური მომენტი — უმუშევრობის ზრდა, შემოსავლების შემცირება და გაკოტრების ტალღა — არ არის მიზეზი, ეს თვითონ კრიზისის შედეგია! ხოლო მიზეზი, როგორც ჩვენ გვარწმუნებენ, გახდა იპოთეკის კრიზისი ანუ, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, მოვალეთა მიერ ვალდებულებების მასობრივად შეუსრულებლობა.

**ეს ყველაფერი თავს დამტყდარი კრიზისის არა მიზეზი, არამედ შედეგია, ხოლო ჩვენ პირიქით გვიხსნიან — შედეგს მიზეზად გვისაღებენ.**

ჯერ უნდა იყოს სირთულეები ეკონომიკაში, რომლებიც გამოიწვევს სირთულეებს ხალხის საფულეში და მხოლოდ მაშინ შეიძლება იპოთეკა შეირყეს. ნუთუ შეიძლება პირიქით მოხდეს — ყველაფერი კარგადაა, არანაირი უმუშევრობის ზრდა, არანაირი ბანკების გაკოტრება, ხოლო იპოთეკა ღრმა მინუსშია?!

გვესმის, რომ **შედეგი არ შეიძლება წარმოიშვას მიზეზზე ადრე, ანუ იპოთეკური კრიზისის ჭეშმარიტი მიზეზი სულაც არაა ამერიკელი მოქალაქეების ცხოვრების დონის მკვეთრი დაცემა, რომელიც არ აძლევს მათ საშუალებას, გაისტუმრონ საცხოვრებელის ვალი.**

მაშ, რაშია საქმე?

ყველაზე **საინტერესოა, რომ ამ მიზეზს საინფორმაციო საშუალებები ასახელებენ, თანაც ისე ხშირად იმეორებენ, რომ ჩვენ აღარ ვუფიქრდებით, რამდენად არადამაჯერებელია იგი. ერთ-ერთი ინტერნეტგამოცემის მიხედვით, „ექსპერტების აზრით, სწორედ დიდი ოდენობით არაფრით გამყარებული კრედიტების გაცემამ, დიდწილად იმოქმედა კრიზისის წარმოშობაზე საცხოვრებელის დაკრედიტების სფეროში“.** სხვა გაზეთები და ჟურნალები ასევე არ გამოირჩევიან ორიგინალურობით, ყველგან ერთი და იგივეა: **კრედიტორებმა დაურიგეს კრედიტები საეჭვო მოვალეებს, რომლებიც ვერ იხდიან ამ ვალს.**

მაგრამ როგორ შეიძლება ასე ხდებოდეს? ბანკი, რომელიც ყველას ურიგებს ფულს, ნამდვილად ვერ გაძლებს დიდხანს. მას გარდაუვალი გაკოტრება უწერია, ისევე, როგორც იპოთეკურ სააგენტოს, რომელიც ყველას აძლევს კრედიტს სახლის საყიდლად. ცდილობენ, დაგვარწმუნონ, რომ ამერიკელმა ფინანსისტებმა და ბანკირებმა დაიწყეს საკუთარი სისხლით მოპოვებული დიდი ოდენობით ფულის დარიგება და, ამასთანავე, დიდად არც აქცევდნენ ყურადღებას ისეთ უმნიშვნელო დეტალებს, როგორებიცაა მოვალის შემოსავლები და მისი სხვა სახის ქონება, რომელიც შეიძლება დაიტვირთოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოიქცნენ როგორც თავქარიანი ახალგაზრდა ქალები და არა როგორც კაპიტალიზმის გამოცდილი ზვიგენები.

ყველაზე სასაცილო ისაა, რომ ეს სრული სიმართლეა!

ნაქები ამერიკული ბანკები მასობრივად აკეთებდნენ იმას, რის გამოც ყოველი ჩვენგანი თავში წამორტყმას დაიმსახურებდა ცოლისგან ან ქმრისგან. **ფული შრომით მოიპოვება, ისინი სისხლისა და ოფლის ფასად იშოვება — ამ ჭეშმარიტებას უდებენ თავში მშობლები შვილებს. მას უნდა მოვუფრთხილდეთ. განა შეიძლება ყოველ მთხოვნელს დაურიგოთ ფული აშკარა რისკით, რომ ამ თანხას დაკარგავთ?!** ყოველი ადამიანი ცხოვრებაში ერთხელ მაინც გაასესხებს ფულს და რაც მეტია თანხა, მით ნაკლებია მისი გაცემის სურვილი, მეტია საფრთხე. ასეა ხომ? გონიერი ადამიანი დიდ თანხას ასესხებს მხოლოდ მას, ვისაც კარგად იცნობს, ძალიან კარგად იცნობს. სადარბაზოს მეზობელს და თუნდაც სამსახურის კოლეგას ფულს არავინ მისცემს, ფულის დაბრუნების თუნდაც სულ მცირე ეჭვის გამო. ასეთია საღი აზრი.




**აშშ-ში ყველაფერი პირიქითაა. ისევე, როგორც „ლიკვიდურობის“ შემთხვევაში, მოფიქრებულია ლამაზი ტერმინები, რომლებიც მოწოდებული იყო, დაემალათ ფინანსისტთა უცნაური ქმედება.**

თურმე ამერიკაში იპოთეკური კრედიტის მიღება შეეძლოთ იმ პიროვნებებს, რომლებსაც საღი აზრისა და ეკონომიკური რეალიების მიხედვით იგი არასოდეს უნდა მიეღოთ. ასეთი ვაიმოვალის პორტრეტის დახატვა რთული არ არის: 70 წლის უმუშევარი, არ აქვს ქონება, მაგრამ აქვს ჯანმრთელობის პრობლემები, იღებს იპოთეკას 25 წლით. მე, რა თქმა უნდა, ვაჭარბებ, მაგრამ ოდნავ. ამერიკელი ბანკირები კრედიტის გაცემის საკუთარ სტანდარტებს არღვევდნენ ამგვარი მოქალაქისთვის ფულის მიცემით. არც ერთი საღად მოაზროვნე ადამიანი არ მისცემს ამგვარ ინდივიდუმს ერთ დოლარსაც კი, ხოლო ყველა ბანკი, რომლებსაც ტვინი და საკუთარი უსაფრთხოების სამსახური გააჩნიათ, ზრდილობიანად ეტყვის უარს. ასეც იყო აშშ-ში ადრე. ამასთანავე, უარის მიზეზი იყო არა მხოლოდ ასაკი ან მოვალის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ითვალისწინებდნენ არანაკლებ მნიშვნელოვან ფაქტებს: ჰქონდა თუ არა ახლო წარსულში მოვალეს კრედიტებზე ვადის გადაცილება, ყოფილა თუ არა მის მიმართ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებები ან დაკისრებია თუ არა ჯარიმა იპოთეკით დატვირთულ ქონებაზე, ხომ არ გაუვლია გაკოტრების პროცედურა. ეს ყველაფერი ფასდებოდა და საეჭვო სუბიექტებს უარს ეუბნებოდნენ.

და უცებ — უარით გასტუმრება შეწყვიტეს. **ბანკებმა უეცრად დაიწყეს ფულის დარიგება ყველა მსურველისთვის, თანაც სერიოზული თანხების — საუბარი ხომ უძრავი ქონების შესყიდვაზეა. ისეთი მოვალეებისთვის, როგორიც ჩვენი მოხუცი და ავადმყოფი მოვალეა, სპეციალური ტერმინიც კი მოიგონეს — არასტანდარტული დაკრედიტების ბაზარი (SUBPRIMEMARKET). ყველა მიზეზი, რომლის მიხედვითაც „არასტანდარტულ მოვალეებს“ (SUBPRIMEBORROWERS) ადრე უარს ეუბნებოდნენ, დავიწყებას მიეცა.** ყურადღება არ ექცეოდა იმ აშკარა ფაქტსაც, რომ არასტანდარტული კრედიტები ბევრად სარისკოა კრედიტორისთვის და, თუ ყველა მსურველს ჩამოურიგებ სახსრების დიდ ოდენობას, ძალიან ადვილად გაკოტრდები.

**გაგრძელება იქნება**

## რა ვიცით დღევანდელ კრიზისზე?
## * ფული (ლიკვიდურობა) გაქრა ყველგან.
## * თავიდან ეს სულაც არ მომხდარა რუსეთში, იქაური «ტოტალიტარული რეჟიმის წყალობით», არამედ სრულიად დემოკრატიულ ამერიკაში მოხდა.
## * სწორედ აშშ-დან 2008 წელს კრიზისმა ცუნამივით დაიწყო გავრცელება მსოფლიოში

ცნობისათვის

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**განყობილი მაგიდა თვითონ გკარნახობთ, რომელი დანა, ჩანგალი ან კოვზი უნდა გამოიყენოთ, მაგრამ ამისათვის უნდა იცოდეთ შემდეგი რამ: როგორც წესი, ჭურჭლის გამოყენება იწყება უშორესიდან და მთავრდება უახლოესით (ანუ, თუ დევს 3 ჩანგალი პირველ კერძთან, იყენებთ იმ ჩანგალს, რომელიც არის თქვენი თეფშიდან ყველაზე შორს, ხოლო ბოლოს — დესერტისთვის იყენებთ თქვენს თეფშთან ყველაზე ახლოს მდებარე მომცრო ჩანგალს). დანას ვიჭერთ მარჯვენა ხელში, ხოლო ჩანგალს — მარცხენაში.**

# ზოგი რამ სუფრის ეტიკეტის შესახებ

**თანამედროვე მსოფლიოში ყველა საზოგადოებაში არსებობს შეთანხმება, როგორ უნდა იქცეოდეს ადამიანი სუფრასთან. სიტყვა „ეტიკეტი" მე-17 საუკუნეში საფრანგეთის სამეფო კარზე დამკვიდრდა. მეფე ლუდოვიკო მეთოთხმეტის მიერ გამართულ ერთ-ერთ წვეულებაზე სტუმრებს დაურიგეს ბარათები, რომლებშიც სუფრასთან ქცევის ზოგიერთი სავალდებულო წესი იყო ჩამოთვლილი. ფრანგულად ეტიკეტი ბარათს ნიშნავს, მთელი დანარჩენი მსოფლიოსთვის კი — ამა თუ იმ სიტუაციაში ქცევის ნორმებს.**



სუფრასთან მოქცევის წესებს ადამიანები ბავშვობაშივე სწავლობენ ოჯახში, სკოლაში.

ყოველთვის კარგ ტონად ითვლება მცირე საჩუქარი მასპინძლისთვის, მაგრამ საჩუქარი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს ისეთი რამ, რაც მასპინძელს დაავალდებულებს ან აფიქრებინებს მის გამოყენებას იმავე საღამოს (ყვავილები, ღვინო, ტკბილეული, დესერტი და ასე შემდეგ. ეს იმ საჩუქართა ჩამონათვალია, რომლებიც არ უნდა აჩუქოთ მასპინძელს, როდესაც სტუმრად მიდიხართ).

***მასპინძლის დაჯდომამდე არ უნდა მივუსხდეთ სუფრას.** მაგიდასთან მხოლოდ მასპინძლის მიწვევის შემდეგ უნდა დავსხდეთ. მცირე წვეულებებზე, რომლებზეც არ არის მითითებული, ვინ სად უნდა დაჯდეს, არ უნდა დავსხდეთ მანამ, სანამ მასპინძელი არ მიგვითითებს ჩვენს ადგილზე.

*** ქალი უნდა იჯდეს მამაკაცის მარჯვნივ.**

*სუფრაზე დაჯდომისას გამორთეთ ან ჩუმ რეჟიმზე დააყენეთ ყველა ელექტრომოწყობილობა. თუ დაგავიწყდათ ტელეფონის გამორთვა და დარეკა, სასწრაფოდ გათიშეთ. ნუ გაგზავნით მესიჯებს და ნუ შეხვალთ ინტერნეტში.

***სტუმრად ყოფნისას უნდა დაელოდოთ მასპინძელს, სანამ ის არ გაშლის თავის ხელსახოცს,** მანამდე არც თქვენ უნდა გადაიფინოთ ხელსახოცი (გამონაკლისია ბუფეტის ტიპის დაწესებულებები, სადაც ხელსახოცს ჭამის დაწყებისთანავე იფენენ კალთაზე). ხელსახოცი უნდა გაშალოთ ერთი მარტივი და წყნარი მოძრაობით ყოველგვარი ფრიალის გარეშე.

*პირის მოწმენდისას ხელსახოცი ნაზად და მშვიდად უნდა მოისვათ ტუჩებზე. ჭამისას, შესაძლოა, დაგჭირდეთ დროებით დატოვოთ სუფრა, ამ დროს ადგომის წინ, კალთაზე დაფენილი ხელსახოცი უნდა აიღოთ და თეფშის მარცხენა მხარეს მოათავსოთ. წასვლის წინ ამავე ხელსახოცს თეფშის მარჯვენა მხარეს ვდებთ, არც მთლიანად გაშლილს და არც მთლიანად დაკეცილს.

თუ როგორ დაიფინოთ ხელსახოცი კალთაზე, ამას დიდწილად მისი ზომა განსაზღვრავს. როგორც წესი, დიდი ხელსახოცები გამოიყენება უფრო ფორმალურ სადილებზე, ის უნდა გაშალოთ ნახევრად (სამკუთხედის ფორმისებურად) და ისე დაიფინოთ კალთაზე, ხოლო შედარებით პატარა ხელსახოცები უნდა გაშალოთ ბოლომდე.

***გახსოვდეთ, რომ კერძს ყოველთვის მოგაწვდიან ან გადმოგიღებენ მარცხნიდან, ხოლო გამოყენებულ ჭურჭელს მარჯვნიდან აიღებენ.**

*კერძი, საწებელი, კარაქი ან კიდევ ნებისმიერი რამ ჯერ უნდა გამოიტანოთ თეფშზე და შემდეგ მიირთვათ. ძალიან ცუდ ტონად ითვლება, თუკი ადამიანი კარაქს პურზე დებს პირდაპირ საერთო თეფშიდან.

***ნუ დაიწყებთ კერძის დაყნოსვას, ასევე უხეში შეცდომაა მარილის ან პილპილის გამოყენება კერძის გასინჯვამდე.**

*როდესაც რაიმეს ჭრით და ისე მიირთმევთ, ეცადეთ, ჩამოჭრათ პატარა ნაწილები და ჭამოთ აუჩქარებლად. არ შეიძლება ორ ნაჭერზე მეტის ერთდროულად ჩამოჭრა, ერთგვარ უმეცრებად ითვლება 5-10 ლუკმის წინასწარ მომზადება შესაჭმელად.

***როდესაც რომელიმე კერძი არ მოგეწონებათ, არ არის აუცილებელი, ამის ემოციით გადმოცემა, უბრალოდ, შეინარჩუნეთ სიჩუმე და დატოვეთ კერძი თქვენს თეფშზე. კერძის დატოვება არ არის სირცხვილი და ცუდი ქცევის მანიშნებელი.**

*გაწყობილი მაგიდა თვითონ გკარნახობთ, რომელი დანა, ჩანგალი ან კოვზი უნდა გამოიყენოთ, მაგრამ ამისათვის უნდა იცოდეთ შემდეგი რამ: როგორც წესი, ჭურჭლის გამოყენება იწყება უშორესიდან და მთავრდება უახლოესით (ანუ, თუ დევს 3 ჩანგალი პირველ კერძთან, იყენებთ იმ ჩანგალს, რომელიც არის თქვენი თეფშიდან ყველაზე შორს, ხოლო ბოლოს — დესერტისთვის იყენებთ თქვენს თეფშთან ყველაზე ახლოს მდებარე მომცრო ჩანგალს).

**დანას** ვიჭერთ მარჯვენა ხელში, ხოლო **ჩანგალს** — მარცხენაში. ჩანგალი უნდა გვეჭიროს ისე, რომ მისი კბილები თეფშისკენ იყოს მიმართული. რაც შეეხება დანას, მას ვიჭერთ მარჯვენა ხელით დაახლოებით 3-5 სანტიმეტრის დაშორებით თეფშისგან.

როდესაც დაასრულებთ ამა თუ იმ კერძის ჭამას, დადეთ დანა-ჩანგალი თეფშზე ერთმანეთის პარალელურად. მაგრამ თუ ჭამისას პაუზის აღებას გადაწყვეტთ, მაშინ დადეთ თქვენი დანა-ჩანგალი გადაჯვარედინებულად.

*ერთხელ ნახმარი დანა ან ჩანგალი მაგიდაზე არ უნდა დავდოთ, არამედ იმ თეფშზე, რომლიდანაც მივირთვით. წვნიანის ჭამისას კოვზი თასში უნდა ჩავდოთ, ხოლო ჩაის კოვზი, მოხმარების შემდეგ, ქვესადგარზე უნდა მოვათავსოთ.

***ხელების დადების 3 წესი არსებობს: მაჯების მოთავსება მაგიდაზე, მკლავების მოთავსება მაგიდაზე ან ხელების დაწყობა კალთაზე.**

*ეტიკეტის თანახმად, პირის მოცულობითი რესურსის მთლიანად გამოყენება არ შეიძლება, ღეჭვისას იგი მოკუმული უნდა გვქონდეს და მორიგი ნაჭრის ჩადებამდე რამდენიმე წამი უნდა გავიდეს.

ამჟამად მსოფლიოში დღის განმავლობაში საკვების მიღების ყველა ჯერს შესაბამისი სახელწოდება აქვს და ყველაზე ძველი და ტრადიციული საუზმის, სადილისა და ვახშმის გარდა, სხვაგვარი წვეულებებიც იმართება. ყველა მათგანს თავისი ეტიკეტი აქვს.

*ლანჩი მეორე საუზმეა — 12 დან 13 საათამდე. მასზე მიწვევა ტელეფონით, განსაკუთრებულად საზეიმო შემთხვევებში კი მოსაწვევებითაც ხდება.

ლანჩის დროს სხდებიან სუფრის გარშემო. გამოიყენება ჩვეულებრივი სასადილო ან რამდენიმე ერთად მიდგმული პატარა მაგიდა.

***თუ ოფიციალურია მიღება, მაგიდას ფერად სუფრას დააფარებენ და ყველა სტუმრის წინ დადებენ თეფშის სპეციალურ დასაფენს. საფენები შეიძლება იყოს სხვადასხვა მასალის: სელის, მოქარგული ტილოს ან პლასტიკური.**

ლანჩის დროს არ არის მისაღები ქათქათა თეთრი გლუვი ტილო, რომელსაც სადილობის დროს აფარებენ მაგიდას. სუფრის მორთვა შეიძლება ლარნაკში ჩაწყობილი ყვავილებით, ხილითა და სანთლებით.

ლანჩის დროს ორი-სამი კერძის მონაცვლეობა საკმარისია. ჩვეულებრივ, სთავაზობენ წვნიანს ფინჯნით, კვერცხს ან ზღვის ხამანწკებს, ფრინველის ან ოთხფეხა პირუტყვის ხორცს და თევზს; მოგვიანებით — ხილს, სალათსა და დესერტს. ლანჩის დროს მიზანშეწონილია ცხელი კერძებით გამასპინძლება.

ნებისმიერი ლანჩის დამახასიათებელი შტრიხია ცხელი ნამცხვრები, ორცხობილები, რბილი ბისკვიტები, ინგლისური ბისკვიტები, ფენოვანი ღვეზელები, სიმინდის ხრაშუნა პური და სხვ., ასევე შეიძლება მსუბუქი ღვინო. ჩვეულებრივ კი, ლანჩის დროს მიირთმევენ ჩაის ან ყავას ყინულით. ჩაის ასხამენ ფინჯნებში და მიირთმევენ პიტნის ნორჩ ფურცლებთან ერთად.

საკმაოდ გავრცელებული ფორმაა სამსახურებრივი ან საქმიანი ლანჩი კოლეგებთან ერთად რესტორანში, კლუბში ან სწრაფი კვების ობიექტში. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად საფრანგეთში, შესვენება 1,5-2 საათია, რაც საშუალებას იძლევა, ეს დრო არა მხოლოდ დანაყრების, არამედ საქმიანი საუბრებისთვისაც იქნას გამოყენებული.

**ლანჩის მოწყობის ფორმა ირჩევა იმის მიხედვით, რა მიზანს ემსახურება შეხვედრა და ვინ არიან მოწვეული სტუმრები. ეს შეიძლება იყოს სწრაფი კვების ობიექტში გამართული სასწრაფო ლანჩი, სადაც ისაუბრებენ სამსახურეობრივ საქმეებზე, ან სრულყოფილი ლანჩი რესტორანში, რომელიც შედგება სამი სახის კერძისგან: მსუბუქი, ძირითადი კერძი და დესერტი.**

საქმიან ლანჩებზე, ძირითადად, მეუღლეების გარეშე დადიან. მასზე არ არის საჭირო ოფიციალური მოწვევის გაგზავნა. თუ სწრაფი კვების ობიექტში აპირებენ ლანჩის გამართვას, საკმარისია მხოლოდ სატელეფონო ზარი ან სულაც წინა შეხვედრის დროს შეთანხმება მომავალი შეხვედრის თაობაზე.

სამოსის ფორმა ყოველდღიურია, თუ საქმიანი ლანჩი სწრაფი კვების ობიექტში იმართება, სამოსისადმი პრეტენზიები მონიმალურია. ასეთ შემთხვევაში ჯინსიც კი დასაშვებია.

*რესტორანი უფრო მკაცრ მოთხოვნებს აყენებს სამოსის მიმართ: მამაკაცისთვის პიჯაკი აუცილებელია, ქალბატონისთვის — საქმიანი პიჯაკი ან კაბა.

***ბრანჩი,** ანუ გვიანი საუზმე მიღების არაფორმალური სახეა, რომელიც იმართება საუზმესა და ლანჩს შორის.

მიღება ჩვეულებრივ იმართება გამოსასვლელ დღეებში (ხშირად მხოლოდ კვირას) 12 დან 16 საათამდე და მასზე ხშირად იწვევენ მეგობრებს ოჯახებთან ერთად, ბავშვების ჩათვლით. ბრანჩი კოლეგების თავისუფალ, მეგობრულ ატმოსფეროში ახლოს გაცნობის შესანიშნავი საშუალებაა. ბრანჩის მოწყობა შესაძლებელია სახლში ან აგარაკზე მეზობლებისთვის.

ბრანჩი თავისი ხასიათით წააგავს საუზმეს ან მსუბუქ ლანჩს და პრინციპში იმავე პროდუქტებისგან შედგება — კვერცხი, ბეკონი, სოსისი, მოშუშული ხორცი, თევზი, ბლინები, გრილზე მომზადებული პომიდორი, საწებელი, ფუნთუშა, კარაქი, ყველი და სხვ.

სასმელებიდან შეიძლება ჩაი, ყავა, წვენები, გამაგრილებელი სასმელები, შესაძლებელია კოქტეილი და ღვინოც.

ბრანჩი ფართოდ არის გავრცელებული ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა აშშ, კანადა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა.

მენიუ და ორგანიზაციული მომენტები ბრანჩის ჩატარებისას რაც შეიძლება გამარტივებული უნდა იყოს, რათა დიასახლისებს ჰქონდეთ საშუალება, მეტი დრო გაატარონ სტუმრებთან ერთად.

***ა-ლა ფურშეტი** ფრანგული სიტყვაა (a la fourchette — ჩანგლით). ფურშეტი იმართება, ძირითადად, 18:00-20:00 საათებში. სტუმრები ამ დროის განმავლობაში ფეხზე დგანან.

სუფრაზე უნდა იყოს მხოლოდ ისეთი საკვები, რომელთა მირთმევა მხოლოდ ჩანგლით, დანის დაუხმარებლადაა შესაძლებელი. ამას გარდა, სუფრაზე აუცილებლად იქნება საკვების ასაღები სპეციალური ჩხირებიც. ფურშეტზე სასმელიც და საჭმელიც მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი.

მაგიდა ჩვეულებრივზე უფრო მაღალი უნდა იყოს, რათა ფეხზე მდგომთათვის მირთმევა გაადვილდეს. მაგიდაზე გადაფარებული უნდა იყოს თეთრი (შეიძლება სხვა ფერიც) გადასაფარებელი, რომლის სიგრძე იატაკს მხოლოდ 5-10 სანტიმეტრით სცდება.

ჭიქები გამაგრილებელი და ალკოჰოლური სამელებისთვის იდგმება რიგებად ან სამკუთხედებად. ერთმანეთზე შეწყობილი თეფშები მაგიდის ყველა კუთხეშია განთავსებული. ცივი კერძები ლაგდება სუფრის ცენტრში. კიდეები კი თავისუფალი რჩება რათა სტუმრებმა შეძლონ თავიანთი თეფშების დალაგება.

დიდ შენობაში ა-ლა ფურშეტისთვის რამდენიმე მაგიდა შეიძლება განთავსდეს, თითოეული — 5-6 ადამიანისთვის. ცივი კერძების შემდეგ სტუმრებს შემწვარ კერძს სთავაზობენ. მათ შორის შეიძლება პატარა ზომის ცხელი სოსისები და კოტლეტებიც იყოს.

ცხელი კერძების შემდეგ შეიძლება დესერტის — ყველისა და ხილის, ჟელეს ან ნაყინის შეთავაზება. ბოლოს, სურვილისამებრ, სტუმრები ყავას მიირთმევენ.

ა-ლა ფურშეტის დროს, როგორც წესი, თვითმომსახურებაა. მაგიდასთან მოფუსფუსე მიმტანებს, მხოლოდ დასვრილი თეფშების გამოცვლა, კერძებისა და ნაყინის შემატება და სასმელის შევსება ევალებათ.

მსგავსი ტიპის მიღებაზე მოხვედრის შემთხვევაში, პირველ რიგში უნდა მიესალმოთ საღამოს ავტორებს, წასვლის წინ გამომშვიდობება სავალდებულო არ არის. თუ მიღება ოფიციალურია, სტუმარს შეუძლია სავიზიტო ბარათი ლანგარზე დატოვოს.

***ბევრ ქვეყანაში მიღების ერთ-ერთ გავრცელებულ ფორმად ითვლება კოქტეილი, რადგან იგი ყველაზე მეტად შეესაბამება დაკავებული ადამიანის შესაძლებლობებს.**

მიღება იწყება 17-დან 18 საათამდე და გრძელდება ორ საათს. მიღების მიმდინარეობისას სტუმრები ფეხზე დგანან. მოსაწვევზე მითითებულია მიღების დაწყებისა და დასრულების დრო.

სტუმრებს შეუძლიათ მოვიდნენ და წავიდნენ მითითებული დროის შუალედში. ნორმალურად ითვლება მიღებაზე ყოფნა 1,5 საათამდე.

თუ ოფიციალურ მიღებაზე ბევრი სტუმარია მიწვეული, მასპინძელი მამაკაცი და მასპინძელი ქალბატონი მთელი დროის განმავლობაში დგანან შესასვლელთან, იღებენ და აცილებენ სტუმრებს.

გარდა ამისა, მასპინძელი ქალბატონი აცნობს ახალმოსულებს იმ სტუმრებს, რომლებსაც ისინი არ იცნობენ.

თუ მასპინძელი ქალბატონი ადგილზე არ იმყოფება, ახალმოსულმა სტუმარმა უნდა იპოვოს იგი, მიესალმოს და მხოლოდ ამის შემდეგ შევიდეს კონტაქტში სხვა სტუმრებთან.

თუ მიღება აღინიშნება სტუმართა ვიწრო წრეში, მასპინძელი მამაკაცი და ქალბატონი ნაკლებად შებოჭილები არიან, ისინი არა მხოლოდ იღებენ და აცილებენ სტუმრებს, არამედ შეუძლიათ დროის უმეტესი ნაწილი მათთან ურთიერთობას დაუთმონ და შესთავაზონ კოქტეილი, რომელსაც ოფიციანტები დაატარებენ.

*ზოგჯერ ეწყობა **ბარ-ბუფეტი** სპირტიანი სასმელებით. კოქტეილის მაგიდა ფურშეტისა და სადილი-ბუფეტის მაგიდისგან განსხვავდება იმით, რომ მასზე არ არის თეფშები და ჩანგლები, არის მხოლოდ ხის ან პლასტმასის (შესაძლოა მეტალის) სპეციალური ჩხირები, რომლებიც ჩარჭობილია სხვადასხვა ტიპის მშრალ საკვებში, ხილსა თუ დელიკატესში, რომელთაც მოართმევენ ხოლმე დიდი ლანგრებით.

შესაძლებელია იყოს მინი ჩანგლები, რომელთა საშუალებითაც იღებენ კანაპეს ან ხილს კოქტეილიდან.

რაც შეეხება საკვებს, შესაძლოა, მოწოდებული იყოს კანაპე სხვადასხვა კრემით, პაშტეტით, თევზით, ხორცითა და სხვ., ფენოვანი ან ტკბილი მინი-ნამცხვრები, ორცხობილა, აგრეთვე, ფარშირებული კვერცხი, მარილიანი ან ტკბილი ნუში, ნიგოზი, ხილი და სხვ.

მიღების ბოლოს, შესაძლოა, სტუმრებს შესთავაზონ ყავა.

***პიკნიკი ტარდება ქალაქგარეთ, ღია ცის ქვეშ, დღის საათებში**. კერძები წინასწარ მზადდება და მათი ჩალაგება ხდება კალათებში, გადასატან მაცივრებსა და სპეციალურ ყუთებში. პიკნიკის დროს შესაძლებელია ჩვეულებრივი ჭურჭლის ნაცვლად პლასტმასის ჭურჭლის გამოყენება.

პიკნიკის დროს დასაკეც სკამებსა და მაგიდებს იყენებენ ხოლმე. სასურველია დიდი

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# იაპონიაში სუფრა აუცილებლად ხმაურიანი უნდა იყოს. სხვადასხვა შეძახილი და ხმამაღალი ბგერები სტუმრების კმაყოფილებას გამოხატავს. მშვიდად და ჩუმად სადილობა ნიშნავს, რომ სტუმარი უკმაყოფილოა კერძებით და სიტუაციით და ამით მასპინძელს შეურცხყოფს. არ არის მიღებული ალკოჰოლური სასმელის დალევა საზეიმო სიტყვის ან სადღეგრძელოს გარეშე.

ქოლგის თან წაღებაც. გასათვალისწინებელია, რა სახის ტრანსპორტით უნდა მოხდეს მისვლა პიკნიკის ადგილზე.

სასურველია ამინდის პროგნოზის გათვალისწინება, ცოდნა იმისა, თუ რისი გაკეთება შეიძლება ძლიერი წვიმის ან ქარის შემთხვევაში.

ამ დროს ორი გამოსავალი არსებობს: ან უნდა გაიშალოს კარავი, ან პიკნიკის ადგილი საცხოვრებელთან ახლოს უნდა იყოს, რათა მოხერხდეს საჭიროების შემთხვევაში თავის შეფარება. საცხოვრებელი კი საკმარისად დიდია იმისთვის, რომ ადგილი ყველას ეყოს.

პიკნიკის დროს მენიუ საკმაოდ მრავალფეროვანი შეიძლება იყოს. იგი შეიძლება შედგებოდეს როგორც მსუბუქი (პაშტეტები, სალათები, წვნიანი და ა.შ.), ასევე ძირითადი კერძებისგან (შემწვარი ხბოს ან ღორის ხორცი, შემწვარი წიწილა და ა.შ.) საკვები შეიძლება იყოს თერმოსებში. დესერტად შეიძლება მორთმეული იყოს ხილი, ნამცხვარი. პიკნიკი, ძირითადად, წლის თბილ თვეებში ტარდება, ამიტომ სამოსი მსუბუქი და მოსახერხებელი უნდა იყოს.

***ფონდიუზე** მიწვევის ტრადიცია შვეიცარიიდან მოდის ფრანგულად ფონდრე გალღობას, გადნობას ნიშნავს. ალპებში, მკაცრი ზამთრის პირობებში, როდესაც დიდთოვლობის გამო გარეთ გასვლა შეუძლებელი ხდებოდა, ფერმერები სადილს იმით ამზადებდნენ, რაც ხელში მოხვებოდათ, ძირითადად, ეს იყო გამომშრალი პური და ყველი.

ამჟამად ფონდიუს მრავალფეროვანი ვარიაცია არსებობს, როდესაც პურის ნაცვლად გამოიყენება ხორცის, თევზის, ხილის ან ბოსტნეულის კუბები, ხოლო მდნარი ყველის ნაცვლად — კარაქი, შოკოლადი და სხვ.

ასეთი ტიპის მიღება საღამოობით იმართება და სტუმართა შეზღუდულ რაოდენობას ითვალისწინებს. სტუმრები სხდებიან მაგიდის ირგვლივ, რომლის ცენტრში ტრადიციულ ვარიანტში მდნარი ყველით სავსე ფონდიუს სპეციალური ქვაბი დგას, გვერდზე კი — თეფშში პურის კუბიკებით.

სტუმრებისთვის გამოყოფილია სპეციალური ჩანგალი, რომელსაც იგი ჩაარჭობს პურის კუბში და ჩაუშვებს ქვაბში მოთავსებულ მდნარ ყველში. რამდენიმე წუთში „კერძიც" მზადაა. მას გადაიღებენ თეფშზე და ისე მიირთმევენ, და ასე რამდენიმეჯერ, სურვილისა და მადის მიხედვით.

შვეიცარიაში ყველა დიასახლისს აქვს ყველის საკუთარი რეცეპტი და ყველის სახეობების თავისებური შეთავსება ფონდიუს მოსამზადებლად.

ასეთი ტიპის მიღება შინაურულ გარემოსა და მეგობრული საუბრის განწყობას ქმნის.

თუ შემთხვევით სტუმარს დაუდევრობით პურის ნაჭერი ყველიან ქვაბში ჩაუვარდა, მას მსუბუქი იუმორით ამხნევებენ.

***„შვედური მაგიდა"** სათავეს, ცხადია, შვედეთიდან იღებს და სწორედ აქედან მომდინარეობს მისი სახელწოდებაც.

შვედური მაგიდა მოსახერხებელია იმით, რომ მასზე შესაძლებელია მეტი სტუმრების მოწვევა, ვიდრე ჩვეულებრივ სადილზე. ის იმართება იმავე საათებში, რა საათებშიც იმართება სადილი. ასეთი მიღების ორგანიზება საკმაოდ უბრალოა, რადგან მარტივია სერვირება და სტუმრების მომსახურება.

მაგიდა კედელთან ან დარბაზის ცენტრში იდგმება და მასზე აფარებენ დიდ გადასაფარებელს, რომლის კიდეები იატაკამდე სწვდება.

მაგიდის ცენტრში თავსდება ცივი საუზმე — სოუსები, ძეხვეული, ყველი, ხორცი, ბოსტნეული, ხილი, ორცხობილები, სხვადასხვა საკონდიტრო ნაწარმი, წვენები, მინერალური წყალი და სხვ.

მაგიდის კიდეებზე მწკრივებად ან სამკუთხედებად იდგმება არყის ან კონიაკის ჭიქები. წვენის ჭიქები და ღვინის ბოკლები. თეფშები იდგმება ერთმანეთზე დაწყობილი. დანა-ჩანგალი დეკორატიულ ჭურჭელში იწყობა ან ნახაზის სახით მაგიდაზე განლაგდება.

ხელსახოცები ჯგუფ-ჯგუფად რამდენიმე სხვადასხვა ადგილას იდება. მაღალღეროებიანი ყვავილები მაღალ ლარნაკებში იწყობა და ესთეტიკურად განლაგდება შესაფერის ადგილებზე.

სტუმრები უახლოვდებიან მაგიდას, მარცხენა ხელით იღებენ ხელსახოცს, რომელზეც დგამენ თეფშს დანა-ჩანგლით და განალაგებენ თეფშზე სასურველ კერძს. მარჯვენა ხელში იღებენ ღვინის ბოკალს ან ჭიქას წვენისა ან სხვა გამაგრილებელი სასმელისთვის.

შეარჩევენ რა სასურველ კერძს, სტუმრები გადაადგილდებიან და სხდებიან პატარა მაგიდებთან, დივნებზე ან სავარძლებზე, ახლოს სასურველ თანამოსაუბრე სტუმართან.

გარდა ამისა მასპინძლებმა უნდა იზრუნონ იმისთვის, რომ ყველა შესაძლო კუთხეში ან სხვა ოთახებში, სადაც შეიძლება სტუმრები გადაადგილდნენ, იდგეს პატარა მაგიდები, რათა სტუმრებს ჰქონდეთ თეფშების დადების საშუალება.

ღვინო, კოქტეილი და სხვა ალკოჰოლური სასმელები იდგმება ბართან ან იმ მაგიდებთან, რომლებთანაც მომსახურე პერსონალი დგას.

***ბარბექიუ** (მწვადი) არაფორმალური და ბევრისთვის საყვარელი მიღების სახეობაა. ბარბექიუს სტილში მიღებები და პიკნიკები (თავდაპირველი ინგლისური გაგებით, საქონლის ხორცის შეწვას ნიშნავდა) თავდაპირველად აშშ-ის სამხრეთის შტატებში, შემდეგ კი სხვა მრავალ ქვეყანაში გახდა პოპულარული, განსაკუთრებით იქ, სადაც შედარებით რბილი კლიმატი ერწყმის საკუთრი სახლებისა და ნაკვეთების მეტ შესაძლებლობას.

ასეთი მიღება სუფთა ჰაერზე, აგარაკზე, კერძო სახლის ეზოში, ბულვარში, ტყეში, ერთი სიტყვით, ბუნებაში იმართება.

ბარბექიუზე სტუმრებს ოჯახებით პატიჟებენ. სხვადახვა ქვეყანაში ხორცის ღია ცეცხლზე შეწვის განსხვავებული ტრადიციებია.

ხშირად შამფურების ნაცვლად სპეციალური რკინის მაყალი გამოიყენება. ზოგჯერ ასეთ მაყალზე სხვადასხვა სახის ხორცეულს ერთდროულად ალაგებენ ხოლმე, მაგალითად, ღორის, ქათმის, დეკეულის, სოსისებსაც კი.

აგრეთვე, შესაძლოა, შეწვან თევზი და სხვადასხვა სახის ხილი და ბოსტნეული. ზოგან ამზადებენ მარინადს (ჩვენებურად ბასთურმას), ზოგან კი მხოლოდ სანელებლების მოყრით შემოიფარგლებიან.

ცეცხლის დანთებისა და ხორცის შემზადების პროცესი საერთო რიტუალის მთავარი შემადგენელი და საპატიო ნაწილია, რომელსაც, ძირითადად, ოჯახის მასპინძელი წარმართავს. ეს ფაქტი თავისთავად დიდ სიამოვნებას ანიჭებს დიასახლისს, რომელიც ამ დროს სტუმრებთან იმყოფება და მოხსნილი აქვს კერძების მომზადებისა და მასპინძლობის უფლება-მოვალეობები.



**როდესაც დაასრულებთ ამა თუ იმ კერძის ჭამას, დადეთ დანა-ჩანგალი თეფშზე ერთმანეთის პარალელურად. მაგრამ თუ ჭამისას პაუზის აღებას გადაწყვეტთ, მაშინ დადეთ თქვენი დანა-ჩანგალი გადაჯვარედინებულად**



ხორცის სრულ მომზადებამდე სტუმრებს საშუალება აქვთ, სუფთა ჰაერით დატკბნენ, თან მიირთვან სხვადასხვა ტიპის სასმელები, ეს შეიძლება იყოს: ღვინო, ლუდი, წვენები, გამაგრილებელი სასმელი და მინერალური წყალი.

შეიძლება წარმოდგენილი იყოს კრეკერები, მიწის თხილი, არაჟნისა და მდოგვის სოუსებით შეზავებული უმი ბოსტნეული და სხვ. გრილ ამინდში ხორცის მომზადებამდე სტუმრები ფინჯნებით ცხელ სუპს მიირთმევენ.

მზა მწვადი, როგორც წესი, მწვანილთან და ტომატის სოუსთან ერთად უნდა იყოს შეთავაზებული, ასევე, მოწალული ან მოშუშული ბოსტნეული, დესერტად — ქორფა ხილი.

ლუდის მოყვარულთა გამასპინძლება მეგობრულ და არაფორმალურ ვითარებაში ხდება.

საუკეთესოა ხის მაგიდა, რომელიც არ იფარება ტილოთი. ლუდის კათხების ან ტოლჩების ქვეშ იდგმება სპეციალური სადგარები. ლუდს არ ურევენ არც ერთ სხვა სასმელს, რადგან ამით ის დაკარგავს თავის თვისებებს.

**რეკომენდებული არ არის ლუდის სხვადასხვა სახეობის არევა, ასევე სასმელის ანჯღრევა ან უკვე დასხმულ სასმელში ჩამატება.**

ლუდის უკეთესად დასაგემოვნებლად მას აციებენ გარკვეულ ტემპერატურამდე, თუმცა არ არის სასურველი მისი საყინულეში მოთავსება, რადგან ლუდი დაკარგავს თავის გემოს (შეიძლება იგი დადოთ ყინულზე და ისე გააცივოთ).

ასევე, არასასურველია სწრაფად გათბობაც. ლუდის ნორმალური ტემპერატურა 6-8 გრადუსია. მხოლოდ ზოგიერთი სახეობები საჭიროებს უფრო მაღალ ტემპერატურას. თუ გადახრილი ჭიქა ლუდით ნელ-ნელა შეივსება, ქაფის გადმოღვრის ნაკლები ალბათობაა.



**ლუდთან ერთად მიირთმევენ მრავალფეროვან საკვებს: ბუტერბროდებს ყველით, ხიზილალითა და ძეხვით, მარილიან ორცხობილასა და მიწის თხილს, შეიძლება ცხელი სოსისი და სარდელი, ღორის ფეხები; გარნირად ბარდა, მოშუშული კომბოსტო და კარტოფილი; ასევე მარილიანი, შებოლილი ან უმი თევზი. ბევრ ქვეყანაში თევზთან ერთად ლუდის მირთმევა მიუღებელია, რადგან მიაჩნიათ, რომ თევზი ლუდს გემოს უკარგავს.**

ლუდი ისხმება სპეციალურ ლუდის ტოლჩებში. მას ნელ-ნელა დიდი ყლუპებით სვამენ და არასდროს უჭახუნებენ ტოლჩებს ერთმანეთს.

არსებობს ეტიკეტის გარკვეული ნორმები, რომლებსაც ამა თუ იმ ქვეყანაში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. მაგალითად, **პორტუგალიაში** დიდად აფასებენ მზარეულის შრომას, ამიტომ არ არის მიზანშეწონილი, ადამიანმა მარილი და პილპილი, თუ რომელიმე არ დევს სუფრაზე, მოითხოვოს. ითვლება, რომ ეს მზარეულის შეურაცხყოფაა.

**საფრანგეთში** მიუღებელია სადილის დროს ფინანსურ საკითხებზე და საზოგადოდ, ფულზე საუბარი. ცუდ ტონად ითვლება ხელების დაწყობა მაგიდის ქვეშ. ფრანგებს კიდევ ერთი უცნაური წესი აქვთ: არ შეიძლება პურის ნაჭრის მოკბეჩა, ის აუცილებლად პატარ-პატარა ნაჭრებად უნდა დაანაწევრონ და ისე მიირთვან.

**გერმანიაში** რამდენიმე ძირითადი წესი მოქმედებს, რომლებიც აუცილებლად უნდა დაიცვან სტუმრად მიწვეულებმა, რათა მასპინძელი არ გაანაწყენონ: მასპინძლის ნებართვის გარეშე სტუმარი არ უნდა დაჯდეს მაგიდასთან, თანაც მასპინძელმა თავად უნდა მიუთითოს კუთვნილი ადგილი. ვიდრე ოჯახის თავი თავად არ შეუდგება ტრაპეზს, სტუმარმა კერძი არ უნდა გადაიღოს. უხეშობად და ცუდ ტონად ითვლება მაგიდაზე იდაყვების ჩამოდება.

**იაპონიაში** სადილი დიდ ტრადიციებთანაა დაკავშირებული. იქ საკვების მირთმევის ერთგვარი კულტურაც კია ჩამოყალიბებული. მაგალითად, სადილის წინ მოაქვთ ნამიანი ხელსახოცი ხელების გასაწმენდად. ცუდ ტონად ითვლება ამ ხელსახოცით პირის მოწმენდა. ხელების გაწმენდის შემდეგ ხელსახოცი ზუსტად იქ უნდა დააბრუნონ, საიდანაც აიღეს.

**იაპონიაში სუფრა აუცილებლად ხმაურიანი უნდა იყოს. სხვადასხვა შეძახილი და ხმამაღალი ბგერები სტუმრების კმაყოფილებას გამოხატავს. მშვიდად და ჩუმად სადილობა ნიშნავს, რომ სტუმარი უკმაყოფილოა კერძებით და სიტუაციით და ამით მასპინძელს შეურცხყოფს. არ არის მიღებული ალკოჰოლური სასმელის დალევა საზეიმო სიტყვის ან სადღეგრძელოს გარეშე.**

სადილის ეტიკეტი **საუდის არაბეთსა** და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში მჭიდროდ უკავშირდება ისლამის პრინციპებს. აქ უმეტესად იატაკზე შლიან სუფრას და ბევრი კერძია წარმოდგენილი. ხშირ შემთხვევაში ჭურჭელსაც არ იყენებენ, რაც თავისთავად იმას ნიშნავს, რომ ადამიანებმა ხელით უნდა მიირთვან. უცხო ქვეყნიდან ჩასული სტუმრის მხრიდანაც კი უპატივცემულობა იქნება თეფშის და ჩანგლის მოთხოვნა.

აღსანიშნავია ისიც, რომ კერძები მხოლოდ მარჯვენა ხელით უნდა მიირთვან, რადგან აქ ითვლება, რომ მარცხენა ხელი „ჭუჭყიანია".

**ეთიოპიაში** მიღებულია, რომ ყველა სტუმარმა ერთი თეფშიდან მიირთვას კერძი. სტუმრებისთვის თეფშებისა და დანა-ჩანგლის დარიგება ამ ქვეყანაში მფლანგველობად ითვლება.

**შვედეთში** ცუდ ტონად ითვლება ჭიქების მიჭახუნება.

ამერიკაში კერძის ხელიდან ხელში მიწოდება უკულტუროდ მიიჩნევა. თუ სუფრის ერთმა წევრმა მეორეს პილპილის მიწოდება სთხოვა, მან პილპილთან ერთად მარილიც უნდა მიაწოდოს.

**ჩინეთში,** განსაკუთრებით — სამხრეთ-ჩინეთსა და ჰონკონგში, არ შეიძლება თევზის თეფშზე გადაბრუნება, რადგან, ჩინელების აზრით, თუ თევზს გადააბრუნებენ, წარუმატებლობა ელით. ყველაზე ცრუმორწმუნე ჩინელები მას შემდეგ, რაც თევზის ზედა ნაწილს მიირთმევენ, საერთოდ აღარ ეკარებიან დარჩენილ თევზს. შედარებით გაბედულნი ხერხემალს აცლიან, რომ თევზის თეფშზე გადაბრუნების გარეშე შეძლონ მისი მირთმევა.

**მექსიკაში** სადილის დროს ჯადოსნური ძალა აქვს სიტყვა „პროვეჩე"-ს. ის დამსწრე საზოგადოებისა და მასპინძლის მიმართ დიდ პატივისცემასა და მოწონებას გამოხატავს.

ცნობისათვის

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



უნიკალური თვისებების მქონე,
2-3 ჭიქა მონასტრის ჩაი ორგანიზმიდან
გამოდევნის ნიკოტინის 99%-ს.
ნიკოტინის მოშორებასთან ერთად
სიგარეტზე დამოკიდებულებაც ქრება.



# მოდური ჰიჯაბები Dolce & Gabbana-სგან

**Dolce & Gabbana-მ სექსუალური სილუეტები დროებით დაივიწყა. პირველად იტალიური ბრენდის ისტორიაში, სტეფანო გაბანამ და დომენიკო დოლჩემ ტანსაცმლის ახალი ხაზი გამოუშვეს, სახელწოდებით „აბაიას კოლექცია: შუა აღმოსავლეთის ცდუნება“. იტალიური მოდის სახლი ახალი კოლექციით იმ ბრენდების რიგს შეუერთდა, რომლებიც მუსლიმი მომხმარებლის ბაზრისთვის პროდუქციას უშვებენ.**

კოლექციაში მდიდრული ჰიჯაბები და აბაიებია შესული. კოლექციის დიდი ნაწილი შავ ფერშია, თუმცა დიზაინერებმა მათი სახელოვანი პრინტებიც არ დაივიწყეს — სამოსი ფერად ყვავილებსა და მაქმანებშია გადაწყვეტილი, ჟორჟეტისა და ხავერდის ჰიჯაბებზე ლიმონის, გვირილისა და ვარდის ნახატებია გამოყენებული, რომელიც მოდის სახლის 2016 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექციის მთავარი ხელწერაა. Thomson Reuters-ის ბოლო კვლევის მიხედვით, მხოლოდ 2013 წელს, მუსლიმანური სამყაროს წარმომადგენლებმა ტანსაცმელსა და ფეხსაცმელში 266 მილიარდი დოლარი დახარჯეს, 2019 წლამდე კი ეს ციფრი, სავარაუდოდ, 488 მილიარდამდე გაიზრდება.



# ნიუ იორკის ბიბლიოთეკამ საქართველოს უნიკალური ფოტოები გამოაქვეყნა

**ნიუ იორკის საჯარო ბიბლიოთეკამ უნიკალური საარქივო ფოტოები გამოაქვეყნა.** ბიბლიოთეკის საიტზე განთავსებული ფოტოები ნებისმიერი მსურველისთვის უფასოდ არის ხელმისაწვდომი. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 180 000-ზე მეტ ფოტოს შორის საქართველოს ფოტოებიც არის. ფოტოები, ძირითადად, გადაღებულია მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის შუა წლებში.

# მინიატურული ბაღები

**მინიატურული ბაღების შექმნა ყოველთვის საინტერესო და ძალიან კარგი არჩევანია სახლის დეკორაციისთვის. თუ გაქვთ თავისუფალი დრო და არ იცით, როგორ დახარჯოთ, გახდით კრეატიულები და საკუთარი ხელით შექმენით რამდენიმე პატარა, მშვენიერი დიზაინის ბაღი სახლისა და ეზოს გასაფორმებლად. ამის გაკეთებას შუშის სათავსოში შეძლებთ, და თუ წყლის ელემენტსაც დაუმატებთ, თქვენი ბაღი გაცილებით მიმზიდველი გახდება.
ყველაფერი თქვენს ფანტაზიაზეა დამოკიდებული — არ არსებობს წესები და შეზღუდვები.**



ტიპური ბაღი წარმოადგენს მცენარეების მინიატურულ ეკოსისტემას, რომელიც მოთავსებულია შუშის კონტეინერში – ამისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ძველი ნათურა, ჭიქა, დოქი, აკვარიუმი და სხვ. საფუძვლად შეგიძლიათ გამოიყენოთ მიწა, ქვიშა, ხავსი, ხრეში, კენჭები და დეკორატიული მძივები.

იმისთვის, რომ თქვენი პატარა ბაღი დეკორის ყველაზე მშვენიერ ელემენტად გადააქციოთ სახლში, კარგად უნდა მოიფიქროთ მისი დიზაინი. შეგიძლიათ დარგოთ კაქტუსები, ტროპიკული და სხვა მინიატურული მცენარეები. ამასთან, კარგი იქნება, თუ დაუმატებთ სხვადასხვა დეტალებს — ცხოველების პატარა ფიგურებს, ავეჯის ელემენტებს და შექმნით პატარა სამყაროს შუშის კონტეინერში.

აიღეთ ღია ან დახურული შუშის კონტეინერი.

კონტეინერის ფსკერი დაფარეთ პატარა კენჭებით 2.5 სმ სისქეზე, ხელოვნური სადრენაჟო სისტემის შესაქმნელად მცენარის ფესვებისთვის. დაამატეთ გააქტიურებული ნახშირის თხელი ფენა, რომელიც ხელს უშლის ობისა და ბაქტერიების წარმოქმნას წყალში. დაამატეთ მიწის ფენა, რომელსაც ჩვეულებრივ ქოთნის ყვავილებისთვის იყენებთ. დარგვა დაიწყეთ დიდი მცენარით. ბოლოს შეგიძლიათ, თქვენი გემოვნებით დეკორატიული ელემენტებით გააფორმოთ.









# როგორ დაანებოთ თავი მოწევას 2 დღეში

**მიუხედავად ბევრი მცდელობისა, ადამიანებს უჭირთ მოწევისთვის თავის დანებება, თუმცა დღეს ეს შესაძლებელი გახდა მონასტრის ჩაის დახმარებით. უნიკალური თვისებების მქონე, 2-3 ჭიქა მონასტრის ჩაი ორგანიზმიდან გამოდევნის ნიკოტინის 99%-ს. ნიკოტინის მოშორებასთან ერთად სიგარეტზე დამოკიდებულებაც ქრება.**

მონასტრის ჩაის წყალობით მოგიწესრიგდებათ ნერვული სისტემაც და დანებებიდან პირველ პერიოდში არც ჭამის გამუდმებული სურვილი შეგაწუხებთ. აუცილებელია, ჩაი დღეში 2-ჯერ დალიოთ, 2-5 დღის შემდეგ სიგარეტის მოთხოვნილება აბსოლუტურად გაქრება.

მონასტრის ჩაი შემდეგნაირად მზადდება: ავიღოთ ნახევარი ჭიქა ასკილი, 10 გრ ინულას (ჩვეულებრივი მზიურა) ფესვები, ჩავყაროთ ქვაბში და ამ ნარევს დავასხათ 5 ლიტრი ადუღებული წყალი, თავი დავახუროთ და შევფუთოდ თბილად 3 საათის განმავლობაში. შემდეგ ამ ნარევს დავუმატოთ 1 სუფრის კოვზი ორეგანო და კრაზანა, 10 გრამი ასკილის ფესვები, 2 ჩაის კოვზი შავი ჩაი და შევფუთოდ კიდევ 1 საათით.





**ის, რომ მობილური, რომელზეც შუმერული წარწერაა, 800 წლის წინანდელია, დასაწყისშივე შეიცავს ტყუილს — შუმერული დამწერლობა ქრისტეშობამდე მეშვიდე-მეექვსე საუკუნეებში გამოიყენებოდა.**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უმნიშვნელოვანესი პროდუქტები

**ორგანიზმის გაწმენდა აქტუალური და მწვავე საკითხია, რომელიც ხშირად აბსურდამდეც მიდის. ძალიან დიდი რაოდენობით მიღებულ სხვადასხვა ზეთს, ლიმონის წვენს და მედიკამენტოზურ მკურნალობას ბევრი ადამიანი საავადმყოფოს კარამდეც მიუყვანია. ნამდვილად ღირს, რომ დავფიქრდეთ და ყურადღება მივაქციოთ იმ ჩვეულებრივ პროდუქტებს, რომლებიც ორგანიზმს წმენდს ნებისმიერ სხვა წამალზე უკეთ და ზიანს არ აყენებს მას.**



## ვაშლი

**ვაშლი არეგულირებს მთელი საჭმლის მომნელებელი სისტემის ნორმალურ მუშაობას პექტინისა და ბოჭკოვანას მეშვეობით, რომელსაც გამოაქვს შლაკები და ტოქსინები. ვაშლი აუმჯობესებს მადას, ეხმარება კუჭის წვენის გამომუშავებას და შეკრულობის საწინააღმდეგო ეფექტი აქვს.**

ამას გარდა, ანადგურებს გრიპის A ჯგუფის ვირუსის, დეზინტერიისა და ოქროსფერი სტაფილოკოკის გამომწვევ პათოგენებს. მიირთვით უმი კანიანად, გახეხილი ან წვენის სახით.



## ნიორი

**ერთი კბილი ნიორი 400-ზე მეტ სასარგებლო კომპონენტს შეიცავს, წმენდს სისხლძარღვებს, ამცირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში და ანადგურებს ტვინში კიბოს გამომწვევ მიზეზს — გლიობლასტომის უჯრედებს.** მის შემადგენლობაში შემავალი კომპონენტები კლავს კუჭის წყლულის გამომწვევ მიზეზს — ჰელიკობაქტერიას, ანადგურებს ჭიებს, დიფტერიისა და ტუბერკულოზის ჩხირებს. მიირთვით უმად.



## კომბოსტო

**კომბოსტო შეიცავს დიდი რაოდენობით საკვებ ბოჭკოებს, რომელთაც ნაწლავებიდან ბუნებრივი გზით გამოაქვს მძიმე ლითონები და ტოქსინები.**

ასევე, მდიდარია ორგანული მჟავებით, რომლებიც დადებითად მოქმედებს საჭმლის მონელებაზე და ნაწლავების მიკროფლორის ნორმალიზებას ახდენს, მაგრამ ეს ყველაფერი არ არის. ის შეიცავს საკმაოდ იშვიათ ვიტამინ U-ს, რომელიც ანადგურებს სახიფათო ნივთიერებებს, მონაწილეობს ვიტამინების სინთეზში და წყლულს ახორცებს.

მიირთვით უმი, დამწნილებული ან წვენის სახით.



## შტოში

**ეს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ბუნებრივი ანტიბიოტიკი და ანტივირუსული საშუალებაა. წმენდს შარდის ბუშტსა და საშარდე გზებს სახიფათო ბაქტერიებისგან.** არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ შტოში ებრძვის კიბოს უჯრედების წარმოქმნას და ასევე ასუფთავებს სისხლძარღვებს თრომბებისგან. მიირთვით უმი, შესაძლოა, შაქრის ფხვნილთან ერთად ან წვენისა და მურაბის სახით.



## ხახვი

**ყველაზე მთავარი ხახვში ფიტოციდებია, რომელსაც ეთერზეთები შეიცავს. ფიტოციდებს შეუძლია წამებში გაანადგუროს უამრავი ბაქტერია და სოკო.**

ასევე, ხახვი აუმჯობესებს საჭმლის მონელების პროცესს და ეხმარება მკვებავი ნივთიერებების ათვისებაში. შეიცავს დიდი რაოდენობით გოგირდს, რაც აუვნებელყოფებს და ანადგურებს ყოველივე ზიანის მომტანს ორგანიზმში. მიირთვით უმად.



## ავოკადო

**ბევრმა ადამიანმა, სამწუხაროდ, არ იცის ამ ტროპიკული ხილის სასარგებლო თვისებების შესახებ. ავოკადო შეიცავს გლუტატიონს, რომელიც ბლოკავს ბევრ სახიფათო კანცეროგენს, რითაც ხელს უწყობს ღვიძლის ნორმალურ მუშაობას.**

ამასთან, არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში, ეხმარება საჭმლის მონელებას და ორგანიზმს კარგად ამარაგებს ჟანგბადით. მიირთვით უმი, ჩირის ან ზეთის სახით.



## წითელი ჭარხალი

**წითელი ჭარხალი ორგანიზმის პირველი გამწმენდია. უპირველეს ყოვლისა, ის შეიცავს ცელულოზას, სპილენძს, ფოსფორს და მთელ რიგ მინერალურ მჟავებს, რომლებიც აუმჯობესებს საჭმლის მონელების პროცესს, ნაწლავებში ანადგურებს ლპობის ბაქტერიებს.**

მის შემადგენლობაში შედის ლიპოტროპული ნივთიერება ბეტაინი, რომელიც ღვიძლს ტოქსინებისგან უკეთ გათავისუფლებაში ეხმარება. ჭარხალი ხელს უწყობს ორგანიზმის გაახალგაზრდავებას ფოლიუმის მჟავის (უფრო მეტი ახალი უჯრედი იქმნება) და კვარცის (აუმჯობესებს კანის, თმისა და ფრჩხილების მდგომარეობას) საშუალებით. მიირთვით უმი, მოხარშული და წვენის სახით (უმჯობესია სტაფილოს წვენთან ერთად).

## ჯანსაღი კვებაც გაგვასუქებს?

**კორნელის უნივერსიტეტში კვების ლაბორატორიის ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ ჯანმრთელი კვება ყოველთვის არ ნიშნავს სპორტულ აღნაგობას, პირიქით, მას შეუძლია სიმსუქნე გამოიწვიოს. ამერიკელმა სპეციალისტებმა გადაწყვიტეს, გადაემოწმებინათ გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ ზედმეტი ჭამა გასუქების მთავარი მიზეზია. მაგრამ მათი დაკვირვების საგანი გახდა არა მავნე საკვები, არამედ ჯანმრთელი და დაბალკალორიული პროდუქტები.**

ექსპერიმენტში მონაწილეობა 100-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო. მათ სთავაზობდნენ ფილმის ყურებისას „სასარგებლო“ ორცხობილის ჭამას. კვლევამ აჩვენა, რომ, თუ ადამიანი თვლის, რომ ჯანმრთელად იკვებება, გაცილებით მეტ საკვებს იღებს, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც მავნე პროდუქციას მიირთმევს. მომხმარებელზე გავლენას ახდენს ეტიკეტი, რომელსაც აწერია, რომ ჯანმრთელ პროდუქტს მოიხმარს. ფსიქოლოგებმა დაასკვნეს, რომ სიმსუქნე შეიძლება ფსიქოლოგიურმა ფაქტორმა გამოიწვიოს.

## ავსტრიაში 800 წლის მობილური ტელეფონი იპოვეს

**არხი Paranormal Crucible, რომელიც პარანორმალურ მოვლენებს იკვლევს, ირწმუნება, რომ არქეოლოგებმა 800 წლის მობილური ტელეფონი აღმოაჩინეს. ნივთი, რომელიც ავსტრიაში იპოვეს, თანამედროვე მობილური ტელეფონის თიხის მოდელია, რომელზეც ლურსმული დამწერლობაა გამოყვანილი.**

რადგან ამოუცნობი ნივთის შესახებ ინფორმაცია თითქმის არ არსებობს, თანაც მისი მსგავსება Nokia-ს მობილურ ტელეფონთან ძალიან დიდია, ბევრი მივიდა დასკვნამდე, რომ ეს კარგად დამუშავებული ტყუილია და არაფერი აქვს საერთო ჭეშმარიტებასთან. თუმცა უცხოპლანეტელებზე მონადირენი ირწმუნებიან, რომ ეს ნივთი დასტურია იმისა, რომ უცხოპლანეტელები ოდესღაც სტუმრობდნენ დედამიწას, ან ეს ფაქტი ადასტურებს იმას, რომ დროში გადაადგილება რეალურია.

**არხი Paranormal Crucible ირწმუნება, რომ არტეფაქტზე შუმერული წარწერაა.**




**თუმცა ის, რომ მობილური, რომელზეც შუმერული წარწერაა, 800 წლის წინანდელია, დასაწყისშივე შეიცავს ტყუილს — შუმერული დამწერლობა ქრისტეშობამდე მეშვიდე-მეექვსე საუკუნეებში გამოიყენებოდა.**

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

*** 14 იანვარი ქართული თეატრის დღეა. ქართულ თეატრს საფუძველი ჩაეყარა 1850 წლის 14 იანვარს, როდესაც თბილისში დაიდგა პირველი ქართული სპექტაკლი — გიორგი ერისთავის „გაყრა“.**

გიორგი ერისთავმა ქართველი არისტოკრატიის მხარდაჭერითა და მეფისნაცვალ ვორონცოვის ხელშეწყობით თბილისის გიმნაზიის შენობაში (დღევანდელი №1 სკოლა) 1850 წლის 14 იანვარს დადგა პირველი სპექტაკლი „გაყრა“. ის იყო პიესის ავტორი, რეჟისორი და ერთ-ერთი როლის შემსრულებელიც.



# ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები კაცობრიობის ისტორიაში

რუბრიკა „ქრონოგრაფში“ გაეცნობით ინფორმაციას კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენებისა და გამოჩენილი ადამიანების დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებზე.

*** 1917 წლის 14 იანვარს ქუთაისში დაიბადა გამოჩენილი ქართველი პოეტი ლადო ასათიანი.**



1938 წელს დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. პირველი ლექსი „თებერვლის დილა“ გამოაქვეყნა 1936 წელს ქუთაისის გაზეთ „სტალინელში“.

1939 წელს ტუბერკულოზით დაავადებული პოეტი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს, მაგრამ სამხედრო ექიმებმა გულისხმიერება გამოიჩინეს და ავადმყოფი უკან დააბრუნეს.

1938-39 წლებში მუშაობდა „ნორჩ ლენინელში“. მისი ნაწარმოებები ქვეყნდებოდა „ახალგაზრდა კომუნისტში“, „მნათობში“, „ლიტერატურულ გაზეთში“, „პიონერში“ და სხვ. ლადო ასათიანის ლექსებიდან აღსანიშნავია: „საქართველოში“; „არ ვიცი, ასე რამ შემაყვარა“; „სალაღობო“; „საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი“; „კრწანისის ყაყაჩოები“, „ცხრა ძმა ხერხეულიძე“; „ქართული ენა“; „ალბომიდან“ და სხვ.

ლადო ასათიანი გარდაიცვალა 1943 წლის ივნისში. დაკრძალულია დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



*** 1622 წლის 15 იანვარს პარიზში დაიბადა ფრანგი დრამატურგი და თეატრალური მოღვაწე მოლიერი (ჟან-ბაპტისტ პოკლენი).** მას ხშირად მოიხსენიებენ, როგორც „კომედი ფრანსეზის“ დამაარსებელსა და „მაღალი კომედიის“ ჟანრის ფუძემდებელს. მოლიერის ცნობილი ნაწარმოებებია: „ტირტიუფი“, „დონ ჟუანი“, „სკაპენის ოინები“, „ძუნწი“, „ცოლების სკოლა“, „მიზანთროპი“ და სხვ. მოლიერი გარდაიცვალა 1673 წლის 17 თებერვალს.



*** 2012 წლის 13 იანვარს ხმელთაშუა ზღვაში, კუნძულ ჯილიოსთან (ტოსკანის რეგიონი, იტალია) ახლოს კატასტროფა განიცადა საკრუიზო ლაინერმა „კოსტა კონკორდიამ“.**

კატასტროფის მომენტში ლაინერზე იმყოფებოდა 3216 მგზავრი 62 ქვეყნიდან და ეკიპაჟის 1023 წევრი. კატასტროფის შედეგად დაიღუპა 30 ადამიანი, 2 — უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

საზღვაო ხომალდის კატასტროფასა და ადამიანების დაღუპვაში გემის კაპიტანი ფრანჩესკო სკეტინო დაადანაშაულეს.

*** 1943 წლის 19 იანვარს დიდ სამამულო ომში პირველად გაირღვა ლენინგრადის (ამჟამინდელი სანკტ-პეტერბურგი) ბლოკადა და ლენინგრადელებმა სამხედროების დახმარებით სურსათ-სანოვაგე მიიღეს.** მიუხედავად იმისა, რომ ქალაქი კიდევ ერთი წლის განმავლობაში იყო გერმანელი ფაშისტების ალყაში, ამ გარღვევამ მნიშვნელოვნად გააძლიერა წითელი არმიის პოზიციები და გააუმჯობესა ლენინგრადელთა ყოფა.

*** 1775 წლის 15 იანვარს მოსკოვში დაიბადა რუსი დიპლომატი, პოეტი, დრამატურგი, პიანისტი და კომპოზიტორი ალექსანდრე გრიბოედოვი.** დაქორწინებული იყო ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილ ნინოზე.



ალექსანდრე გრიბოედოვის მთავარი თხზულებაა კომედია „ვაი ჭკუისაგან“. ნაწარმოებში აღწერილია ორი მსოფლმხედველობის, ორი იდეოლოგიის შეჯახება — ფეოდალიზმის დამცველთა და რევოლუციური ძალების ბრძოლა, რეაქციული რუსეთისა და თავისუფლების მოყვარე თაობის ჭიდილი. გრიბოედოვის სახელთანაა დაკავშირებული გაზეთ „ტიფლისსკიე ვედომოსტის“ გამოცემა, სამაზრო სკოლების გახსნა, თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის დაარსების მცდელობა და სხვ.

ალექსანდრე გრიბოედოვი გარდაიცვალა 1829 წელს თეირანში. დაკრძალულია თბილისში, მთაწმინდის პანთეონში.



*** 1932 წლის 16 იანვარს თბილისში დაიბადა გამოჩენილი ქართველი მსახიობი, სსრკ-ის სახალხო არტისტი, საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ოთარ მეღვინეთუხუცესი.**

შესრულებული აქვს როლები ფილმებში: „ფატიმა“, „კეთილი ადამიანები“, „ვინ შეკაზმავს ცხენს“, „ვედრება“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „მზე შემოდგომისა“, „ნატვრის ხე“, „მთვარის მოტაცება“, „ძმა“; „დათა თუთაშხია“ და სხვ.

თეატრში შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: ლორდი ლეველი („რიჩარდ მესამე“), ბენედიქტი „აურზაური არაფის გამო“, ოიდიპოსი („ოიდიპოს მეფე“), მეფე ლირი („მეფე ლირი“), კრეონი („ანტიგონე“) და სხვ. განსაკუთრებული პოპულარობა მოიხვეჭა დათა თუთაშხიას როლის შესრულებით.

ოთარ მეღვინეთუხუცესი გარდაიცვალა 2013 წლის 9 მაისს.



*** 1839 წლის 19 იანვარს ექს-ან-პროვანსში დაიბადა სახელგანთქმული ფრანგი მხატვარი, პოსტიმპრესიონიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი პოლ სეზანი,** რომელმაც იმპრესიონიზმიდან კუბიზმში გადასვლის დამაკავშირებელი ხიდის როლი შეასრულა. მისი ცნობილი ნაწარმოებებია: „გოგონა პიანინოსთან“, „სენტ-ვიქტუარის გორა“, „მარნის ნაპირები“, „პიერო და არლეკინო“, „ბანქოს მოთამაშენი“, „მობანავენი“ და სხვ.

*** 2004 წლის 14 იანვარს გერბთან და ჰიმნთან ერთად შემოღებულ იქნა საქართველოს სახელმწიფო დროშა.**



საქართველოს სახელმწიფო დროშა არის მართკუთხა თეთრი ფერის ქსოვილი, რომლის ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია დროშის ოთხივე გვერდთან დაკავშირებული წითელი ფერის სწორკუთხა დიდი ჯვარი. ჯვრის ვერტიკალურ-ჰორიზონტალური მკლავებით გამოყოფილ ოთხკუთხედებში გამოსახულია 4 იმავე ფერის, ბოლნურ-კოლხური ჯვარი.



*** 1929 წლის 15 იანვარს ატლანტაში (აშშ) დაიბადა სახელგანთქმული აფროამერიკელი მოძღვარი, მოქალაქეთა უფლებების დამცველი მოძრაობის ლიდერი, ორატორი მარტინ ლუთერ კინგი.**

ბაპტისტი მოძღვარი იბრძოდა დისკრიმინაციისა და ვიეტნამში აშშ-ის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. 1964 წელს დააჯილდოვეს ნობელის პრემიით მშვიდობის დარგში.

მარტინ ლუთერ კინგი მოკლეს 1968 წლის 4 აპრილს ტენესის შტატის ქალაქ მემფისში.



*** 1961 წლის 17 იანვარს ქუთაისში დაიბადა სახელგანთქმული ქართველი მოჭადრაკე, ქალთა შორის მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი (1978-1991), ცხრაგზის ოლიმპიური ჩემპიონი, დიდოსტატი მაია ჩიბურდანიძე.**

*** 1809 წლის 19 იანვარს ბოსტონში (აშშ) დაიბადა მწერალი, პოეტი, ესეისტი, მისტიკოსი, თანამედროვე დეტექტიური რომანის ფუძემდებელი ედგარ ალან პო.**

მისი ცნობილი ნაწარმოებებია: „ოქროს ხოჭო“, „მეტცენგერშტეინი“, „მარი როჟეს საიდუმლო“, „მკვლელობა მორგის ქუჩაზე“, „ბოთლში ნაპოვნი ხელნაწერი“, „მორელა“, „ჭა და ქანქარა“, „წითელი სიკვდილის ნიღაბი“ და სხვ.



ედგარ პო გარდაიცვალა 1849 წლის 7 ოქტომბერს.

**ამ პერიოდში რეკომენდებული არ არის რადიკალური ცვლილებები, აგრეთვე, სარისკო ფინანსური ოპერაციების განხორციელება. სასიკეთო პერიოდია ლომისა და სასწორის ნიშნებით დაბადებულთათვის.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**13 - 19 იანვარი ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი — 21 მარტი – 20 აპრილი

ამ პერიოდში გარშემო მყოფთა ყურადღებას მიიპყრობთ და შეეცადეთ, ნდობა, რომელსაც გამოგიცხადებენ, გაამართლოთ. დიდ ფინანსურ მოგებას არ უნდა ელოდოთ, მაგრამ შესაძლოა, მიიღოთ დამატებითი შემოსავალი, რომელიც ფინანსურ მდგომარეობას გაგიუმჯობესებს.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა მშვიდად, მნიშვნელოვანი რყევების გარეშე წარიმართება, თუ არ გაჯიუტდებით და მხოლოდ თქვენი სურვილების დაკმაყოფილებაზე არ იფიქრებთ.

თავი დაიცავით ვირუსული ინფექციებისგან და გაიმყარეთ იმუნიტეტი. მიიღეთ ვიტამინებით მდიდარი საკვები.

**დადებითი დღე: 15 იანვარი.**
**უარყოფითი დღე: 18 იანვარი.**

## კურო — 21 აპრილი – 21 მაისი

სარგებელს მოგიტანთ ნებისმიერი პროცესი, რომელიც დაკავშირებული იქნება განათლებასთან. შესაძლოა, გაიცნოთ ადამიანები, რომლებიც დიდ გავლენას იქონიებენ თქვენს მომავალზე.

მოგიწევთ გაცემული დაპირებების შესრულება. ფული ეკონომიურად ხარჯეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ვალებში ჩაეფლობით.

დაძაბული სამუშაო რეჟიმის გამო საყვარელი ადამიანისთვის ნაკლები დრო დაგრჩებათ და ის თავს მარტოსულად იგრძნობს. გაითვალისწინეთ ეს და შეეცადეთ, მეტი მზრუნველობა გამოიჩინოთ საყვარელი ადამიანის მიმართ.

გადაღლილობის გამო შეიძლება იმუნიტეტი დაგიქვეითდეთ. მიიღეთ ვიტამინებით მდიდარი საკვები და მეტი დრო გაატარეთ სუფთა ჰაერზე.

**დადებითი დღე: 17 იანვარი.**
**უარყოფითი დღე: 18 იანვარი.**

## ტყუპი — 22 მაისი–21 ივნისი

საუკეთესო პერიოდია ფინანსური და კომერციული გარიგების დასადებად, ინვესტიციების განსახორციელებლად, თუმცა გარიგების ყველა დეტალი კარგად უნდა გააანალიზოთ და სარისკო ოპერაციებისგან თავი შეიკავოთ.

შესაძლოა, სამოგზაუროდ ან მივლინებით წახვიდეთ უცხოეთში, სადაც გაეცნობით საინტერესო ადამიანებს, რომლებიც პროექტების განხორციელებაში დაგეხმარებიან.

მარტოხელა ტყუპებს ელით რომანტიკული თავგადასავალი, რომელიც, შესაძლოა, მგზნებარე რომანში გადაიზარდოს და ქორწინებით დასრულდეს.

მაღალია გულ-სისხლძარღვთა ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. მოერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას.

**დადებითი დღე: 14 იანვარი.**
**უარყოფითი დღე: 19 იანვარი.**

## კირჩხიბი — 22 ივნისი–22 ივლისი

მიუხედავად იმისა, რომ გასული 2015 წელი თქვენთვის რთული იყო, სასიამოვნო მომენტებიც გქონდათ და, თუ გსურთ, მეტ წარმატებას მიაღწიოთ, ბევრი უნდა იმუშაოთ და ნაჩქარევ ემოციურ გადაწყვეტილებებს თავი აარიდოთ.

ფინანსური დისბალანსის გამოსასწორებლად ეძიეთ დამატებითი შემოსავლები.

მარტოხელა კირჩხიბებს მარტოობა შეაწუხებთ და ცხოვრების თანამგზავრის პოვნას შეეცდებიან, მაგრამ სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო მათი მცდელობა წარუმატებელი იქნება.

იმ კირჩხიბებმა, რომლებსაც ნივთიერებათა ცვლის პრობლემები აქვთ, აუცილებლად უნდა მიმართონ ექიმს და ჩაიტარონ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 17 იანვარი.**
**უარყოფითი დღე: 19 იანვარი.**

## ლომი — 23 ივლისი –22 აგვისტო

კარგი პერიოდია. შეძლებთ ყველა პროფესიული პრობლემის მოგვარებას. გაგიუმჯობესდებათ ურთიერთობა კოლეგებთან და ისინი მხარს დაგიჭერენ ბევრ წამოწყებაში, ამისათვის კი, პირველ რიგში, საჭიროა, მათი მოსაზრებებიც გაითვალისწინოთ ამა თუ იმ საკითხზე. ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას მხოლოდ გულმოდგინე მუშაობით შეძლებთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას მოთოკეთ ემოციები და თავი შეიკავეთ გაკრიტიკებისგან, წინააღმდეგ შემთხვევაში კონფლიქტი გარდაუვალია.

გაუფრთხილდით ხელებსა და ფეხებს — მაღალია მათი ტრავმირების ალბათობა.

**დადებითი დღე: 17 იანვარი.**
**უარყოფითი დღე: 14 იანვარი.**

## ქალწული — 23 აგვ. –23 სექტემბ.

თავი შეიკავეთ ისეთ ფინანსურ ოპერაციაში მონაწილეობისაგან, რომლის ყველა დეტალი კარგად არ გაგიანალიზებიათ.

ნუ გააკრიტიკებთ კოლეგებს, რადგან ამან შესაძლოა რეპუტაცია შეგილახოთ, რაც თქვენს ფინანსურ მდგომარეობაზეც აისახება.

მოიმატებს თქვენი მომხიბვლელობა და მოგეცემათ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებთან ურთიერთობის წარმატებით განვითარების შანსი.

დაქორწინებული ქალწულების ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან კი ჰარმონიულად წარიმართება.

მაღალია სასუნთქი გზების ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 15 იანვარი.**
**უარყოფითი დღე: 18 იანვარი.**

## სასწორი — 24 სექტ. – 23 ოქტ.

კარგი პერიოდია ახალი ბიზნესპარტნიორების მოძიებისა და მათთან კავშირების დასამყარებლად, აგრეთვე, ახალი პროექტის დასაწყებად. რამდენიმე საქმეს ერთდროულად ნუ წამოიწყებთ, რადგან შესაძლოა, ძალა არ გეყოთ მათ დასასრულებლად.

დაოჯახებულმა სასწორებმა მეტი მზრუნველობა უნდა გამოიჩინონ ოჯახის მცირეწლოვანი წევრების მიმართ. მარტოხელა სასწორების მცდელობა კი, იპოვონ ცხოვრების მეგზური, შეიძლება წარუმატებლად დასრულდეს.

დაიცავით კვების რეჟიმი. მოერიდეთ ალკოჰოლს და ყურადღებით მართეთ ავტომობილი.

**დადებითი დღე: 17 იანვარი.**
**უარყოფითი დღე: 13 იანვარი.**

## მორიელი — 24 ოქტ. – 22 ნოემბ.

თქვენმა უყურადღებობამ, შესაძლოა, კოლეგების უკმაყოფილება გამოიწვიოს, მაგრამ საქმე კონფლიქტამდე არ მივა. ყველა დავალება გულმოდგინედ, დათქმულ ვადაში შეასრულეთ და არ არის გამორიცხული, პრემიით დაგაჯილდოვონ.

საყვარელ ადამიანს თავს ნუ მოაბეზრებთ მოთხოვნებით და შეეცადეთ, მეტი მზრუნველობა გამოიჩინოთ მის მიმართ. გაითვალისწინეთ — საყვედურებითა და შენიშვნებით ურთიერთობას დაძაბავთ.

მაღალია შარდ-სასქესო სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. გაესინჯეთ ექიმს და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 16 იანვარი.**
**უარყოფითი დღე: 13 იანვარი.**

## მშვილდოსანი — 23 ნოემ. – 21 დეკ.

თქვენი უპირველესი საზრუნავი ფინანსური პრობლემების მოგვარება იქნება. თუ აქტიურად იმოქმედებთ, ყველაფერს თქვენს სასარგებლოდ გადაწყვეტთ. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების წინ კი რჩევისათვის ოჯახის უფროს წევრებს ან გამოცდილ ადამიანებს მიმართეთ.

დაოჯახებული მშვილდოსნების ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან ჰარმონიული იქნება, მარტოხელებმა კი მოთმინებით უნდა აიტანონ იმ ადამიანების პრეტენზიები, რომლებიც მოსწონთ და რომლებთანაც ურთიერთობის გაღრმავება სურთ.

გაუფრთხილდით ფეხებს, განსაკუთრებით — მუხლებს. დიდია ტრავმირების ალბათობა.

**დადებითი დღე: 14 იანვარი.**
**უარყოფითი დღე: 16 იანვარი.**

## თხის რქა — 22 დეკემ. – 20 იან.

ბევრ თხის რქას გაუჩნდება სამსახურის შეცვლისა და პერსპექტიული სამუშაო ადგილის მოძებნის სურვილი, მაგრამ ახლა ცვლილებების დრო არ არის. სამსახურებრივი და, შესაბამისად, ფინანსური პრობლემების მოგვარება თებერვლიდან დაიწყეთ, მანამდე კი დრო საოჯახო საკითხებს დაუთმეთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა, მცირე გაუგებრობების მიუხედავად, სიხარულს მოგგვრით — ძვირფასი ადამიანი თქვენი სურვილების ასრულებას შეეცდება.

გულდასმით შეამოწმეთ ნაყიდი პროდუქტების ხარისხი, რადგან მაღალია მოწამვლის ალბათობა.

**დადებითი დღე: 19 იანვარი.**
**უარყოფითი დღე: 16 იანვარი.**

## მერწყული — 21 იან. – 19 თებ.

გაგიჩნდებათ ბევრი საქმე, რომლებსაც სხვის დაუხმარებლად ვერ გაუმკლავდებით. დასახმარებლად მიმართეთ პროფესიონალებს, სწორედ ისინი დაგეხმარებიან პრობლემების მოგვარებაში.

რეკომენდებული არ არის სარისკო ფინანსურ გარიგებებსა და ოპერაციებში მონაწილეობა, რადგან შესაძლოა, თაღლითობის მსხვერპლი აღმოჩნდეთ.

მარტოხელა მერწყულებისთვის კარგი პერიოდია ახალი რომანტიკული ურთიერთობის დასაწყებად, მაგრამ, ვიდრე ურთიერთობის გაღრმავებას დაიწყებთ, კარგად შეისწავლეთ პიროვნება, რომლისკენაც გული მიგიწევთ.

თქვენს ჯანმრთელობას არაფერი ემუქრება, მაგრამ კარგი იქნება, თუ ფიზიკურად დაიტვირთებით, ეს ჭარბი წონის დაკლებასაც შეუწყობს ხელს.

**დადებითი დღე: 17 იანვარი.**
**უარყოფითი დღე: 15 იანვარი.**

## თევზები — 20 თებ. – 20 მარტი

ნუ შეეცდებით რადიკალური ცვლილებების განხორციელებას, წინააღმდეგ შემთხვევაში იმდენი საქმე დაგიგროვდებათ, რომ შეიძლება დადგეთ არჩევანის წინაშე — ან სამსახური, ან ოჯახი.

ამჟამად თქვენი ფინანსური მდგომარეობა სახარბიელო არ არის, მაგრამ სასოწარკვეთას ნუ მიეცემით — ეძებეთ დამატებითი შემოსავლის წყაროები.

შესაძლოა, მოთმინება დაგაკარგვინოთ საყვარელი ადამიანის მხრიდან გამოთქმულმა შენიშვნებმა, მაგრამ ემოციების ამოფრქვევას სჯობს, თავი შეიკავოთ და თქვენი გაღიზიანების მიზეზი მშვიდად აუხსნათ.

მაღალია ღვიძლის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 15 იანვარი.**
**უარყოფითი დღე: 13 იანვარი.**

# ამერიკელი კოსმონავტების «მთვარეზე დაჯდომა» სტენლი კუბრიკმა გადაიღო

**დიდი რეჟისორის — სტენლი კუბრიკის გარდაცვალებიდან 15 წლის შემდეგ აშშ-ში გამოქვეყნდა ინტერვიუ, რომელშიც რეჟისორი აღიარებს: „ამერიკელების დასხდომა მთვარეზე ფალსიფიკაციაა, მე ვიყავი ის ადამიანი, რომელმაც ეს გადაიღო“.**



დიდი ხანია, საუბრობენ, რომ მთვარეზე არავითარი დაჯდომა არ ყოფილა. გასულ კვირას კი ამერიკული კოსმონავტიკის ისტორიაში სამარცხვინო მოვლენის დამადასტურებელი კიდევ ერთი მტკიცებულება გაჩნდა. ბრიტანელ-ამერიკელი რეჟისორი **სტენლი კუბრიკი** („მკვლელის კოცნა“, „სპარტაკი“, „ლოლიტა“, „კოსმოსური ოდისეა“, „მექანიკური ფორთოხალი“, „ფართოდ დახუჭული თვალებით“ და სხვ.) თავის ბოლო ინტერვიუში დაწვრილებით ყვება, თავის მონაწილეობაზე დადგმაში.

რეჟისორმა **პატრიკ მიურეიმ** სტენლი კუბრიკის მონათხრობი ჩაიწერა 1999 წლის მარტში — დიდი რეჟისორის უცნაური და აუხსნელი სიკვდილიდან 3 დღით ადრე. თუმცა პატრიკ მიურეი იძულებული შეიქნა, ხელი მოეწერა 88-გვერდიან ხელშეკრულებაზე, რომლის მიხედვითაც კუბრიკის მონათხრობი 15 წლის განმავლობაში არ უნდა გაესაჯაროებინა.

„მთვარეზე დაჯდომის პოლიტიკური შოუს“ დადგმის შემდეგ კუბრიკი მიხვდა, რომ აშშ-დან უნდა წასულიყო: „კოსმოსური“ გადაღებების მონაწილეებს სიკვდილი სდევნიდა. 1971 წელს სტენლი კუბრიკი დიდ ბრიტანეთში გაემგზავრა და მხოლოდ იქ იღებდა ფილმებს. გაზეთი The Sun-ი წერდა კუბრიკის შიშზე, რომ „ამერიკული სპეცსამსახურები მას ისევე მოკლავდნენ, როგორც აშშ-ის მიერ დადგმული მთვარის აფერის სხვა მონაწილეები გამოასალმეს სიცოცხლეს“.

1999 წელს კუბრიკი ასრულებდა ფილმს „ფართოდ დახუჭული თვალებით“, რომლის სიუჟეტი ნიუ იორკში ვითარდება, მაგრამ რეჟისორს იქ წასვლა არაფრის დიდებით არ სურდა. **ნიკოლ კიდმანი,** ამ ფილმის ერთ-ერთი გმირი, 2002 წლის ივლისში ამერიკულ გაზეთ National Enquirer-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ამბობს, რომ კუბრიკის სიკვდილი ძალადობრივი იყო. რეჟისორმა მას ოფიციალურად გამოცხადებულ სიკვდილის დრომდე 2 საათით ადრე დაურეკა და განუცხადა, რომ ჰარტფორდშირში არ ჩასულიყო, რადგან „ყველას ისე სწრაფად მოგვწამლავენ, დაცემინებასაც ვერ მოვასწრებთ“-ო. რეჟისორის შიში საფუძვლიანი იყო. ის ხვდებოდა, რომ უთვალთვალებდნენ. სპეცსამსახურის თანამშრომლები კი, რომლებიც სტენლი კუბრიკს „მწყემსავდნენ“, მიხვდნენ, რომ რეჟისორი სინდისმა შეაწუხა „მთვარის კადრების“ გამო და ნებისმიერ მომენტში შეეძლო გაემხილა სიმართლე ამერიკული კოსმონავტიკის „გამარჯვებაზე“.

პირველი, ვინც მთვარეზე ამერიკელი კოსმონავტების გადასხდომაში ეჭვი შეიტანა, იყო მათემატიკოსი **ჯეიმს კრაინი**, რომელმაც 1970 წელს გამოსცა წიგნი „დაეშვნენ თუ არა ადამიანები მთვარეზე?“. ანალოგიური ეჭვი ღრღნიდა რაკეტების შემქმნელ ინჟინერ **ბილ კეიზინგსაც**, რომელიც იმ ორგანიზაციაში მუშაობდა, რომელიც პროგრამა Apollo-სთვის ძრავებს ამზადებდა. ბილ კეიზინგმა 1974 წელს გამოსცა წიგნი „ჩვენ არასოდეს გავფრენილვართ მთვარეზე. 30-მილიარდიანი ამერიკული ტყუილი“.

კეიზინგი თავის ნაშრომში წერს, რომ მთვარეზე გაფრენის ამერიკელი ექსპედიციები ფალსიფიცირებული იყო, ხოლო კადრები, რომლებიც თითქოს მთვარეზე დაჯდომას ასახავს, სინამდვილეში ნევადის უდაბნოში მდებარე სამხედრო პოლიგონზე გადაიღეს.

სპეციალისტები კი სვამენ კითხვებს:

***როგორ მოახერხეს ამერიკელებმა ასეთი რთული ექსპედიციების განხორციელება კოსმოსში, როდესაც ქვეყანა ამისთვის ტექნოლოგიურად მზად არ იყო?***

***რატომ არ ჩანს ფოტოებზე ვარსკვლავები?***

*** როგორ ფრიალებს ამერიკული დროშა ფოტოებზე, როცა მთვარეზე ჰაერი არ არის და ქარის წარმოქმნა შეუძლებელია?**

სხვათა შორის, 2009 წელს „ნასას“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მთვარეზე პირველი დაჯდომის ჩანაწერები დაიკარგა.

**მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**



# საფრანგეთის იუსტიციის მინისტრი ბინის ქირის ბიუჯეტიდან გადახდისთვის, შესაძლოა, გადააყენონ

**საფრანგეთის იუსტიციის მინისტრი ტობირა შეიძლება თანამდებობიდან გადადგეს ან გადააყენონ.** ამის მიზეზი კი ის არის, რომ მინისტრი თავისი ბინის ქირის ხარჯებს ბიუჯეტიდან იხდიდა. ბინას ის პარიზში სახელმწიფოს ხარჯზე ქირაობდა 1920 ევროდ. მინისტრს, კანონის თანახმად, ბიუჯეტის არამიზნობრივი ხარჯვისთვის პასუხისგება მოუწევს.

# «ისლამური სახელმწიფოს» ბოევიკები თავს დაესხნენ ამერიკულ სამხედრო ბაზას ერაყში

**15 სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა და 22 დაიჭრა ერაყის ამერიკულ სამხედრო ბაზაზე მებრძლების თავდასხმის შედეგად ქალაქ ტიკრიტში. სამხედრო ბაზაზე იერიში ხუთმა თვითმკვლელმა ტერორისტმა მიიტანა.** ორმა მათგანმა მანქანა ჭიშკართან ააფეთქა, სამმა კი თავი იმ ადგილზე აიფეთქა, სადაც სამხედროების ამზადებდნენ. ტერაქტზე პასუხისმგებლობა დაჯგუფება „ისლამურმა სახელმწიფომ“ დაიკისრა. ტერორისტების განცხადებით, მათი სამიზნე არამეგობარი ქვეყნის არმიის მწვრთნელები არიან.




# 2015 წელი — ჯოჯოხეთი ევროპისთვის

**„ევროკავშირისთვის 2015 წელი „ჯოჯოხეთის წლად“ იქცა, 2016 კი შეიძლება უარესი იყოს“, — წერს საინფორმაციო სააგენტო Reuters-ის მიმომხილველი პოლ ტეილორი.**



ნებისმიერი საზომით, ეს იყო „ჯოჯოხეთის წელი“ ევროკავშირისთვის. და, თუკი ბრიტანელები ხმას მისცემენ ამ კავშირიდან გამოსვლას, მომავალი წელი კიდევ უფრ ცუდი იქნება“, — წერს სტატიის ავტორი. მისი აზრით, ასეთი რყევები ევროპას არ განუცდია 1989 წლის შემდეგ, როდესაც ბერლინის კედელი დაეცა. მაგრამ, თუ იმხანად ცვლილებები სასიხარულო იყო და ხელი შეუწყო ევროინტეგრაციას, 2015 წლის კრიზისი ევროპას ნაფლეთებად ქცევით ემუქრება.

„რკინის ფარდის დაშვების შემდეგ ხელი მოეწერა შეთანხმებას ევროკავშირის შესახებ, მომავალი 15 წლის განმავლობაში კი ვხედავდით ევროკავშირისა და ნატოს გაფართოებას რუსეთის, უკრაინისა და ბელარუსის საზღვრებისკენ. ეს თითქოს ამტკიცებდა ევროკავშირის დამფუძნებელი მამის — **ჟან მონეს** პროგნოზს, რომ ევროპა გაფართოვდებოდა კრიზისების წყალობით, მაგრამ 2015 წლის პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა რყევებმა, საბერძნეთის ვალმა, ისლამურმა ტერორიზმმა და რუსეთის მოქმედებამ გამოიწვია სასაზღვრო კონტროლის დაბრუნება, ევროკავშირის მოწინააღმდეგე პოპულისტური პოლიტიკური ძალების გაძლიერება და ურთიერთბრალდებები ევროკავშირის მთავრობაში.

ევროკომისიის მეთაური **ჟან-კლოდ იუნკერი** ყველას აფრთხილებდა, რომ შენგენის ზონის ფორმატს საფრთხე ემუქრებოდა და, თუკი ევროკავშირის შიგა საზღვრები დაიხურებოდა, ევრო მოკვდებოდა. 205 წელს ევროკავშირის მე-12 სამიტზე მან განაცხადა: „კრიზისები, რომლებსაც ჩვენ შევეჯახეთ, დარჩება, და მოვა სხვა კრიზისებიც“. იუნკერის ეს განცხადება ეწინააღმდეგება გერმანიის კანცლერის — ანგელა მერკელის დევიზს: „ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ ეს!“. მერკელის პოზიციას ლტოლვილების მიმართ ცოტამ დაუჭირა მხარი ევროკავშირში. ბევრი მოითხოვდა საზღვრებზე კონტროლის გამკაცრებას და უარს ამბობდა თავის ქვეყანაში ლტოლვილების შეშვებაზე. მერკელთან ზოგიერთი ევროპელი პოლიტიკოსის კონფრონტაციას ისიც აძლიერებდა, რომ გერმანიის კანცლერი მხარს უჭერდა მკაცრ ეკონომიკას და იყენებდა ორმაგ სტანდარტს რუსეთთან ურთიერთობაში.

ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც, როგორც ჩანს, კიდევ უფრო გამწვავდება 2016 წელს, არის ის, რომ ევროპის წამყვანი ქვეყნების ლიდერები პოლიტიკურად ისეთი სუსტები არიან და ისე არიან ჩაფლულნი საშინაო პრობლემებში, რომ, უბრალოდ, არ შეუძლიათ, მიიღონ კოლექტიური გადაწყვეტილებები.

მაგალითად, ევროპაზე საფრანგეთის გავლენა შემცირდება საფრანგეთის ეკონომიკის დასუსტების გამო. დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი დევიდ კემერონი მხოლოდ იმაზე ზრუნავს, როგორ მოიგოს „სახიფათო რეფერენდუმი“ ევროკავშირიდან ბრიტანეთის გამოსვლის შესახებ. და, თუკი ევროპაში ეკონომიკის სიმძლავრის მიხედვით მეორე და სამხედრო სიძლიერით გამორჩეული ქვეყანა ევროკავშირს დატოვებს, ეს გამანადგურებელი დარტყმა იქნება ევროგაერთიანებითვის“, — წერს „როიტერის“ მიმომხილველი.

## ფიტოთერაპიული კაბინეტი

ცნობილი ქართველი ექიმი, ქართული ფიტოთერაპიის შემქმნელი და დამაარსებელი იური ბურდილაძე ფარმაკოლოგ დავით იაკობიძესთან ერთად მცენარეული პრეპარატებითა და ნანოტექნოლოგიით შექმნილი პრეპარატებით სრული განკურნების გარანტიით მკურნალობს შემდეგ დაავადებებს: ნეფრიტი, პიელონეფრიტი, გლომერულონეფრიტი, თირკმლისა და ნაღვლის კენჭოვანი დაავადებები, ცისტიტი, პროსტატიტი, პროსტატის ადენომა, ქოლეცისტიტი, ცხიმოვანი ჰეპატიტი, ალკოჰოლური ციროზი, პანკრეატიტი, დიაბეტის საწყისი ფორმა, კუჭ-ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები, ართრიტი, ართროზი, კოქსართროზი, ასთმა, ბრონქიტი, ჰაიმორიტი, შებერილობა, შეკრულობა, დიარეა, სისხლის დაავადებები, მხედველობის პრობლემები, ყრუმუნჯთა რეაბილიტაცია ბავშვთა ასაკში, ნებისმიერი ლოკალიზაციის ქსოვილოვანი წარმონაქმნი, ქრონიკული ალკოჰოლიზმი. უშვილობა, ქიმიოთერაპიის შემდგომი რეაბილიტაცია.

**ტელ.: 551-10-59-74 — იური ბურდილაძე, მისამართი: ივერთუბანი (ლოტკინზე) თამარ და აკაკი პაპავების ქუჩა №3 (დედათა და ბავშვთა მონასტერი)**

საქართველო
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894